

მართლმსაჯულება №2 '13
კანონი

Justice and Law Legal Journal
#2(37)'13

N2(37)'13

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჰაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

მაია ზარაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ზამბახიძე

ინგა კვაჩანტირაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მემიშვილი

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by:

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

MAIA ZARIDZE

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

5

ლევან მურუსიძე: „სასამართლოს აქვს უნიკალური შანსი, აჩვენოს თავისი შესაძლებლობა – გახდეს ძლიერი და დამოუკიდებელი“

LEVAN MURUSIDZE: “THE COURT HAS THE UNIQUE OPPORTUNITY TO SHOW ITS CAPABILITY – BECOME STRONG AND INDEPENDENT”

14

დავით სუხიტაშვილი, თეა სუხიტაშვილი

პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის

RESPONSIBILITY FOR THE DAMAGE CAUSED WHILE PERFORMING OFFICIAL DUTIES

DAVIT SUKHITASHVILI, THEA SUKHITASHVILI

25

დავით ლობჯანიძე

მუდღეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

PECULIARITIES OF THE PROCEEDINGS ON DIVISION OF THE PROPERTY BETWEEN SPOUSES

DAVIT LOBJANIDZE

34

შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი

კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფისათვის სამოქალაქო პროცესში

ENSURING THE PRINCIPLE OF LEGITIMACY IN CIVIL PROCEEDINGS

SHALVA KURDADZE , NINO KHUNASHVILI

41

ანა მაისურაძე

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში

IMPOSSIBILITY TO FULFILL OBLIGATIONS UNDER GERMAN AND GEORGIAN CIVIL LAW

ANA MAISURADZE

62

ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა

CUSTOMS STATISTICS OF FOREIGN TRADE

IA KHARAZI , KETEVAN KVINIKADZE

74

შორენა გაბიჩვაძე

ტურისტული მომსახურების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება

CIVIL LEGAL REGULATION OF TRAVEL SERVICES

SHORENA GABICHVADZE

82

დავით გეგერიძე

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს ტერიტორიის შესახებ

INTERNATIONAL LAW ON STATE TERRITORY

DAVIT GEGERIDZE

96

მაკა ტყეხუჩავა

ტურისტულ სააგენტოზე დაკისრებული შედეგის ვალდებულება და პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

THE OBLIGATION FOR THE OUTCOME IMPOSED ON TRAVEL AGENCY AND CIRCUMSTANCES EXCLUDING THE LIABILITY

MAKA TKEBUCHAVA

106

გურამ ნაჭყვია

სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

PROBLEM OF REFERENCE OF LEGISLATIVE DEFINITION OF THE AIMS OF PUNISHMENT WITH THE DEPRIVATION OF LIBERTY FOR AN INDEFINITE TERM IN ACCORDANCE WITH THE CRIMINAL CODE OF GEORGIA

GURAM NACHKHEBIA

117

ია ჩხეიძე

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში

RIGHTS OF A VICTIM IN CRIMINAL PROCEEDINGS

IA CHKHEIDZE

126

თეა შაკულაშვილი

ბინის (სხვა მფლობელობის), პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში

LIMITATION OF THE RIGHT OF SECURITY OF RESIDENCE (OTHER OWNERSHIP), PERSONAL DOCUMENTS IN CRIMINAL PROCEEDINGS

THEA SHAKHULASHVILI

136

ვაჟა ბელთაძე

სისხლისსამართლებრივი დავის ფუნქციის არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

THE CONCEPT OF THE FUNCTION OF CRIMINAL PROSECUTION ACCORDING TO THE CRIMINAL PROCEDURES CODE OF GEORGIA

VAZHA BELTADZE

„სასამართლოს აქვს უნიკალური შანსი, აჩვენოს თავისი შესაძლებლობა – გახდეს ძლიერი და დამოუკიდებელი“

ცოტა ხნის წინათ საქართველოს მოსამართლეთა X კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და მდივანი აირჩია. 222 მოსამართლიდან 205-მა ფარული კენჭისყრით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძე აირჩია, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ბატონო ლევან, ცოტა ხნის წინათ ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არჩევნები, საბჭოს მდივნის პოსტზე მოსამართლეებმა თქვენ ავირჩიეს, რა გეგმები გაქვთ?

ჩემი გეგმების შესახებ არაერთხელ განვაცხადე და ახლა კიდევ გავიმეორებ, რომ ჩემს პროგრამაში უმთავრესი ადგილი უკავია ძლიერი, დამოუკიდებელი და სტაბილური სასამართლოს ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად მზად ვარ ვითანამშრომლონებისმიერ ადამიანთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მედიასთან, უკიდურესად კრიტიკულად განწყობილ პირთან, ყველასთან, ვისაც მართლმსაჯულების რეფორმა და სტაბილურობა სურს. მოსამართლეთა კონფერენციამ ფარული კენჭისყრის გზით, სრულიად დამოუკიდებლად აირჩია ახალი უმაღლესი საბჭო და ყველა სიახლე, რაც სისტემის რეფორმას ისახავს მიზნად საბჭოსთან ერთად უნდა განხორციელდეს. ცვლილებებში საბჭოსთან ერთად მონაწილეობა მოსამართლეებმაც უნდა მიიღონ.

ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსამართლეებს შევუქმნათ საუკეთესო პირობები, რათა მათ ხელი არ შეეშალოთ საქმიანობაში. მოსამართლე ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვაზე, მან მხოლოდ გადაწყვეტილებაზე უნდა იფიქროს და არა სხვადასხვა სახის პრობლემებზე. ამიტომაც, ჩვენი უმთავრესი მიზანია, მოსამართლეებს მოვუხსნათ სტრესი, რომელიც მათ მიიღეს და შევუქმნათ ღირსეული პირობები.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა მედიასთან აქტიური ურთიერთობა იქნება, გვაქვს ჩვენი პოზიციები, მიზნები და მათ შესახებ საზოგადოებამ დეტალური ინფორმაცია უნდა მიიღოს.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ძალზე გახშირდა პრეტენზიები სასამართლო სისტემის პოლიტიზირებულობის თაობაზე. სწორედ ამიტომაც დადგადლის წესრიგში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების საკითხი, რისთვისაც საკანონმდებლო ცვლილებების მიღებაც გახდა საჭირო. როგორ ფიქრობთ, იუსტიციის საბჭოს ახალი შემადგენლობა გარანტი იქნება იმისა, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი გაიზრდება?

ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად გიპასუხებთ: ჩემი აზრით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობა კანონიერად იყო არჩეული მოსამართლეთა კონფერენციის მიერ და ხელახალი არჩევნების ჩატარება არ იყო აუცილებელი. თუმცა, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და მოსამართლეთა კორპუსი დაემორჩილა მას. მოსამართლეთა კონფერენციამ ჩაატარა არჩევნები და მოსამართლეებმა მიიღეს თავისუფალი გადაწყვეტილება, ამ არჩევნებით მათ აჩვენეს, რომ მზად არიან სრული დამოუკიდებლობისათვის.

მოსამართლეთა კორპუსმა მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებს მხარი აუბა და თვალს თუ ადევნებდით, ნახავდით როგორ ჩატარდა არჩევნები – ხარვეზების გარეშე. ვფიქრობ, რომ სასამართლოს ახლა აქვს უნიკალური შანსი ერთხელ და სამუდამოდ აჩვენოს თავისი შესაძლებლობა – გახდეს ძლიერი და დამოუკიდებელი.

ბატონო ლევან, თქვენ მოსამართლე ხართ და ეს სისტემა თქვენთვის კარგად ნაცნობია, თქვენი აზრით, საქართველოში სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია?

რა თქმა უნდა, ხარვეზები იყო, მაგრამ არა იმ დოზით, როგორი დარტყმაც მივიღეთ – საშინელი ლანძღვა-გინება დაგვატყვეს თავს. გამოთქმული პრეტენზიების უმრავლესობა რეალობასთან ახლოს ოდნავაც კი, არ დგას. მიმაჩნია, რომ ძალზე დიდი შეცდომა დავუშვიტ, როცა დაუმსახურებელ კრიტიკას და შეურაცხყოფას პასუხი არ გავეცით. ჩვენ დუმილით ვუპასუხეთ დარტყმას და ძალზე შევცდით. თუმცა, როგორც გითხარით, ხარვეზები არსებობდა და ამას ვერ უარვყოფ. არსებობდა კანონმდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, თუ საქმე უხარისხოდ იქნებოდა გამოძიებული მოსამართლეს მისი ხელახალ ძიებაში დაბრუნების უფლება არ გააჩნდა; თუ საპროცესო შეთანხმება არ იდებოდა, მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება სასჯელის დანიშვნისას შეღავათი გაეწია... მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმები არსებობდა, რომლებიც მოსამართლეს ზღუდავდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დიდი იყო საქმეების რაოდენობაც, ერთ მოსამართლეს 300-400 საქმე ეწერა, არ არსებობდა პირობები – ერთ ოთახში სამი მოსამართლე საქმიანობდა, მოუწესრიგებელი იყო ინფრასტრუქტურა, ამას ემატებოდა



დაბალი ხარისხის გამოძიება, მოუწესრიგებელი კანონმდებლობა და ეს ყველაფერი ქმნიდა უხარისხო მართლმსაჯულებას. ანუ, ობიექტური პირობები განაპირობებდა გადაწყვეტილების უხარისხობას, თუმცა, ეს არ ნიშნავდა, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული.

2013 წლის გაზაფხულზე, რეფორმიდან რვა წელი გავიდა, ამ ხნის მანძილზე უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა და თამამად შემიძლია თქმა, სასამართლო სისტემა, რომელიც არ არსებობდა, თავიდან შევქმენით. გაიხსენეთ, რა ხდებოდა სასამართლოში 2000-2005 წლებში და მანამდე და შეადარეთ დღევანდელ სიტუაციას – ამჟამინდელი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია. ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ადამიანიც კი, ვერ უარყოფს იმ შედეგს, რასაც რვა წლის თავზე მივაღწიეთ.

სასამართლო სისტემის სახეს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი განსაზღვრავს, არაა, კრიტიკის ობიექტი მუდმივად იყო მოსამართლეთა დაბალი კვალიფიკაცია.

ვერ დაგეთანხმებით, ჩვენ ძალიან ძლიერი მოსამართლეთა კორპუსი გვყავს – ღირსეულები, პროფესიონალები, კვალიფიციურები. შესაძლოა, რაღაც გარკვეული ხარვეზი არსებობდა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს კვალიფიკაცია აკლია. მოსამართლეთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით პრეტენზიას გამოთქვამს ხოლმე მხარე, რომელმაც წააგო საქმე. თუმცა, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით არ შემიძლია საუბარი, მე მხოლოდ ჩემს გადაწყვეტილებებზე ვაგებ პასუხს. თუმცა, გეტყვით, რომ მოსამართლემ შესაძლოა საზოგადოების აზრისაგან განსხვავე-

ბული გადაწყვეტილება მიიღოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს მოსამართლე მიკერძოებულია ან დაბალი კვალიფიკაციისაა, მოსამართლე კანონზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს და არა თავისი სურვილით ან პირადი შეხედულებით. მოსამართლე კანონს ვერ გასცდება, მას კანონი ზღუდავს. კანონის სამართლიანობას და გამართულობას კი, უკვე პარლამენტი განსაზღვრავს.

შესაძლოა, საზოგადოების მითხოვნა იყოს დამნაშავეს ლინჩის წესით გასამართლება, მაგრამ სასამართლო ხომ ვერ დაეთანხმება ამ მოთხოვნას?! მე მქონდა ასეთი საქმე, როცა ბრალდებულის გასამართლებას სოფელი ლინჩის წესით ითხოვდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საზოგადოების მოთხოვნას ხომ ვერ გავიზიარებდი?!

სასამართლო სისტემისათვის პრიორიტეტული იყო მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება. გვაქვს მოსამართლეთა გადამზადების, დანიშვნისა და მომზადების საკმაოდ გამართული სისტემები, რომელთა შესახებაც უცხოელი ექსპერტები დადებით შეფასებებს გამოთქვამენ. აღიარებენ, რომ საქართველოში კანდიდატ და მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების სისტემა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მოსამართლის კვალიფიკაცია ყოველდღიურად უნდა იზრდებოდეს, სხვანაირად ის ვერ იქნება პროფესიონალი. მოსამართლის გადაწყვეტილება იმდენად დასაბუთებული უნდა იყოს, რომ მას ნაკლი ვერავინ მოუძებნოს. როცა მოსამართლე პროფესიონალია, აქვს მაღალი კვალიფიკაცია, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება – უმაღლესი ხარისხის, ხოლო პრეტენზიები უსაფუძვლო იქნება. ამიტომაც, როგორც გითხარით, კვლავ აქტიურად ვიმუშავებთ ამ მიმართუ-

ლებით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი სასამართლოს გამართულად მუშაობას განაპირობებს.

ბატონო ლევან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იმდენად დახურული და გაუმჭვირვალე უწყება გახლდათ, რომ მისი არსებობა საზოგადოების ძალზე დიდი ნაწილისათვის უცნობი იყო და მისი საქმიანობის შესახებ ბოლო პერიოდის მოვლენების შემდეგ შეიტყო. გეგმავთ, რომ გახსნათ უწყება და მისი საქმიანობა საზოგადოებისათვის ღია გახადოთ?

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მედიასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კარი მედიისათვის და საერთოდ, ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის ღია იქნება, საზოგადოებას მიეწოდება დეტალური ინფორმაცია საბჭოს საქმიანობაზე, სისტემაში მიმდინარე ყველა სიახლის შესახებ, იუსტიციის საბჭოს სხდომები ღიაა და მასზე დასწრება ჟურნალისტებს ნებისმიერ დროს შეეძლებათ. ჩვენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას ვგეგმავთ, რათა უფრო მეტად გაეცნონ საბჭოს საქმიანობას ჟურნალისტები. სასამართლო სისტემის მისამართით, უმეტეს შემთხვევაში, დაუმსახურებლად გამოთქმული პრეტენზიებისა თუ შეურაცხყოფის გამო შელახული იმიჯი უნდა აღვიდგინოთ. იუსტიციის საბჭო იქნება ყველაზე ღია უწყება, ჩვენ მზად ვართ ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის. მივიღებთ ნებისმიერ ჯანსაღ კრიტიკას და კრიტიკულ შენიშვნებს გავითვალისწინებთ კიდევ. თუმცა, დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებას საკადრის პასუხს გავცემთ და ეს აქამდეც უნდა გავგვეკეთებინა.

აქტუალურია მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაც, რას ფიქრობთ ამ საკითხზე? რას შეცვლის ის სასამართლო სისტემაში?

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობის გარანტიაა. უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს დამოუკიდებლობის, პრინციპულობის და სტაბილურობის უფრო მეტი განცდა აქვს. მოსამართლეს უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, არ შეიცვლება მისი სამუშაო პირობები, მოსამართლე არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ სიტუაციებზე და გადაწყვეტილების გამოტანისას ის სამსახურის შენარჩუნებაზე თუ სხვა სახის სოციალურ პრობლემებზე არ უნდა ფიქრობდეს. როცა მოსამართლე უვადოდაა დანიშნული, ის მაღალი ხარისხის პროფესიონალია, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც კვალიფიციურადაა დასაბუთებული, უკვე ძნელია საუბარი მიკერძოებულობასა და დამოუკიდებლობის პრობლემაზე.

არსებობს მოსაზრება, რომ უვადოდ დანიშვნა მოსამართლეების ახალი ნაკადი და არა დღეს მოქმედი მოსამართლეები.

ეს მიუღებელია და იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსგავსი გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქნება. როგორც გითხარით, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია და ჩვენი მთავარი მიზანია დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მიღწევა. ჩვენ აბსოლუტურად გახსნილი ვართ ჯანსაღი კრიტიკისათვის, მაგრამ მსგავს ქმედებას მხარს ვერ დავუჭერთ, რადგან ეს არ იქნება სწორი. მიმაჩნია, რომ დღეს სასამართლოში ღირსეული პროფესიონალები არიან, კვალიფიციური იურისტები და ყველა ცვლილება, საერთოდ, რეფორმა, რომელიც სასამართლოს

შეეხება, მათთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს.

მოსამართლეთა კორპუსმა სახე ცოტა ხნის წინათ გამართულ მოსამართლეთა კონფერენციაზე აჩვენა, დაადასტურა, რომ თავისუფალ ადამიანთა, ღირსეულ პროფესიონალთა გაერთიანებაა. კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ყოველგვარი ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად აირჩია. არჩევნებს თვალს ადევნებდა უამრავი ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არაერთი სხვა დაინტერესებული პირი და ერთი უმნიშვნელო ხარვეზიც არ გამოვლენილა.

ბატონო ლევან, რატომ წარადგინეთ საკუთარი კანდიდატურა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოსტზე?

იცით, მე ძალზე დიდი ხანია სასამართლოში ვმუშაობ და ძალზე კარგად ვიცი ამ სისტემის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ჩემმა კოლეგებმა შემომთავაზეს, რომ არჩევნებში მიმელო მონაწილეობა. ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ სასამართლო სისტემისათვის გარდამავალ, ამ ძალზე მნიშვნელოვან პერიოდში ჩემი წვლილი შემეტანა. კოლეგებმა ნდობა გამომიცხადეს და ხმათა უმეტესობით – 205 ხმით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად ამირჩიეს.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს კოლეგებს მინდა ვუთხრა – მათ ვპირდები, რომ იმ უზარმაზარ ნდობას, რომელიც გამომიცხადეს, გავამართლებ. სასამართლოს სახით, ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაძლიეროთ ის საძირკველი, რომელზეც ასევე, ძლიერი და სამართლიანი ქვეყანა აშენდება.

“THE COURT HAS THE UNIQUE OPPORTUNITY TO SHOW ITS CAPABILITY – BECOME STRONG AND INDEPENDENT”

Several days ago the 10th conference of judges of Georgia elected the members and the secretary of the High Council of Justice. 205 judges out of 222 participating in secret suffrage elected Levan Murusidze – sitting judge of the Supreme Court of Georgia to the position of the Secretary of the High Council of Justice. Below is the interview with Judge LEVAN MURUSIDZE.

Sir, a little while ago elections of the members of the High Council of Justice were held; you were elected by the judges to the position of the secretary. What are your plans?

I have several times declared my plans and I will reiterate that the top priority in my program is given to development of strong, independent and stable court system. In order to achieve this goal, I am ready to cooperate with everybody, with representatives of NGOs, media, critical opponents, anybody who wishes for the reform and stability of judiciary. The conference of judges held secret suffrage and independently elected new High Council and any innovation that is aimed at the reform of the system, shall be implemented together with the council. Together with the Council, the judges will also be involved in the process.

One of the main goals of my program is to provide best conditions for the judges in order to avoid any distractions and obstacles in their professional performance. Judge must be fully concentrated on examination of the particular case. Judge must only think about the

ruling, and not about the petty problems. That is why our main goal is to relive stress the judges suffered from and provide dignified conditions.

At present, our main task will be active communication with media. We have our positions and goals and public must be fully informed about them.

Recently, lots of claims were made in relation to the judiciary's political inclinations. That is the reason why the reform of the High Council of Justice was initiated. The reform required amendment of current legislation. Do you believe that new composition of the High Council of Justice shall ensure increase of the level of independence of judicial system?

I will answer this question this way: my opinion is that the membership of previous council was legally elected by the conference of judges and there was no need for holding the re-run elections. But, it was a political decision and the corps of judges agreed to it. The conference of judges held the elections and the judges made independent decision; with the elections they demonstrated that they are ready for full and complete independence.

The corps of judges upheld the changes proposed by the government. If you were following the process, you should have seen how the elections were held – without any deficiencies. I think that the judiciary now has the unique chance to once and for good demonstrate its capability – become strong and independent.

You are a judge and this system is well known to you. I want to ask you – is the court system independent in Georgia?

I cannot say about myself but in general I can say that there were certain flaws, of course, but not to the extent that would be adequate to the hit we suffered – we were subjected to horrible insults and verbal abuse. Majority of complaints has nothing to do with reality. I believe that we made huge mistake when we decided not to respond to undeserved criticism and insults. We received the blows in silence and made a mistake. Though, as I said, there were flaws and I cannot object to that. There were problems related to legislation. For instance, if the case was poorly investigated, the judge had no authority to reverse it into investigation; if there was no plea agreement, the judge had no right to be lenient during sentencing. There were series of legislative norms that limited judges. It must also be taken into account that the number of cases used to be very high – 300-400 cases were assigned to each judge; there were no working conditions – one office was shared by three judges; the infrastructure was poorly arranged. Added to all this was low quality investigation, poor legislation and all this added up into poor quality of justice. i.e. objective circumstances predetermined poor quality judgments, but it does not mean that the judges were biased.

Summer of 2013 was the 8th anniversary of the reform; during this period lots of work was done and we can say that we created the judicial system which never existed before. Let's remember the courts of 2000-2005 and compare it to current situation – current state of affairs is dramatically different. Even the most critical opponent cannot object to the results achieved by the end of this 8-year period.

The image of judiciary is determined by the decisions made by judges. But subject of permanent criticism has always been low qualification of judges.

I cannot agree with you. We have a very strong corps of judges – dignified, professional and qualified judges. There could be some deficiencies in specific cases but it does not mean that judges lack qualification. Only those parties, who lose the case, complain about poor qualification of judges. Though, I cannot speak about the specific case. I am only responsible for my decisions. But I can tell you that a judge may make the decision that is different from public opinion, though it does not mean that the judge is biased or his/her qualification is low. Judge makes decision on the basis of the law and not on the basis of his/her personal wishes or beliefs. Judge cannot go beyond the scope of law. Judge is limited by law. Fairness and accuracy of law is determined by the parliament.

Public may demand lynching of the offender, but the court cannot agree to it. I had one case, when the whole village demanded lynching of the defendant but I could not possibly subscribe to public demand.

One of the priorities of the judiciary was increasing of the judicial qualification and this process is still in progress. We have functional systems of on-job training, appointment and training for judges and these systems are rated highly by international experts. They recognize that the system of training for future and sitting judges is one among the best systems in Europe.


Judge's qualification must be progressing on a daily basis; otherwise a judge will not be great professional. Judge's ruling must be well-justified so that no one can find any flaw in it. When a judge is a professional and has high qualification, his/her rulings will be of high quality and complaints will be groundless. That is why we shall actively work in this direction. This very important component ensures proper operation of judicial system.

The High Council of Justice was a closed and non-transparent body and its existence was unknown to vast majority of population; public learned about it in the course of recent events related to the Council. Do you plan to make it more open and available to public?

Our top goal is close cooperation with media. The door of the High Council of Justice will be open to media and all interested persons. People will receive detailed information about the operation of the council and all the news related to its activities. The council sessions are open and journalists will be able to attend at any time. We are planning to carry out different activities, in order to educate the journalists about the operation of the council. We must restore the image of judiciary that suffered from mostly undeserved complaints and insults. The High Council of Justice will be the most open body. We are ready to communicate with media, NGOs and representatives of the authorities. Any sound criticism and advice will be accepted and considered. But we will duly respond to undeserved insults and abuse, and we should have done it in past too.

The topic of lifetime appointment of judges is another key issue. What is your opinion? What will it change in the system?

Lifetime appointment of judges is a guarantee of full independence. The judge with lifetime appointment has stronger sense of independence, principality and stability. Judges must feel that their working conditions will not be affected by change of government. Judge must not depend on political affairs and his/her mind must not be preoccupied with worries about job security and other social problems when making the decision on the case.



When a judge has lifetime appointment, he/she is a high quality professional, whose rulings are well justified and in such a case it is difficult to complain about bias and dependence problems.

I would like to take this chance and apply to my colleagues – I promise them that I will meet their expectations. We all – together will enhance the foundation – the court – upon which foundation a strong and fair state will be built.

They say that a new group and not the current pool of judges will get lifetime appointment.

It is unacceptable and the High Council of Justice will be against such decision. As I said, our key goal is to have independent judiciary. We are open to sound criticism, but we shall not accept such action as it will be wrong. I think that courts are staffed with great professionals, qualified lawyers and any change and overall reform of judiciary must be pursued in agreement with them.

The corps of judges demonstrated itself on a recent conference. They proved that they are free and respectable professionals. The conference elected the members of the High Council Justice without any interference, independently. The elections were observed by many journalists, representatives of NGOs, other interested persons and not a single error or violation has been identified.

Why did you apply for the position of the secretary of the High Council of Justice?

You know, I work in the court system for many years and I have very good knowledge of its good and bad sides. My colleagues suggested that I should participate. I was thinking about it and decided to make my contribution at this transient and very important period for the court system. My colleagues declared their trust in me and elected me with majority of votes – 205.

პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის

დავით სუხიტაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

თეა სუხიტაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასალი“ ასისტენტ-
პროფესორი*

ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა ტერმინი პასუხისმგებლობა „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის“ ვინრო გაგებით გამოიყენა და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით, მკვეთრი ზღვარი გაავლო მესამე პირის მოქმედებით დამდგარ პასუხისმგებლობასთან. გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსები, ამ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და სამართლის მეცნიერება ტერმინებს – დაქირავებული მუშა, თანაშემწე, შემსრულებელი, მოსამსახურე ერთი და იგივე მნიშვნელობით იყენებს, რაც იმით არის გამონკვეული, რომ ორივე შემთხვევაში – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის და მესამე პირის მოქმედებით გამონკვეული ზიანისათვის – პასუხისმგებლობას ბრალეულობის ის კონსტრუქცია უდევს საფუძვლად, როცა მოპასუხე ვალდებულია გონივრულად შეარჩიოს დაქირავებული მუშა, შემსრულებელი, თანაშემწე და სისტემატურად იზრუნოს მისი პროფესიული დონის ამალღებაზე, აკონტროლოს ცალკეული მოქმედებები, უზრუნველყოს სათანადო მანქანა დანადგარებით და ა.შ.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფის თანახმად, სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის მენარმის პასუხისმგებლობის აღიარების პირობა ის არის, რომ მესამე პირი მენარმის მიერ დანიშნული უნდა იყოს სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლად. ამგვარი „შემსრულებლის“ გამოვლენა შეიძლება მას შემდეგ, რაც დადგინდება არის თუ არა დამოკიდებული იგი მენარმის მითითებებზე და ექვემდებარება თუ არა მენარმის შემონიშნებას (კონტროლს). მენარმის პასუხისმგებლობის შემდგომი პირობაა, რომ მისმა დაქირავებულმა (შემსრულებელმა, მოსამსახურემ) ზიანი უნდა მიაყენოს მენარმის მიერ დავალებული ფუნქციების შესრულებისას მესამე პირს, ანუ ეს ქმედება მისი სამსახურებრივი მოვალეობის სფეროში უნდა შედიოდეს. მაგალითად, „თუ მენარმემ თანამშრომელი გააგზავნა გარე ობიექტზე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ინსპექტირებისათვის და მან ავარია მოახდინა მოცემულ სამსახურებრივ მგზავრობასთან დაკავშირებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფის გამოყენება დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, მოახდინა თუ არა სატრანსპორტო საშუალებისა და გზის შერჩევა სამუშაოს მიმცემმა. თუ ტრალიერის დაქირავებულმა მძღოლმა შეცვალა დასახული მარშრუტი და ამასთან დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, შინაგანი კავშირი უბედურ შემთხვევასა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის არ წყდება დასაშვების ფარგლებში დასახული მარშრუტიდან გადახვევისას და პირიქით, ამგვარი კავშირი არ არსებობს უკანონო რეისის დროს“.¹

ამრიგად, თუ შემსრულებელმა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანი მიაყენა მესამე პირს, შემსრულებლის დამქირავებელი მენარმე პასუხს აგებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ხელქვეითის (შემსრულებლის) შერჩევისას, მასზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელებისას დაიცვა მოცემული საქმის შესრულებისათვის ნინდახედულების ყველა შესაძლებლობა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფის განხილვისას გერმანელი ცივილისტი იან შაპპი წერს, რომ ის ვინც სხვა პირს ავალებს რაიმე მოქმედების შესრულებას (გარიგების პატრონი), ვალდებულია სრული გულმოდგინებით შეარჩიოს ასეთი სხვა პირი (შესრულების პროცესის თანაშემწე) და ამ მოქმედების შესრულების პროცესზე განახორციელოს ზედამხედველობა. თუ გარიგების მეპატრონემ დაარღვია ეს ვალდებულება და მის მიერ შერჩეულმა შესრულების პროცესის თანაშემწემ მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენა ზიანი მესამე პირს, გარიგების პატრონი ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს ზიანი.

აღნიშნულის შესაბამისად, წერს იან შაპპი, გარიგების მეპატრონე პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ:

1. შესაბამისი მოქმედების შესრულებას ავალებს სხვა პირს;
2. ეს სხვა პირი მოქმედების შესრულების წარმოების პროცესში ზიანს აყენებს სხვა პირს;
3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:

ა) გარიგების მეპატრონემ შესრულების პროცესის თანაშემწის სათანადო გულმოდგინებით შერჩევის მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, ასევე, უზრუნველყო და მოამარაგა ეს პირი მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელი აღჭურვილობითა და სახელმძღვანელობით;

ბ) ზიანი დადგებოდა აღნიშნულ მოვალეობათა შესრულების შემთხვევაშიც;

გ) გარიგების მეპატრონე სათანადო გულმოდგინების დაცვის ვალდებულების დარღვევისას გაუფრთხილებლად (ზერეულად, გულგრილად) არ მოქმედებდა,² მაგრამ ყოველივე ეს ისე არ

უნდა გავიგოთ, თითქოს შესრულების პროცესის თანაშემწე ყოველთვის თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. როგორც წესი, გარიგების მეპატრონის ბრალეულობის პრეზუმფცია, შესრულების პროცესის თანაშემწის შერჩევისათვის, გამოირიცხება თუ შესრულების პროცესის თანაშემწე დიდი ხნის მანძილზე მუშაობს გარიგების მეპატრონესთან და ამ უკანასკნელს მის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიები არ წარმოშობია. პრაქტიკულად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარიგების მეპატრონისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ფაქტობრივად გამოირიცხება და დიდი ალბათობით დაზარალებულის დაკმაყოფილება თვით ზიანის მიმყენებელ, შესრულების პროცესის თანაშემწეს მოუწევს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფის მსგავსად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლის პირველ აბზაცში დადგენილია ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ზოგადად, სხვა პირების მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ პირები, რომლებსაც ევალებათ კონტროლი დაანესონ მათ მოქმედებაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კონკრეტულად ამავე მუხლის მეხუთე აბზაცი აწესრიგებს. დასახელებულ ნორმათა საფუძველზე ყოველი მორანდიერი თვლის, რომ მოსამსახურის მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის მის მეპატრონეს ან პირს, ვისი მითითებითაც ასრულებს მოსამსახურე თავის საქმიანობას, პასუხს აგებს ორი პირობის არსებობისას: 1. საჭიროა დაზარალებულმა დაამტკიცოს, რომ მოსამსახურემ ზიანი მიაცენა ბრალეული მოქმედების შედეგად; 2. საჭიროა, რომ მოსამსახურის მიერ ზიანი მიყენებული იყოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება, უნდა განვასხვაოთ მესამე პირის მოქმედებისათვის დამდგარი პასუხისმგებლობისაგან. მათ შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მუშაკის მოქმედება, რის შედეგადაც მესამე პირს მიადგა ზიანი, ითვლება მუშაკის დამსაქმებლის მოქმედებად, ანუ დამსაქმებელს პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი მოქმედებისათვის მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის დადგება. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი არ აზუსტებს თუ რომელი იურიდიული პირები – კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან პასუხისმგებლები მათი მუშაკის მოქმედებისათვის. ეს იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ იგი ფართო გაგებით უნდა იყოს გამოყენებული და მოიცავს, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

ნებისმიერი იურიდიული პირი ორგანიზებული – პირთა ან ქონების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი მონოლითურად შეკრული ერთი სუბიექტია. იურიდიული პირი მისი მიზნების მიღწევას, მესამე პირებთან სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობას მისივე თანამშრომლების მონაწილეობით ახორციელებს. ამიტომ იურიდიული პირის მუშაკის მოქმედება თვით ამ იურიდიული პირის მოქმედებად ითვლება. სარეალიზაციოდ გამოტანილი ამ თუ იმ საწარმოს მზა პროდუქცია ცნობილია ამავე საწარმოს (იურიდიული პირის) სასაქონლო ნიშნით და არა უშუალოდ ამ საქონლის დამამზადებელი მუშაკის სახელით. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლში მითითება, რომ პირი მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის აგებს პასუხს, პირობითია. ფაქტობრივად და სამართლებრივად იურიდიული პირი თავისივე მოქმედებისათვის აგებს პასუხს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი მუშაკის ცნებას არ იძლევა. ამავე ნორმის მიზნებისათვის სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მუშაკი არის ფიზიკური პირი, რომელიც დამსაქმებელთან დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე ამ უკანასკნელის ამოცანების განხორციელების მიზნით ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. მაგრამ რანაირც არ უნდა იყოს მოქმედება, ის უნდა ვლინდებოდეს კონკრეტული მუშაკისათვის შრომის ხელშეკრულებით დაკისრებულ მოქმედებაში ან უმოქმედობაში. მაგალითად, თუ მუშაკს დაკისრებული აქვს საამქროში ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მაგრამ მან ამისათვის არაფერი მოიმოქმედა, რის შედეგად ზიანი მიადგა ამავე საამქროს მუშაკს, საუბარი იქნება თვით სანარმოს უმოქმედობაზე მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. მუშაკად არ ჩაითვლება პირი, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის, მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთისათვის რაიმე სამუშაოს ასრულებს. მენარდე, როგორც წესი, თავისი რისკით ასრულებს ნარდობის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, შემკვეთისაგან ორგანიზებულად დამოუკიდებელი სუბიექტია, რაც ნიშნავს, რომ იგი თავისი შეხედულებებისამებრ წარმართავს სამუშაოს, თვითონ ირჩევს სამუშაოს შედეგების მიღწევის საშუალებებსა და ხერხებს. რაც განაპირობებს, რომ მის მოქმედებაზე შემკვეთისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ იქნება გამართლებული.

აღნიშნულ პოზიციას იზიარებს რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა. „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფის თანახმად, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის მენარმის პასუხისმგებლობის აღიარების პირობაა, რომ მესამე პირი **მენარმის მიერ დანიშნული უნდა იყოს სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლად...** დამოუკიდებლად მომუშავე ხელოსნები, სატვირთო ავტომანქანების მძღოლები ან მუშები არ არიან **შემსრულებლები.**“⁴

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლთან მიმართებაში ყოფილი მორანდიერი წერს: პრეზუმფცია მეპატრონეს აკისრებს მისი მსახურისა და მოსამსახურის ბრალეული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას... ამგვარი ურთიერთობა ყალიბდება მომსახურებისა და დაქირავებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე. პირიქით, მენარდე, რომელიც აშენებს სახლს, ხელოსანი, რომელიც შეკვეთით ამზადებს ავეჯს, არ არიან მათი კლიენტების მსახურები (მოსამსახურეები), რადგან ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ უკეთებენ ორგანიზაციას თავიანთ შრომას.⁵

განსხვავებული პოზიცია ფიქსირდება საერთო სამართლის ქვეყნებში და რუსეთის სამოქალაქო სამართალში. რა თქმა უნდა, ეს ქვეყნებიც ძირითადად, იმ პრინციპს აღიარებენ, რომ სანარმოები (იურიდიული პირები) თავიანთი მუშაკების მოქმედებისათვის პასუხს აგებენ, როგორც საკუთარი მოქმედებისათვის. ამასთან, სანარმოს მუშაკის ცნება ფართო გაგებით არის გამოყენებული. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1068-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე აბზაცში იგი ლეგალურადაა განმარტებული და მასში ნათქვამია, რომ მუშაკებად მიჩნეულია მოქალაქეები, რომლებიც შრომის ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ სამუშაოს, ასევე, ის მოქალაქეები, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებით თუ ამასთან, ისინი მოქმედებენ ან უნდა იმოქმედონ შესაბამისი იურიდიული პირის ან მოქალაქის მითითებებით და სამუშაოს უსაფრთხოდ წარმართვაზე მათივე კონტროლით.

რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, აქაც, როგორც წესი, თუ მესამე პირს ზიანს აყენებს არა მუშაკი (მოსამსახურე), არამედ დამოუკიდებელი მენარმე, რომელიც ნარდობის

ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს, დაზარალებულმა მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოითხოვოს ამ უკანასკნელისაგან – მენარდისაგან. მაგრამ რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, ეს პრინციპი გამონაკლისებსაც იცნობს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც შემკვეთს მოსახლეობის მიმართ წინდახედულების ღონისძიებების დაცვის ვალდებულება აკისრია და ამ ვალდებულების მენარდზე დელეგირება არ ხდება. ვფიქრობთ, ამგვარ შემთხვევებს შეიძლება მართლაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ის ნაკლებად ექვემდებარება მუშაკის მოქმედებისათვის სანარმოს პასუხისმგებლობის ნიშნებს. ამგვარი ურთიერთობა უფრო ახლოს დგას სამეზობლო სამართალთან. მაგალითად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით საძირკვლის ამოსათხრელად ნარდობის ხელშეკრულება დადო პროფესიონალ მშენებელთან. ამ სამუშაოების შესრულების შედეგად დაირღვა მეზობლის სახლის მდგრადობა. ბუნებრივად იბადება კითხვა, ვინ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი – შემკვეთმა (იგივე მეზობელმა) თუ მენარდემ. ინგლისურ-ამერიკული სასამართლო პრეცედენტთა საფუძველზე მოსარჩელეს ზიანი უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მესამე პირის მოქმედებისათვის საკუთარი ბრალის გამო. ქართულ სამართალში ამგვარი ურთიერთობა სარჩელის საფუძვლის შეჯიბრებითობის შესაძლებლობას იძლევა. მოსარჩელეს შეუძლია, დელიქტური პასუხისმგებლობის საერთო წესის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს მენარდეს, რომლის უშუალო მოქმედებამაც გამოიწვია ზიანი; ან სამეზობლო სამართლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურება მეზობელს მოსთხოვოს.

არცთუ იშვიათად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წესები არ გამოიყენება და პასუხს აგებენ მუშაკები, რომელთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამაც გამოიწვია ზიანი. მუშაკები, რომლებიც თავიანთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის თვითონვე აგებენ პასუხს, მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლით არის მოწესრიგებული და ეხება კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელობას. ესენია – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორი, კომანდიტური საზოგადოების სრული პარტნიორები (კომპლემენტარები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის დირექტორები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელმძღვანელი პირები თავისივე მოქმედებისათვის პასუხს აგებენ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კერძოდ, თუ ამ ხელმძღვანელ პირთა მიერ ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის პირობებში მათ მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით საზოგადოებას მიადგა ზიანი, ისინი ვალდებული არიან, დათმონ გასამრჯელოს მიღების მოთხოვნა და აანაზღაურონ ზიანი; ასევე, თუ დასახელებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არაკეთილსინდისიერად უძღვებიან საზოგადოების საქმეებს, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით.

სამენარმეო საქმიანობაში ხელმძღვანელობის მხრივ რისკის განწევა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ რისკის ხარისხი არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ სანარმოს არსებობას საფრთხე შეუქმნას. მეორე მხრივ, რისკს შეიძლება მოჰყვეს როგორც წარმატება, ისე წარუმატებლობა. ამიტომ „თანამედროვე საკორპორაციო სამართალში აღიარებულია, რომ დაუშვებელია კორპორაციის (სანარმოს) ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სამენარმეო წარუ-

მატებლობისათვის. პასუხისმგებლობა არ გამოიყენება იმისათვის, რომ ხელმძღვანელმა ვერ მიაღწია წარმატებას.⁶

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის წესები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთნაირად ვრცელდება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, მაგრამ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე, 1005-ე მუხლით ანესრიგებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

დადგენილია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის ქმედებისათვის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზიანი გამოწვეულია სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია სახელმწიფო მოსამსახურის მოქმედებით ისე, რომ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისრება სახელმწიფო მოსამსახურეს საერთო საფუძვლების მიხედვით.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მოთხოვნა, რომ სახელმწიფო მისი მოსამსახურის მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დამდგარ შედეგზე აგებს პასუხს, ცალსახად იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უბრალო გაუფრთხილებლობით მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს საერთო საფუძვლით, ანუ პასუხისმგებლობა დაეკისრება უშუალოდ ზიანის მიმყენებელს. აღსანიშნავია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მაშინ იგი სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

დაზარალებული, რომლის მიმართ სახელმწიფო არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას, ვალდებულია შეეცადოს სამართლებრივი გზით ზიანის თავიდან აცილება. თუკი დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცდება სამართლებრივი გზით ზიანის თავიდან აცილებას, სახელმწიფოს მხრივ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წამოიშობა.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ამ მუხლის მიზნებისათვის სახელმწიფო მოსამსახურისა და სახელმწიფო ორგანოების განმარტებასა და ჩამონათვალს არ იძლევა. მისი გაგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით არის შესაძლებელი. კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშნით თანამდებობაზე იმ დანესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას. სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში მოსამსახურე პირთა პასუხისმგებლობას, რაც სამოქალაქო კოდექსის ხარვეზად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, დასახელებული პირების მოქმედებისათვის პასუხს უნდა აგებდნენ თვითმმართველობის შესაბამისი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი

ორგანოები, როგორც ეს მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1069-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შემთხვევას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი. სახელმწიფომ ზიანი უნდა აანაზღაუროს გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად; ამასთან, თუ ამ პირების მხრიდან ზიანის მიყენებისას ადგილი ჰქონდა განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას, ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

„ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები (გამამართლებელი განაჩენი, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და სხვა). ამიტომაც, რომ კანონი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევს მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს. თუ არ არსებობს მარეაბილიტირებელი გარემოება, მაშინ არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არსებობს (მაგალითად, ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს პირი, თუ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ამნისტიის აქტის საფუძველზე).“⁷

ანაზღაურებას ექვემდებარება სახელმწიფო მოსამსახურის, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ მიყენებული შემდეგი ზიანი: 1. დაკარგული ხელფასი ან სხვაგვარი შემოსავალი, რაც გამოწვეულია ზემოაღნიშნულ პირთა უკანონო მოქმედებით, 2. პირის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გამო შეწყვეტილი პენსია ან სხვა სოციალური დახმარება, 3. კონფისკაციაქმნილი, სხვაგვარად ჩამორთმეული ან ყადაღადადებული ქონება, 4. სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დამსაქმებელს ეკისრება. როგორც იყო უკვე ნაჩვენები, დამსაქმებლის როლში უპირატესად კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი გვევლინება. პრაქტიკაში ხშირად ქირს საკითხის გარკვევა, თუ რა ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, როცა ფიზიკური პირი არის სამუშაოს მიმცემი. ვფიქრობთ, ამ საკითხის გადაწყვეტა შრომის ხელშეკრულებისა და ნარდობის ხელშეკრულების განმასხვავებელ ნიშნებში უნდა ვეძიოთ. თუ ფიზიკური პირი მესამე პირს ავალებს რაიმე სამუშაოს შესრულებას, რომელსაც ევალება სამუშაოს მიმცემისათვის სამუშაოს შედეგების გადაცემა და თუ ამასთან, სამუშაოს მიმცემისაგან ორგანიზებულად დამოუკიდებელი სუბიექტია და თავისი რისკითა და შეხედულებისამებრ ირჩევს სამუშაოს შედეგების მიღწევის საშუალებებსა და ხერხებს, საქმე გვექნება ნარდობის ხელშეკრულებასთან და პასუხისმგებლობაც შემსრულებელს (მენარდეს) დაეკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამუშაოს მიმცემი შემსრულებელს თვითონ უწესებს შრომის ორგანიზაციულ პირობებს, შეურჩევს ნარდობის საშუალებებსა და ხერხებს, სახეზე გვექნება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელი ფიზიკური პირი პასუხს აგებს დასაქმებულის, როგორც მისი მუშაკის, მართლსაწინააღმდეგო

მოქმედებით თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის საფუძველზე.

ფიზიკური პირისათვის ამგვარი პასუხისმგებლობა დადგება შინამოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების რეალიზაციის პროცესში, თუკი შინამოსამსახურე ხელშეკრულებით დაკისრებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს. მაგალითად, თუ შინამოსამსახურე სამუშაოს მიმცემი ფიზიკური პირის დავალებითა და მისივე ავტომანქანით სანოვაგის შესაძენად წავა ბაზარში, დაარღვევს მოძრაობის წესებს და მესამე პირს მიაყენებს ზიანს, ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისრება სამუშაოს მიმცემ ფიზიკურ პირს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით.

პრაქტიკაში ხშირად დგას საკითხი – „შეიძლება თუ არა ინდივიდუალური საწარმო იყოს მსხვილი საწარმო და მისი მფლობელი სარგებლობდეს იმავე უფლებით, რითაც სხვა სამენარმეო იურიდიული პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი, იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც სამენარმეო იურიდიულ პირებს აქვთ. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდუალური მენარმე შეიძლება იყოს დიდი სამრეწველო ქარხნების მესაკუთრე ან სხვა სამენარმეო საზოგადოებებში წილთა მესაკუთრე.“⁸ ჩვენი მხრივ, იმას დავამატებთ, რომ თუ ინდივიდუალური მენარმე სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც სამენარმეო იურიდიულ პირებს აქვთ, შესაბამისად, მასვე ეკისრება ის პასუხისმგებლობები, რაც სამენარმეო იურიდიულ პირებს აქვთ. ამიტომ, თუ ინდივიდუალური საწარმოს მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს, ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისრება ინდივიდუალურ მენარმეს, რომელიც ზიანს აანაზღაურებს როგორც ფიზიკური პირი – პირადად, მთელი თავისი ქონებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომლის მუშაკიც **თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას** მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს. მუშაკის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულება ნიშნავს, რომ მუშაკის ქმედებაში, რის შედეგადაც მესამე პირს მიადგა ზიანი, უნდა ვლინდებოდეს დამსაქმებლის ის ფუნქცია, რომლის შესრულება მუშაკის სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენს. დამსაქმებლის პასუხისმგებლობა წამოიშობა იმის მიუხედავად, მუშაკი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს დამსაქმებლის ძირითადი ადგილსამყოფელის ადგილას თუ მის გარეთ. ფეიქარი მის სამსახურებრივ მოვალეობას საწარმოს ძირითადი ადგილსამყოფელის მიხედვით ასრულებს, ხოლო მძლოლი – მის ფარგლებს გარეთ. დამსაქმებელი პასუხს არ აგებს მისი მუშაკის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის თუნდაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ ისეთი ქმედებისათვის, რაც მის სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედის. მაგალითად, ორი ავტომანქანის შეჯახების გამო მძლოლებს შორის გაიმართა ჩხუბი, რის შედეგადაც ერთ-ერთმა მათგანმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულმა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება უშუალოდ მძლოლისაგან უნდა მოითხოვოს და არა მისი დამსაქმებლისაგან, რადგან ზიანის მიმყენებელის ქმედება მის სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედის.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი პასუხისმგებლობას მის მფლობელს აკისრებს. როდესაც ტაქსის მესაკუთრე მისი ექსპლუატაციის პროცესში ზიანს მიაყენებს ფეხით მოსიარულეს,

ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობაც მას დაეკისრება, რადგან ის არის ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების (ტაქსის) მფლობელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელებად არ ჩაითვლებიან პირები, რომლებიც მას მართავენ მფლობელთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელი (სატრანსპორტო საშუალების მფლობელი) მისი მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს თავისი მოქმედებისა და მისივე ბრალისათვის.

მაგრამ რა ქნას დაზარალებულმა იმ შემთხვევაში, თუ ტაქსის მძღოლი ექსპლუატაციას უწევს იჯარის ხელშეკრულებით გადაცემულ ავტომანქანას. ვინ არის მფლობელი – მოიჯარე ტაქსის მძღოლი, თუ მანქანის მესაკუთრე მეიჯარე. თუ გავითვალისწინებთ და გავიზიარებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155 ე მუხლის მცდელობას მფლობელობის ობიექტური თეორიის პრინციპის დანერგვის თაობაზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მოიჯარე მძღოლი არის ავტომანქანის მფლობელი და პასუხისმგებლობაც მას დაეკისრება. სხვა მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტაქსის მძღოლი მისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს თვითონ წყვეტს მეიჯარისაგან დამოუკიდებლად, ეს უკანასკნელი მოიჯარის საქმიანობაზე კონტროლს არ ახორციელებს. მეიჯარის მხრივ მოიჯარეზე კონტროლის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმაში გამოიხატოს, რომ მოიჯარემ დროულად ჩაუტაროს ავტომანქანას ტექნიკური ხასიათის მომსახურება. და მაინც მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 999-ე მუხლებს შორის არსებობს გარკვეული შეუსაბამობა, რომლის აღმოფხვრის შესაძლებლობა კოდექსის 155-ე მუხლით დადგენილ მფლობელობის არასწორ დეფინიციაში უნდა ვეძიოთ.⁹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ავტომანქანის მესაკუთრე მის კუთვნილ ავტომანქანას მძღოლს გადასცემს არა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ სამართავად, მაგალითად, დავალების ხელშეკრულებით, სპეციალური დანიშნულებისათვის ავტომანქანის მესაკუთრე ინდივიდუალური მენარმის სტატუსს შეიძენს და მასსა და მძღოლს შორის შრომითი ხელშეკრულების ურთიერთობა ჩამოყალიბდება. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც კოდექსის 997-ე მუხლით განისაზღვრება.

სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელების კონკურენცია ყოველთვის იყო და არის აქტუალური და ამიტომ სპეციალისტებს შორის დიდ ინტერესს იწვევს. როგორც წესი, სარჩელების კონკურენციის საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებების ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანად შესრულებაა, როცა კანონში პირდაპირ არ არის მითითებული, რა სახის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ზიანის მიმყენებელს – სახელშეკრულებო თუ დელიქტური. სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის გაცნობა გვკარნახობს, დავსვათ საკითხი – თუ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დელიქტური პასუხისმგებლობის წესების გამოყენება, რამდენადაა შესაძლებელი პირიქით – დელიქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სახელშეკრულებო სიბრტყეში გადატანა. ვფიქრობთ, საქართველოს სამოქალაქო სამართალი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო სამართალს, ჰაინ კოტცისა და კონრად ცვაიგერტის მიხედვით, დელიქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სახელშეკრულებო სიბრტყეში გადატანას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევის მიზნით „მოპასუხე ველარ გამოიყენებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ გამამართლებელი მტკიცებულების გამოყენების უფლებას და მოსარჩელის წინაშე უდავოდ პასუხისმგებელია თავისი პერსონალის (მუშაკის) ბრალისათვის... თუ სადილერო

ფირმის მოსამსახურეს დაავიწყდა სადემონსტრაციო დარბაზში გამოეკრა წარწერა ახლად-
მოპრიალებული პარკეტის თაობაზე და ეს ერთ-ერთი კლიენტისათვის დაშავების მიზეზი გახდა,
დაზარალებულს შეუძლია ფირმისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების გამო,
თუ იგი მივიდა ავტომობილის შექენის თაობაზე უკვე დადებული ხელშეკრულების დეტალების
შესათანხმებლად. გერმანელ იურისტებში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ხელშეკ-
რულება ავალებს დილერს არა მხოლოდ სადემონსტრაციო დარბაზში გამოფინოს ავტომობილი,
არამედ დაიცვას უსაფრთხოების ყველა ღონისძიება. მოცემულ ღონისძიებათა დაუცველობა...
იმავედროულად წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების პოზიტიურ დარღვევას.¹⁰

ქართულ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში დავას არ იწვევს ის, რომ მუშაკის მიერ
მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისრება დამ-
საქმებელს მისივე მოქმედებისა და ბრალისათვის. ამის მიუხედავად, გამოთქმულია აზრი, რომ
მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამო დამსაქმებელი თავის მხრივ,
უფლებამოსილია მუშაკს რეგრესის წესით მოსთხოვოს მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაუ-
რება,¹¹ რაც არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან რეგრესის უფლება შეიძლება ჰქონდეს პირს,
რომელიც მესამე პირის მოქმედებისათვის და მესამე პირისავე ბრალისათვის აგებს პასუხს.
მაგალითად, ქვემენარდის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობით შემკვეთისათვის მიყენ-
ებული ზიანისათვის პასუხს აგებს გენერალური მენარდე ქვემენარდის მოქმედებისა და ბრა-
ლისათვის, რისთვისაც მას ქვემენარდის მიმართ წარმოეშობა რეგრესის უფლება. რეგრესის
უფლება ასევე, წარმოიშობა სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვე-
ვებში და სხვა.

შენიშვნები:

- ¹ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 323.
- ² Bi Öaii, İniian şdææiinîni İdââ Âððî àièè, İi nêââ, 1996, nðð. 134,135.
- ³ Æ pèèè àà èà İdâiaüâð, Âðææiinîni à İdââi Öðaiièè, öi 2, İ i nêââ, 1960, nðð. 444.
- ⁴ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 322.
- ⁵ Æ pèèè àà èà İdâiaüâð, Âðææiinîni à İdââi Öðaiièè, öi 2, İ i nêââ, 1960, nðð. 443-444.
- ⁶ ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 64.
- ⁷ ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 275.
- ⁸ ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 15.
- ⁹ უფრო დანვრილებით იხ.: დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, მფლობელობის პრობლემები ქართულ სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი 'მართლმსაჯულება,' 2010, №1, გვ. 40.
- ¹⁰ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 325.
- ¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 403.

RESPONSIBILITY FOR THE DAMAGE CAUSED WHILE PERFORMING OFFICIAL DUTIES

DAVIT SUKHITASHVILI

Doctor of Law, Professor

THEA SUKHITASHVILI

*PhD Student of the Faculty of Law, Tbilisi Ivane Javakishvili State University,
Assistant professor at the Tbilisi Teaching University “Gorgasali”*

The term responsibility “for causing damage while performing official duties” was used by the Civil Code of Georgia in its narrow meaning, and unlike the civil codes of other countries, it draws a clear line of demarcation with the responsibility emerged because of the action of a third person. Main differentiating feature between them is that an employee’s action, which inflicted damage to the third person, is considered to be an action of the his/her employer, i.e. the employer is held responsible for his act when the responsibility emerges otherwise for the act of a third person. Civil codes of Germany and France, judiciary practice of these countries and jurisprudence use the following terms: hired worker, assistant, performer and officer with one and the same meaning. The reason behind this is that in both cases – responsibility for the damage caused while performing official duties, and responsibility for damage inflicted by the act of a third person, is based on the construction of guilt, when the respondent is responsible to reasonably select a hired worker, performer, assistant, ensure upgrading of their professional level, control their specific activities, and provide them with relevant machinery and devices, etc.

მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

დავით ლოპუნიძე

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქონება, რომელიც მეუღლეებმა შეიძინეს ქორწინების განმავლობაში, მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს, თუ მათ შორის გაფორმებული საქორწინო ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსი ადგენს ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმის ორ სახეს – კანონისმიერს და სახელშეკრულებოს. კანონით მეუღლეებს ეძლევათ აღნიშნული სამართლებრივი რეჟიმიდან, ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, მეუღლეები სარგებლობენ უფლებით, საკუთარი ინტერესებიდან და კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებებიდან გამომდინარე, ერთობლივად დაადგინონ თავიანთი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად, უარი თქვან კანონით დადგენილ ვარიანტზე. როგორც ითქვა ზოგადი წესის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების დროს შეძენილი ქონება მათ თანასაკუთრებას წარმოადგენს. აღნიშნული დებულების თანახმად, კანონი ადგენს ზოგიერთ გამონაკლისს, კერძოდ, კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი ქონება იქნება აღიარებული მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად. ასეთად მიჩნეულია ქორწინების განმავლობაში უსასყიდლო გარიგებით მიღებული ქონება (ჩუქებით, მემკვიდრეობით, პრივატიზებით).

საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებისას არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1158-1170-ე მუხლები.

მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმი არის მათ შორის შეთანხმებით დადგენილი ყველა ან ცალკე აღებული იმ მოძრავი ან უძრავი ქონების, ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების ფლობის, სარგებლობის ან განკარგვის წესი, რომლებიც შექმნილია რეგისტრირებული ქორწინების არსებობის განმავლობაში. აღნიშნული რეჟიმის დარეგულირება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ნორმების საფუძველზე.

გასათვალისწინებელია გარემოება იმის შესახებ, რომ მეუღლეებს შორის არსებული საქორწინო ხელშეკრულება არ გამოირიცხავს მეუღლეთა შორის დავის წამოჭრის შესაძლებლობას ერთობლივად შექმნილი ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისათვის და ქონების გაყოფის თაობაზე, რისთვისაც მეუღლეები უფლებამოსილს წარმოადგენენ მიმართონ ნოტარიუსს ან სასამართლოს. ხშირ შემთხვევაში, ქონებრივი უფლების განხორციელების მიზნით მეუღლეები მიმართავენ სანოტარო ორგანოს.

კანონი თანასაკუთრების რეჟიმის დადგენისას გამოდის იმ დებულებიდან, რომ ასეთი ქონება შექმნილია მეუღლეთა საერთო შრომითა და მეცადინეობით. დახარჯული შრომის რაოდენობასა და ფორმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქედან გამომდინარე, თანაზიარი საკუთრების გაყოფისას მეუღლეთა წილი თანაბარი უნდა იყოს. ეს დებულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ სხვა რამ შეთანხმება მეუღლეთა შორის არ არსებობს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი იყოს მეუღლეთა წილის თანაბრობის პრეზუმფციიდან გადახვევა.¹ პირიქით, კანონით გათვალისწინებულია პრეზუმფციიდან გადახვევის შესაძლებლობა. ამას საფუძველად შეიძლება დაედოს არასრულწლოვანი შვილების ან ერთ-ერთი მეუღლის ინტერესები. მაგალითად, საერთო ქონების გაყოფისას შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის წილი გაიზარდოს იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი შვილები მასთან ცხოვრობენ ან უნდა იცხოვრონ, ანდა, როცა იგი შრომისუუნაროა და მეორე მეუღლე უარს ამბობს მატერიალურ დახმარებაზე. სასამართლოს შეუძლია მეუღლეთა წილის თანაბრობის სანყისიდან გადაუხვიოს მაშინაც, როცა ერთ-ერთი მეუღლე არამცთუ მონაწილეობას ღებულობდა საერთო ქონების შექმნაში, არამედ პირიქით, საერთო ქონებას ფლანგავდა ოჯახის ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული საფუძველების თანადამთხვევა საჭიროს არ წარმოადგენს, თუ ადგილი აქვს მათგან ერთ-ერთს, მაშინ დასაშვებია მოხდეს ქონების არათანაბარი გაყოფა. კანონში ამომწურავად არის ჩამოთვლილი აღნიშნული საფუძველები და სასამართლო არ წარმოადგენს უფლებამოსილს საერთო ქონება გაყოს სხვა საფუძველებით.

აღნიშნული საფუძველებით სასამართლო უფლებამოსილია არამარტო არათანაბრად გაყოს საერთო საკუთრება, არამედ ისიც, რომ თანაზიარ საკუთრებად არ ჩათვალოს ქონება, რომელიც ქორწინების პერიოდში, მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის შემდეგ არის შექმნილი თითოეული მათგანის მიერ. ასეთი ქონების გაყოფა არ ხდება, რადგან იგი მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. სასამართლოს მაშინ აქვს უფლება გაყოს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება, როდესაც დარწმუნდება, რომ ადგილი აქვს კანონში მითითებულ საფუძველებს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მართალია, მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ ერთი მათგანი აქტიურად მონაწილეობს მეორის მიერ ქონების შექმნაში ან ოჯახის ადგენის სურვილით ეხმარება ქონების შექმნაში, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების შეწყვეტა ჯერ კიდევ, არ არის ოფიციალურად გაფორმებული. ასეთ შემთხვევებსა

და პირობებში შექმნილი ქონება შეიძლება თანაზიარ საკუთრებად ჩაითვალოს და გაიყოს მეუღლეებს შორის.²

სასამართლოს აღნიშნული უფლების მინიჭებით ეძლევა შესაძლებლობა დაიცვას მეუღლეების ქონებრივი ინტერესი.

მეუღლეთა პირად და საერთო ვალებს მნიშვნელობა აქვთ მათი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის. ქონების სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი მეუღლეთა შორის ქონებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საფუძველია. ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალი შეიძლება იყოს ისეთი, რომელსაც კავშირი აქვს ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ ინტერესთან. ის შეიძლება აღებული იყოს ქორწინებამდე ან ქორწინების დროსაც, მაგრამ უნდა გამომდინარეობდეს პირადი ინტერესებიდან. საერთო ვალი კი, შეიძლება აღებული იყოს ერთი ან თუნდაც ორივე მეუღლის მიერ, მაგრამ უნდა ეხებოდეს მეორე მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრთა ინტერესებს. მეუღლეთა საერთო ვალების განაწილება უნდა მოხდეს ქონების იმ წილის შესაბამისად, რომელიც ყოველ მათგანს აქვს თანაზიარ საკუთრებაში. ერთ-ერთმა მეუღლემ შეიძლება თავისი ვალებისათვის პასუხი აგოს არამართო განქორწინებისას, არამედ ქორწინების დროსაც და ასევე, არამართო იმ დროს, როდესაც მეუღლეთა თანაზიარი ქონება გაყოფილია, არამედ მაშინაც, როდესაც აღნიშნული საკითხის განხილვა არც დაწყებულია. მეუღლის პასუხისმგებლობა მისი ვალებისთვის წარმოიშობა, კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს სესხის დაფარვას, ზიანის ანაზღაურებას და სხვ. კრედიტორი უფლებამოსილია ასევე, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მშობლის ქონებიდან, არასრულწოვანი შვილის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში. ასეთ დროს მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა დგება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

კანონი იცავს მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, როდესაც მეუღლე მონაწილეობას იღებს ქონებრივ გარიგებაში არა ოჯახის ინტერესების, არამედ თავისი პირადი ინტერესებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, მოვალე მეუღლე პასუხს აგებს თავისი ქონებიდან და ასევე, ქონების იმ წილის მიხედვით, რომელიც თანასაკუთრებაში მის კუთვნილს წარმოადგენს. თუ ვალი შეიძლება დაიფაროს მეუღლის ინდივიდუალური ქონებიდან, მაშინ გადახდევინება მისგან მოხდება. მაგრამ თუ მოვალე მეუღლეს სურს ვალის გადახდა თანაზიარ საკუთრებაში მისი წილიდან ან ინდივიდუალური საკუთრება არ ყოფნის ვალის დაფარვას, მაშინ უნდა მოხდეს საერთო ქონების გაყოფა და მოვალე მეუღლის ვალდებულების შესრულება.³ ასეთ დროს მეორე მეუღლის ქონების წილი ხელშეუღებელი რჩება. თუ ვალი აღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახის საერთო ინტერესებისათვის, იგულისხმება, რომ ვალიც საერთოს წარმოადგენს და მისი გადახდა უნდა მოხდეს ორივე მეუღლის საერთო საკუთრებიდან. სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, იმის დადგენა ვალის აღება ემსახურება თუ არა ოჯახის ინტერესებს. იმ შემთხვევაში, როცა მეუღლეების საერთო ვალი აღემატება თანაზიარი ქონების ღირებულებას, გადახდევინება უნდა განხორციელდეს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზეც. თანაზიარი საკუთრების ღირებულების აღმატებული ვალის ნაწილი თანაბრად უნდა დაიფაროს მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებიდან.

თუ ერთ-ერთი მეუღლე დანაშაულებრივი მოქმედებით სხვა პირს მიაყენებს ზიანს, მაშინ ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებიდან, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგინდა, რომ ეს ქონება შექმნილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით. ასეთ დროს მეორე მეუღლე ვალდებული არ არის ზიანი

ანაზღაუროს თავისი ინდივიდუალური საკუთრებიდან. თუ განაჩენით არ არის დადგენილი თანაზიარი საკუთრების დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრებით შექმნის ფაქტი, მაშინ გადახდა უნდა მოხდეს ზიანის მიმყენებელი მეუღლის საერთო საკუთრებაში არსებული წილიდან და მის ინდივიდუალური საკუთრებიდან. მეორე მეუღლე კი, თავისუფალია ქონებრივი ვალდებულების შესრულებისაგან.

უნყებრივი ქვემდებარეობა. საერთო ქონების გაყოფის დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ორ შემთხვევას: როდესაც მეუღლეებმა ურთიერთშეთანხმებით დაადგინეს ქონების განაწილების ვარიანტი და პირიქით, როცა მეუღლეთა შორის ადგილი აქვს დავას.

მოძრავი ქონება, რომელიც არ არის დაქვემდებარებული რეგისტრაციას, არ ქმნის გაყოფის სირთულეს, რადგან მისი გაყოფა ხდება ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გარეშე.

იმისათვის, რომ მოხდეს რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხვა მოძრავი ან უძრავი ქონების განაწილება, აუცილებელია მხარეთა ნების გამოვლენის წერილობითი გაფორმება. მაგალითად, თუ წილის განსაზღვრის ობიექტია უძრავი ქონება, მეუღლეებმა გარიგება წერილობით უნდა დადონ. მათ ასევე, უფლება აქვთ მიმართონ ნოტარიუსს საერთო ქონების წილზე საკუთრების უფლების მონაწილის მისაღებად. ორივე შემთხვევაში საერთო ქონების გაყოფა ხდება მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე. როცა შეთანხმება გაყოფის შესახებ ფორმდება სანოტარო ბიუროში ხელშეკრულების ფორმით, თითოეულ მეუღლეს მიეცემა მეუღლეთა თანასაკუთრებაში წილზე საკუთრების მონაწილის უფლება. ამასთან, დაუშვებელია წილზე საკუთრების უფლების მონაწილის გაცემის შესაძლებლობა, თუ საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილია ქონების ისეთი რეჟიმი, რაც განსხვავებულია თანასაკუთრების კანონით დადგენილი რეჟიმისაგან.

მეუღლეთა დავის არსებობის შემთხვევაში, წილის განსაზღვრა და ქონების გაყოფა მოხდება სასამართლოს მეშვეობით. იმ წესის საფუძველზე, რომ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა დასაშვებია როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე, განქორწინების შემდგომაც ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, მოსამართლე უფლებამოსილი არ არის უარი თქვას სარჩელის მიღებაზე, იმ მოტივით, რომ მეუღლეთა შორის არსებობს ქორწინება.

განსჯადობა. იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანს ერთობლივად შექმნილი მოძრავი ქონების გაყოფა წარმოადგენს, მაშინ საქმე განხილულ უნდა იქნეს განსჯადობის საერთო წესებით, ანუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელები უძრავი ქონების გაყოფის შესახებ, შეიძლება ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სასამართლოს განსჯადი გახდეს. თუ უნდა მოხდეს უძრავი ქონების ორი ან მეტი ობიექტის გაყოფა, მაშინ დაუშვებელია აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამოყოფა და საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ ერთ-ერთი მათგანის ადგილმდებარეობის მიხედვით.

შეგებებული სარჩელი ქონების განაწილების თაობაზე, წარმოდგენილი უნდა იქნას განქორწინების სარჩელის განხილვის ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სასამართლოს განსჯადია იგი.

საქმის მომზადება. ერთ წარმობაში შესაძლებელია სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება, იმ შემთხვევებში, როცა მოთხოვნათა ხასიათის, ურთიერთკავშირის, საერთო მტკიცებულების არსებობის გამო, საქმე უფრო სწორად და სწრაფად გადაწყდება.

აქედან გამომდინარე, დაუშვებელია იმ საქმეებში, სადაც ხდება საერთო ქონების განაწილება, განხილულ იქნას ალიმენტის გადახდევინება, მორალური ზიანის ანაზღაურება და სხვა მსგავსი საკითხები.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, განქორწინების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია მეუღლეთა მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს მათ თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა. თუ ქონების გაყოფა შეიძლება შეეხოს მესამე პირთა ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მოცემული მოთხოვნა ცალკე წარმოებად.

იმისათვის, რომ საქმე სწორად იქნას გადაწყვეტილი, საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლომ უნდა დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებების წრე და უნდა განიხილოს ისინი, თუნდაც მხარეებს რომელიმე მათგანზე არ ჰქონდეთ მითითება.

ქონების გაყოფის საქმეებზე მტკიცების საგანს შემდეგი ფაქტები შეადგენს: 1) მხარეთა რეგისტრირებულ ქორწინებაში არსებობა; 2) განქორწინება ან საოჯახო ურთიერთობების შეწყვეტა რეგისტრირებული ქორწინების დროს; 3) ერთად შექმნილი ქონების შემადგენლობა და მისი ღირებულება; 4) საქორწინო ხელშეკრულებების ან საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმების არსებობა; 5) სხვა გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ქონების სამართლებრივი რეჟიმის, მეუღლეთა წილების განსაზღვრისა და გარკვეული ქონების ამა თუ იმ მხარისათვის გადაცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტისათვის.⁴

კანონით არ არის დადგენილი წესი, თუ რა გზით უნდა მოახდინონ მხარეებმა გარემოებების მტკიცება, ამიტომაც აღნიშნულ შემთხვევაზე ვრცელდება მტკიცების ზოგადი წესი.

იმისათვის, რომ ქონება, რომელიც შექმნილ იქნა მეუღლეების ერთად ცხოვრების პერიოდში ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, ამის აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება. როდესაც ადგილი აქვს დავას იმ პირთა შორის, რომელთა შორის არსებობს საოჯახო ურთიერთობები, მათ შორის ქონებრივი დავა უნდა გადაწყდეს საერთო წილობრივი საკუთრების ნორმებით. ამდენად, თუ მხარეებს შორის არ არსებობს ქორწინება კანონით გათვალისწინებული წესით, მათზე არ ვრცელდება საქორწინო საოჯახო კანონმდებლობა, ხოლო შექმნილი ქონება ამ პირებს შეიძლება ეკუთვნოდეთ საერთო საკუთრების უფლებით. ამიტომ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ შეიძლება მხარეებს ქონება ეკუთვნოდეთ საერთო საკუთრების უფლებით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი, რომ საერთო ქონებაში აღიარებულ იქნას წილთა თანაბრობა. იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ რომელ მხარეს რა წილი აქვს, სასამართლომ უნდა დაადგინოს ქონების ღირებულება, გამოარკვიოს თუ რა გარემოებებშია იგი შექმნილი, – ხელფასის, ფულადი სახსრებისა და შრომის რა ნაწილი ჩადო თითოეულმა მხარემ ქონების შესაძენად და სხვ.

რეგისტრირებული ქორწინების არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელეს ეკისრება მისი დამტკიცება და ამისათვის მან უნდა წარმოადგინოს ქორწინების მოწმობის დედანი.

მტკიცების ტვირთი, თუ რა ქონება იქნა შექმნილი ქორწინების პერიოდში, მოსარჩელეს ევალება. სარჩელში მითითებულ უნდა იქნას ქონების სახელწოდება, მისი დამახასიათებელი ნიშნები (სახელწოდება, ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც კონკრეტულ ობიექტს გამოარჩევს სხვა ობიექტისაგან), ადგილსამყოფელი, ღირებულება, როდის, ვის მიერ და რა საფუძველითაა იგი შექმნილი.

იმის დასამტკიცებლად რომ მეუღლეებს აქვთ გარკვეული ქონება საერთო საკუთრებაში, მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს წერილობითი მტკიცებულებები. კერძოდ, უფლებადამდგენი დოკუმენტები – ნასყიდობის, გაცვლის ხელშეკრულებები, საკუთრების უფლების მოწმობა, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის ასლი, საჯარო რეესტრის ამონაწერი უძრავ ქონებაზე უფლების კუთვნილების შესახებ,

გასაყოფი ქონების აღწერის აქტები. იმისათვის, რომ დადგენილ იქნას მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლება, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას მონმის ჩვენება და სხვ.

გასაყოფი ქონების განსაზღვრა ხდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ, იმ ფასის მიხედვით, რომელიც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში. იმისათვის, რათა დადგინდეს ქონების საბაზრო ღირებულება, მოსამართლემ საქმის მომზადების წესით უნდა დანიშნოს ექსპერტიზა.

თუ მოპასუხე განაცხადებს, რომ ის და მოსარჩელე შეთანხმდნენ ქონების გაყოფის თაობაზე, მაშინ აღნიშნული გარემოების დასამტკიცებლად მან სასამართლოში უნდა წარადგინოს წერილობითი შეთანხმება ქონების განაწილების შესახებ ან სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო კონტრაქტი.

კანონის მიხედვით, მეუღლეებს ეკუთვნით თანაბარი წილი საერთო ქონებაში. თუმცა, დასაშვებია, რომ მათი წილი არსებობდეს განსხვავებულადაც, კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში და მეუღლეთა შორის არსებული საქორწინო ან სხვა სახის ხელშეკრულებით. წილთა თანაბრობის პრინციპი ვრცელდება მხოლოდ საერთო ქონებაზე და არა იმ ქონებაზე, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნის ინდივიდუალური საკუთრების უფლებით.

როდესაც ადგილი აქვს ქონების გაყოფას სასამართლო უფლებამოსილია გადაუხვიოს წილთა თანაბრობის პრინციპს გარკვეულ შემთხვევებში. ასეთი შემთხვევებია: არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების გათვალისწინება, ერთი მეუღლე შრომისუუნაროა, ან მეორე მეუღლე ხარჯავდა თანხას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. ამასთან, სასამართლო ვალდებულია აღნიშნოს მოტივები, თუ რატომ გადაუხვია მან წილთა თანაბრობის საწყისს.

გასათვალისწინებელია, რომ საერთო ქონებაში ერთ-ერთი მეუღლის წილის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ მათი საერთო ქონების ხარჯზე.

არის შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია ქონების სასამართლოს მიერ ნატურით გაყოფა. ზოგადი წესის საფუძველზე, ასეთ დროს სასამართლო უფლებამოსილია ერთ-ერთ მეუღლეს გადასცეს ქონება, რომლის ღირებულება აღემატება მის კუთვნილ წილს, მეორე მეუღლეს კი, მიაკუთვნოს შესაბამისი ფულადი ან სხვა კომპენსაცია. თუმცა, აღნიშნული დებულების გამოყენებისას, გასათვალისწინებელია, სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმები. კერძოდ, თუ მესაკუთრე არ არის თანახმა მიიღოს კომპენსაცია, სასამართლოს არა აქვს უფლება მოუსპოს მას საერთო ქონებაზე საკუთრების უფლება, მისი ნების საწინააღმდეგოდ. ამდენად, სასამართლომ მეუღლეთა ნება უნდა გაითვალისწინოს. აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია კანონით. მესაკუთრე თავის ქონებას ფლობს, სარგებლობს და განკარგავს თავისი შეხედულებით. დაუშვებელია პირს მისი ნების საპირისპიროდ ჩამოერთვას საკუთრების უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. როდესაც მხარის სურვილს არ წარმოადგენს მიეცეს ფულადი კომპენსაცია და სურს, რომ მოხდეს მხოლოდ ქონების ნატურით გაყოფა, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება მეუღლისათვის მისი ნების საწინააღმდეგოდ მისი კუთვნილი ნახევრისათვის ფულადი კომპენსაციის მიკუთვნების შესახებ, მისი კანონიერი უფლებების დარღვევაა და უნდა გაუქმდეს.⁵

თუ შეუძლებელია საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ნატურით გაყოფა ან ამ ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფა, ეს არ ნიშნავს, რომ მოპასუხეს უფლება არ გააჩნია მოითხოვოს ასეთი ქონების სარგებლობის წესის განსაზღვრა, თუ ასეთი წესი არ არის დადგენილი მხარეთა შეთანხმებით.

ზოგჯერ შეუძლებელია ქონების ნატურით გაყოფა. ასეთ შემთხვევაში, თუ მხარე თანახმაა უარი თქვას ამ ქონებაში მის წილზე, რომლის ნატურით გამოყოფაც შეუძლია, მაშინ ის ამის სანაცვლოდ მიიღებს ფულად ან სხვაგვარ კომპენსაციას. თუ მხარე არ არის ამაზე თანახმა, მაშინ მას უფლება აქვს სარჩელი აღძრას (შეცვალოს ქონების ნატურით გაყოფა) სადავო ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ. თუ შეუძლებელია ქონების ნატურით გაყოფა, შეიძლება მხარემ მოითხოვოს ქონების გაყიდვა რის შემდეგაც ამონაგები განაწილდება მხარეთა შორის წილის შესაბამისად.

მოცემული კატეგორიის საქმეთა მომზადების სტადიაზე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მესამე პირთა ჩაბმის საკითხიც.

როდესაც ხდება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფა, აღნიშნულ საქმეებში შეიძლება ჩაება მესამე პირი, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშეც. მესამე პირთა დაშვება ხდება იმ საფუძვლით, რომ ამ პირებს შესაძლებელია საკუთარი მოთხოვნები ჰქონდეთ სადავო ქონებაზე, აგრეთვე სამართლებრივად იყვნენ დაკავშირებულნი მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან.

მესამე პირთა დაშვების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, როცა მაგალითად, მოდავე მხარე გასაყოფი ქონების შემადგენლობის შემცირებისა და შემდგომში ფაქტობრივად ამ ქონების თავისად დანარჩუნების მიზნით მიუთითებს, რომ ნივთები ეკუთვნით თავიანთ ახლობლებს. იმისათვის, რომ შემომწმდეს თუ რამდენად სწორია აღნიშნული გარემოება, აუცილებელია ნათესავების მონაწილეობა საქმეში. ამიტომ სასამართლომ უნდა შეატყობინოს მათ საქმისწარმოების შესახებ და განუმარტოს მათი უფლება, აღძრან სარჩელი მოდავე მეუღლეთა მიმართ საკუთრების უფლების ცნობის შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილება. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი, დასაბუთებული, სრული უნდა იყოს და არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას მისი აღსრულების დროს. ის ყველა აღძრულ მოთხოვნაზე ამომწურავ პასუხს უნდა იძლეოდეს.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საერთო ქონების განაწილების დროს სასამართლო განსაზღვრავს, რა ქონება უნდა გადაეცეს თითოეულ მეუღლეს. მოცემული საკითხის გადაწყვეტისას, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა მეუღლის კმაყოფაზე არასრულწლოვანი ბავშვის ყოფნა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე ის, რომ მეუღლე საჭიროებს ამ კონკრეტულ ქონებას და სხვა გარემოებები.

როდესაც სასამართლო წყვეტს ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნას იმ დროს, როდესაც შეუძლებელია ქონება ნატურით გაიყოს, ის მხედველობაში იღებს სარგებლობის ფაქტობრივად უკვე არსებულ წესს, რომელიც შეიძლება ზუსტად არ შეესაბამებოდეს საერთო საკუთრების უფლებაში მეუღლეთა წილებს, ითვალისწინებს იმასაც, თუ რომელ მეუღლეს რომელი ქონება სჭირდება მეტად.

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ასახული უნდა იყოს მიკუთვნებული ნივთის ზუსტი აღწერა, კონკრეტულად: დასახელება, ადგილსამყოფელი, მოცულობა, ფერი, მისი სხვა ინდივიდუალური ნიშნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს გადაწყვეტილების განმარტება, როდესაც მოხდება მისი აღსრულება.

დაუშვებელია, გათვალისწინებულ არ იქნას კანონის მოთხოვნა ნატურით მიკუთვნებული ქონების ღირებულების მითითების შესახებ, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების დროს შეიძლება ეს თუ ის ქონება არ აღმოჩნდეს.

დასკვნა

აღნიშნულ ნაშრომში განხილულ იქნა სამართლის ზოგადი ნორმები, რომლებსაც სასამართლო მიმართავს დავის გადაწყვეტისათვის, მაგრამ ქონებრივ დავაში ჩვენ ვამჩნევთ ზოგადისაგან განსხვავებულ სპეციფიკურ ნორმებს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, განსჯადობის ზოგად წესს წარმოადგენს ის, რომ სარჩელი შეიტანება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ არსებობს სპეციფიკური ნორმა, როდესაც შესაძლოა სარჩელი შეტანილ იქნას განსხვავებული წესით, მაგალითად, სარჩელი უძრავი ქონების განაწილების თაობაზე შეიძლება შეტანილ იქნას მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, ასევე, უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, რაც განსჯადობის სპეციალურ წესს წარმოადგენს. ასევე, ზოგადი წესის მიხედვით, საერთო ქონებას წარმოადგენს ქონება, რაც მეუღლეებმა შეიძინეს ქორწინების პერიოდში, მაგრამ კანონის თანახმად, მეუღლეებმა ქორწინების ხელშეკრულებით შეიძლება დაადგინონ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის განსხვავებული წესიც.

ყოველი ასეთი სპეციფიკური ნორმა უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ, რათა არ ჩაითვალოს, რომ როდესაც მხარეებმა გადაუხვიეს ზოგად ნორმას ეს ყოველთვის შეიძლება იყოს შეცდომა, რადგან შეიძლება ადგილი ჰქონდეს სპეციალურ ნორმასაც.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე;
2. შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი;
3. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გვ. 122.
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გვ. 123.
- ³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გვ. 125.
- ⁴ შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გვ. 540.
- ⁵ შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გვ. 541.



PECULIARITIES OF THE PROCEEDINGS ON DIVISION OF THE PROPERTY BETWEEN SPOUSES

DAVIT LOBJANIDZE

Caucasus University PHD Candidate, school of law

In civil law, division of spouses' property within the scope of divorce proceedings by the court is one of the biggest issues. Nowadays, as divorce cases are quite frequent, and they are usually resolved at court, they are usually followed by the property-related dispute between the spouses. This article reviews the rule of resolution of property dispute, as well as legal grounds, which are used by the court for granting the property to one of the spouses in the process of property distribution. That is why main goal of this article is to find solution to a frequent and significant problem of property dispute between the spouses.

კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფისათვის სამოქალაქო პროცესში

შალვა ქურდაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, გურამ თავართქილაძის სასწავლო
უნივერსიტეტის კერძო სამართლის კათედრის გამგე

ნინო ხუნაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის ასისტენტ-
პროფესორი

2012 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილება. არსებითად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა არაერთი საპროცესო ნორმა. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების სასამართლოში რეგისტრაციისა და მოპასუხისათვის მისი ჩაბარების წესები, რომლებსაც ასევე, შეეხო განხორციელებული ცვლილებები. ნებისმიერი სიახლის დანერგვის შემდეგ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამდენად ეფექტიანია ახალი წესი და რამდენად სწორად მკვიდრდება იგი სასამართლო პრაქტიკაში, ახალი წესების საფუძველზე სასამართლო რამდენად სწორად და ეფექტიანად უზრუნველყოფს სამართლის სუბიექტების უფლებების დაცვას. ერთი სიტყვით, რამდენად დაცულია კანონის მოთხოვნები და სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა სასამართლო პრაქტიკა. კანონიერების პრინციპის დაცვა და სათანადო სიმაღლეზე აყვანა კანონმდებლისა და სასამართლოს მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს, რამეთუ კანონიერების პრინციპის უპირობო დაცვა პროცესში ყველა სხვა პრინციპის განხორციელებისა და დაცვის გარანტიაა. ამიტომ, შევეცდებით, ამ სტატიის ფარგლებში ჩვენი ხედვა ჩამოვაყალიბოთ სამართალწარ-

მოებისათვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, პროცესში კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, რამაც შესაძლოა ინტერესი გამოიწვიოს სასამართლო პრაქტიკაში და საფუძვლად დაედოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების სრულყოფასაც კანონმდებლის მიერ.

სიახლეთა პრაქტიკაში სწორად დანერგვას ემსახურება სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალურ საკითხებზე 2012 წელს გამოცემული პრაქტიკული სახელმძღვანელოც, რომელიც მომზადდა სამივე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა მიერ. ამ სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ იგი ორიენტირებულია პრაქტიკაზე და მისი გამოცემა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების დროულად და ეფექტიანად განხორციელებას, საქმის წარმოების ერთგვაროვანი მიდგომისა და პრაქტიკის დამკვიდრებას, მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებების უკეთ განხორციელებას. ცხადია, სასამართლოს სისტემის შიგნით უამრავი სასარგებლო დოკუმენტი მუშავდება და გამოიცემა მრავალი სახის საინფორმაციო ბროშურა, ვებ-გვერდებისა და მასმედიის საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია სამართლებრივ საკითხებზე, რაც უთუოდ ხელს უწყობს პირთა ინფორმირებას მართლმსაჯულების განხორციელების აქტუალურ საკითხებზე. თუმცა, მარტოოდენ ეს ინფორმაცია ვერ შექმნის სრულყოფილ წარმოდგენას სიახლეთა არსისა და კანონთან პრაქტიკის შესაბამისობის თაობაზე. ამიტომ აუცილებელია სიახლეთა სიღრმისეული გაანალიზება.

მით უმეტეს, როგორც არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, სამართალწარმოებაში სიახლეები არასწორად დამკვიდრდა, რაც სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტების არსებით საპროცესო და მატერიალურ უფლებათა მასობრივ დარღვევას განაპირობებს. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის კანონში შესულ ცვლილებათა საკანონმდებლო ფორმულირებების დაუხვეწაობა და მეორე მხრივ, თუნდაც ამგვარი დაუხვეწავი ნორმების მიუხედავად, სასამართლოთა მიერ მათი არასწორი განმარტება და გამოყენება. კერძოდ, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში შემოკლებით სსკ) 183-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციის წესს. რეგისტრაციის განხორციელება სასამართლოს კანცელარიის ფუნქციაა. სსკ-ის 184-ე მუხლი კი, სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარების პროცედურას აწესრიგებს. ამ ნორმათა თანახმად, განსაზღვრულია სუბიექტთა წრე, რომელთაც თავად ევალებათ სასამართლო გზავნილის (რომელშიც კანონი გულისხმობს სარჩელის და თანდართული დოკუმენტის ასლებს) მოპასუხისათვის ჩაბარება. სსკ-ის 185-ე მუხლი კანონიდან ამოღებულ იქნა, ხოლო 186-ე მუხლით კი, განისაზღვრა 5-დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც სათანადო საფუძვლების არსებობისას მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მოსამართლე აღარ იღებს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებას. მას ევალება უარყოფით შემთხვევაში გამოიტანოს მხოლოდ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება. თუ სარჩელი აკმაყოფილებს სსკ-ით გათვალისწინებულ დასაშვებობის პირობებს, იგი განსახილველად მიღებულად ითვლება. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოპასუხისათვის გადასაცემი გზავნილი, რომლის მოპასუხისათვის ჩაბარებაც ევალებათ სსკ-ის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს, მოიცავს: სარჩელს; სარჩელზე თანდართულ დოკუმენტებს; სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილის ფორმას, რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად. რაც შეეხება სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ განხორციელებულ

ლონისძიებებს, მოსარჩელეს გადაეცემა ყველა დასახელებული დოკუმენტის გზავნილი (კონვერტი) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

სარჩელის განსახილველად მიღების შემდეგ, სასამართლო ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, როგორც არის: მოსარჩელესთან ან წარმომადგენელთან ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით დაკავშირება; სარჩელის მიღების შესახებ მოსარჩელის ინფორმირება; გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში 2 თვის ვადაში წარმოდგენის ვალდებულების განმარტება; მოსარჩელის ინფორმირების შესახებ აქტის შედგენა, რომელიც საქმეს დაერთვის.

ერთი შეხედვით, ამ წესებში უჩვეულო არაფერია და რაიმე სამართლებრივ პრობლემასაც არ უნდა წარმოშობდეს, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ არსებით საპროცესო წესს, რომელიც ვადაში შესაგებლის (პასუხის) წარმოუდგენლობის გამო მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ეს წესი ასახულია სსკ-ის 232¹-ე მუხლში. თავის მხრივ, აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობაა 201-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა მოპასუხის მიერ. ვიდრე მთავარ სატემელს ვიტყვოდეთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი უზუსტობის შესახებ. სახელდობრ, 232-ე პრიმა მუხლი მიუთითებს 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობაზე. ცვლილებათა შედეგად, ამგვარი ქვეპუნქტი 201-ე მუხლს აღარ გააჩნია. თუმცა ამ ნორმაში დარჩა არსებითი და იმპერატიული წესი, რომლის მიხედვითაც, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ... პრობლემის თავიდათავი სწორედ ამ დანაწესშია. ვინ უნდა ვიგულისხმოთ სასამართლოში? ამ ერთი შეხედვით, თითქოსდა ბანალურ კითხვაზე პასუხის სწორად გაცემაზე დამოკიდებულია საკითხის მართებული გადაწყვეტა. საქმე ის არის, რომ ნორმაში ხაზი ესმება სასამართლოს მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრას მოპასუხისათვის. მოპასუხის და საერთოდ, მხარის სტატუსს სუბიექტი იძენს სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ. სხვა საპროცესო სამართლებრივ შედეგებთან ერთად, ერთ-ერთი შედეგი სწორედ ეს არის. შესაბამისად, სასამართლოს ცნებაში არ შეიძლება მოიაზრობდეს სასამართლოს კანცელარია. მით უმეტეს, რომ მოქმედი ნორმების თანახმად, კანცელარიას ევალება სარჩელის მარტოოდენ ფორმალური გამართულობის კონტროლი და არც ერთი ნორმით არა აქვს მინიჭებული მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრის ფუნქცია. ეს მოსაზრება შეიძლება გამყარებული იქნეს იმითაც, რომ სსკ-ის 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ შესაგებლის წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ბუნებრივია, საკითხი იმის შესახებ, რთული კატეგორიისა არის თუ არა საქმე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს მას შემდეგ, რაც მას გადაეცემა სარჩელი და სწორედ სასამართლომ უნდა განსაზღვროს საქმის სირთულიდან გამომდინარე, შესაგებლის წარმოდგენის ოპტიმალური ვადა. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

1. მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოდგენის ვადა, რაც წარმოებაში მიიღება სარჩელი ე.ი. როდესაც პირი მიიღებს მოპასუხის სტატუსს. შესაგებლის წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრა საპროცესო ურთიერთობაა.

როგორც ცნობილია, საპროცესო ურთიერთობა მხარეებს შორის არ წარმოიშობა. საპროცესო ურთიერთობა წარმოიშობა ცალ-ცალკე თითოეულ მხარესა და სასამართლოს შორის, მას შემდეგ, რაც სარჩელი იქნება წარმოებაში მიღებული.

2. კანცელარიას არა აქვს უფლება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადასაცემ კონვერტში, რომელშიც მოთავსებულია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, განათავსოს სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილის ფორმა, რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად.

დღეს კი, ამგვარი პრაქტიკაა ჩამოყალიბებული: სარჩელი დარეგისტრირებულია, იგი ჯერ არ გადასცემია მოსამართლეს, სარჩელი წარმოებაში არ არის მიღებული, სუბიექტს არ შეუძენია მოპასუხის სტატუსი, ხოლო კანცელარია ითავებს სასამართლოს ფუნქციას და წინასწარ განსაზღვრავს შესაგებლის წარმოდგენის ვადას. ამასთან, როგორც პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, სასამართლოს კანცელარია გზავნილში ყოველთვის განსაზღვრავს შესაგებლის შეტანის სტანდარტულ ვადას. ეს არის ათი დღე. ყოველივე აღნიშნულიდან, კიდევ ერთი არსებითი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: სასამართლოებს გამოაქვთ უკანონო დაუსწრებელი გადაწყვეტილებები შესაგებლის ვადაში წარმოუდგენლობის საფუძველით, მაშინ როცა ამგვარი ვადა სასამართლოს განსაზღვრული არ ჰქონია. პრაქტიკის გაცნობა ცხადყოფს, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობის საფუძველით მასობრივად გამოდის დაუსწრებელი გადაწყვეტილებები. ამგვარი გადაწყვეტილებებით ხდება პროცესის სუბიექტების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა და პერსპექტივაში, თუ ძალაში დარჩება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ექვემდებარება იძულებით აღსრულებას მოვალის მიმართ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით, საბოლოოდ ხდება სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა.

აღსანიშნავია სასამართლო პრაქტიკაში არსებული კიდევ ერთი საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულებაც ლოგიკას და კანონიერ საფუძველს არის მოკლებული. კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარმოდგენის მაქსიმალური ვადა (14 დღე, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღე) გაგრძელებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. ამდენად, საპატიო მიზეზის არსებობისას დასაშვებია შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელება. რასაც რეალურად ახორციელებენ კიდევ პრაქტიკაში სასამართლოები მოპასუხის განცხადების საფუძველზე. ამ მოქმედების ულოგიკობა იმაში გამოიხატება, რომ არსებული პრაქტიკის მიხედვით, შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრა არ ხდება სასამართლოს მიერ, ამას ახორციელებს კანცელარია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუ სასამართლოს არ განუსაზღვრავს შესაგებლის წარმოდგენის ვადა, მაშინ მის მიერ რომელი ვადის გაგრძელება ხდება? როგორც ცნობილია, სამოქალაქო პროცესში არსებობს კანონით დადგენილი ვადა და სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა. სსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადას აგრძელებს თავად სასამართლო. შესაგებლის წარმოდგენის ვადა მიეკუთვნება სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის კატეგორიას. უდავოა, რომ ამ ვადის გაგრძელების მოთხოვნით მოპასუხე ვერ მიმართავს სასამართლოს კანცელარიას. ეს იქნებოდა აბსურდული. რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს ჩვენს პოზიციას, რომ კანცელარიის მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრა პრინციპულად არასწორი მოქმედებაა და არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო ნორმების და ინსტიტუტების იურიდიული ბუნებიდან.

უნდა შევეხოთ თავად იმ ინსტიტუტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დარჩენის მიზანშეუწონლობის საკითხსაც, რომელიც ავალდებულებს გარკვეულ შემთხვევებში მოსარჩელეს

ჩააბაროს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხეს. საქმე ის არის, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანისას მოსარჩელეს ევალება სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რომლის შეტანაც წინასწარ ხდება. თავის მხრივ, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებას პროცესში სხვა ყველაფერთან ერთად საკომპენსაციო მნიშვნელობაც აქვს. ეს ნიშნავს, რომ ბაჟის გადახდით მხარე ანაზღაურებს იმ დანახარჯებს, რასაც სახელმწიფო ხარჯავს მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. საპროცესო კოდექსის უბრალო გაცნობაც კი, თვალნათელს ხდის, რომ კანონმდებლობით არცთუ ისე მცირე ბაჟებია დადგენილი. კანონით დადგენილი ბაჟის ოდენობა სრულიად საკმარისი უნდა იყოს გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების უზრუნველსაყოფადაც. ამასთან, ყველა შემთხვევაში, მიზანშეწონილია გზავნილს მოპასუხეს აბარებდეს სწორედ სასამართლო, მიზანშეწონილია გზავნილის ჩაბარებასთან დაკავშირებულ საპროცესო ურთიერთობებში ერთვებოდეს სწორედ სასამართლო, ხოლო მხარე განიტივითოს გზავნილის ჩაბარების ვალდებულებისაგან. ამით კანონით დადგენილი წესით გზავნილის ჩაბარებაზე და შეტყობინებისა და დაბარების ინსტიტუტზე სასამართლოს მხრიდან კონტროლის განხორციელების სრულყოფილი მექანიზმი შეიქმნება. ეს ყოველივე აამაღლებს სასამართლოს ავტორიტეტსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას:

1. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერ საქმეზე სავალდებულოა საქმის მომზადება, მიზანშეწონილია საქმის მომზადების სტადიის, როგორც უმნიშვნელოვანესი პროცედურის დაწყების გაფორმება მოხდეს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით. ამავე განჩინებით სასამართლომ უნდა განუსაზღვროს მოპასუხეს შესაგებლის წარმოდგენის ვადა. თუ ჩვენ გვსურს, ეფექტიანად იმუშაოს ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტმა, ვფიქრობთ, ეს რეკომენდაცია მისაღები უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ საპროცესო კოდექსის არსებული რედაქცია არც ერთი ნორმით არ კრძალავს ამგვარი განჩინების გამოტანის შესაძლებლობას. განჩინება ხომ ისეთი დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება და მიიღება პროცედურულ საკითხებზე. ამით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ლეგიტიმურობაც აღარ დადგება ეჭვქვეშ და უსაფუძვლოდ და უკანონოდ აღარ შეილახება მოპასუხეთა უფლებები და ინტერესები. თუნდაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება არც იქნეს გამოტანილი, ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, მხარე კარგავს ფაქტებზე მითითებისა და მტკიცებულებათა წარდგენის უფლებას და მას მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე შეუძლია იმსჯელოს. ეს კი, თავის მხრივ, არღვევს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს.

2. დაუშვებელია სასამართლოს კანცელარიისათვის მართლმსაჯულების ფუნქციის რაიმე სახით დელეგირება. შესაბამისად, მას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრის უფლება. მით უმეტეს, რომ არსებული ახალი ნორმებით მას ამგვარი უფლება მინიჭებული არა აქვს და დამკვიდრებული პრაქტიკა მხოლოდ მოქმედი ნორმების თვითნებური, მეცნიერულ და კანონიერ საფუძველს მოკლებული ინტერპრეტირების შედეგია, რაც საზიანოა მხარეთათვის და მართლმსაჯულებისათვის.

3. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ განხილული ინტიტუტი შენარჩუნებული იქნება, მაშინ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვაგვარი, კანონის შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლში მითითებულია, რომ კანცელარია ახდენს სარჩელის რეგისტრაციას და ასევე, კანცელარია გადასცემს მოსარჩელეს გზავნილს მოპასუხი-

სათვის ჩასაბარებლად. ამ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული, თუ როდის გადაეცემა მოსარჩელეს გზავნილი მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა მოხდეს სარჩელის რეგისტრაციისთანავე, როგორც ეს პრაქტიკაში დამკვიდრდა. ეს ნორმის არასწორი განმარტებაა. საკითხის სწორად განსაზღვრაში, სასამართლოებს შეიძლება დაეხმაროს 184-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, სარჩელის ჩაბარებაზე ვალდებულ პირს მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სასამართლო გზავნილის (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე. ამ ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილი იქნება, მას შემდეგ გადაეცეს მოსარჩელეს გზავნილი მოპასუხისათვის ჩასაბარებლად, რაც სარჩელი მიღებული იქნება წარმოებაში. ასეთ დროს რაიმე სამართლებრივ პრობლემას აღარ შექმნის მოსარჩელის გამოცხადება სასამართლოში და თუნდაც კანცელარიაში ამ გზავნილის მიღება, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს ყველაფერთან ერთად მოსამართლის განჩინებაც მოპასუხისათვის შესაგებლის ვადის განსაზღვრის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანისაგან სასამართლოებმა ყველა შემთხვევაში თავი უნდა შეიკავონ.

ENSURING THE PRINCIPLE OF LEGITIMACY IN CIVIL PROCEEDINGS

SHALVA KURDADZE

*PhD of Law, professor, Guram Tavartkiladze Teaching University
Head of Private Law Department*

NINO KHUNASHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD student Technical University
of Georgia, Faculty of business engineering Assistant-professor*

Multiple amendments to the Civil Procedures Code entered into force from January 1, 2012. Many substantial procedural norms were provided in their new edition. The article provides the analysis of the new rules for court registration of the claim (statement) and attached documents and their hand-over to the respondent; the article also examines the court practice and the effectiveness of justice after adoption of new rules; it also analyses to what extent the legal requirements are observed and whether the court practice is developing in a right direction. Observation of the principle of lawfulness and its promotion must always be on top of the list of the legislator and the court, as unconditional observation of the principle of lawfulness is a guarantee of application and observation of all other principles. That is why this article attempts to formulate a proper understanding of legal aspects relating to court proceedings, in order to ensure observation of the principle of lawfulness, which may cause certain interest in court practice and serve as the basis for improvement of number of norms of the Civil Procedures Code by the legislator.

Practical guidebook on key issues of civil proceedings, published in 2012 also serves to proper implementation of the innovations in practice; the guidebook was prepared by the judged of all three instance courts. In the preamble of this guidebook it is mentioned that the book is practice-oriented and that it will support timely and effective administration of justice, establishment of uniform approaches and case management practice, and better realization of their rights by the citizens. Obviously, lots of useful documents are being generated within the judicial system; many different information booklets are published; information on legal issues is made available through websites and media; it of course helps raising the awareness on key issues relating to administration of justice. But, merely this information will not be able show a complete picture of the essence of innovation and correspondence of practice with law. That is why it is important to conduct an in-depth scientific analysis of these innovations, which is the goal of the authors of the article.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში

ანა მანისურაძე

მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (L.L.M)

I. შესავალი

სამართლის განვითარება საზოგადოების ურთიერთობებისა და სამოქალაქო ბრუნვის განვითარების თანამდევ მოვლენაა. ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების და ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ პრაქტიკაში აღმოცენებული რიგი პრობლემები ახლებურად გააზრებასა და ახლებურ სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს. დროთა განმავლობაში შეიცვალა შესრულების შეუძლებლობისა და შესრულების გართულების საკითხებისადმი მიდგომა. ის, რაც ადრე ცალსახად შეუძლებელი იყო, ახლა მხოლოდ ართულებს ვალდებულების შესრულებას. თანამედროვე პირობებში გადაულახავი დაბრკოლება თითქმის აღარ არსებობს.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში – სსკ) მხოლოდ ერთი ნორმა ეთმობა (სსკ-ის 401-ე მუხლი) და ისიც უპირატესად მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების საკითხს არეგულირებს, ხოლო შესრულების გართულების შემთხვევები სსკ-ის 398-ე მუხლით წესრიგდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – გსკ) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ამომწურავ რეგულირებას ითვალისწინებს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები გერმანული სამართლის მიხედვით. ამასთან, შესრულების შეუძლებლობის შემთხვევების საქართ-

ველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მონესრიგების გზები და აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად დამატებითი რეგულაციების შემოღების აუცილებლობა.

II. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნება და სახეები

ლათინური პრინციპი – „pacta sunt servanda“ ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ დანაწესს წარმოადგენს. აღნიშნულ პრინციპს ემყარება სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების დაკისრება მხარისათვის აზრს მოკლებულია ან ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გამართლებულია მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება. ვალდებულება რომ უნდა შესრულდეს, ეს სულაც არ ნიშნავს მისი ყველა გზითა და ყველა საშუალებით შესრულებას.¹

შეუძლებლობისას მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველი თვით შეუძლებლობის არსშია. როდესაც შესრულება შეუძლებელია, აზრს მოკლებულია მოვალისათვის ვალდებულების შესრულების ტვირთის დაკისრება, რადგან ეს შედეგს მაინც ვერ გამოიღებს და სასურველი შედეგი ვერც იძულებითი აღსრულებით მიიღწევა. ასეთ შემთხვევაში, პრინციპს „impossibilium nulla est obligatio“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.²

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შესრულების შეუძლებლობისა და შესრულების გართულების ცნებები. შესრულების შეუძლებლობისას შესრულება ობიექტური მიზეზებით გამოირიცხება, შესრულების გართულებისას კი, ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად შესაძლებელია, თუმცა, იმდენად დიდ დანახარჯებს მოითხოვს მოვალის მხრიდან, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შესრულების შეუძლებლობის შედეგების შესრულების გართულების შემთხვევებზე გავრცელება.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას შეიძლება არსებობდეს ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა. თუკი შესრულება არამხოლოდ მოვალისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის არის შეუძლებელი, სახეზე გვაქვს ობიექტური შეუძლებლობა. სუბიექტური შეუძლებლობისას (ე.წ. „უქონლობისას“³) მოვალეს ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძველით არ შეუძლია ვალდებულების შესრულება, თუმცა, მესამე პირისათვის შესაძლებელი იქნებოდა მოვალის ვალდებულების შესრულება.⁴ სუბიექტურ შეუძლებლობასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მოვალეს შესრულების საგნის შეძენით ან შექმნით შეუძლია საკუთარი შესრულებაუნარიანობის აღდგენა.⁵ სუბიექტურ შეუძლებლობად ასევე, არ ჩაითვლება მოვალის ფინანსური უქონლობა. ფინანსური გადახდისუუნარობა არ ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან.⁶

როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შეუძლებლობისას შეიძლება არსებობდეს ფიზიკური და იურიდიული შეუძლებლობა: ფიზიკურ შეუძლებლობას აქვს ადგილი, როდესაც მოვალეს ბუნებრივი, ფიზიკური მიზეზებიდან გამომდინარე, არ შეუძლია შესრულება.⁷ იურიდიულ შეუძლებლობას საფუძველად სამართლებრივი გარემოებები უდევს.⁸ თუმცა, აღსანიშნავია, რომ იურიდიული შეუძლებლობის დროს შესრულება ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა გახდეს შეუძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება, როგორც მართლსაწინააღმდეგო, ბათილი იქნება.

საწყისი შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობამდე უკვე შეუძლებელია.⁹ შემდგომი შეუძლებლობისას შესრულების შეუძლებლობა ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშობა.¹⁰

შეუძლებლობა შეიძლება ეხებოდეს მოვალის მიერ ნაკისრ მთლიან ვალდებულებას ან მხოლოდ მის ნაწილს. ნაწილობრივ შესრულებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, თუკი შესრულება გაყოფადია.¹¹

დროებით შეუძლებლობაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც შეთანხმებული დროისათვის მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, მას ექნება შესრულების შესაძლებლობა.¹² გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევას ძირითადად, შესრულების ვადის გადაცილებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. თუმცა, შეთანხმებული ვადა შესრულებისათვის შეიძლება იმდენად არსებითი იყოს, რომ შეუძლებელი იყოს აღნიშნული ვალდებულების შემდგომში შესრულება.¹³

ფაქტობრივ შეუძლებლობას მიეკუთვნება იშვიათი შემთხვევები, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი არ არის, მაგრამ მოვალისათვის იმდენად მნიშვნელოვან და მეტწილად გადაუღებავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რომ საღად მოაზროვნე ადამიანი არც კი ცდიდა ვალდებულების შესრულებას.¹⁴

ეკონომიკურ შეუძლებლობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ვალდებულების შესრულება თავისთავად შესაძლებელია, თუმცა, იგი ისეთ სიძნელეებს უქმნის მოვალეს, რომ არ შეიძლება მას მოეთხოვოს შესრულება, რადგან მოვალის მიერ შესრულებისათვის გასაღები მსხვერპლი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ყველანაირ ზღვარს სცილდება.¹⁵

III. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანული სამართლის მიხედვით

1. „ჭეშმარიტი“ შეუძლებლობა

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ყოველთვის ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს. 2002 წელს განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად, შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები შეიცვალა, დაკონკრეტდა და გსკ-ში დღეს არსებული ფორმით ჩამოყალიბდა.

გსკ-ის 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, შესრულების მოთხოვნა გამოირიცხება, თუკი ის მოვალისათვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შეუძლებელია. შეუძლებლობა, გსკ-ის 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, მოიცავს მხოლოდ „ნამდვილ“, „ჭეშმარიტ“ შეუძლებლობას, როდესაც შესრულება თეორიულადაც კი, არ არის შესაძლებელი.¹⁶

275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი მოიცავს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შეუძლებლობას.¹⁷ რეფორმის შემდგომი კანონის ფორმულირების შესაბამისად, მნიშვნელობა აღარ აქვს შესრულების შეუძლებლობას ხელშეკრულების დადების შემდეგ ექნება ადგილი თუ მანამდე. 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი მოიცავს როგორც საწყისი, ისე შემდგომი შეუძლებლობის შემთხვევებს.¹⁸

275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიზნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს შეუძლებლობა მოვალის ბრალით არის გამონვეული თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.¹⁹ მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდება მაშინაც კი, თუ შესრულება მისი განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის გამო გახდა შეუძლებელი.²⁰

მიუხედავად იმისა, რომ 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევად ითვლება, რამდენადაც მოვალე არღვევს ვალდებულებას, თუ არ ასრულებს მას.²¹ ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად ვალდებულების დარღვევის „შედეგზე ორიენტირებული“ ცნება დამკვიდრდა: ვალდებულების დარღვევად ითვლება ნებისმიერი ობიექტური გადახვევა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა წრიდან. ბრალს მხოლოდ მოვალისათვის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხისათვის ენიჭება მნიშვნელობა.²² 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი მოვალეს ათავისუფლებს მხოლოდ პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან,²³ კრედიტორს ვალდებულების დარღვევისათვის გსკ-ით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებები ენიჭება.

2. ფაქტობრივი შეუძლებლობა

„ჭეშმარიტი“ შეუძლებლობის გვერდით გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც შესრულება ფაქტობრივად შესაძლებელია, თუმცა, მოვალისათვის იმდენად რთულია, რომ მისთვის შესრულების მოთხოვნა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, გაუმართლებელია. 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მოვალის უფლებას, უარი თქვას შესრულებაზე, თუ შესრულება მოითხოვს დანახარჯებს, რომლებიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, აშკარა შეუსაბამოა კრედიტორის ინტერესთან შესრულების მიმართ. ვალდებულების შესასრულებლად მოვალის მიერ გასანევი ძალისხმევის განსაზღვრისას, აგრეთვე, გასათვალისწინებელია გამონვეულია თუ არა შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება მოვალის ბრალით.

ფაქტობრივი შეუძლებლობის ტიპურ მაგალითად მიჩნეულია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებით ნაკისრი იყო ბეჭდის გადაცემა, თუმცა, ბეჭედი ხელშეკრულების დადების შემდეგ, კრედიტორისათვის გადაცემამდე, ზღვაში ჩაიძირება. ბეჭდის ზღვაში მოძებნა რომ შეუძლებელი იყოს, ვალდებულება „ჭეშმარიტად“ შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა, ტექნიკის განვითარების პირობებში შესაძლებელია ზღვაში ბეჭდის პოვნა და ამდენად, შესრულება ცალსახად შეუძლებელი არ არის.²⁴

275-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი, მართალია, ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველია, თუმცა, პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, ავტომატურად არ ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან. იგი მოვალეს ანიჭებს უფლებას, უარი თქვას შესრულებაზე.²⁵

ხელშეკრულების ბოჭვის პრინციპის გათვალისწინებით, 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ვინაშინ გასაძირად, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებზე გამოსაყენებელ სპეციალურ ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული.²⁶ როგორც ვეროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები,²⁷ ისე Unidroit-ის პრინციპები²⁸ შეიცავენ მსგავსი შინაარსის ნორმას.²⁹

275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შემთხვევაში, ყურადღება ექცევა შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესს. მოვალის მიერ შესასრულებლად გასაღები დანახარჯები კრედიტორის შესრულების ინტერესს უნდა შედარდეს და არა თვითონ მოვალის ინტერესს, საპირისპირო შესრულების მიმართ.³⁰ სწორედ შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის უპირატესი გათვალისწინების გამო, არ ვრცელდება 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ე.წ. „ეკონომიკური შეუძლებლობის“ შემთხვევებზე.³¹

აშკარა შეუსაბამობას მოვალის მიერ შესრულებისათვის გასაწევ დანახარჯებსა და შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესს შორის მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებით რთულ, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სრულიად აუტანელ ზღვარს აღწევს.³² მოვალე არ გათავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, თუ მის მიერ შესრულებისათვის აუცილებელი დანახარჯების ოდენობა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესი თანაბრად, პროპორციულად იზრდება.³³

ლიტარატურაში საკამათოა მოსაზრება, რა ოდენობის უნდა იყოს მოვალის მიერ გასაწევი დანახარჯები, რომ იგი „აშკარა შეუსაბამობაში“ იყოს კრედიტორის ინტერესთან. ზოგიერთი მეცნიერი მოვალის მიერ გასაწევი დანახარჯების ზღვრად ნასყიდობის ფასს მიიჩნევს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულების შესრულების ქეშმარიტი შეუძლებლობისას უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, ვიდრე ვალდებულების გართულების შემთხვევაში.³⁴ კანონი განსაზღვრავს აშკარა შეუსაბამობის დადგენის სამ კრიტერიუმს: ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, კეთილსინდისიერების პრინციპსა და ვალდებულების შესრულების დაბრკოლების წარმოშობაში მოვალის ბრალს. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის განსაზღვრა, როგორც წესი, ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე ხდება. დგინდება ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ რისკის განაწილების სტრუქტურაც.³⁵

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია გარიგების საგანი – ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთს ეხება ვალდებულება თუ გვაროვნულ ნივთს. რამდენადაც გვაროვნული ნივთების შემთხვევაში, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს, აშკარა შეუსაბამობას გვაროვნულ ნივთებთან დაკავშირებული ვალდებულებების შემთხვევაში, მხოლოდ იშვიათად ექნება ადგილი.³⁶

„აშკარა შეუსაბამობის“ განსაზღვრისას ბრალის კრიტერიუმის გათვალისწინება განპირობებულია მხარეთა სამართლებრივი დაცვის აუცილებლობის თვალსაზრისით. თუ მხარეს ბრალი მიუძღვის ვალდებულების დამაბრკოლებელი გარემოებების წარმოშობაში, მაშინ მისი ინტერესები ნაკლებ სამართლებრივ დაცვას იმსახურებს და შესაბამისად, მის მიერ ვალდებულების შესრულებისადმი წაყენებული მოთხოვნები უფრო მკაცრი იქნება, ვიდრე არაბრალეული მოვალისადმი.³⁷

275-ე პარაგრაფის შეზღუდვა მხოლოდ „აშკარა შეუსაბამობის“ შემთხვევებზე ემსახურება პრინციპს „pacta sunt servanda“ და აღნიშნულიდან გამომდინარე, „აშკარა შეუსაბამობის“ ცნებაც ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტიც, რომ არაბრალეული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელების შემთხვევაში, კრედიტორი ყველანაირი სანაცვლო მოთხოვნის უფლების გარეშე რჩება.³⁸

3. პერსონალურად შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, მოვალეს აქვს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, თუ მოვალემ ვალდებულება პირადად უნდა შეასრულოს და შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებისა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის აწონ-დანონის შედეგად დაუშვებელია მოვალეს შესრულება მოეთხოვოს.

275-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი ვრცელდება მხოლოდ ისეთ ვალდებულებებზე, რომლებიც მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს და რომელთა შესრულებაც მესამე პირთა მხრიდან გამო-რიცხულია. ვალდებულების პირადად შესრულების მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან ან შეიძლება მხარე-ები შეთანხმდნენ, რომ მოვალეს ვალდებულების პირადად შესრულება ევალება.³⁹ აღნიშნული ნორმა ძირითადად, მომსახურებისა და შრომის ხელშეკრულებების საფუძველზე აღმოცენებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება.⁴⁰

პერსონალური შეუძლებლობის ფარგლებში, ფაქტობრივი შეუძლებლობისაგან განსხვავებით, ხდება არამხოლოდ ობიექტური, არამედ მოვალის პირადი გარემოებებისა და ინტერესების გათ-ვალისწინება.

აღნიშნული ნორმით, 275-ე პარაგრაფი მე-2 ნაწილის მსგავსად, მოვალეს მინიჭებული აქვს შესრულებაზე უარის თქმის უფლება და შესრულების ვალდებულება მხოლოდ ამ უფლების განხორციელების შედეგად აღარ იარსებებს.

ფაქტობრივი შეუძლებლობისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, კრედიტორის ინტერესს აღარ ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა.⁴¹ თუ ვალდებულების დამაბრკოლებელი გარემოება იმ აბსოლუტურ ზედა ზღვარს გადააჭარბებს, რომლის იქითაც დაუშვებელია მოვალეს შესრულება მოეთხოვოს, როგორი ინტერესიც არ უნდა ჰქონდეს კრედიტორს შესრულებისადმი, მოვალეს მაინც ექნება შესრულებაზე უარის თქმის უფლება.⁴²

4. სანჯისი შეუძლებლობა

ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად, არსად არ შეცვლილა სამართლებრივი მდგომარეობა ისე მასშტაბურად, როგორც ეს სანჯისი შეუძლებლობის შემთხვევაში მოხდა.⁴³ გსკ-ის შემქმნელები *impossibilium nulla obligatio est* პრინციპიდან გამომდინარე, ბათილად მიიჩნევდნენ შეუძლებელი შესრულებისაკენ მიმართულ გარიგებას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას ოდესმე მაინც უნდა ჰქონოდა საფუძვლად შესრულებადი ვალდებულება. თავიდანვე შეუძლებელი შესრულებისაკენ მიმართუ-ლი ხელშეკრულებისას კრედიტორს არ ჰქონდა დაცვის ღირსი ინტერესი, რადგან მას ევალებო-ბოდა, შეემჩნია შესრულების შეუძლებლობის ფაქტი და ამდენად, არ შეიძლებოდა, ჰქონოდა შესრულების მოლოდინი.⁴⁴ გსკ-ის რეფორმამდელი რედაქციის 306-ე პარაგრაფის თანახმად, ობიექტურად შეუძლებელ შესრულებაზე მიმართული ხელშეკრულება ბათილი იყო. შესაბამისად, კრედიტორს მხოლოდ ნეგატიური ზიანის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. აღნიშნული ნორმა ეხე-ბოდა მხოლოდ სანჯისი ობიექტურ შეუძლებლობას, ხოლო სანჯისი სუბიექტური შეუძლებლობის შემთხვევები საკანონმდებლო მონესრიგების გარეშე იყო დატოვებული. აღნიშნულ ხარვეზს, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მოვალის საგარანტიო პასუხისმგებლობის შემოღებით

ავსებდნენ – ივარაუდებოდა, რომ ვინც ვალდებულების შესრულებას კისრულობს, ამით კონკლუდენტურად იძლევა ვალდებულების შესრულების პერსონალური შესაძლებლობის გარანტიას.⁴⁵

აღნიშნული რეგულირება ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად გაუქმდა. სანყისი შეუძლებლობა განიხილება შემდგომ შეუძლებლობასთან ერთად 275-ე პარაგრაფის ქვეშ.⁴⁶ ახალი 311^ა პარაგრაფის თანახმად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ხელშეკრულების ნამდვილობას არ უქმნის საფრთხეს, თუნდაც იგი ხელშეკრულების დადებამდე იყოს სახეზე. თავისთავად შესაძლებელია სანყისი შეუძლებლობაზე მიმართული ხელშეკრულება სხვა საფუძვლებით, მაგალითად, მართლსაწინააღმდეგობის გამო, იყოს ბათილი.

გერმანულ ლიტერატურაში საკამათოა, რამდენად შეიძლება შეუძლებელ შესრულებაზე მიმართული ხელშეკრულება საცილო გახდეს ნების გამოვლენის შეცდომის გამო. გსკ-ის 119-ე პარაგრაფის თანახმად, პირს, რომელიც ნების გამოვლენისას ცდებოდა მის შინაარსში ან ამ შინაარსით ნების გამოვლენა საერთოდ არ სურდა, შეუძლია საცილო გახადოს ნების გამოვლენა, მაშინ თუ ის საქმის გარემოებათა ცოდნისა და სათანადო შეფასების შემთხვევაში ნებას არ გამოავლენდა. ნების გამოვლენის შინაარსში შეცდომად ითვლება აგრეთვე შეცდომა პირის ან ნივთის ისეთ თვისებაში, რომელიც ბრუნვაში მნიშვნელოვნად არის მიჩნეული.

სანყისი შეუძლებლობისას შესაძლებელია მოხდეს შეცდომა იმ მოტივით, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი დაბრკოლების თაობაზე ინფორმაცია უცნობი იყო და რომ აღნიშნული ბრუნვისათვის მნიშვნელოვანი თვისებაა. შეცდომის უფლების განხორციელება შეიძლება უნდოდეს მხარეს, რომლისთვისაც ხელშეკრულების ძალაში ყოფნა მის წინააღმდეგ მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს.⁴⁷ სანყისი შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმები არსებითად განსხვავდება შეცდომის მომწესრიგებელი ნორმებისაგან: სანყისი შეუძლებლობის შემთხვევაში, მოვალეს შესრულების დამაბკოლებელი გარემოებების არაბრალეული არცოდნა ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, მაშინ როდესაც გერმანული კანონმდებლობა არ იცნობს ნების გამოვლენის ბრალეული და არაბრალეული ნაკლის ცნებას.

მოვალის მიერ კრედიტორის მეორადი მოთხოვნის უფლებებისათვის თავის არიდების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შესახებ კანონის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია ნების გამოვლენის შეცდომაზე მითითების გარიგების საცილობა და მსგავს შემთხვევებში, შეცდომის უფლების გამოყენება უფლების ბოროტად გამოყენებით ქმედებად იქნება მიჩნეული.⁴⁸

5. შესრულების შეუძლებლობის შედეგები

გსკ-ის 275-ე პარაგრაფის თანახმად, შესრულების შეუძლებლობა ან ავტომატურად ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან ან უფლებას ანიჭებს მას, უარი თქვას შესრულებაზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოვალე ყველანაირი ვალდებულებისაგან თავისუფლდება. კრედიტორს მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელება შეუძლია.

ა) შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობით ზიანი მიადგება, მას შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება.⁴⁹

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას საფუძვლად უდევს 280-ე პარაგრაფით გათვალისწინებული იდეა, რომ ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობას მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა წარმოადგენდეს. ნორმა ნეგატიურადაა ფორმულირებული – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, თუ მოვალეს ვალდებულების დარღვევაში ბრალი არ მიუძღვის. ნეგატიური ფორმულირება, ძირითადად, ნიშნავს, რომ ვალდებულების ბრალეული დარღვევის მტკიცების ტვირთი კრედიტორს ეკისრება. თუმცა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოვალეს აწევს, რადგან კრედიტორს არ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზების მტკიცება.⁵⁰

შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იკავებს პირველადი შესრულების ადგილს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების სახეს ყველა შემთხვევაში, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს.

ვალდებულების შეუძლებლობის შემთხვევაში არ არის აუცილებელი მოვალისათვის შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესება, რადგან წინასწარ არის ცნობილი, რომ ვადის დაწესებას მაინც ვერ მოჰყვება სასურველი შედეგი.⁵¹

შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მოთხოვნა პოზიტიური ინტერესის, შესრულებისადმი ინტერესის ანაზღაურებისკენაა მიმართული. შესაბამისად, ანაზღაურებას აგრეთვე, ექვემდებარება მიუღებელი მოგება და ის ზედმეტი ხარჯები, რომლებიც კრედიტორმა შესრულების სხვა გზით მიღებისათვის უნდა გაიღოს.⁵²

ბ) გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაცვლად კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ უშედეგოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მოვალეს აუნაზღაურდება ხარჯები, რომელიც მან ხელშეკრულების დასადავად ან ნივთით შემდგომი სარგებლობისათვის გაიღო. აღნიშნულ ხარჯებს კრედიტორი ვალდებულების შესრულების შემთხვევაშიც გაიღებდა. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯები ვერ იქნება მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელებისას.⁵³ ამასთან, კრედიტორისათვის დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭებით, მას მინიმუმ გაღებული დანახარჯების ანაზღაურების უფლება აქვს გარანტირებული.⁵⁴

დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელება დასაშვებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაცვლად. შესაბამისად, კრედიტორს უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ანუ ადგილი უნდა ჰქონდეს მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეულ დარღვევას.

გ) შესრულების შეუძლებლობის სანაცვლოდ მიღებულის მოთხოვნის უფლება

გსკ-ის 285-ე პარაგრაფის თანახმად, თუ მოვალემ იმ გარემოების შედეგად, რომლის საფუძველზეც შესრულება შეუძლებელია ან მას შესრულებაზე უარის თქმის უფლება ენიჭება, რაიმე მიიღო, კრედიტორს შეუძლია სანაცვლოდ მიღებულის მისთვის გადაცემა მოითხოვოს.

ზიანის ანაზღაურებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების განხორციელების აუცილებელ წინაპირობას მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა წარმოადგენს.

285-ე პარაგრაფი კი, აწესებს ბრალისაგან დამოუკიდებელ სამართლებრივ შედეგს – მოვალემ კრედიტორს უნდა მისცეს შესრულების საგნის სუროგატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.⁵⁵

აღნიშნული უფლება ძირითადად, ვრცელდება სადაზღვევო კომპანიების წინააღმდეგ მოვალის მოთხოვნის უფლებებზე ან სადაზღვევო კომპანიებისაგან შეუძლებელის შესრულების საგნის სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურებაზე, ასევე, მოთხოვნებზე მესამე პირთა მიმართ.⁵⁶

დ) საპასუხო შესრულების ბედი შესრულების შეუძლებლობისას

ორმხრივ ხელშეკრულებებში მოვალისა და კრედიტორის ვალდებულებები ერთმანეთთანაა დაკავშირებული – ერთი მხარე მხოლოდ იმიტომ კისრულობს ვალდებულებას, რადგან მეორე მხარესაც გარკვეული ვალდებულება აკისრია. შესაბამისად, თუ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, კრედიტორსაც აღარ უნდა დაეკისროს საპასუხო შესრულების განხორციელება.⁵⁷

გსკ-ის 326-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, კრედიტორის საპასუხო შესრულების ვალდებულებაც აღარ არსებობს. კრედიტორი საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან ავტომატურად თავისუფლდება.

საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორის გათავისუფლებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, შესრულების შეუძლებლობა მოვალის ბრალით არის გამოწვეული თუ მისგან დამოუკიდებლად.⁵⁸

საპასუხო შესრულების რისკის მატარებელი, როგორც წესი, მოვალეა.⁵⁹ თუმცა, თუ შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება კრედიტორის ბრალით დადგა ან თუ შესრულების შეუძლებლობას ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას, 326-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, მოვალე ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, კრედიტორს აწევს საპასუხო შესრულების რისკი.

326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი კრედიტორს მოვალის მიერ შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ანიჭებს. ამ შემთხვევაში, დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესება აუცილებელი არ არის. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას შეუძლებლობის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, რამდენადაც საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორი ისედაც ავტომატურად თავისუფლდება. ხელშეკრულებიდან გასვლას მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი არ თავისუფლდება საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან ან როდესაც შესრულებისა და საპასუხო შესრულების ვალდებულებები ნაწილობრივ გამოირიცხება. ასევე, მაშინ, როდესაც კრედიტორისათვის უცნობია, რომ მოვალემ ვალდებულება შეუძლებლობის გამო არ შეასრულა.⁶⁰

ე) საწყისი შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები

საწყისი შეუძლებლობისას კრედიტორს შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს ან შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება ან განუელი დანახარჯების ანაზღაურება.

აღნიშნული მოთხოვნის უფლებების წინაპირობები დაახლოებით იგივეა, რაც შემდგომი შეუძლებლობისას. განსხვავება არის მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევის საკითხში. ეს

განპირობებულია იმით, რომ ხელშეკრულების დადებამდე მოვალის ვალდებულებები სხვაგვარია, ვიდრე ხელშეკრულების დადების შემდეგ. მოვალეს ხელშეკრულების დადებამდე ძირითადად, ინფორმირების ვალდებულებები აკისრია, სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოშობის შემდეგ კი, მისი ვალდებულებები უმეტესად ხელშეკრულების საგანზეა მიმართული.⁶¹ შესაბამისად, 311^ა პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მან ხელშეკრულების დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ. შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების არცოდნისას მოვალე პასუხს აგებს როგორც მარტივი, ისე უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.⁶²

ზიანის ანაზღაურების ფარგლები სანყისი და შემდგომი შეუძლებლობისას იდენტურია, ანუ ვრცელდება კრედიტორის პოზიტიურ ინტერესზე.⁶³

IV. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამართალში

1. შესრულების შეუძლებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

ა) სსკ-ის 401-ე მუხლი

კონტინენტური სამართლის სისტემაში ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ ძირითად სახედ განხილული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი ქართულ კანონმდებლობაში ნათლად მონესრიგებული არ არის. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ერთი ნორმა ეთმობა და ისიც ვადის გადაცილების კატეგორიაშია არასრულყოფილად განხილული.⁶⁴ მართალია, სსკ-ის 401-ე მუხლის სათაურია „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა“, თუმცა, რეალურად, აღნიშნული ნორმა მხოლოდ მოვალის მიერ ვადის გადაცილების საკითხს ანესრიგებს და არა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას.

სსკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, „ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“. როგორც ნორმის ფორმულირებიდან ჩანს, იგი ვრცელდება მხოლოდ არაბრალულ შეუძლებლობაზე და იგი მხოლოდ მოვალის მიერ ვადის გადაცილების კონტექსტშია განხილული. 401-ე მუხლის თანახმად, შესრულების შეუძლებლობა მხოლოდ ვადის გადაცილების გამომრიცხავ ფაქტორადაა მიჩნეული, თუმცა, არაფერია ნათქვამი პირველადი შესრულების ვალდებულებაზე.

ბ) სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი

სსკ-ის 405-ე მუხლი ხელშეკრულებაზე უარის თქმის საკითხს არეგულირებს. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის აღნიშნული ნორმა ვრცელდება ყველა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე და შესაბამისად, ნებისმიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის აუცილებელ წინაპირობად შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესებას ან გაფრთხილებას ითვალისწინებს. 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამატებითი ვადის დაწესება არ არის აუცილებელი, თუ ამკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი არ არის დამატებითი ვადის დაწესება, თუ თავად მოვალე ხდის ამკარას, რომ დამატებით ვადაშიც არ შეასრულებს ვალდებულებას. თუმცა, აღნიშნული ნორმის ქვემ

შესაძლებელია, ვიგულისხმობთ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებიც. თუ ვალდებულების საფუძვლად არსებული ნივთი განადგურდა, ცალსახაა, რომ შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება. „შედეგის მიუღწევადობა შეიძლება გამონკვეული იყოს შესრულების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შეუძლებლობით, ვალდებული პირის როგორც ბრალეული, ისე ბრალის გარეშე მოქმედებით.“⁶⁵

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას, დამატებითი ვადის დაწესების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტსაც ეფუძნებოდეს. აღნიშნული ნორმის თანახმად, ვადის დაწესება არ არის აუცილებელი, თუ „განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით“, მხარისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დაუყოვნებლივ მინიჭება გამართლებულია.

„ორმხრივი ინტერესების“ გათვალისწინების მიზანი ვადის დაწესების აუცილებლობის საკითხის გადანყვეტისას, კრედიტორის ინტერესებთან ერთად მოვალის ინტერესების დაცვაა. მოვალის ინტერესი კი, შესრულების შეუძლებლობისას, შესრულების ვალდებულებისაგან მისი გათავისუფლებაა. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას დამატებითი ვადის განსაზღვრა აზრს მოკლებულია კრედიტორისთვისაც და მისი დავალდებულება, დაანესოს შესრულებისათვის დამატებითი ვადა, დამატებით ტვირთს წარმოადგენს.

ის, თუ 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის რომელ ქვეპუნქტს დაეფუძნება დამატებითი ვადის დაწესების გარეშე კრედიტორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, სამართლებრივი შედეგის იდენტიურობის გამო, უმნიშვნელოა.

მართალია, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ანესრიგებენ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას დამატებითი ვადის დაწესების (ან მოვალის გაფრთხილების) საკითხს და მოვალეს დამატებითი შესრულების მოვალეობისაგან ათავისუფლებენ. თუმცა, ეს ნორმები მოვალის პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. თუ კრედიტორს ხელშეკრულებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმის უფლება ენიჭება, მოვალე ფაქტიობრივად შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებული გამოდის. კრედიტორი შესრულების შეუძლებლობისას, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, ყველანაირი ვადის დაწესების ან გაფრთხილების გარეშე ვადის მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების ეტაპზე. თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, როგორც წესი, 405-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კრედიტორი აფრთხილებს მას ან დამატებით ვადას უწესებს შესრულებისათვის – ფაქტობრივად პირველადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნა სწორედ მოვალის გაფრთხილებას ან შესრულებისათვის ვადის დაწესებას გულისხმობს. ხოლო როდესაც მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების უფლება გამოირიცხება, კრედიტორს აღარ აქვს პირველადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, მოვალე თავისუფლდება შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესებისაგან, რაც ზოგადად, იწვევს პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან მის გათავისუფლებას.

გ) შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

შესრულების შეუძლებლობისას ინტერესს იწვევს არამხოლოდ მოვალის პირველადი შესრულების ვალდებულების ბედი, არამედ კრედიტორის მოთხოვნის უფლებები ვალდებულების

შეუსრულებლობის გამო. ქართულ სამოქალაქო სამართალში კრედიტორის მეორადი მოთხოვნის უფლებები მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას უკავშირდება.

„ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს ვალდებულების დარღვევის ერთიანი ცნება.“⁶⁶ ვალდებულების დარღვევის ცალკეული კატეგორიის მომწესრიგებელი ნორმები გაბნეულია ვალდებულებითი სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების დარღვევის ცნების განმარტებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს, მას მეორადი მოთხოვნების განხორციელებისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას ენიჭება. თუ რა ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად, ეს შესრულების მომწესრიგებელი ნორმების ანალიზით შეიძლება დადგინდეს.

სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ მოთხოვნათა განუხრელ დაცვას, რომელიც დაკავშირებულია გარიგების საგანთან.⁶⁷

ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულება გულისხმობს გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოქცევას, კრედიტორის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.⁶⁸

სამოქალაქო კოდექსი აგრეთვე, ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს შესრულების დროსა და ადგილთან დაკავშირებით.

ნებისმიერი ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, შესრულების ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება.⁶⁹ ვალდებულება ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ სრულდება.⁷⁰ ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება ნებისმიერი გადახვევა ვალდებულების პროგრამიდან.⁷¹

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად წარმოადგენს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევას. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ვალდებულების დარღვევად არ განიხილავს. აღნიშნულს ასაბუთებენ 399-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებებით: 399-ე მუხლის პირველი ნაწილი გრძელვადიანი ურთიერთობის ნებისმიერ მონაწილეს უფლებას აძლევს პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე. პატივსადებ საფუძვლად კი ითვლება, როდესაც ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. ვალდებულების არაბრალეულ შეუძლებლობას 399-ე მუხლით გათვალისწინებულ დაუძლეველ ძალად მიიჩნევენ, რის საფუძველზეც მხარეს გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის უფლება ენიჭება.⁷² თუმცა, 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამატებით რეგულირებას ითვალისწინებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი ვალდებულების დარღვევაცაა და ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლას ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ მიიჩნევენ დასაშვებად. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ

ვალდებულების დარღვევის შემთხვევის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამატებით მოწესრიგება მიუთითებს, რომ კოდექსი ვალდებულების არაბრალეულ შეუძლებლობას ვალდებულების დარღვევად არ განიხილავს.⁷³

მართალია, 399-ე მუხლის ბუნდოვანი ფორმულირება კითხვებს ბადებს შესრულების შეუძლებლობის ვალდებულების დარღვევად განხილვისას, თუმცა, აღნიშნული ნორმები არ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით. 399-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზანი რეალურად არ არის პირველი ნაწილისაგან განსხვავებული რეგულირების შემოღება. მისი მიზანი უფრო მეტად მხარის მიერ 399-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებისა და მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების მთავარი ელემენტისათვის – დამატებითი ვადის დაწესებისათვის თავის არიდების პრევენციაა.

როგორც ნესი, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში დაწესებულია ხელშეკრულების მოშლის სპეციალური ვადები და 399-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ხელშეკრულების მოშლისათვის აუცილებელი ვადის დაცვის გარეშე ენიჭება ხელშეკრულების მოშლის უფლება. მაგალითად, სადაც 399-ე მუხლის პირველი ნაწილი ვრცელდება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მოტანილია შემთხვევა, როდესაც ტრაქტორების დამამზადებელ ქარხანას, რომელიც ხანგრძლივი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე იძენს მეორე მხარისაგან ძრავებს, უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მის მიერ დამზადებული ტრაქტორები აღარ იყიდება.⁷⁴ შესაბამისად, 399-ე მუხლის პირველი ნაწილი ძირითადად, უნდა გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ვალდებულების დარღვევას ადგილი არა აქვს, ხოლო ვალდებულების დარღვევისას, მათ შორის, შესრულების შეუძლებლობისას, მეორე ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უნდა მიენიჭოს მხარეს ხელშეკრულების მოშლის უფლება. შესაბამისად, 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა განიმარტოს „მისი აზრისა და მიზნის შესაბამისად ისე, რომ გამოირიცხოს სსკ-ის 399-ე მუხლის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.“⁷⁵

შესრულების შეუძლებლობა არც სასამართლო პრაქტიკაშია ვალდებულების დარღვევად მიჩნეული. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „სამოქალაქო სამართალი (394-ე მუხლის პირველი ნაწილი) ...ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, კანონი პირს ვალდებულების დამრღვევად არ რაცხავს და ათავისუფლებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.“⁷⁶ როგორც აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, სასამართლო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ვალდებულების დარღვევად არ მიიჩნევს, უფრო მეტიც, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად ნარმოჩენილი. სასამართლოს აღნიშნული მტკიცება საფუძველს მოკლებულია. ვინაიდან, მითითებული 394-ე მუხლის პირველი ნაწილი ზიანის ანაზღაურების საკითხებს ეხება და ვალდებულების შეუძლებლობის მომწესრიგებელ ნორმად ქართულ სამოქალაქო სამართალში ვერ გამოდგება. ამასთან, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას, მოვალის არამხოლოდ შესრულების ვალდებულებისაგან, არამედ საერთოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გაუმართლებლად ხელყოფდა კრედიტორის ინტერესებს (განსაკუთრებით ვალდებულების ბრალეული შეუძლებლობის შემთხვევისას) და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, დაუშვებელია.

ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ვალდებულების დარღვევის ცნება ობიექტურად უნდა იქნეს გაგებული, თუმცა შესრულების შეუძლებლობით გამოწვეულ ვალდებულების შეუსრულებლობას ვალდებულების დარღვევად მიიჩნევს მხოლოდ მანამდე, „ვიდრე მოვალე არ დაამტკიცებს, რომ შეუძლებლობის გამოწვევაში მას ბრალი არ მიუძღვის ან მას არ შეეძლო შეუძლებლობის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება.“⁷⁷ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ „ფაქტობრივ შეუძლებლობას ექნება ადგილი ისეთი გარემოების არსებობის დროს, რომლისთვისაც არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს.“⁷⁸ აღნიშნული მოსაზრებები უგულებელყოფენ იმას, რომ შესრულების შეუძლებლობა ობიექტური კატეგორიაა, მდგომარეობაა, როდესაც მოვალე არ არის შესრულებაუნარიანი და ამ მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. ამასთან, თუ ნაკლიანი შესრულება ითვლება ვალდებულების დარღვევად, შესრულების სრულიად განუხორციელებლობა მით უმეტეს ვალდებულების დარღვევად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების მოვალის ბრალით გამოწვევის დროსაც შესრულების შეუძლებლობასთან და შესაბამისად, ვალდებულების დარღვევასთან გვექნება საქმე.

დ) კრედიტორის მეორადი მოთხოვნის უფლებები ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეორადი მოთხოვნის უფლებები კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ენიჭება. ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი 394-ე და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მიმნიჭებელი 405-ე მუხლები აუცილებელ წინაპირობად განიხილავენ ვალდებულების დარღვევას.

იმ მოსაზრების მიმდევრები, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესრულების შეუძლებლობას ვალდებულების დარღვევად არ განიხილავს, მიიჩნევენ, რომ კოდექსით მხოლოდ გრძელვადიანი ურთიერთობებისას და ისიც მხოლოდ არაბრალეული შეუძლებლობის დროს არის სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულების შესაძლებლობა გათვალისწინებული (399-ე მუხლის პირველი ნაწილი). ხოლო ბრალეული შეუძლებლობის შემთხვევაში, „რეგულირების მიღმა რჩება ხელშეკრულების სამართლებრივი ბედის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, ასევე, მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, არა მარტო გრძელვადიან, არამედ მოკლევადიან ურთიერთობებშიც.“⁷⁹

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელება.

405-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ენიჭება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმისას შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესება არ სჭირდება.

რამდენადაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელება კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გარეშეც შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას მისთვის ყოველთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას კრედიტორისათვის მაშინ შეიძლება ჰქონდეს აზრი, თუ მაგალითად, მას ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება მოვალის წინაშე უკვე შესრულებული აქვს და მოვალის

მიერ ვალდებულების შესრულება გახდება შეუძლებელი. ამ შემთხვევაში, კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განეული შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნა ექნება.

ძირითადი მოთხოვნის უფლება, რომელიც კრედიტორს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას აქვს – არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. თუმცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელების აუცილებელ წინაპირობას ვალდებულების ბრალეული დარღვევა წარმოადგენს.

ისევე, როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებისას, დამატებითი ვადის დანესება, 394-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელებისას არის სავალდებულო.

ზიანის ანაზღაურების ფარგლები სსკ-ის 408-415-ე მუხლებით განისაზღვრება. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, გერმანული სამართლის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც კრედიტორის პოზიტიურ ინტერესზე ვრცელდება.

ე) მოვალის საპასუხო შესრულების მიღების უფლება

ორმხრივ ხელშეკრულებებში შესრულების შეუძლებლობისას მნიშვნელოვანია არამხოლოდ მოვალის პირველადი ვალდებულების შესრულების საკითხი, არამედ მის მიერ საპასუხო შესრულების მიღების უფლებაც.

საპასუხო შესრულების მიღების უფლებას ანესრიგებს სსკ-ის 406-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას.“ ამდენად, თუ ვალდებულების შესრულება კრედიტორის განზრახვით ან გაუფრთხილებლობით გახდა შეუძლებელი, მაშინ მოვალეს ექნება მისგან საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება. 406-ე მუხლის უმთავრესი წინაპირობაა მოვალის გათავისუფლება ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. როგორც უკვე აღინიშნა, შესრულების შეუძლებლობისას 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კრედიტორის მოთხოვნის უფლების გამომრიცხავი დებულებების საფუძველზე, მოვალე თავისუფლდება პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან. შესაბამისად, შეუძლებლობის გამომწვევი გარემოებების დადგომაში კრედიტორის ბრალის არსებობისას, მოვალეს ექნება 406-ე მუხლის საფუძველზე, საპასუხო შესრულების მიღების უფლება.

მნიშვნელოვანია 406-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომელიც იმ შემთხვევებს ეხება, როდესაც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოებები კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებისას წარმოიშვა. აღნიშნული ნორმა უკუღმაა ფორმულირებული,⁸⁰ თუმცა, მიზნობრივი და სისტემური განმარტებით შესაძლებელია დადგინდეს, რომ კანონმდებელს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევებისთვისაც, 406-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის დადგომა სურდა. ამას ადასტურებს სსკ-ის 392-ე მუხლიც, რომლის თანახმად, თუ შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა კრედიტორის მიერ ვადის

გადაცილებისას, მაშინ მოვალე მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას აგებს პასუხს. ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალის არაბრალეული შეუძლებლობის რისკი კრედიტორს აწევს.

2. ფაქტობრივი შეუძლებლობის შემთხვევების გადანყვეტის ალტერნატივები

ფაქტობრივი შეუძლებლობის შემთხვევები შესაძლებელია გადანყვეტეს ხელშეკრულების განმარტების, ამ შემთხვევებზე გარიგების რღვევის დოქტრინის გავრცელების ან სსკ-ის 490-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენების გზით.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, თუ ხელშეკრულება განიმარტება მხარეთა სავარაუდო ინტერესის შესაბამისად, არ იქნება აუცილებელი შესრულების გართულების შემთხვევების საკანონმდებლო მოწესრიგება.⁸¹ მართალია, შესაძლებელია ვალდებულების გართულების შემთხვევებისას ხელშეკრულების განმარტების გზით იმის დადგენა, თუ რაზე ვრცელდება მოვალის ვალდებულება და როდემდე ეკისრება მას ვალდებულების შესრულების დაბრკოლების აღმოფხვრის მოვალეობა. თუმცა, ყოველი კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურად, ხელშეკრულების განმარტების გზით გადანყვეტა საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას. ხელშეკრულების მხარეებს ხელშეკრულების დადებისას არ ექნებათ ცალსახა წარმოდგენა ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ამდენად, სამართლებრივი სტაბილურობის მიზნით, უმჯობესია, ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევებში, მოვალის მიერ გასაწევი ძალისხმევის ოდენობა არამხოლოდ ხელშეკრულების განმარტების გზით, არამედ სამართლებრივი ნორმებით განისაზღვრებოდეს.

ვალდებულების შესრულების გართულება ფაქტობრივი შეუძლებლობის გარდა, გარიგების საფუძვლის რღვევის დოქტრინასაც უდევს საფუძვლად. სსკ-ის 398-ე მუხლი აწესრიგებს შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების საკითხს. კერძოდ 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების განუხრელი დაცვა.“

მართალია, სსკ-ის 398-ე მუხლი ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევებს აწესრიგებს და შესაძლებელია, ყველა წინაპირობის არსებობისას გავრცელდეს ე.წ. „ფაქტობრივი შეუძლებლობის“ შემთხვევებზეც, თუმცა, იგი ვალდებულების გართულების ყველა შემთხვევაზე ვერ გავრცელდება. იგი ვრცელდება მხოლოდ მხარეთათვის მოულოდნელი გართულების შემთხვევებზე, რომლებიც მხარეთა ბრალით არ არის გამოწვეული და როდესაც შესრულების გართულებას ხელშეკრულების დადების შემდეგ აქვს ადგილი, თუმცა, ვალდებულების გართულებას შესაძლებელია აღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც ჰქონდეს ადგილი.⁸²

ამდენად, „ფაქტობრივი შეუძლებლობის“ შემთხვევებში, უპირატესად სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა უნდა გადამოწმდეს, ხოლო ამ მუხლის წინაპირობების არარსებობისას მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან 398-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების

საფუძველზე უნდა გათავისუფლდეს, რაც სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით დათქმით უნდა დასაბუთდეს.⁸³

ფაქტობრივი შეუძლებლობის შემთხვევები ასევე, შესაძლებელია სსკ-ის 490-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენების გზითაც მოწესრიგდეს. აღნიშნული ნორმის თანახმად, „გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.“ მსგავსი შინაარსის ნორმას ითვალისწინებს გსკ-ის 439-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი და იგი 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის სპეციალურ შემთხვევად არის მიჩნეული.

თუ სსკ-ის 490-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნაკლის გამოსწორების ფაქტობრივი შეუძლებლობა მოვალეს (გამყიდველს) ათავისუფლებს დამატებითი შესრულების ვალდებულებისაგან, არალოგიკურია მსგავსი წინაპირობების არსებობისას მოვალისთვის პირველადი ვალდებულების შესრულების მოვალეობის დაკისრება. მართალია, 490-ე მუხლი კრედიტორის მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელების საფუძველზე წარმოშობილ მოვალის ვალდებულებას ეხება, თუმცა, ორივე შემთხვევაში მოვალის ვალდებულების შესრულების გართულებასთან გვაქვს საქმე და ის, რომ 490-ე მუხლი ნასყიდობის ხელშეკრულების თავშია მოქცეული და ნაკლიანი შესრულებისას, დამატებითი შესრულების ვალდებულების შეუძლებლობას ეხება, ისეთ არსებით განსხვავებას არ წარმოადგენს, რომ გაუმართლებელი იყოს პირველადი ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევების მოსაწესრიგებლად 490-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენება.

V. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისათვის სპეციალურ რეგულირებას, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები მოწესრიგების გარეშე არ რჩება.

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი, განსაკუთრებით კი მისი „გ“ ქვეპუნქტი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას მოვალის პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული ნორმა დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობის საკითხს ეხება და კრედიტორს დამატებითი შესრულების მოთხოვნის გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს. თუმცა, პირველადი შესრულების მოთხოვნაც რეალურად სხვა არაფერია, თუ არა კრედიტორის მხრიდან მოვალის გაფრთხილება, შეასრულოს ვალდებულება ან შესრულებისათვის ვადის დაწესება. თუ კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილებისა და მისთვის ვადის დაწესების აუცილებლობა გამოირიცხება, მოვალე ფაქტობრივად პირველადი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან გათავისუფლებული აღმოჩნდება.

406-ე მუხლის საფუძველზე რეგულირდება საპასუხო შესრულების საკითხი ვალდებულების შეუძლებლობისას. მოვალეს საპასუხო შესრულების მიღების უფლება მხოლოდ მაშინ უნარჩუნდება, თუ შესრულების შეუძლებლობა კრედიტორის ბრალით იქნა გამოწვეული ან იმ პერიოდში წარმოიშვა, როდესაც კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას.

მოწესრიგების გარეშე არც კრედიტორის უფლებები რჩება. ვალდებულების შეუსრულებლობა, თუნდაც იგი შესრულების შეუძლებლობით იყოს განპირობებული, ვალდებულების დარღვევაა და შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს ანიჭებს.

„ჭეშმარიტი შეუძლებლობის“ შემთხვევების ზემოაღნიშნული სახით მონესრიგებას როგორც მოვალისათვის, ისე კრედიტორისათვის სამართლიან შედეგებამდე მივყავართ.

არც ფაქტობრივი შეუძლებლობის შემთხვევების გადაწყვეტაა შეუძლებელი მოქმედი სამართლის ნორმების საფუძველზე. შესრულების გართულების შემთხვევები შესაძლებელია მონესრიგდეს როგორც ხელშეკრულების განმარტების, ისე 398-ე მუხლის ფართოდ განმარტების ან სულაც ანალოგიით გამოყენების გზით. დასაშვები და გამართლებულია 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგიით გამოყენებაც. თუმცა ის, რომ არსებული ნორმების საფუძველზე შესაძლებელია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა თუ გართულების შემთხვევების მოსაწესრიგებლად გამოსავლის პოვნა, არ ნიშნავს, რომ მათი სრულყოფა არ არის აუცილებელი. გარკვეული ნორმების ანალოგიით გამოყენების აუცილებლობა უკვე მიუთითებს კანონმდებლობის ხარვეზებზე. უმჯობესი იქნება, თუ შესრულების უკიდურესი გართულების შემთხვევებს დამოუკიდებელი რეგულირება დაეთმობა. აგრეთვე მიზანშეწონილია, შესრულების შეუძლებლობისას მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების დამოუკიდებელი საფუძვლის არსებობაც, რაც უფრო ნათელს გახდიდა საპასუხო შესრულების ბედსა და კრედიტორის მიერ მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების შესაძლებლობას.

შენიშვნები:

- ¹ ბესარიონ ზოიძე, „ეკონომიკური კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში“, თბილისი, 2005, გვ. 286.
- ² Canaris, Claus-Wilhelm – “Zur Bedeutung der Kategorie der “Unmöglichkeit” für das Recht der Leistungsstörungen”, *gamoqveynebulia: „Die Schuldrechtsreform vor dem Hintergrund des Gemeinschaftsrechts“*, Schulze/ Schulte-Nölke (Hrsg.), Tübingen, 2001, S. 49.
- ³ “Unvermögen”
- ⁴ Hütte, Felix/Helbron, Marlena/Wenzel, Henning – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 1. Aufl., Grasberg bei Bremen, 2003, S. 143; Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30. Aufl., München, 2004, S. 205, Rdnr 3 4.
- ⁵ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 207, Rdnr 7.
- ⁶ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004., S. 207, Rdnr 8.
- ⁷ Medicus, Dieter – Schuldrecht I. Allgemeiner Teil, 14. Aufl., München, 2003, S. 183, Rdnr. 366.
- ⁸ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 143.
- ⁹ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 207, Rdnr. 10.
- ¹⁰ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 208, Rdnr. 12; Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 143.
- ¹¹ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 208, Rdnr. 13.
- ¹² Arnold, Arnd – “Die vorübergehende Unmöglichkeit nach der Schuldrechtsreform”, *JZ* 2002, 866, 866.
- ¹³ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 206, Rdnr 6.
- ¹⁴ Medicus – Schuldrecht I, 2003, S. 184, Rdnr. 369.
- ¹⁵ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 292, Rdnr 17.
- ¹⁶ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 206, Rdnr. 3.
- ¹⁷ Musielak, Hans-Joachim – Grundkurs BGB, 10. Aufl., München, 2007, S. 201, Rdnr. 395.
- ¹⁸ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 207, Rdnr. 10.
- ¹⁹ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 209, Rdnr. 15.
- ²⁰ Canaris, Claus-Wilhelm – „Die Reform des Rechts der Leistungsstörungen“, *JZ* 2001, 499, 500.
- ²¹ Wieser, Eberhard – „Eine Revolution des Schuldrechts“, *NJW* 2001, 121, 122.
- ²² Lorenz, Stephan – “Schuldrechtsreform 2002: Problemschwerpunkte drei Jahre danach”, *NJW* 2005, 1889, 1890.
- ²³ Lorenz, Stephan – “Grundwissen – Zivilrecht: Was ist eine Pflichtverletzung (§280 I BGB)?”, *JuS* 2007, 213, 214.
- ²⁴ Rösler, Hannes – „Grundfälle zur Störung der Geschäftsgrundlage“, *JuS* 2004, 1058, 1060.
- ²⁵ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 210, Rdnr. 18; Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, S. 338, Rdnr. 26.
- ²⁶ Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, S. 338, Rdnr. 27; Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 210, Rdnr. 19.
- ²⁷ Art. 9: 102 II lit b.
- ²⁸ Art. 7.2.2 lit b.
- ²⁹ Heinrichs – in: Palandt, “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, S. 338, Rdnr. 26.
- ³⁰ Musielak – Grundkurs BGB, 2007, S. 205, Rdnr. 399.
- ³¹ Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, S. 338, Rdnr. 27.
- ³² Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 153.
- ³³ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 153.
- ³⁴ Canaris, Claus-Wilhelm – „Die Behandlung nicht zu vertretender Leistungshindernisse nach §275 Abs. 2 beim Stückkauf“, *JZ* 2004, 215, 218.
- ³⁵ Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, S. 338, Rdnr. 28.
- ³⁶ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 154.
- ³⁷ Schwarze, Roland – “Unmöglichkeit, Unvermögen und ähnliche Leistungshindernisse in neuen Leistungsstörungenrecht”, *Jura* 2002, 73, 77.
- ³⁸ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 154.
- ³⁹ Musielak – Grundkurs BGB, 2007, S. 210, Rdnr. 405.
- ⁴⁰ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 212, Rdnr. 22.
- ⁴¹ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 157.
- ⁴² Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 157.
- ⁴³ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, S. 193, Rdnr. 390c.
- ⁴⁴ Schwarze – “Unmöglichkeit, Unvermögen und ähnliche Leistungshindernisse in neuen Leistungsstörungenrecht”, *Jura* 2/2002, 73, 74.

- ⁴⁵ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, S. 193, Rdnr. 390c.
- ⁴⁶ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 143.
- ⁴⁷ Musielak – Grundkurs BGB, 2007, S. 225, Rdnr. 434.
- ⁴⁸ Musielak – Grundkurs BGB, 2007, S. 225, Rdnr. 434.
- ⁴⁹ Musielak – Grundkurs BGB, 2007, S. 210, Rdnr. 406.
- ⁵⁰ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, S. 189-190, Rdnr. 385.
- ⁵¹ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, S. 190, Rdnr. 386.
- ⁵² Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 223, Rdnr. 57.
- ⁵³ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 228, Rdnr. 71.
- ⁵⁴ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, S. 191, Rdnr. 388.
- ⁵⁵ Schwarze – “Unmöglichkeit, Unvermögen und ähnliche Leistungshindernisse in neuen Leistungsstörungsrecht”, Jura 2002, 73, 83.
- ⁵⁶ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, S. 192, Rdnr. 390.
- ⁵⁷ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 214, Rdnr. 30.
- ⁵⁸ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 160.
- ⁵⁹ Hütte/Helbron/Wenzel – “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, S. 160.
- ⁶⁰ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 214, Rdnr. 30.
- ⁶¹ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 227, Rdnr. 67.
- ⁶² Musielak – Grundkurs BGB, 2007, S. 225, Rdnr. 436.
- ⁶³ Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 2004, S. 227, Rdnr. 70.
- ⁶⁴ ნათია ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი №2, თბილისი, 2011, გვ. 167.
- ⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, ზურაბ ახვლედიანი, ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია, სერგო ჯორბენაძე, (რედ.), თბილისი, 2002, გვ. 439.
- ⁶⁶ ნათია ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, №2, 2011, გვ. 167.
- ⁶⁷ სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, გვ. 267-268.
- ⁶⁸ სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, გვ. 270.
- ⁶⁹ სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, გვ. 364.
- ⁷⁰ ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 55.
- ⁷¹ გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 38.
- ⁷² ნათია ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, №2, 2011, გვ. 169.
- ⁷³ ნათია ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, №2, 2011, გვ. 170.
- ⁷⁴ სსკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, გვ. 411.
- ⁷⁵ სოფიო ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, გვ. 77.
- ⁷⁶ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2010, საქმე №ას-953-1232-09; გვ. 117 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/03-2010.pdf>)
- ⁷⁷ გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 38.
- ⁷⁸ მზია თოდუა, ჰუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 39.
- ⁷⁹ ნათია ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, №2, 2011, გვ. 170.
- ⁸⁰ გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 107.
- ⁸¹ Picker, Eduard – “Schuldrechtsreform und Privatautonomie”, JZ 2003, 1035, 1036.
- ⁸² გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 223-224.
- ⁸³ გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 109.

IMPOSSIBILITY TO FULFILL OBLIGATIONS UNDER GERMAN AND GEORGIAN CIVIL LAW

ANA MAISURADZE

Ludwig Maximilian University of Munich, L.L.M.

Civil code of Georgia does not include the norms that regulate impossibility of fulfilling the obligations. Meanwhile, in the civil code of German Federation, the institute of impossibility of fulfilling the obligations, especially after the reform of obligations law, is comprehensively regulated. As per German Civil Code, in case of impossibility to fulfill the obligations, the debtor is released from the liability and the code provides special norms that define rights and obligations of the creditor and debtor. In Georgian civil law, legal consequences of the impossibility to fulfill the obligations are quite unclear. Only one norm – article 401 of the Civil Code of Georgia (hereafter “CCG”) is dedicated to the impossibility to fulfill the obligations and it mainly regulates the issue of outstanding obligations by the debtor. Neither the Georgian legal literature provides a holistic approach regarding recognition of the impossibility to fulfill the liability as violation of such liability. Therefore, it is important to find solutions for the cases of impossibility to fulfill the obligations on the basis of current Georgian legislation and to establish the necessity for legislative amendments.

The article discusses the concept of impossibility to fulfill the obligations and its types; the institute of impossibility to fulfill the obligations under German civil law is described; the article also provides ways to resolve the cases of impossibility to fulfill the obligations and cases of extreme difficulty under the Georgian law.

It is true that legal consequences of the impossibility to fulfill the obligations are not independently regulated by Georgian Civil Code, though current legislation does not leave these issues unattended. Non-fulfillment of obligations, even if it is non-culpable impossibility, represents violation of the liability and therefore, it relates to the consequences under Georgian Civil Code: in presence of relevant preconditions, creditor is entitled to reject the agreement and demand compensation of the loss incurred as a result of non-fulfillment of obligations; on the basis of the analysis of existing norms it is possible to determine the fate of counter-fulfillment. The cases of “factual fulfillment” are also regulated; these cases can be resolved on the basis of broad interpretation of article 398 of CCG or by use of article 490, part 3 as the analog.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა

იან ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა
და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის პროფესორი

ქეთევან კვინიკაძე

იურისტი

**„ციფრები კი არ მართავენ სამყაროს,
არამედ ცხადყოფენ, თუ როგორ მართავენ მას“.**

გოეთე

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება. საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საბაჟო ორგანოების¹ ერთ-ერთი ფუნქციაა საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება, რომელიც ეკონომიკური სტატისტიკის სფეროს მიეკუთვნება და მიზნად ისახავს ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების შესახებ მონაცემების შეკრებას, დამუშავებასა და ანალიზს. მისი ამოცანებია: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და მმართველობის სხვა სახელმწიფო ორგანოების უზრუნველყოფა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით; სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების, აგრეთვე, ქვეყნის საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსების გაანგარიშების ინფორმაციული უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტში საგარეო ვაჭრობიდან საბაჟო გადასახდელების შემოსვლაზე კონტროლი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წესები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში, კანონში „სტატისტიკის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №916 (2009 წ. 30 დეკემბერი), „ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტში ზედმე-

ტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობების თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“, ფინანსთა მინისტრის №993 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (2010 წლის 31 დეკემბერი) „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ძირითადი ამოცანები მოცემულია საქართველოს კანონში „სტატისტიკის შესახებ“. კერძოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, ანალიზი და განზოგადება. სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; სახელმწიფო ორგანოებში სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებისა და მოსახლეობის ინფორმირება.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი, ბრუნვაში მყოფი სავალუტო ფასეულობების გარდა, რომელთა შემოტანა-გატანა ადიდებს ან ამცირებს ქვეყნის მატერიალურ რესურსებს.

საქართველოს საბაჟო სტატისტიკის მიზნებს წარმოადგენს: საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სრულყოფილი და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველყოფა; საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი; საბაჟო პოლიტიკისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების სფეროში საქართველოს საკანონმდებლო აქტების მომზადების, აგრეთვე, სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების ინფორმაციული უზრუნველყოფა; საქართველოში შიდა ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი; სავალუტო კონტროლის განხორციელება; სავაჭრო და საგადასახადო ბალანსის შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა.

აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საბაჟო სტატისტიკა ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის საერთო აღრიცხვის სისტემის საფუძველზე და იგი ახორციელებს შემოტანილი და გატანილი საქონლის აღრიცხვას. ამ დროს სტატისტიკის ტერიტორიის საზღვარს **საქართველოს სახელმწიფო საზღვარი** წარმოადგენს. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სპეციალური სისტემის დროს სტატისტიკური ტერიტორიის საზღვარია **საბაჟო საზღვარი**.

საბაჟო სტატისტიკა საბაჟო ურთიერთობათა საგნიდან გამომდინარე, ორი სახისაა: **საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკა**. ორივე სახის სტატისტიკის არსებობის მატერიალური საფუძველია შესაბამისი საბაჟო დოკუმენტების ანალიზი (მაგალითად, საბაჟო დეკლარაცია,² თანმხლები დოკუმენტები, საბაჟო ორგანოს მიერ შექმნილი სხვა დოკუმენტები).³ სტატისტიკის თემა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა იქნება.

მაინც რა საქონელი აღრიცხება საბაჟო სტატისტიკით? საბაჟო სტატისტიკით აღრიცხება საქონელთა შემდეგი კატეგორიები: **საქონლის იმპორტი:** საქონელი, რომელიც შემოტანილია თავისუფალი ბრუნვისათვის; რეიმპორტირებული საქონელი;⁴ საქონელი, რომელიც შემოტანილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადაამუშავების შემდეგ; საქონელი, რომელიც შემოტანილია საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაამუშავებისათვის; საქონელი, რომელიც შემოტანილია საქართველოს სახელმწიფო თავისუფალ საბაჟო ზონებსა და თავისუფალ საწყობებში; საქონელი, რომელიც შემოტანილია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში და სხვ.

საქართველოს ექსპორტი: საქონელი, რომელიც გატანილია ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით; თავისუფალი მიმოქცევისათვის სახელმწიფოში შემოტანილი საქონელი, რომელიც

შემდგომში საქართველოდან გაიტანება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად; საქონელი, რომელიც გატანილია საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად; საქონელი, რომელიც გატანილია საქართველოს საზღვრებს გარეთ თავისუფალი საბაჟო ზონებიდან და თავისუფალი სანაოსნობებიდან; უცხოური და საქართველოში წარმოებული საქონელი, რომელიც გატანილია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებიდან; საქონელი, რომელიც გატანილია უსასყიდლოდ, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების სახით და სხვ. „საქონლის აღრიცხვის საერთო“ სისტემა არ მოიცავს სასაქონლო ოპერაციებში გაფორმებულ შემდეგ საქონელთა კატეგორიებს: საქონელს, რომელიც ტრანზიტით გაიტანება; საქონელი, რომელიც სანაოსნობის რეჟიმშია მოქცეული; დროებით შემოტანილი (გატანილი) საქონელი, ერთი ან მეტი წლით იჯარით გაცემულის გარდა; უცხოური საქონელი, რომელიც განადგურებულია საქართველოს ტერიტორიაზე; გასატანი საქონელი, რომელზეც პირმა უარი თქვა სახელმწიფოს სასარგებლოდ, აგრეთვე განადგურებული საქონელი.

„საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ანალიზს ახორციელებს სხვადასხვა საგარეო ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით. კერძოდ, აქ იგულისხმება ექსპორტისა და იმპორტის შემდეგი ძირითადი სტატისტიკური ფაქტორები: ა) საქონლის სახეობა; ბ) საქონლის საბაჟო ღირებულება; გ) საქონლის ფიზიკური რაოდენობა; დ) ექსპორტიორი ქვეყანა; ე) იმპორტიორი ქვეყანა. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ოპერირებს სწორედ ამ ფაქტორებზე კონკრეტული და გლობალური სტატისტიკური სურათის შესაქმნელად. ნებისმიერ ქვეყანას საგარეო სავაჭრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან. შესაბამისად, საბაჟო ორგანო ახდენს ზემოაღნიშნული ფაქტორების კომბინირებულ ან განცალკევებულ ანალიზს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით.“⁵

საქართველოში ამჟამად ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე მონაცემების შეკრება, დამუშავება და გადაცემა წარმოებს ორრგოლიანი სისტემით (რეგიონული საგადასახადო ორგანოების და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით).

საგარეო ვაჭრობის ღირებულებითი ბალანსის დადგენის დროს გამოყენებულ უნდა იყოს შესაბამისი საბაჟო სტატისტიკის საქონელთა აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგია და ამ ასპექტით, როგორც მიღებულია, გამოიყენება საქონელთა ფასები საერთაშორისო კომერციული ტერმინების („ინკოტერმს-2000“)⁶ მიხედვით. კონკრეტულად, საქონლის იმპორტი აღირიცხება CIF⁷ ფასებით, ხოლო ექსპორტი – FOB⁸ ფასებით. მიუხედავად იმისა, რომ მიწოდების ორივე პირობა საზღვაო (სანაოსნო) ტრანსპორტისათვის არის განკუთვნილი, ისინი სტატისტიკური აღრიცხვის კონტექსტში ასახავენ ნებისმიერი ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო ღირებულების შესაბამის სტრუქტურას საქონლის საბაჟო საზღვრის (ეკონომიკური ტერიტორიის) გადაკვეთის მომენტისათვის.

საქართველოში საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტი აღირიცხება ე.წ. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის საერთო სისტემით. ამ შემთხვევაში, აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი (ბრუნვაში მყოფი სავალუტო ფასეულობების გარდა), რომლის გატანა ან შემოტანა ამცირებს ან ზრდის ქვეყნის მატერიალურ რესურსებს. კონკრეტულად, საერთო სისტემით აღრიცხული იმპორტი მოიცავს ქვეყანაში შემოტანილი (მათ შორის, სანაოსნობაში, თავისუფალ ზონებში და ღია ნავსადგურებში) უცხოური საქონლის მთლიან მოცულობას, მიუხედავად მისი შემდგომი დანიშნულებისა – მოიხმარება ქვეყნის შიგნით, თუ გათვალისწინებულია შემდგომი რეექსპორტისათვის.

აღსანიშნავია, რომ საერთო სისტემით აღრიცხულ ექსპორტს განეკუთვნება სამამულო წარმოების საქონლის, ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი უცხოური საქონლის (აღრე შიდა მოხმარებისათვის დეკლარირებული), სანყობებსა და თავისუფალ ზონებში მყოფი საქონლის, საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაამუშავების შემდეგ, საქონლის საზღვარგარეთ გატანა.

ამრიგად, აღრიცხვის საერთო სისტემაში აისახება ქვეყანაში შემოტანილი (იმპორტი) და ქვეყნიდან გატანილი (ექსპორტი) ყველა საქონელი, მიუხედავად მისი წარმოშობისა და დანიშნულებისა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა წარმოებს საგადასახადო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტებისა თუ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციების საფუძველზე. საბაჟო სტატისტიკის წარმოება ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საბაჟო სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობას როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის საწყისი მონაცემების წყაროს ინფორმაცია წარმოადგენს, რომელსაც შეიცავს საქონლის გაფორმების დროს დეკლარანტის მიერ შევსებული სატვირთო დეკლარაცია, რომელიც არის დოკუმენტი, რომლის გარეშეც ქვეყნის საზღვარზე საქონლის გადაადგილება არ დაიშვება. საქართველოში საქონლის საზღვარზე გადაადგილების დეკლარაცია ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გადატანა ხორციელდება საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტით. მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით საქონლის (ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) ტრანსპორტირების შემთხვევაში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პირველადი წყაროა ცნობები, რომლებსაც შეიცავენ მილსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების საზღვრო პუნქტებზე საქონლის მიღება-ჩაბარების აქტები.

ინსტრუქციის „საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ (№993, 2010წ.) თანახმად, სატვირთო დეკლარაციის კომპლექტი შედგება 4 აკინძული ფურცლისაგან. იგი ივსება საქონლის ან ქონების ყოველ პარტიაზე, რომელიც შედგება ერთი დასახელების საქონლისაგან, ხოლო თუ პარტია მოიცავს რამდენიმე დასახელების საქონელს ან ქონებას, გამოიყენება დამატებითი ფურცლები, რომელთაგან თითოეული მათგანი იძლევა კოდევ 3 დასახელების საქონლის ან ქონების დეკლარირების შესაძლებლობას. ერთ დეკლარაციაში შეიძლება გაცხადებული იყოს მონაცემები 100 დასახელების საქონელს ან ქონებაზე. შევნიშნავთ, რომ დეკლარაციის შევსების პროცედურები საკმაოდ რთულია, რამეთუ საბოლოოდ, დეკლარანტმა უნდა შეავსოს დახლოებით 50 გრაფა, თანაც აკურატულად და გარკვევით. არ უნდა იყოს ნაშლილი და გადასწორებული ადგილები.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის გამოიყენება დეკლარაციაში არსებული შემდეგი მაჩვენებლები: საანგარიშო პერიოდი; საქონლის ნაკადის მიმართულება (შემოტანა ან გატანა); წარმოშობის ქვეყანა შემოტანის დროს; დანიშნულების ქვეყანა გატანის დროს; სტატისტიკური ღირებულება; საქონლის დასახელება; კოდი; ნეტო და ბრუტო წონა; რაოდენობა დამატებითი განზომილების შესაბამისად; გარიგების ხასიათი და სხვ.

როგორ ხდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოება? აღსანიშნავია, რომ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოება არის საგარეო სავაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგუ-

ლირების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ასევე, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში.¹⁰

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვა წარმოებს ნატურალურ და ლირებულეზიტით გამოსახულებაში. ნატურალური (რაოდენობრივი) აღრიცხვა უფრო ზუსტად ასახავს საერთაშორისო საქონელბრუნვის მოცულობას. რაოდენობრივი აღრიცხვის მონაცემებს იყენებენ საგარეო ვაჭრობის ტვირთების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების დაგეგმვისათვის. მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში მყოფი საქონლის დიდი ნაწილი იზომება წონით ერთეულებში: ტონებში, ცენტნერებში, კილოგრამებში, ინგლისურ ფუნტებში. საქართველოში საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვისას განზომილების ძირითადი ერთეულია კილოგრამი, ამასთან, აღრიცხვა წარმოებს ბრუტო ან ნეტო წონებში.¹¹

განზომილების წონით ერთეულთან ერთად რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება საქონლის ცალკეული სახეობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ზომის ერთეულებიც, მაგალითად, ლიტრი, ცალი, წყვილი, კვ. მ., კუბ. მ. და სხვ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის რეკომენდაციით, საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება ნეტო წონა, რამდენადაც იგი უფრო მოხერხებულია ეკონომიკური ანალიზის დროს და სხვადასხვა ქვეყნების მიერ მიწოდებული ერთგვაროვანი საქონლის შედარებისას.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ლირებულეზიტით შეფასება საბაჟო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში გარიგებები ხორციელდება სხვადასხვა პირობებით და ამის მიხედვით გაყიდული (ნაყიდი) საქონლის ფასი შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ერთსა და იმავე საქონელს მისი ყიდვის ადგილას ექნეს სხვა ფასი, გაგზავნის ნავსადგურში – სხვა (უფრო მაღალი), ხოლო მიღების ნავსადგურში კიდევ უფრო მაღალი ფასი, რადგან მწარმოებელიდან მომხმარებელამდე მოძრაობის პერიოდში საქონლის ლირებულეზიტით იზრდება ტრანსპორტირების, დაზღვევისა და სხვა დამატებითი ხარჯების გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპორტირებული საქონლის აღრიცხვა წარმოებს „ფობ“, ანუ ფრანკო-საზღვაო ფასებით, ხოლო იმპორტირებული საქონლის – „სიფ, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვაო ფასებით. „ფობ“ ფასი გულისხმობს, რომ გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით მიაწოდოს საქონელი გემის ბორტზე, ტრიუმებში ჩალაგების გარეშე. ტრიუმებში ჩალაგება გემის დაფრახტვის მიღებული ნორმებით ხორციელდება გემთმფობელის ხარჯზე და შეიტანება ფრახტის ლირებულეზიტში. „სიფ“ ფასი მოიცავს „ფობ“ ფასს პლუს გაგზავნის ნავსადგურიდან დანიშნულების ნავსადგურამდე ტრანსპორტირებისა და ტვირთის დაზღვევის ხარჯებს. სახმელეთო გადაზიდვების დროს გამოიყენება ფასი – ფრანკო-საზღვაო, რომელშიც შედის საქონლის საზღვრამდე მიტანისათვის (ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე, როგორც ეს კონტრაქტშია) და დაზღვევის ხარჯები ამ საზღვრამდე მიტანისას.

საქართველოში მოქმედი წესის მიხედვით, საქონლის ექსპორტი-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვა ლირებულეზიტით გამოსახულებაში წარმოებს როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე ამერიკულ დოლარებში.

საქართველოს შემოსავლების სამსახური ამუშავებს და ამზადებს განზოგადებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ქვეყნის საგარეო ვაჭ-

რობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციები, განისაზღვროს მისი გეოგრაფიული და დარგობრივი სტრუქტურები, გაკეთდეს ამ სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზი, საერთაშორისო ორგანიზაციების თხოვნით მომზადდეს მათთვის საჭირო ინფორმაცია. პერიოდული სტატისტიკური ინფორმაციები მზადდება მაჩვენებელთა პროგრამით, რომელიც შეესაბამება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებს დინამიკაში მთლიანად და ცალკეული ქვეყნების, ქვეყნების ჯგუფების, საქონელთა ჯგუფების, სასაქონლო პოზიციების – „ქვეყანა-საქონელი“ და „საქონელი-ქვეყანა“ მიხედვით, აგრეთვე ცალკეული საგადასახადო ორგანოების ჭრილში.

სტატისტიკის კომპიუტერული სისტემა შემოსავლების სამსახურის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელიც 1998-1999 წელს შეიქმნა, როდესაც მსოფლიო ბანკის დახმარებით საბაჟოზე სპეციალური პროგრამა ხორციელდებოდა და ამ სამსახურის რეორგანიზაცია ხდებოდა. დღეს უკვე გვაქვს თანამედროვე ტექნიკით, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი თანამედროვე პორტალები, სასაზღვრო-გამტარი პუნქტები, შექმნილია ქვეყნის მასშტაბით ერთიანი კომპიუტერული ქსელი, სადაც სერვისი უმაღლეს დონეზეა, საქონლის საბაჟო საზღვარზე გადამტან პირებს უმოკლეს ვადაში შეუძლიათ გააფორმონ საქონელი და განათავსონ შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში.

საბაჟო კომპიუტერულ სისტემას საფუძვლად დაედო კომპიუტერული პროგრამა „ასიკუდა“ (ASYCUDA), რომელიც ძირითადად, განვითარებადი ქვეყნებისათვის შექმნილ პროგრამას წარმოადგენდა, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაიწყო.

საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული პროგრამა რამდენიმე დონეს მოცავს. პირველი დონე, პირველი მიმართულების შესტ-ების დამუშავებაა. შიდა საბაჟო ტრანსპორტის (შსტ) ფორმა წარმოადგენს საქართველოს საზღვარს შიგნით საგადასახადო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების გადაადგილებისათვის აუცილებელი სატვირთო-სასაქონლო დეკლარაციის დამზადებელი სატრანსპორტო საგადასახადო დოკუმენტს, რომლის მოქმედების არეალი მოიცავს საქართველოს მთელს სატრანსპორტო ქსელს. იგი მიზნად ისახავს საქართველოს საზღვრებს შიგნით მოძრავ ტვირთებზე კონტროლის გაძლიერებას მათზე სრული მანიპულირების ჩატარების მიზნით. **მეორე დონე**, ფიზიკური პირების დეკლარაციების გადაგზავნა, ერთიან ცენტრში მოქცევა და დამუშავება. **მესამე დონე** არის თვითონ სასაქონლო დეკლარაციების კონტროლი, გადაგზავნა და მათი დამუშავება.

ბუნებრივია წარმოიშობა კითხვა: მაინც რა არის „ასიკუდა“ (ASYCUDA)? პროგრამა „ასიკუდა“ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან, ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული პროცესების მართვის კომპიუტერული სისტემაა და ამ პროცესებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამა საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების სტანდარტებს და კოდებს ემყარება. გარკვეული ხარვეზებით ეროვნულ კრიტერიუმებს ესადაგება.

თავის დროზე ბატონი ემზარ ჯგერენაია თავის წიგნში „საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები“ ავითარებდა აზრს, რომ „თუ არ მოხდა საბაჟოს ტექნიკური გადაიარაღება, კომპიუტერული ტექნიკის დანერგვა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავტომატიზაცია სრულად განხორციელდეს, შეუძლებელი გახდება ამ პროგრამის ამუშავება. უფრო მეტიც, ეს პროგრამა იმდენად მოძველებული და მსოფლიოში არაპოპულარულია, რომ ქვეყანა „ასიკუდა“-ს ბოლომდე

დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში დანებდება თუ მას შესაბამისი ტექნიკური დახმარება მოჰყვება“.¹² დღეს ამ სტრიქონების დანერგის შემდეგ, ბუნებრივია, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა შემოსავლების სამსახურში და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გადაიარაღდა სასაზღვრე-გამშვები პუნქტები თანამედროვე ტექნიკით, რაც საქონლის უსწრაფესად და ეფექტიანად გაფორმებას უწყობს ხელს, მაგრამ ჯერ კიდევ, ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ კუთხით.

ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის სტატისტიკა. განუვითარებელი საერთაშორისო კავშირები ქვეყნისათვის უდიდესი ზიანის მომტანია: უამისოდ სტაგნაციას განიცდის მისი ეკონომიკა, აღარ ვითარდება კულტურა, ფერხდება დემოკრატიის განვითარება და სხვ. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, საერთაშორისო საქონლის მოძრაობაში ჩვენს ქვეყანას ძალიან რთულ პირობებში მოუხდა საქმიანობა. საბჭოურმა სისტემამ ძალზედ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოწინავე ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვაზე. ამის გამო დღესაც, გარკვეული პრობლემები შეიმჩნევა თანამედროვე სტანტარტებს მისადაგებული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაში, ამის გამოცაა, რომ ქვეყანაში იზრდება იმპორტის მოცულობები, რომელსაც ჯერჯერობით ფეხს ვერ უწყობს ექსპორტის განვითარება. ამასთან, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ექსპორტიდან შემოსავლები ყველა ქვეყანაში იმპორტზე განუელი ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა, ამას კი, საქართველოში საექსპორტო შემოსავლების სიმწირე აფერხებს. მაგალითად, თუ პოლონეთში ერთ სულ მცხოვრებზე დაახლოებით 750 დოლარის საექსპორტო შემოსავალი მოდის, საქართველოში ეს ციფრი დაახლოებით ორმოცდაათსაც ვერ აღწევს, ანუ თხუთმეტჯერ ნაკლებია. ამის შედეგად წარმოიშვა საგადამხდელი (ძირითადად, საგარეო ვაჭრობის) ბალანსის უარყოფითი სალდო, რაც ძალზედ მძიმედ აწვება ქვეყნის ეკონომიკას, აფერხებს მის წინსვლას, საფრთხეს უქმნის ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარეს და სხვ. კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას ის ფაქტიც, რომ შემოტანილ იმპორტში არ სჭარბობს ნედლეული, მასალები, ტექნოლოგიები, მოწყობილობები და სხვა ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეროვნული დარგების განვითარებას. **ჩვენი აზრით, დადებითი სალდო რომ მოვიპოვოთ საგარეო ვაჭრობაში, გავზარდოთ ექსპორტის მოცულობა და სხვ. საგადამხდელი ბალანსის დარეგულირების ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, საგადასახადო ტარიფების დარეგულირება, იმპორტის რაციონალიზაცია და სხვა.**

თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის არსებით პრობლემას **ფინანსური სახსრების დეფიციტი** წარმოადგენს. ნებისმიერი მათგანისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური კაპიტალის მოზიდვას ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციიდან გამომდინარე.

მიგვაჩნია, რომ უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის მთავარია არა რეფორმების მიმდინარეობის ტემპი და მათი მიმართულება, არამედ პოლიტიკური სტაბილურობა, კაპიტალის ზრდა და მისი ნაწილის ქვეყნიდან გატანის გარანტია, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება. ვფიქრობთ, რომ დღევანდელ ეტაპზე გარკვეული შეღავათები უნდა დაწესდეს უცხოელი ინვესტორებისათვის და ამის პირობები არსებობს ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღებით

საქართველოს სახელმწიფო გარკვეულ საშელავათო ოაზისს ჰპირდება ინვესტორებს, ათავისუფლებს გარკვეული ვადით საგადასახადო ვალდებულებებისაგან, რითაც ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და სხვ. მენარმეები, რომლებიც თავისუფალ ტურისტულ ზონაში აშენებენ სასტუმროებს, თავისუფლდებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით, ასევე, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებებისაგან; ინვესტორს ასევე, შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ თანხად, 1 ლარად და სხვა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვის სტრუქტურა ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობის დიდი დისპროპორციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით იგი საკმაოდ მნიშვნელოვნად შემცირდა, მასში წამყვანი ადგილი მაინც იმპორტს უკავია.

მიუხედავად იმისა, რომ სასიკეთო ცვლილებები ხორციელდება საქართველოში წარმოებული საქონლითა თუ ნედლეულით ექსპორტისას. საქონელთა ცალკეული ჯგუფებიდან ყველაზე დიდი მოცულობით გაიზარდა შავი ლითონების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, თხილის და სხვათა იმპორტი. მიგვაჩნია, რომ საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები ჯერჯერობით მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წამყვანი ადგილი რამდენიმე დასახელების საქონელს უკავია. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტები სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ 100-ზე მეტი ქვეყნის პარტნიორებთან, მათ შორის, ორმხრივს (ექსპორტის და იმპორტის) – 60-ზე მეტი ქვეყნის პარტნიორთან. საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია: ექსპორტის დარგში: უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, გერმანია თურქმენეთი, იტალია, აშშ და სხვ.

ბოლო დროს არსებითი ცვლილება განიცადა საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურამ. მთლიანად გადასახდელებში საგრძნობლად გაიზარდა აქციზის გადასახადის ხვედრითი წილი. ჩვენი აზრით, მწვავედ უნდა დადგეს იმპორტში დაუბეგრავი საქონლის შემცირების საკითხი. ასევე, უმნიშვნელოვანესია იმპორტის შიდა დაბეგვრის რეგულირების პრობლემა.

აქვე გვინდა ერთი შენიშვნა თუ სურვილი გამოვთქვათ იმასთან დაკავშირებით, რომ გათვალისწინებულ იქნეს „ხელჩანთის“ ბიზნესი სტატისტიკურ აღრიცხვაში, რადგან საქართველოდან ყოველწლიურად გადის და შემოდის დაახლოებით ერთ მილიონ ადამიანზე მეტი, თუ არ ჩავთვლით ტურისტულ სეზონს, როცა შემომსვლელი და გამსვლელი ადამიანების რაოდენობა იზრდება და ბუნებრივია, მათ მიერ შემოტანილი და გატანილი ხელჩანთების რაოდენობაც იზრდება. მათ შეუძლიათ მილიონობით ღირებულების საქონლის შემოტანა-გატანა ალურიცხვად და აღნიშნულით მგზავრთა ნახევარმაც რომ ისარგებლოს, ალბათ ძნელი გასათვლელი არ იქნება რა ზარალი მიადგება ქვეყნის ბიუჯეტს, ამდენად უნდა დაჩქარდეს მოქალაქეთა დეკლარაციების შემოღება.

სასიკეთო ძვრები ხდება ქვეყნის საგარეო სავაჭრო პარტნიორების ზრდის მხრივ. გაიზარდა ევროპის კავშირის ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, განსაკუთრებით ექსპორტის თვალსაზრისით. ევროკავშირი ვაჭრობის სფეროში საქართველოს ანიჭებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს. სასიკეთო ძვრებია აშშ თან თავისუფალი ვაჭრობის თვალსაზრისითაც,

რომელიც კიდევ უფრო დაახლოებს საქართველოს აშშ-თან არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ყველა სფეროში, რამეთუ ვაჭრობის ენა მსოფლიო ენაა!”

ექსპორტის ხელშეწყობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განეწიანება წარმოადგენს. საქართველოს პროდუქცია და მომსახურება იღებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან.

საქართველომ შეიძინა მსოფლიო-ისტორიული ფუნქცია – გახდეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საკვანძო ქვეყანა, მისი ფორპოსტი. დღევანდელი საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიოში, სახელმწიფო, რომელიც აღიარებულია ღირსეულ პარტნიორად.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დღეს, საგადასახადო ორგანოების (თუმცა, ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს ნორმატიულ აქტებში, მაგალითად, როგორცაა: სისხლის სამართლის კოდექსი (მ. 214 და სხვ.), ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სხვა ნორმატიულ აქტებში, ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №993 ბრძანებაში (2010 წლის 31 დეკემბერი) „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ და სხვა ინსტრუქციებით „საბაჟო ორგანოების შესახებ“, რამეთუ საქართველოს კონსტიტუციით (მ. 3) დეფინირებულია ტერმინი „საბაჟო“, ხოლო ახალმა 2011 წლის საგადასახადო კოდექსმა სიტყვა „საბაჟოს“ ნაცვლად შემოგვთავაზა ტერმინი – „საგადასახადო“, რაც ვფიქრობთ, ეწინააღმდეგება თვით უზენაეს კანონს – კონსტიტუციას და მეორეც, საქართველო, რომელიც მრავალი საბაჟო შეთანხმებისა თუ საბაჟო კონვენციების მონაწილე იყო და არის, ტერმინ „საბაჟოს“ ამოღება კოდექსიდან ნაჩქარევი იყო და მისასაღმებელია, რომ დღეს უკვე ზემოთ ჩამოთვლილ აქტებში ისევ გაჩნდა ტერმინი „საბაჟო“. მით უმეტეს, რომ არსებობს ევროგაერთიანების, ევროკავშირის საბაჟო კოდექსები, 1973 წლის კიოტოს კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ და სხვა. საგადასახადო კოდექსში სიტყვა „საბაჟო“ არ უნდა გამქრალიყო, ან თუნდაც არსებულიყო საგადასახადო-საბაჟო კოდექსი, იქნებ ვცდებით, მაგრამ მოსაზრების ჩამოყალიბების უფლებას ვიტყვებით.
- ² 2011 წლის საგადასახადო კოდექსით, სასაქონლო დეკლარაცია
- ³ გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009, გვ. 309.
- ⁴ ეს ტერმინი არსებობდა ადრე მოქმედ საბაჟო კოდექსში, დღეს მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსი და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებას ეხებიან, ამ ტერმინს უკვე აღარ იცნობენ, თუმცა, სიტყვათმარებაში მას ვიყენებთ, როცა საუბარია გატანილი საქონლის უკან შემოტანაზე, დაბრუნებაზე.
- ⁵ გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009, გვ. 309-310.
- ⁶ **Incoterms (International Commercial Terms)**, ქართულად: საერთაშორისო სავაჭრო ტერმინები) არის საერთაშორისო ვაჭრობაში აღიარებული მთელი რიგი ტერმინებისა, რომლებიც ფაქტობრივად, სავაჭრო ტრადიციებისა და პრაქტიკის საფუძველზე შეიქმნა. საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების, ანუ, როგორც მას სახელშეკრულებო პრაქტიკაში შემოკლებით უწოდებენ, „ინკოტერმს“-ის ტერმინები ემსახურება მოახდინოს საერთაშორისო ნასყიდობისა და გადაზიდვების ხელშეკრულებათა ძირითადი პირობების ჰარმონიზება.
- ⁷ **CIF (cost, insurance, Freight)** ხარჯები, დაზღვევა და ფრახტი. მოცემული ტერმინის შემთხვევაში, გამყიდველს ეკისრება იგივე ვალდებულებები, რაც **CFR (cost and freight)** ტერმინის შემთხვევაში, პლუს საზღვაო დაზღვევის უზრუნველყოფა – მყიდველის მიერ საქონლის ტრანსპორტირების პერიოდში ტვირთის შემთხვევით დაღუპვის ან განადგურების შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია. ამ შემთხვევაში იგი უზრუნველყოფს დაზღვევას მინიმალური დაფარვით. მოცემული ტერმინი გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და შიდასახმელეთო სანყლოსნო გადაზიდვების შემთხვევაში.
- ⁸ **FOB (free on board)** – გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როდესაც საქონელი გადაკვეთს გემის ბორტს დასახელებული ჩატვირთვის პორტში. ამ მომენტიდან ტვირთის შემთხვევის დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მყიდველს. გარდა ამისა, **CFR** გულისხმობს გამყიდველის მიერ საქონლის ექსპორტისათვის მომზადებას. მოცემული ტერმინი გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და შიდასახმელეთო სანყლოსნო გადაზიდვების შემთხვევაში.
- ⁹ ერთდროულად დეკლარაციას შეიძლება თან ერთვოდეს 33 დამატებითი ფურცელი. დანერ. იხ.: ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011; ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 484-488; გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია, გვ. 23, 309 313; კ. ს. სანდროვსკი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, კიევი, 2001 (რუსულ ენაზე).
- ¹⁰ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში განსაზღვრულია საქონლის გატანის (ექსპორტი) და შემოტანის (იმპორტი) აღრიცხვის მომენტი. საბაჟო სტატისტიკური მონაცემების პირველწყაროს სატივით-საბაჟო დეკლარაცია წარმოადგენს, აღრიცხვის მომენტის განსაზღვრაც დაკავშირებულია ამ დოკუმენტის გაფორმებასთან.
- ¹¹ ბრუტო წონა საქონლის წონაა ტარასთან ერთად, ნეტო წონა სუფთა წონაა შიდა და გარე ტარის გარეშე. ამასთან, შიდა საფუთავი, რომელშიც უშუალოდ იმყოფება საქონელი და რომლითაც მიენოდება მომხმარებელს, შედის ნეტო წონაში.
- ¹² იხ.: ე. ჯგერენაია, საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002.

CUSTOMS STATISTICS OF FOREIGN TRADE

IA KHARAZI

*Sokhumi State University, faculty of law and Davit Aghmashenebeli University
of Georgia, school of law, Professor*

KETEVAN KVINIKADZE


Lawyer

Georgian customs statistics have been developed on the basis of the common registration system of foreign trade and it keeps record of incoming and outgoing goods. For this purpose the boundary of statistic territory is the state border of Georgia. In case of special system for foreign trade registration, the boundary of statistic territory is customs border.

Customs statistics is of two types, depending on the subject of customs relations: customs statistics of foreign trade and special customs statistics. Material basis for both types of statistics is the analysis of relevant customs documents (e.g. customs declaration, attached documents, other documents generated by customs body).

Foreign trade statistics conducts the analysis in consideration of different foreign-economic factors. In particular, it includes the following basic statistical factors of export and import. Cost assessment of foreign trade turnover is one of the most important issues of customs statistics. In foreign trade practice, transactions are made with different conditions and therefore, the prices for sold (purchased) goods may differ. For instance, one and the same item may have “X” price at location of purchase, “Y” price at shipping port (higher price), and even higher price at the port of destination, as during the movement from the producer to the consumer the price increases because of transportation, insurance and other additional costs.

For almost all post-soviet states, the essential problem is a deficiency of financial means. For any of the states, attraction of foreign investments and creation of a legislative framework, which contributes to attraction of foreign capital because of the economic and political stability, is very important.



We believe that for the inflow of foreign investments the pace of reforms and their direction are not key points; key points are political stability, growth of capital, guaranty for the exit of its part outside of the country, improvement of legislative framework, and development of infrastructure. We consider that at current stage, certain privileges must be established for foreign investors and our country has all the resources for it. Recently, fundamental changes were made to the structure of budget incomes. In total taxes, the ratio of excise tax has increased significantly. We believe that the issue of reducing duty-free goods in import must be prioritized. Another very important issue is the problem of regulating internal taxation of import.

We would also like to make one remark or express the wish to include a “handbag” business into statistical record, as around one million people travel in and out of Georgia annually; and if we consider the season of tourism, the numbers of incoming and outgoing people increase and naturally, number of incoming and outgoing handbags also increase; thus, people bring in and take out unregistered goods for millions and if such advantage is used by at least half, it’s easy the calculate the losses incurred by the state budget. Therefore, it is important that the citizen declarations are introduced as soon as possible.

ტურისტული მომსახურების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება

შორენა ბაბიჩვაძე
სამართლის დოქტორი

ტურიზმი ეკონომიკურად მომგებიან საქმიანობად ითვლება. ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას მრავალი სახელმწიფო ესწრაფვის, რაც დიდი ხანია გასცდა ერთი სახელმწიფოს გეოგრაფიულ საზღვრებს და საერთაშორისო ხასიათი მიიღო.¹ საქართველოში ტურიზმის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული ტრადიციები და სხვა ღირებულებები ხელს უწყობს ტურისტული პროდუქტის შექმნას, ტურისტული ინტერესის ზრდასა და ქვეყანაში ტურისტების შემოდინებას. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ტურისტული პროდუქტის ქვეშ მოიაზრება ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთეების ერთობლიობა, ტურისტული მოგზაურობის პროცესში ამ მოგზაურობით გამოწვეული ტურისტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.² „ტურისტული პროდუქტის ფორმირება ხდება მისი გაყიდვისა და შესაბამისად, მოგების მიღების მიზნით, ამიტომ ფორმირებისას გასათვალისწინებელია მისი რეალიზაციის თავისებურებები.“³ ამდენად, ტურისტების სიმრავლე და შესაბამისად, მისაღები ფინანსური მოგება მათი მომსახურების მრავალფეროვნებაზე, ხარისხზე და ურთიერთობის სწორ სამართლებრივ რეგულირებაზეა დამოკიდებული.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და სამართლებრივი რეგულირების მიზნით, საქართველოში მოქმედებს ორი ძირითადი კანონი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი⁴ და „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი.⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი⁶ იცნობს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებას (ქვეტიტული II, პარ. 651ა-651ბ). რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს სპეციალური კანონი „ტურისტული საქმიანობის საფუძვლების შესახებ“.⁷

ტურისტული მომსახურების ეფექტიანი რეგულირების სამართლებრივი მექანიზმი მხოლოდ საკანონმდებლო ნორმების არსებობას არ გულისხმობს. ტურისტული მომსახურების ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მარეგულირებელი წყარო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებაა. სწორედ, რომ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება გამოხატავს მოგზაურობის სახეს, იმიჯს, პროფესიონალიზმსა და კლიენტთან დამოკიდებულებას.⁸ ამიტომ, აუცილებელია ხელშეკრულება სამართლებრივად სწორად იყოს შედგენილი. იგი უნდა პასუხობდეს არამხოლოდ ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელ სამართლის ნორმებს, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ არსებულ კანონმდებლობასაც, რადგან განსახილველ ურთიერთობაში ტურისტი იმავდროულად წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის მომხმარებელს. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დადების შემთხვევებს ხშირად ვხვდებით საქართველოს ყოველდღიურობაშიც.

ტურისტული მომსახურების, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ სამართლის ნორმებს დათმობილი აქვს საქართველოს სკ-ის კერძო ნაწილის მე-11 თავი (სახელშეკრულებო სამართალი), რომელიც მოიცავს 657–667-ე მუხლებს. ნიშანდობლივია, რომ მე-11 თავი სათაურდება როგორც „ტურისტული მომსახურება“, ხოლო მასში შემავალი 657 ე მუხლი (ცნება) პირველ ნაწილში განმარტავს ტურიზმის ხელშეკრულებას, რაც თავისთავად არასწორია. მოცემული ნორმის თანახმად, „ტურიზმის ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწყობი (ტურისტული საწარმო) მოვალეა გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება. ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება განეული მომსახურებისათვის“. აღნიშნული განმარტება პასუხობს კონკრეტულად არა ტურიზმის, არამედ ტურისტული მომსახურების განმარტებას, რამდენადაც ტურიზმის⁹ შინაარსი არის მოგზაურობა დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნესის მიზნებით. ნებისმიერი სახის ტურიზმის განვითარება ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დადების წინაპირობაა. გერმანიის სკ-ი შინაარსობრივად იმავე განმარტებას გვთავაზობს, თუმცა, საქართველოს სკ-გან განსხვავებით, მას სწორად უწოდებს ტურისტულ მომსახურებას (პარ. 651ა). ამდენად, საქართველოს სკ-ის მე-11 თავის სათაური და 657-ე მუხლის (ცნება) პირველი ნაწილი ერთმანეთს არ შეესაბამება. უმჯობესი იქნება, საქართველოს სკ ის 657-ე მუხლის (ცნება) პირველ ნაწილში მოვიხსენიოთ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება¹⁰ ტურიზმის ხელშეკრულების ნაცვლად, რისთვისაც საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება.

ტურისტული მომსახურება კონსენსუალური, ვადიანი და ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობაა. ხელშეკრულების უდავო მხარე ერთი მხრივ, ტურისტია,¹¹ ხოლო მეორე მხრივ, მოგზაურობის მომწყობი (ტურისტული საწარმო). ტურისტი ყოველთვის ფიზიკური პირია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ტურისტული პროდუქტის მომხმარებელია და მისი უფლებები ზოგადად, დაცულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით. რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, დღეისათვის არ არსებობს,¹² თუ არ ჩავთვლით ცალკეულ

სახელმწიფოებთან გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებს. მოგზაურობის მომწყობი შეიძლება იყოს მხოლოდ სამენარმეო მიზნებით მოქმედი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელიმე სუბიექტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უშვებს ტურისტულ მომსახურებაში მესამე პირის მონაწილეობის შესაძლებლობას, რასაც გერმანიის სკ-ი ხელშეკრულების გადაცემას უწოდებს (პარ. 651ბ). ე.წ. მესამე პირის მონაწილეობა არ მიუთითებს ხელშეკრულების მრავალმხრივობაზე. აღნიშნული არ ნიშნავს არც მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებას, რამდენადაც ტურისტის¹³ მოთხოვნის საფუძველზე და მოგზაურობის დაწყებამდე შესაძლებელი ხდება მისი პიროვნების სხვისით ჩანაცვლება, რისთვისაც აუცილებელია მოგზაურობის მომწყობის თანხმობა მიუხედავად იმისა, რომ ნორმაში სიტყვები „მოგზაურობის მომწყობის თანხმობით“ ან მათი ანალოგი არ წერია. თანხმობის აუცილებლობა გამომდინარეობს იმ წესიდან, რომელიც მოგზაურობის მომწყობს უფლებას აძლევს გააპროტესტოს (უარი განაცხადოს) მესამე პირის მონაწილეობა, თუ იგი არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს. აღნიშნულთან კავშირში და ნორმათა მრავალი მსგავსების ფონზე, საინტერესოა, საქართველოს სკ-ის 658-ე მუხლის მეორე ნაწილისა და გერმანიის სკ-ის პარ. 651ბ-ის მეორე ნაწილის შედარება. საქართველოს სკ-ის მიხედვით, „მოგზაურობის მომწყობს შეუძლია მოსთხოვოს ტურისტს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია“. გერმანიის სკ-ის თანახმად კი, „თუ მესამე პირი შემოდის ხელშეკრულებაში, მაშინ ის და ტურისტი ტურისტული მომსახურების ფასისა და მესამე პირის შემოსვლით გამოწვეული დამატებითი ხარჯებისათვის მოგზაურობის ორგანიზატორის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები“. როგორც ჩანს, მესამე პირის მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა ქართველმა კანონმდებელმა სრულად დააკისრა ტურისტს – მესამე პირს, ხოლო გერმანელმა კანონმდებელმა ასეთი პასუხისმგებლობა გაუნაწილა თავდაპირველ და ჩანაცვლებულ სუბიექტებს სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვით, რაშიც ცხადად იკვეთება მოგზაურობის მომწყობის ინტერესების დაცვა.

საქართველოს სკ-ის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების დადების ფორმის საკითხის პირდაპირ განუსაზღვრელობა, რამაც შედეგების საფუძვლის წარმოშობისას შესაძლოა მხარეებს პრაქტიკული სირთულე შეუქმნას. ზეპირი ფორმით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, პრაქტიკული სირთულე შეიძლება გამოვლინდეს ხელშეკრულების ან მისი პირობ(ებ)ის არსებობის მტკიცების პროცესში, რა დროსაც მხოლოდ მოწმეთა ჩვენება საკმარისი ვერ იქნება და დამატებითი მტკიცებულებ(ებ)ის წარდგენა აუცილებლობა გახდება.¹⁴ საქართველოს სკ პირდაპირ არაფერს ამბობს ხელშეკრულების დადების ფორმის თაობაზე, მაგრამ ნორმათა ანალიზით ირკვევა, რომ ხელშეკრულება წერილობით უნდა დაიდოს, რაც არ გამოორიცხავს ხელშეკრულების დადების ზეპირ ფორმასაც. გერმანიის სკ ამ საკითხში უფრო მეტად კატეგორიულია, რამეთუ იმპერატიულად მიუთითებს, რომ მოგზაურობის ორგანიზატორმა ხელშეკრულების დადებისთანავე ან დაუყოვნებლივ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ტურისტს უნდა გადასცეს ტურისტული მოგზაურობის დამადასტურებელი დოკუმენტი. რუსეთის ფედერაციაში „ტურისტული საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ რფ-ის კანონი პირდაპირ მოითხოვს ხელშეკრულების წერილობით ფორმას (მუხლი 10). უმჯობესი იქნება ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება პრაქტიკული სირთულეების თავიდან აცილებისა და უპირველესად, ტურისტების, როგორც მომხმარებლების ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით წერილობით გაფორმდეს და ამას იმპერატი-

ულად ითხოვდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. წერილობითი ფორმა თვით მხარეებისთვისაც უფრო მისაღები იქნება.

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების იურიდიული ბუნება სასყიდლიანია, რაც საქართველოს სკ-ის 657-ე მუხლში მოცემული განმარტების თანახმად, ტურისტის მიერ შეპირებული ანაზღაურების გადახდით გამოიხატება. ამავე კოდექსის 661-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია „ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას...“ სასურველია, 657-ე მუხლში სიტყვა „შეპირებული“ შეიცვალოს სიტყვით „შეთანხმებული“ თუნდაც ტერმინთა ერთგვაროვნებისთვის და იმიტომაც, რომ მოცემული ურთიერთობა სახელშეკრულებო ხასიათისაა, რაც გულისხმობს საზღაურის ოდენობასა და გადახდის წესზე, როგორც არსებით პირობაზე ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების შეთანხმებას და არა შეპირებას. მით უმეტეს, რომ საქართველოს სკ-ის 651-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული განმარტების მიხედვით, ხელშემკვრელი მხარე – მოგზაურობის მომწყობი მოვალეა ტურისტს გაუწიოს შეთანხმებული და არა შეპირებული მომსახურება.

ტურისტული მომსახურების ურთიერთობაში ძირითადი პრინციპი უხარვეზო მომსახურებაა, რაც საქართველოს სკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, მოგზაურობის მომწყობის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებას გულისხმობს. ხარვეზად ჩაითვლება ისეთი ნაკლი, რომელიც გარკვეულწილად აუფასურებს ან ამცირებს მოგზაურობის მნიშვნელობას ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. ტურისტის მიზანია მოგზაურობით მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს ინტერესი, ხოლო მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია ტურისტს უხარვეზო მომსახურება შესთავაზოს. უხარვეზო მომსახურებაზე დამოკიდებული მოგზაურობის მომწყობის ფინანსური მოგება და ზოგადად, ტურიზმის განვითარება. ფინანსური მოგების (აგრეთვე, ტურისტული მომსახურების საზღაურის) ოდენობა დამოკიდებულია მომსახურების კომპონენტებზე (მგზავრობა, კვება, სასტუმრო, გასეირნება და ა. შ., რასაც გერმანიის სკ პაკეტს უწოდებს) და მომსახურების ხარისხზე, მის შეთანხმებისამებრ შესრულებაზე. ბუნებრივია, რომ ყოველთვის ვერ მოხდება უხარვეზო მომსახურების განევა, ანუ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ხარვეზს, როგორც ხელშეკრულების პირობის დარღვევას. მაგალითად, ტურისტული პაკეტის რომელიმე კომპონენტის გაუთვალისწინებლობა ან დაბალი ხარისხით შესრულება. ამ შემთხვევაში, როგორც საქართველოს სკ, ისე გერმანიის სკ (პარ. 651გ) ტურისტს უფლებას აძლევს მოითხოვოს გონივრულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა, რაც მოგზაურობის მომწყობის მიერ სწრაფი რეაგირებით უნდა იქნეს აღმოფხვრილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხარვეზის აღმოფხვრა შეუსაბამოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლის ნორმა ტურისტს უფლებას ანიჭებს თავად აღმოფხვრას ხარვეზი, თუკი ამის ინტერესი აქვს და განეული აუცილებელი ხარჯის ანაზღაურება მოსთხოვოს მოგზაურობის მომწყობს. ხარვეზიანი მოგზაურობის შემთხვევაში, სასყიდლის ოდენობა ასევე, უკავშირდება ხარვეზის არსებობის პერიოდს. აღნიშნული პერიოდის გათვალისწინებით პროპორციულად მცირდება მომსახურების ღირებულება. ამ შემთხვევაში, ქართველი კანონმდებელი ტურისტს ავალდებულებს მოგზაურობის მომწყობისათვის ხარვეზის არსებობის შეტყობინებას, რისი ბრალეული შეუსრულებლობა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს სკ-ის 657¹-ე და 657²-ე მუხლები შეეხება მოგზაურობის მომწყობის მიერ ტურისტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია

ინფორმაციის მიწოდებისას კეთილსინდისიერი იყოს. ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წერილობით ან ტურისტისათვის მისაღები სხვა ფორმით, რაც შეიძლება ელექტრონული ფორმაც იყოს. კანონმდებლის მიერ დაწვრილებითი ინფორმაციის განსაზღვრა და მოგზაურობის მომწყობის მიერ ტურისტისათვის მიწოდების ვალდებულება ტურისტის ინტერესების დაცვას ემსახურება, რაც მოგზაურობის მომწყობისათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სრულად ანდობს ხელშეკრულების მხარეებს სახელშეკრულებო არსებითი და დანარჩენი პირობების განსაზღვრას და მათზე შეთანხმებას, რაც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს პასუხობს. თუმცა, როგორც საქართველოს სკ, ისე გერმანიის სკ მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები ტურისტისათვის საზიანო არ უნდა იყოს. იმავეს ვერ ვიტყვით რფ-ში „ტურისტული საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონზე, რომელიც მე-10 მუხლში პირდაპირ გვთავაზობს ხელშეკრულების არსებითი პირობებისა და ხელშეკრულებაში არსებითი ხასიათის ცვლილებების ჩამონათვალს, როგორც მხარეთა მიერ ხელშეკრულების შედგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელს.

2006 წლის 28 აპრილის №2946 საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს სკ-ის 661-ე მუხლს დამატა მეხუთე ნაწილი, რაც პირდაპირ კავშირშია ამავე კოდექსის 657³-ე მუხლის მეორე ნაწილთან. 657³-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: „...იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, იძულებულია გამგზავრებამდე მნიშვნელოვნად შეცვალოს ხელშეკრულების არსებითი პირობები, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ტურისტს, რათა მან მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი პირობებით მიღების თაობაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს მოგზაურობის მომწყობს“. 661-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით: თუ ტურისტი 657³-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წყვეტს ხელშეკრულებას, პაკეტი უქმდება და ასეთ შემთხვევაში, მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია ტურისტს შესთავაზოს თავდაპირველი პაკეტის ეკვივალენტური ან უკეთესი ხარისხის ახალი პაკეტი, როცა ეს შესაძლებელია ან აუნაზღაუროს ფასში განსხვავება, თუ შეთავაზებული ახალი პაკეტი დაბალი ხარისხისაა ან დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა.

გარდა იმისა, რომ მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზით შესაძლებელია ტურისტის მხრიდან უარი ხელშეკრულებაზე, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება შესაძლებელია სხვადასხვა საფუძვლით ვადამდე შეწყდეს. მოგზაურობის მნიშვნელობის გაუფასურების ან შემცირების გამომწვევი ხარვეზის არსებობისას, თუ ტურისტი საპატიო მიზეზით, რის შესახებაც იცის მოგზაურობის მომწყობმა, მოგზაურობაში მონაწილეობას ვერ შეძლებს ან თუ მოგზაურობის მომწყობი ტურისტის მიერ ხარვეზის შეტყობინებისას დადგენილ ვადაში არ აღმოფხვრის ხარვეზს, ტურისტი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. შედეგად, მოგზაურობის მომწყობს ეკარგება შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლება გარდა უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურების ანაზღაურებისა. ამასთან, თუ მას ხელშეკრულებით ევალება ტურისტის უკან მიყვანა, ვალდებულია საკუთარი ხარჯით მიიყვანოს იგი მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტისა და შესაძლო დამატებითი ხარჯისა. არც საქართველოს სკ და არც გერმანიის სკ არ განმარტავს რა შეიძლება იგულისხმებოდეს უკან მიყვანაში. სავარაუდოდ, საუბარია იმ პუნქტში დაბრუნებაზე, რომელზეც მხარეები თავიდანვე ან დაბრუნების

დროისათვის შეთანხმდებიან. იქნება ეს ტურისტის სახლი, მოგზაურობის მომწყობის ოფისი, მოგზაურობის დაწყების პუნქტი თუ სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ არაერთი მუხლის მსგავსად, საქართველოს სკ-ის 662-ე მუხლის შინაარსი გადმოტანილია გერმანიის სკ-დან, კერძოდ, პარ. 651ვ, სადაც საუბარია ზიანის ანაზღაურების შესახებ. როგორც წესი, მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა – შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი შედეგი.¹⁵ გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობის საფუძველად შეიძლება დაიდოს ორ ჯგუფად იყოფა: გარემოებები, რომლებზეც პასუხს აგებს მოგზაურობის მომწყობი და რომლებზეც პასუხს არ აგებს. მოგზაურობის მომწყობის ბრალით გამოწვეული მოგზაურობის ხარვეზის შედეგად დამდგარი ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას ტურისტის მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნა შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში. ამავდროულად, ტურისტი ინარჩუნებს ტურისტული მომსახურების ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. გარდა ამისა, ჩაშლილი ან არაჯეროვნად ორგანიზებული მოგზაურობის შემთხვევაში, ტურისტი უფლებამოსილია მოითხოვოს შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

ტურისტული მოგზაურობისა და შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს დაუძლეველი ძალა, რაშიც მოგზაურობის მომწყობის ბრალი ცხადია, გამორიცხულია. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლოა როგორც ტურისტის, ისე მოგზაურობის მომწყობის ინიციატივით. რაც შეეხება ტურისტული მომსახურების ანაზღაურებასა და სხვა ხარჯებს, მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას გარდა დაუძლეველი ძალის წარმოშობამდე განეული უხარვეზო მომსახურებისათვის. დამატებითი ხარჯის განევა კი, ეკისრება ტურისტს, გარდა უკან მიყვანის ხარჯისა, რა დროსაც დამატებითი ხარჯი თანაბრად ნაწილდება მხარეებს შორის.

მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს. ამ საკითხშიც ერთგვაროვანი რეგულირებაა მოცემული საქართველოს სკ-სა და გერმანიის სკ-ში. პასუხისმგებლობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ტურისტთან შეთანხმებით, მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით. ამასთან, ზიანი არ უნდა იყოს მოგზაურობის მომწყობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული. ასევე, მოგზაურობის მომწყობი ერთპიროვნულად, მთლიანად არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ტურისტული მომსახურების მარეგულირებელი სამართლებრივი მექანიზმები. მათ მოქნილობასა და ეფექტიანობაზე ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული მწირი სასამართლო პრაქტიკაც მიუთითებს, თუმცა, უფრო სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის სასურველია, ზემოაღნიშნულ მსჯელობაში განხილულ სამართლის ნორმებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

შენიშვნები:

- 1 1974 წელს, მადრიდში დაფუძნდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და სხვა საკითხებთან ერთად, აკეთებს სხვადასხვა პერიოდის მიხედვით ტურისტთა მოძრაობის ანალიზს. 'საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა გვიჩვენებს ევოლუციას 25 მილიონიდან 898 მილიონამდე (1950-2007 წლები). საშუალო წლიური ზრდა შეადგენს – 7 პროცენტს, შესაბამისად, შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან იზრდებოდა საშუალოდ 12 პროცენტით". იხ.: მ. მელაძე, „ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008, გვ. 3. იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000356/Meladze%20M.pdf>; 2007 წლიდან 2008 წლამდე საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 1.9 პროცენტით გაიზარდა და 922 მილიონს მიაღწია, ხოლო მათ მიერ დახარჯულმა თანხამ – 944 მილიარდ დოლარს (642 მილიარდ ევოს). იხ.: <http://ka.wikipedia.org/wiki/ტურიზმის-ინდუსტრია>
- 2 იხ.: Брагинский М., Договор подряда, Стр. 234; Кабалкин А., Договор возмездного оказания услуг , Российская юстиция, 1998, N3, Стр. 15. იხ.: <http://www.lawmix.ru/comm/6801/>
- 3 იხ.: მ. მელაძე, „ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008, გვ. 20, იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000356/Meladze%20M.pdf>
- 4 1997 წლის 25 ნოემბრის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (№786), პარლამენტის უწყებანი, 1997წ., №31.
- 5 „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 26 ოქტომბერს, №3754-III.
- 6 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (თარგმანი ქართულ ენაზე, მთარგმნელი და რედაქტორი ზ. ჭეჭელაშვილი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>
- 7 Федеральный закон об основах туристской деятельности в Российской Федерации, <http://www.univer.omsk.su/pages/cmuzntour/turizm.htm>
- 8 Бурлакова Е, Договор о Туристском обслуживании, <http://www.lawmix.ru/comm/2221>
- 9 იხ.: <http://ka.wikipedia.org>, შეად. <http://ru.wikipedia.org>
- 10 საქართველოს სინამდვილეში იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქეები უცხო ქვეყანაში დარჩენის მიზნით, საქართველოს საზღვრებს გარეთ გადაიდნენ სწორედ ტურისტული მოგზაურობისათვის საჭირო საბუთების გაფორმების გზით (ტურისტული ვიზა). მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ინაცვლებდა საქართველოს საერთო სასამართლოებში. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 25 აგვისტოს განჩინება (საქმე 3კ/391).
- 11 მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ, ტურისტი განიმარტება როგორც პირი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით. იხ.: იქვე.
- 12 გაეროს ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა „ტურისტთა უფლებების დაცვის შესახებ“ კონვენციის პროექტზე, რომელიც სავარაუდოდ, მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება. კონვენციის შემუშავების ძირითადი გამომწვევი მიზეზები გახდა რეგულაციები, ტუროპერატორების გაკოტრება და ბუნებრივი კატაკლიზმები. იხ.: <http://www.tourprom.ru/news/16340>, სასურველია, აღნიშნულ სამუშაო პროცესში საქართველოს, როგორც ფართო და განვითარებადი ტურისტული ინდუსტრიის მქონე სახელმწიფოს ჩართულობა, შემდგომში უნიფიცირებული საერთაშორისო სამართლის ნორმების გაზიარების თვალსაზრისით.
- 13 იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, წიგნი მე-4, ტ.1, გვ. 295.
- 14 იხ.: Бурлакова Е, Договор о туристском обслуживании, <http://www.lawmix.ru/comm/2221>
- 15 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 დეკემბრის განჩინება (საქმე №P6-630-1286-03), <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>



CIVIL LEGAL REGULATION OF TRAVEL SERVICES

SHORENA GABICHVADZE

PhD of Law, Sokhumi State University

The article discusses several issues and the characteristics of civil legal regulation of travel services governed by Civil law of Georgia. In particular, the necessity of proper legal interpretation of travel service agreements, and not travel agreements, importance of executions of agreements in writing, provision of complete and accurate information to a traveller by a travel organizer and other aspects are identified. It is planned to involve Georgia as the state of broad and developing tourism industry into the working process dedicated to establishment of international standards, for the sake of sharing uniform norms of international law adopted as a result of the above-mentioned process.

In summary, the article identifies the necessity for editing some norms of the Civil Code of Georgia.

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს ტერიტორიის უსახეობა

დავით გეფერიძე

სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

1. ტერიტორიის ცნება და სახეობა

შუა საუკუნეებში სახელმწიფოს ტერიტორია განიხილებოდა როგორც ნივთი და ტერიტორიული უზენაესობა – როგორც ტერიტორიაზე საკუთრების უფლება. მაგრამ პროფესორმა ვ. ნეზაბიტოვსკიმ დაამტკიცა, რომ ტერიტორია არის სახელმწიფოს სივრცობრივი ზღვარი.¹ ფ. მარტენსი ტერიტორიაში ხედავდა „მინისა და წყლის სივრცეს, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ სახელმწიფოს უზენაეს მთავრობას.“²

სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი რამის სახელმწიფო კერძო საკუთრების უფლების კონცეფციას მხარს უჭერს ი. ბროუნლი. კერძოდ, ის თვლის, რომ „სუვერენიტეტსა და საკუთრებას შორის ანალოგია ცხადია და სასარგებლო რამდენიმე შენიშვნით“.³

ა. კასეხე აღნიშნავს, რომ „დღესდღეობით, არსებობს უდავო კავშირი ტერიტორიასა და სუვერენიტეტს შორის“.⁴

ლ. ალექსიძე თვლის, რომ „ტერიტორია, ანუ დედამიწის ზედაპირი – ხმელეთი, წყალი და მათ ზემოთ მდებარე საჰაერო სივრცე ყოველთვის იყო და იქნება ადამიანისათვის საარსებო წყარო, რომლის გარეშეც შეუძლებელია არა მარტო მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, არამედ, საერთოდ, საზოგადოების ფიზიკური არსებობაც“. აქვე განმარტავს, რომ „სახელმწიფოს ტერიტორია არის დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება“.⁵

სამართლებრივი რეჟიმის თანახმად, ტერიტორიები კლასიფიცირდება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საერთაშორისო რეჟიმის მქონე ტერიტორიაზე და შერეული რეჟიმების მქონე ტერიტორიებზე.

ტერიტორიების მსგავსი კლასიფიცირება საყოველთაოდ აღიარებულია ლიტერატურაში. ცოტა განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ი. ბროუნლი. კერძოდ, ის წერს, რომ „საერთაშორისო სამართალი ცნობს ტერიტორიების რეჟიმის ოთხ სახეობას: ტერიტორიულ სუვერენიტეტს, ტერიტორიას, რომელზეც არ ვრცელდება რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის სუვერენიტეტი და რომელსაც აქვს საკუთარი სტატუსი (მაგალითად, ქვესამანდატო და სამეურვეო ტერიტორიები); *res nullius* (ტერიტორია, რომელიც არავის არ ეკუთვნის) და *res communis* (ტერიტორია, რომელიც ეკუთვნის ყველას). მსგავსი კლასიფიკაცია უნაკლო არ არის და იწვევს გარკვეულ წინააღმდეგობებს. კერძოდ, ქვესამანდატო და სამეურვეო ტერიტორიები არ შეიძლება შეადგენდნენ ტერიტორიათა დამოუკიდებელ ჯგუფს, მათი გაურკვევლობის გამო. დღეს არ არსებობს ისეთი ტერიტორიები, რომლებიც არავის არ ეკუთვნის.“⁶ ამასთან დაკავშირებით, ი. ბროუნლი იძულებულია აღიაროს, რომ „ქვესამანდატო და სამეურვეო ტერიტორიებზე სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათი არ შეიძლება იქნას განსაზღვრული როგორც სუვერენიტეტი და ხელისუფლების განხორციელების სამართლებრივი ვალდებულებები მსგავს ტერიტორიებზე ზოგადად, არ იცავენ სხვა სახელმწიფოთა ჩვეულებრივ სამართლებრივ ინტერესებს. მსგავსი რეჟიმის სახეობა მჭიდროდ დაკავშირებულია საერთაშორისო სამართალში წარმომადგენლობის პრობლემასთან“.⁷

სახელმწიფო ტერიტორია – არის დედამიწის ნაწილი, რომელიც იმყოფება გარკვეული სახელმწიფო სუვერენიტეტის ქვეშ. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“.⁸

სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობაში შედის ხმელეთი მის წიაღისეულთან ერთად, საზღვაო და საჰაერო სივრცე. ხმელეთს მთელი სახმელეთო ტერიტორია წარმოადგენს წიაღისეულთან ერთად, რომელიც არ შეიძლება სცდებოდეს დედამიწის ბირთვის ცენტრს.

საზღვაო ტერიტორიაში შედის შიდა (კონტინენტური) წყლები და ტერიტორიული წყლები 12 მილამდე სიგანეში, როგორც აღნიშნულია 1982 წლის „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლში.⁹

საჰაერო სივრცეში შედის ტროპოსფერო, სტრატოსფერო და ასევე, ზემოთ მდებარე სივრცის უმეტესი ნაწილი 100-110 კილომეტრის სიმაღლეზე. სახელმწიფოს გვერდითი ზღვრები აღინიშნება სახელმწიფო საზღვრებით. „საჰაერო სივრცის სიმართლებრივი ზღვარი არ არის განსაზღვრული არც საერთაშორისო საჰაერო სამართალში, არც შიდასახელმწიფო სამართალში. ითვლება, რომ პირობითი კოსმოსური სივრცის ქვედა ზღვარი (საზღვარი) იმყოფება ზღვის დონიდან 100-110 კმ-ის სიმაღლეზე“.¹⁰

სახელმწიფო აღასრულებს თავისი ტერიტორიის სუვერენიტეტს – უზენაესობას, რომელიც ნიშნავს, რომ აღნიშნული სახელმწიფოს ხელისუფლება უზენაეს ხელისუფლებას წარმოადგენს ყველა პირისა და ორგანიზაციების მიმართებაში. სახელმწიფო ხელისუფლების ზევით არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს რომელიმე სხვა ხელისუფლება. ცალკეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამორიცხულია სხვა სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლების მოქმედება,

თუ სხვანაირად არ არის განსაზღვრული მის კანონმდებლობაში ან საერთაშორისო ხელშეკრულებებში. სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება მისი ტერიტორიის ფარგლებში აღსრულებს სახელმწიფო დანესებულებების სისტემის მეშვეობით. სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება როგორც მის ყველა მოქალაქესა და ორგანიზაციაზე, ასევე, უცხოელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე.

საერთაშორისო რეჟიმის მქონე ტერიტორიები იმყოფება სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ. მათი სტატუსი და რეჟიმი განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით. მსგავს ტერიტორიებს წარმოადგენენ: ღია ზღვა და კონტინენტური შელფის ფარგლებს გარეთ ზღვის ფსკერი (მათი სტატუსი განსაზღვრულია 1982 წლის „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციით¹¹ და სხვა შეთანხმებებით), კოსმოსი (მისი სტატუსი დადგენილია 1967 წლის „კოსმოსური სივრცის, ასევე მთვარის და სხვა ზეციური სხეულების კვლევისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ“¹² შეთანხმებით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით), მთვარე (მისი სტატუსი განსაზღვრულია 1979 წლის შეთანხმებით „მთვარესა და სხვა ზეციურ სხეულებზე სახელმწიფოთა საქმიანობის შესახებ“), ანტარქტიკა (მისი სტატუსი დადგენილია 1959 წლის შეთანხმებით „ანტარქტიკის შესახებ“¹³).

ყველა აღნიშნული ტერიტორია ღიაა გამოყენებისათვის ყველა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრულია ზოგადი და სპეციალური ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

შერეული რეჟიმის მქონე ტერიტორიები – ჩვეულებრივ ამ კატეგორიაში მოიცავენ ეკონომიკურ ზონას, კონტინენტურ შელფს და მიმდებარე ზონას. არ შეიძლება დაეთანხმო ამ აზრს, ვინაიდან ამ ტერიტორიებზე ვრცელდება ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენული უფლებები. მაგალითად, 1982 წლის „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად,¹⁴ „ზღვისპირა სახელმწიფოს, ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის ფარგლებში, გააჩნია სუვერენული უფლებები კვლევის, ბუნებრივი რესურსების დამუშავებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ასევე, აქვს იურისდიქცია შექმნას და გამოიყენოს ხელოვნური კუნძულები, დანადგარები და ნაგებობები, აწარმოოს საზღვაო სამეცნიერო კვლევები, უზრუნველყოს საზღვაო სივრცის უსაფრთხოება და დაცვა. სხვა სახელმწიფოები ამ ტერიტორიაზე სარგებლობენ თავისუფალი ნაოსნობით და ფრენით, კაბელებისა და მილსადენების გაყვანის უფლებით. ზღვისპირა სახელმწიფო ფლობს სუვერენულ უფლებას კონტინენტურ შელფზე მისი კვლევისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების თვალსაზრისით.“ აღნიშნული უფლებები წარმოადგენენ განსაკუთრებულ უფლებებს იმ მნიშვნელობით, რომ იმ შემთხვევაში თუ ზღვისპირა სახელმწიფო არ აწარმოებს კონტინენტური შელფის კვლევას ან ბუნებრივი რესურსების მოპოვებას, არავის აქვს უფლება განახორციელოს მსგავსი საქმიანობა ზღვისპირა სახელმწიფოს შესაბამისი თანხმობის გარეშე. სხვა სახელმწიფოებს კონტინენტურ შელფზე წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანა შეუძლიათ მხოლოდ ზღვისპირა სახელმწიფოს თანხმობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკური ზონა, მიმდებარე ზონა, კონტინენტური შელფი, საერთაშორისო სრუტეები და არხები არ შეიძლება განეკუთვნებოდნენ შერეული რეჟიმის მქონე ტერიტორიებს.

შერეული რეჟიმის მქონე ტერიტორიებს განეკუთვნებიან ისეთი ტერიტორიები, რომლებზეც უფლება აქვს როგორც იმ სახელმწიფოებს, რომელთა იურისდიქცია ვრცელდება ამ ტერიტორიებზე, ასევე, სხვა სახელმწიფოებსაც. მაგალითად, 1920 წლის 9 თებერვლის შპიცბერგის

შეთანხმების თანახმად,¹⁵ ნორვეგიას აქვს სრული უფლება და სრული სუვერენიტეტი არქიპელაგზე. ამასთან, ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა მხარეს ნებისმიერი მიზნისა და ამოცანების გახორციელებისას აქვთ ერთნაირი თავისუფალი წვდომა წყლებთან, ფიორდებსა და შპიცბერგის პორტებთან. ისინი დაიშვებიან ყოველგვარი სანაოსნო, სამრეწველო, სამთო და კომერციული საქმიანობისათვის ერთი და იგივე თანასწორობის პირობებზე.

2. სახელმწიფო საზღვრის ცნება და მისი რეჟიმი

„ხაზს, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს საზღვრავს, სახელმწიფო საზღვარი ეწოდება“.¹⁶ სახელმწიფო საზღვრის ცნებაში იგულისხმება ხაზი და ამ ხაზის ქვეშ გამავალი ვერტიკალური ზედაპირი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვარს ხმელეთზე, წყლებში, წიაღისეულსა და საჰაერო სივრცეში.

სახელმწიფო საზღვრები განისაზღვრება დელიმიტაციისა და დემარკაციის გზით. გაეროს საერთაშორისო სასამართლომ 1994 წელს ლიბიასა და ჩადს შორის ტერიტორიულ დავაზე თავის გადაწყვეტილებაში განსაზღვრა დელიმიტაციასა და დემარკაციას შორის განსხვავება. გაეროს სასამართლოს აზრით, საზღვრის დელიმიტაცია მდგომარეობს მის სახელშეკრულებო „განსაზღვრაში“, ხოლო ამ დროს საზღვრის დემარკაცია, მისი წინასწარი დელიმიტაციის შემდეგ, გულისხმობს ხმელეთზე საზღვრის აღნიშვნას.¹⁷

„საზღვრების დელიმიტაცია – სახელმწიფო საზღვრის (როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო) მდებარეობისა და მიმართულებების დადგენა მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე“.¹⁸

საზღვრების დელიმიტაცია ხორციელდება რუკებზე მათზე დეტალურად აღნიშნული რელიეფით, ჰიდროგრაფით, დასახლებული პუნქტებით და სხვა. ასეთი რუკები იფარება პარაფინით, მონმდება ბეჭდით და ერთვის სახელმწიფო საზღვრის დადგენის შესახებ ხელშეკრულებებს.

სახელმწიფო საზღვრის დადგენა და შეცვლა. სახელმწიფო საზღვრის გავლა დგინდება და იცვლება საერთაშორისო ხელშეკრულებით. კომპეტენტური სახელისუფლებო ორგანოები უზრუნველყოფენ სასაზღვრო ნიშნების და სასაზღვრო განაკაფის შენახვას სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და ერთობლივი შემონმებების შესახებ დოკუმენტების დებულებების თანახმად.

„საზღვრის დემარკაცია – საზღვრის დელიმიტაციის საფუძველზე სახელმწიფო საზღვრის გაყვანა ადგილზე, რასაც თან ერთვის რუკების შედგენა და საზღვრის აღწერა“.¹⁹

კომპეტენტური და უფლებამოსილი სახელისუფლებო ორგანოები თავად უზრუნველყოფენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული სასაზღვრო ნიშნების შენახვას. სახელმწიფო საზღვრის ზოლზე განლაგებული სასაზღვრო ნიშნების შენახვა ხორციელდება მათ დაყენებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური სახელისუფლებო ორგანოების მიერ. კომპეტენტური სახელისუფლებო ორგანოები თავად უზრუნველყოფენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული სასაზღვრო განაკაფების შენახვას და ახორციელებენ მათ განმენდას.

მოსაზღვრე სახელმწიფოები, როგორც წესი, 10 წელიწადში ერთხელ უზრუნველყოფენ საზღვრის ხაზის გამავლობის ერთობლივი შემონმებების ჩატარებას.

სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი – მოიცავს სახელმწიფო საზღვრის შენახვის; პირების და სატრანსპორტო საშუალებების მიერ სახელმწიფო გადაკვეთის; ტვირთების, საქონლისა და

ცხოველების სახელმწიფო საზღვარზე გადაყვანის; სახელმწიფო საზღვარზე პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, საქონლისა და ცხოველების გაშვების; სახელმწიფო საზღვარზე ან მის სიახლოვეს სამეურნეო, სანარმოო და სხვა საქმიანობის წარმართვის წესებს და აღნიშნული წესების დარღვევასთან დაკავშირებული უცხოურ სახელმწიფოებთან ინციდენტების გადაწყვეტას. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი – სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესი; საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და არასამხედრო გემების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესები, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე სარენი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესები“.²⁰

სახელმწიფო საზღვრის შენახვა. სახელმწიფოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფო საზღვრის შენახვის წესებს. ისინი ითვალისწინებენ სასაზღვრო ნიშნების დაყენების, დაცვისა და გამართულ მდგომარეობაში შენახვის, მათი საკონტროლო დათვალიერების, სასაზღვრო განაკაფების აღჭურვისა და შენახვის, მოსაზღვრე სახელმწიფოსთან საზღვრის ხაზის გამავლობის ერთობლივი შემონმტებების ჩატარების წესს. მსგავს დებულებებს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს.

სახელმწიფო საზღვრის სათანადო მდგომარეობაში შენახვის მიზნით, სასაზღვრო უწყებებს უვადო (მუდმივ) სარგებლობაში გადაეცემა მიწის ზოლი, რომელიც უშუალოდ გადის სახმელეთო საზღვრის ხაზთან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – სასაზღვრო მდინარის, ტბის ან სხვა წყალსაცავის ნაწილის ნაპირზე.

პირების და სატრანსპორტო საშუალებების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესი. ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოდიან/გადიან მოქმედი დოკუმენტებით, დადგენილი დროის განმავლობაში. აღნიშნული დოკუმენტები დგინდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლის ტერიტორიაზე შემოდის სხვა ქვეყნის მოქალაქე.

სახელმწიფო საზღვარზე რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე პერსონალის გაშვება და მათი ყოფნა სასაზღვრო რკინიგზის სადგურის ან სასაზღვრო პუნქტებს შორის გადაყვანის ზოლის ტერიტორიაზე ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ასევე, მათი ბარგი და სატრანსპორტო საშუალებები საზღვარს კვეთენ მხოლოდ დადგენილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში. სახელმწიფო საზღვარზე დადგენილი გამტარი პუნქტის გავლით ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისათვის შესაბამისი მოქმედი დოკუმენტების არმქონე პირები ექვემდებარებიან დაბრუნებას გამომგზავრების სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სატრანსპორტო საშუალებებით და პირების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხორციელდება მხოლოდ სპეციალური სასაზღვრო გამტარი პუნქტების გავლით. ყველაზე მეტად გამოიყენება საერთაშორისო გამტარი პუნქტები და საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული წესით მოქმედი გამტარი პუნქტები. „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო მიმოსვლა ხდება იმ სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.“²¹

საერთაშორისო გამტარი პუნქტი – არის სპეციალურად აღჭურვილი ადგილი, რომელიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის, სადაც ხორციელდება სასაზღვრო, საბაჟო და აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა ტიპის კონტროლი – პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გაშვება სახელმწიფო საზღვარზე. საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, „სასაზღვრო გამტარი პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი“.²²

გამარტივებულ გამტარ პუნქტად (დროებით გამტარ პუნქტად) ითვლება დროებითი გამოყენებისათვის განკუთვნილი სპეციალურად აღჭურვილი ადგილი, სადაც ხორციელდება სასაზღვრო, საბაჟო და აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა ტიპის კონტროლი, აგრეთვე პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გამარტივებული წესით გაშვება სახელმწიფო საზღვარზე.

მოსაზღვრე მოსახლეობის, პირების, რომლებიც ახორციელებენ ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურების ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციას, რომლებიც ასევე, მოსაზღვრე რეგიონების სპეციალურ ზონებში შედის, მათ შორის, საზღვრის ორივე მხარეს მდებარე მშენებარე და მოქმედ სავაჭრო კომპლექსებში, ასევე, მათში მომუშავე პირების საზღვარზე გამარტივებული წესით გადასვლასთან დაკავშირებული ზოლები რეგულირდება მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებით.

არასრულწლოვანი ბავშვები საზღვარს კვეთენ ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის თანხლებით. საერთაშორისო შეთანხმების პირობების საფუძველზე, მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობის მიერ საზღვრის გადაკვეთისას მათზე არ ივსება საიმიგრაციო ბარათები.

უცხოური საზღვაო ხომალდები სახელმწიფო საზღვარს კვეთენ საერთაშორისო შეთანხმებებისა და ეროვნული კანონმდებლობის დაცვით. აგრეთვე, საჰაერო ხომალდები სახელმწიფო საზღვარს კვეთენ ფრენისთვის სპეციალურად გამოყოფილი საჰაერო დერეფნებით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.²³

„სახელმწიფოს მოძრავ ტერიტორიებს მიეკუთვნება სახელმწიფოს სამხედრო და არასამხედრო საზღვაო ხომალდები, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ტერიტორიაზე იმყოფება (მაგალითად, ღია ზღვაში), საჰაერო და კოსმოსური აპარატები (ხომალდები)“.²⁴

სახელმწიფო საზღვარზე ტვირთების, საქონლისა და ცხოველების გადასვლა ხდება საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულებებით და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ადგილებში.

პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, საქონლისა და ცხოველების გაშვება სახელმწიფო საზღვარზე

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,²⁵ „იმ ადგილებსა და შენობებში, სადაც ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი, დგინდება დამატებითი სარეჟიმო წესები, რომლებიც არეგულირებს საზღვარგარეთიდან შემომოსვლელ პირთა და ტრანსპორტის კონტროლს, აგრეთვე მომსახურე პერსონალის დაშვების პრინციპებს“.

პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, საქონლისა და ცხოველების გაშვება მოიცავს სასაზღვრო კონტროლს (გაშვების საფუძვლების შემოწმება, შემოწმება დამრღვევების აღმოჩენისა და დაკავების მიზნით), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, საბაჟო, სამიგრაციო, სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარულ, ფიტოსანიტარიულ, სატრანსპორტო და სხვა სახის კონტროლს. კონტროლის შინაარსი, საშუალებები და მეთოდები, მათი გამოყენების წესი დგინდება კანონმდებლობის თანახმად და კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი აქტების მეშვეობით.

ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოსვლა თუ გასვლა ხორციელდება ვიზების საფუძველზე. „ვიზა – დადგენილი ფორმის აღნიშვნა სამგზავრო დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს უცხოელის უფლებას, შემოვიდეს ან/და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გადაკვეთოს მისი ტერიტორია“.²⁶

ბოლო წლებში იკვეთება ორმხრივი ვიზების გაცემის გამარტივების ტენდენცია. მსგავსი პროცედურა, როგორც წესი, გათვალისწინებულია ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში.

შენგენის შეთანხმებაში (შენგენის 1990 წლის კონვენცია) ჩადებულია საზღვრების გამჭვირვალობის პრინციპი, სხვა სიტყვებით სახელმწიფოთა შორის საზღვრები – ევროკავშირის, კონვენციის მე-2 მუხლში მითითებულია,²⁷ რომ „შიდა საზღვრების გადაკვეთა შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას პირადი კონტროლის გავლის გარეშე“. კონვენციამ შემოიტანა უცხოელების ევროკავშირის ტერიტორიაზე შენგენის ერთიანი ვიზით შემოსვლის საერთო პირობები. შენგენის ზონის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირის თითქმის ყველა წევრი (გარდა დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიისა და ისლანდიისა).

საზღვრის რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული ინციდენტების გადაწყვეტა

სახელმწიფოთა შორის დავები სასაზღვრო საკითხებზე წყდება ტრადიციული საშუალებებით, რომლებიც ჩამოთვლილია გაეროს წესდების 33-ე მუხლში,²⁸ ასევე, სპეციალური ორგანოების მეშვეობით, მაგალითად, სასაზღვრო რწმუნებულთა და სასაზღვრო წარმომადგენლების მეშვეობით.

„საზღვრების შესახებ დავებში შეიძლება ორი ტიპური შემთხვევა გამოიყოს: პირველ შემთხვევაში, არ არის არც დელიმიტირებული, არც დემარკირებული საზღვარი და დავა მიმდინარეობს იმაზე, სად და როგორ უნდა გავიდეს საზღვარი, ანუ უპირველეს ყოვლისა, დელიმიტირდეს. აქ შეიძლება აღვნიშნოთ მრავალი დავა ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში. მეორე შემთხვევაში, ან არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დელიმიტაცია, რომლებიც სხვადასხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობენ და დავა მიმდინარეობს იმაზე, რომელია მათ შორის ნამდვილად მართებული, ან დავა წარმოდგება ერთი და იმავე დელიმიტაციის სხვადასხვაგვარი განმარტებიდან, რაც საზღვრის დემარკაციას შეუძლებელს ხდის“.²⁹

სასაზღვრო წარმომადგენელი – არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც ინიშნება სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ მონაკვეთებზე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისა და სასაზღვრო ინციდენტების დარეგულირების მიზნით. სასაზღვრო წარმომადგენლები ასევე, წყვეტენ სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. ზემოაღნიშნული ფუნქციები ასევე, ტიპურია სხვა სასაზღვრო წარმომადგენელთათვის.

ტერიტორიის შექმნის ყველაზე მეტად გავრცელებული ხერხები

ისტორიული ტიტული წარმოადგენს ტერიტორიის ფლობის უფლების დასაბუთების ერთ-ერთ სახეობას. მის ფუძეში დევს *uti possidetis* ან *uti possidetis sic possidetis* კონცეფცია. ეს გამოთქმები ითარგმნება როგორც „ვინაიდან შენ ფლობდი, ამიტომ შენ ახლაც შეგიძლია ფლობდე“ ან „რასაც ფლობთ, ის გქონდეთ მფლობელობაში“. ისტორიული ტიტულის უფლებამოსილების განსაზღვრაში გადამწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენენ „წარსულში ტერიტორიის შექმნა ან დაარსება“, „ფლობის ხანგრძლივობა“, „დუმილიანი აღიარება“ და სხვა. როგორც ბ. მ. კლიმენკო აღნიშნავდა, „ტერიტორიაზე სუვერენიტეტის მოპოვება ხანგრძლივობის მიხედვით საჭიროებს ამ ტერიტორიის ფაქტობრივ ფლობას რომელიმე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში“.³⁰

სახმელეთო და საზღვაო საზღვართან დაკავშირებულ დავაზე კამერუნსა და ნიგერიას შორის 2002 წლის 10 ოქტომბრის გადამწყვეტილებაში გაეროს საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა,³¹ რომ სამართლებრივი ტიტულის ისტორიული გამყარების თეორია ძალზედ სადავოა და არ შეუძლია შეანაცვლოს საერთაშორისო სამართალში დადგენილი სამართლებრივი ტიტულის მოპოვების ხერხები, რომლებიც ითვალისწინებენ მრავალ სხვა მნიშვნელოვან ფაქტობრივ და სამართლებრივ ასპექტებს. აღნიშნული სამართლებრივი ტიტულის შინაარსის შესახებ სახელშეკრულებო ნორმების არარსებობის გამო სახელმწიფოები განსხვავებულად განმარტავენ და გამოიყენებენ მას პრაქტიკაში. მაგალითად, ნახევარკუნძულ ბაკასიაზე პრეტენზიების წარდგენის დროს ნიგერიამ წამოაყენა სამი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული საფუძველი მასზე სამართლებრივი ტიტულის მოსაპოვებლად, კერძოდ:

ა) ნიგერიისა და ნიგერიის მოქალაქეების ხანგრძლივი ყოფნა, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი ტიტულის ისტორიულ გამყარების საფუძველს და რომელიც ადასტურებს ძველი კალაბარის მეფეებისა და ბელადების პირველად სამართლებრივ ტიტულს. ამასთან, აღნიშნული სამართლებრივი ტიტული ნიგერიასთან გადავიდა 1969 წელს, მისი დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტში;

ბ) ნიგერიის მშვიდობიანი ფლობა, რომელიც წარმოადგენილია სუვერენიტეტის სახით და კამერუნის მხრიდან პროტესტის არარსებობა;

გ) ნიგერიის მხრიდან სუვერენიტეტის გამოვლენა, ბაკასიის ნახევარკუნძულზე ნიგერიის სუვერენიტეტის მიმართ კამერუნის მხრიდან დუმილიან თანხმობასთან ერთად.³²

1986 წელს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ³³ ბურკინა-ფასოსა და მალის საზღვრების მიმართებაში ხაზი გაუსვა, რომ თუ არსებობს წინააღმდეგობა სამართლებრივ სტატუსსა და სადავო ტერიტორიის (რაიონის) მართვის ეფექტიანი ზომების ფაქტობრივ აღსრულებას შორის, ამ შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ზემოაღნიშნულთაგან პირველს.

ტერიტორიის ოკუპაცია მისი მფლობელობაში მითვისების სხვადასხვა აქტების განხორციელების გზით წარსულში წარმოადგენდა იმ ტერიტორიების შექმნის გავრცელებულ ხერხს, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ რომელიმე სხვა სახელმწიფოს.

სახელმწიფოსთვის მთლიანი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ჩამორთმევა

როგორც წესი, სახელმწიფოს ტერიტორიის შეცვლის ეს ტიპი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს, აგრესიული ომის წარმართვას ან სხვა მძიმე დანაშაულზე

კაცობრიობის წინააღმდეგ. როგორც გ. ი. ტუნკინი აღნიშნავდა, „იძულებითი ზომები, აგრესორის წინააღმდეგ, შეიძლება ასახულ იქნას, კერძოდ, მისი ტერიტორიების ნაწილის მიმართ მომავალში აგრესიის აღკვეთის მიზნით“.³⁴

1947 წლის 10 თებერვლის იტალიის სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, იტალიამ დაკარგა თავისი კოლონიები. იუგოსლავიას დაუბრუნდა ისტრიას ნახევარკუნძული და იულის კრაინის ნაწილი, ქ. ფიუმე, კომუნა ზარია მის მიმდებარე კუნძულებთან და ნახევარკუნძულ პელაგოზასთან ერთად, აგრეთვე საბერძნეთს დაუბრუნდა დოდეკანესის კუნძულები. ქალაქი ტრიესტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გამოცხადდა თავისუფალ ტერიტორიად (იგი იტალიას 1954 წელს დაუბრუნდა). იტალიამ უარყო ყველა უფლება და უფლებრივ საფუძველებზე იტალიურ ტერიტორიულ სამფლობელოებზე აფრიკაში, კერძოდ ლიბიაში, ერიტრეუსა და იტალიურ სომალიში.³⁵

ტერიტორიის (მინის ნაკვეთის) **იჯარა** შეიძლება იქნას გაცემული სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის. სამხედრო ბაზებში იგულისხმება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული კონკრეტული სახელმწიფოს შეიარაღებული სამხედრო ძალების შენაერთები, სამხედრო ტექნიკითა და მატერიალური საშუალებების საჭირო მარაგით, რომლებიც იკავებენ მინის ნაკვეთს, რომლის საზღვრები დადგენილია და შეთანხმებულია სახელმწიფოთა ხელისუფლებებს შორის.

ტერიტორიის დათმობა ნიშნავს ტერიტორიის გადაცემას სხვა სახელმწიფოსათვის. უფრო ხშირად აღნიშნულ პროცესს ეწოდება **ცესია**. „ცესია – ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარი ტერიტორიის ნაწილის დათმობა მეორე სახელმწიფოსათვის საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. ცესიის დროს ტერიტორიის დამთმობი სახელმწიფო მიმღები სახელმწიფოსაგან, წესისამებრ, იღებს ანაზღაურებას შეთანხმებით დადგენილი ფორმითა და ოდენობით“.³⁶

ცესია ხორციელდება, როგორც წესი, გადასაცემი ტერიტორიის მცხოვრებთა თანხმობის გარეშე. მაგრამ ტერიტორიის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას დამატებითი შენიშვნები ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის განსაკუთრებული უფლებების შესახებ. მაგალითად, შვედეთის მიერ 1721 წელს რუსეთისათვის ბალტიისპირეთის გადაცემისას განისაზღვრა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული შეღავათები და უფლებები. 1809 წელს ფინეთი ასევე, შევიდა რუსეთის შემადგენლობაში რიგი გარანტიების აღიარებით.

ტერიტორიის გაყიდვა

საყოველთაოდ ცნობილია ალიასკის – ჩრდილო ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განლაგებული ნახევარკუნძულის გაყიდვის მაგალითი. რუსი მკვლევარების მიერ ალიასკის ტერიტორია აღმოჩენილ იქნა XVII საუკუნეში.

1818 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ესპანეთისაგან შეიძინეს ფლორიდა.³⁷ 1848 წელს, მექსიკამ 18 250 000 აშშ დოლარად ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუთმო კალიფორნია და ახალი მექსიკა, რომლებზეც განლაგებულია შტატები კალიფორნია, ნევადა, იუტა, არიზონა და ნიუ-მექსიკო. 1940 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 50 ნაღმოსნის სანაცვლოდ დიდი ბრიტანეთისაგან მიიღო რვა სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორია: ბერმუდის და ბაჰამის კუნძულებზე, ბრიტანულ გვინეაში, ნიუფაუნდლენდის, იამაიკის, სენტ-ლუსიის ანტიგუასა და ტრინიდადის კუნძულებზე. 1947 წელს, 700 მილიონი ფინური მარკის სანაცვლოდ ფინეთმა

საბჭოთა კავშირს მიჰყვია თავისი ტერიტორიის 176 კვადრატული კილომეტრი მასზე განლაგებული შენობება-ნაგებობებით – მდინარე პაატსოიოკიზე განლაგებული ანისკოსკის ჰიდროელექტრო სადგურისა და ნისკაკოსკის დამბის ჰაიონში.³⁸

ტერიტორიის გაცვლა

ტერიტორიის გაცვლა რომელიმე უმნიშვნელო ტერიტორიის დათმობის ძალზედ იშვიათი ფორმაა. ამ შემთხვევაში, ორივე სახელმწიფო კარგავს ყველა სახის კონტროლს დათმობილი ტერიტორიების მონაკვეთებზე.

საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა 1951 წლის 15 თებერვლის შეთანხმების თანახმად, გაცვალეს ზომით თანაბარი სასაზღვრო მონაკვეთები ლიუბლინსკის და ლვოვის ოლქებში.³⁹

1954 წელს, საბჭოთა კავშირმა და ირანმა ერთობლივი ინტერესების დაცვით გაცვალეს ტერიტორიის შესაბამისი მონაკვეთები.⁴⁰

ქვესამანდატო და სამეურვეო ტერიტორიები

ერთა ლიგის წესდებამ შემოიტანა ცნება ქვესამანდატო ტერიტორიები. ისინი დაყოფილ იქნა სამ – ა, ბ, გ კატეგორიად. ქვესამანდატო ტერიტორია – არის ტერიტორია, რომლის საგარეო ურთიერთობებს საერთაშორისო საზოგადოების სახელითა და ამ ტერიტორიის ხალხის მიმართებაში დადებული მეურვეობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე დროებით ასრულებს რომელიმე სუვერენული სახელმწიფო. მანდატის მქონე მხარე ამ ტერიტორიის მიმართებაში იყენებს ნებისმიერ ზოგად საერთაშორისო კონვენციებს, რომელებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერიტორიების მიმართ შერეული სამართლებრივი რეჟიმით.

თავის დროზე ქვესამანდატო ტერიტორიებს წარმოადგენდნენ ტოგო, კამერუნი, პალესტინა, სირია, ლიბანი, ტრანსიორდანია, ერაყი და მრავალი სხვა სახელმწიფო.

გაეროს წესდების XII თავის თანახმად,⁴¹ გაერომ თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ შექმნა საერთაშორისო მეურვეობის სისტემა იმ ტერიტორიების მართვისათვის, რომლებიც შეიძლება ამ სისტემაში შეტანილ იქნას მომდევნო ინდივიდუალური შეთანხმებებით, ამ ტერიტორიებზე მეთვალყურეობის მიზნით. ამ ტერიტორიებს ეწოდება „მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები“.

გაეროს წესდების 77-ე მულის თანახმად,⁴² მეურვეობის სისტემა ვრცელდება ტერიტორიების შემდეგ სამ კატეგორიაზე, რომლებიც შეიძლება მასში შეტანილ იქნას მეურვეობის შესახებ შეთანხმებების საფუძველზე: ა) დღესდღეობით მანდატის ქვეშ მყოფი ტერიტორიები; ბ) ტერიტორიები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეიძლება მოცილებულ იქნას მტრული სახელმწიფოსაგან; გ) ტერიტორიების მართვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოთა მეურვეობის სისტემაში ნებაყოფლობით შეტანილი ტერიტორიები.

მეურვეობის შესახებ შეთანხმება ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოიცავდეს მეურვეობის ქვეშ სახელმწიფოთა მართვის პირობებს, ასევე, განსაზღვრავდეს ხელისუფლებას, რომელმაც მეურვეობის ქვეშ უნდა უზრუნველყოს ტერიტორიების მართვა. მსგავსი ხელისუფლება, შემდგომში წოდებული მმართველ ხელისუფლებად, შეიძლება წარმოადგენდეს ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოს ან თავად გაეროს.

არათვითმართვადი ტერიტორიები

გაეროს წესდების 73-ე მუხლის თანახმად,⁴³ ორგანიზაციის წევრები, რომლებიც პასუხს აგებენ ან პასუხისმგებლობას იღებენ ტერიტორიების მართვაზე, რომელთა მოსახლეობამ ჯერ ვერ მიაღწია სრულ თვითმმართველობას, აღიარებენ იმ პრინციპს, რომ ამ ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესები პირველხარისხოვან ინტერესებს წარმოადგენენ და როგორც საღმრთო მოვალეობა იღებენ ვალდებულებას მაქსიმალურად ხელი შეუწყონ ამ ტერიტორიების მოსახლეობის კეთილდღეობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში. ამ მიზნით ისინი:

- აღნიშნული ხალხების კულტურის პატივისცემით უზრუნველყოფენ მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, ასევე, პროგრესს განათლების, მათთან სამართლიანი მოპყრობის და ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის სფეროებში;

- ავითარებენ თვითმმართველობას, სათანადო დონეზე ითვალისწინებენ ხალხების პოლიტიკურ მისწრაფებებს და ხელს უწყობენ მათ თავისუფალი პოლიტიკური ინსტიტუტების პროგრესულ განვითარებაში სპეციფიკური გარემოებების თანახმად, რომელიც დამახასიათებელია თითოეულ ტერიტორიისათვის და მისი ხალხისათვის და განვითარების სხვადასხვა დონისთვის.

არათვითმმართვედ ტერიტორიებს თავიდან განეკუთვნებოდა მრავალი კოლონიური მფლობელობა (70-ზე მეტი ტერიტორია). შემდგომში ეს სია პერიოდულად ივსებოდა. 1960 წლის 14 დეკემბრის გენერალური ასამბლეის მიერ კოლონიური ქვეყნებისათვის და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაეროს დეკლარაციის⁴⁴ მიღების შემდეგ არათვითმმართვედი ტერიტორიების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ დეკლარაციაში გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა ხალხების დამორჩილება უცხოურ უღელს, ბატონობა და მათი ექსპლუატირება უარყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს, ეწინააღმდეგება გაეროს წესდებასა და ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამყარებას. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების თანახმად, ისინი თავისუფალნი არიან დაადგინონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი. „ამავე დროს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას ეროვნული უმრავლესობის მიერ, თუნდაც მცირე ერების მიერ, თუკი მათ აქვთ სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა თანასწორ-უფლებიანობა სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობასთან და აქვთ საშუალება თავისუფლად გამოსხატონ პოლიტიკური თუ სხვა ნება-სურვილი“.⁴⁵

საზღვაო ხომალდის ტერიტორიულობა

რიგი მეცნიერების აზრით, საზღვაო ხომალდი არის სახელმწიფო ტერიტორია.

სინამდვილეში, ნებისმიერი საზღვაო ხომალდი ალმის სახელმწიფოს ტერიტორიას არ წარმოადგენს, ვინაიდან ის არ პასუხობს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ახასიათებენ ტერიტორიას (სუვერენიტეტს, საზღვრებს და ა.შ.). 1982 წლის „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციის 92-ე მუხლის თანახმად,⁴⁶ ღია ზღვაში მყოფი ხომალდი მხოლოდ იურიდულად ექვემდებარება ალმის სახელმწიფოს. ალმის სახელმწიფო ხომალდზე და მის ეკიპაჟზე ახორციელებს ადმინისტრაციულ, სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო იურისდიქციას, მაგრამ არა სუვერენიტეტს.

1982 წლის კონვენციის 91-ე მუხლში აღნიშნულია,⁴⁷ რომ ალმის სახელმწიფოსა და ხომალდს შორის უნდა არსებობდეს რეალური კავშირი. მაგრამ რეალური კავშირის ცნება არ არის განვრცობილი. უდავოდ, რეალური კავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან (შესაძლებელია გადამწყვეტ) ელემენტს წარმოადგენს ხომალდის რეგისტრაცია ალმის სახელმწიფოში და ბორტზე ალმის სახელმწიფოს მიერ მისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების (МППС-72, МАРПОП-73, СОЛАС-74, ИДНВ-95 და სხვა)⁴⁸ თანახმად, გაცემული სანაოსნო დოკუმენტების არსებობა. გაეროს საერთაშორისო სასამართლომ თავის 1960 წლის 8 ივლისის საკონსულტაციო გადაწყვეტილებაში⁴⁹ აღნიშნა, რომ ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს განსაკუთრებით დიდი სავაჭრო ფლოტი, არის სახელმწიფო, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი დარეგისტრირებული ტონაჟი.

ასეთია სახელმწიფოს ტერიტორიის საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ძირითადი დებულებები. ამჟამად, საზღვრების ხელშეუხებლობას, რაც სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ამ სფეროს მასშტაბიანი კვლევისათვის საჭიროა სხვათა გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკოსი ქართველი სპეციალისტების ნაშრომები, ცოდნა და სათანადო გამოცდილება, საერთაშორისო უფლებამოსილი ორგანიზაციების პრაქტიკა და შესაბამისი დოკუმენტები ტერიტორიის შესახებ საერთაშორისო სამართლის კონტექსტში.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Незабитовский В.А. Учение публицистов о межгосударственном владении. Киев, 1860.
- ² იხ.: Мартенс Ф.Ф. Современное международное право цивилизованных народов. Том 1, <<http://www.twirpx.com/file/448572/>>
- ³ იხ.: Броунли Я. Международное право. Перевод с англ. М., 1977. С.175. <<http://www.twirpx.com/file/422197/>>
- ⁴ იხ.: Cassese A. International Law. Second ed.Oxford, 2005. P. 83.
- ⁵ იხ.: ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 285.
- ⁶ იხ.: Броунли Я. Международное право. Перевод с англ. М., 1977 <<http://www.twirpx.com/file/422197/>>
- ⁷ იქვე.
- ⁸ იხ.: საქართველოს კონსტიტუცია 1995, მუხლი 2. პ. 1 (კოდიფიცირებული), www.parliament.ge
- ⁹ United Nations Convention on the Law of the Sea of 10 December 1982, <http://www.un.org/Depts/los/convention_agreements/convention_overview_convention.htm>
- ¹⁰ იხ.: დ. გეფერძე, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 54.
- ¹¹ იხ.: United Nations Convention on the Law of the Sea of 10 December 1982, <http://www.un.org/Depts/los/convention_agreements/convention_overview_convention.htm>
- ¹² იხ.: Договор о принципах деятельности государств по исследованию и использованию космического пространства, включая луну и другие небесные тела 1967, <http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/outer_space_governing.shtml>
- ¹³ იხ.: «Договор об Антарктике» 1959 < <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?reqdoc;base=INT;n=15310>>
- ¹⁴ იხ.: United Nations Convention on the Law of the Sea of 10 December 1982, <http://www.un.org/Depts/los/convention_agreements/convention_overview_convention.htm>
- ¹⁵ იხ.: Договор о шпицбергене (Подписан в Париже 09,02,1920), <<http://russia.bestpravo.ru/fed1991/data05/tex18072.htm>>
- ¹⁶ იხ.: ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 290.
- ¹⁷ < http://ru.wikipedia.org/wiki/Международный_суд_ООН>

- 18 იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2003, გვ. 303.
- 19 იქვე, გვ. 304.
- 20 იხ.: საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 1998, www.matsne.gov.ge
- 21 იხ.: საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 1998, მე-13 მუხლის პირველი პუნქტი, www.matsne.gov.ge.
- 22 იხ.: საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 1998, www.matsne.gov.ge.
- 23 იხ.: საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხ. 52, www.matsne.gov.ge.
- 24 იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2003, გვ. 340.
- 25 იხ.: საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 1998, www.matsne.gov.ge.
- 26 იხ.: საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, 2005, მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, წმნ.მატსნე.გოვ.გე
- 27 იხ.: Конвенция 1990 года о применении Шенгенского соглашения от 14 июня 1985 года между правительствами государств экономического союза бенилюкс, федеративной республики Германии и Французской республики о постепенной отмене контроля на общих границах, <www.unhcr.ru/doc/1990-shengen.doc>
- 28 იხ.: Устав ООН, <http://www.un.org/ru/documents/charter/>
- 29 იხ.: ქეთევან ხუციშვილი, სახელმწიფო საზღვრები, საერთაშორისო სამართალი, „ალმანახი“, თბილისი, 1999, №9 (II).
- 30 იხ.: Клименко Б.М., Государственная территория. Вопросы теории и практики международного права, М., 1974, стр.64
- 31 იხ.: <<http://www.un.org/ru/icj/>>
- 32 იხ.: Особенности национальных характеров и менталитетов отдельных народов Нигерии, <<http://ref.rushkolnik.ru/v57118/>>
- 33 იქვე.
- 34 იხ.: Тункин Г.И. Теория международного права, М., 2006, стр. 67.
- 35 Все об Италии, История, Италия в начале XX века, <http://www.italcult.ru/history_9.php>
- 36 იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2003, გვ. 391.
- 37 იხ.: The U.S. acquires Spanish Florida, Feb 22, 1819 < <http://www.history.com/this-day-in-history/the-us-acquires-spanish-florida>>
- 38 იხ.: Российско-финляндские отношения, <http://ru.wikipedia.org/wiki/Российско-финляндские_отношения>
- 39 იხ.: Как Польша и СССР раз обменялись территориями, <<http://www.maxolip.ru/kolonki/1258-1951-kak-polsha-i-ussr-raz-obmenjalis.html>>
- 40 იხ.: Цессия. Размен (обмен) территории, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z101_page_77.html>
- 41 იხ.: Устав ООН, <<http://www.un.org/ru/documents/charter/>>
- 42 იქვე.
- 43 იხ.: Устав ООН, <<http://www.un.org/ru/documents/charter/>>
- 44 იხ.: Декларация о предоставлении независимости колониальным странам и народам 1960 <http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/colonial.shtml>
- 45 იხ.: ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 50.
- 46 იხ.: United Nations Convention on the Law of the Sea of 10 December 1982, <http://www.un.org/Depts/los/convention_agreements/convention_overview_convention.htm>
- 47 იხ.: United Nations Convention on the Law of the Sea of 10 December 1982, <http://www.un.org/Depts/los/convention_agreements/convention_overview_convention.htm>
- 48 იხ.: www.sur.ru/sites/default/files/.../Solal-74.pdf
- 49 იხ.: <<http://www.un.org/ru/icj/>>

INTERNATIONAL LAW ON STATE TERRITORY

DAVIT GEPERIDZE

PhD of Law, Full Professor

According to the legal regimes, the territories are classified as state territories, territories of international regime and territories of mixed regime.

Such classification of territories is universally recognized. E. Brownlee offers a slightly different classification.

The state enforces its territorial sovereignty – supremacy, which means that the authorities of given state are the supreme authorities for all persons and organizations. No other authority exists or can exist above the state authority. Other state's public authority cannot operate within the territory of given state, unless it is otherwise prescribed by the legislation of given state or by international agreements. Supreme authority of the state is enforced within the scope of its territory, by the system of state organizations. Legislative, executive and judicial authority covers all citizens and organizations of the state, as well as foreign citizens and legal entities.

The article describes key provisions established by International Law on state territory. Currently, integrity of state borders, which is one of the features of the principle of state sovereignty, is of great importance for the sake of ensuring international peace and security.

In order to conduct a large-scale research in this field, it is necessary to analyze different experiences, works of Georgian expert-practitioners, knowledge, relevant experience, practice of international organizations and the documents in the context of the international law on territories.

ტურისტულ სააგენტოზე დაკისრებული შედეგის ვალდებულება და პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

(საქართველოსა და საზრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით)

მაკა ტყეშელაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტურიზმი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა გახდა. ტურიზმის ეკონომიკური ფენომენის წარმოჩენა განპირობებულია ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე მისი გავლენით, რაც შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის ზრდაზე აისახება. საქართველოში ბოლო დრომდე დამკვიდრებული ტურიზმის სპონტანური განვითარება ე.წ. ველური ტურიზმი შეუთავსებადია მსოფლიოში არსებულ თანამედროვე ტენდენციებთან. ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების წინამძღვარს ქართული კანონმდებლობის ფორმირება წარმოადგენს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ამ სფეროში სამართლებრივი რეგულირების ევროპული გამოცდილება და ასევე, ადგილობრივი კანონმდებლობის ტრადიციები.

ვინაიდან ტურისტული ურთიერთობები ასახვას ჰპოვებს ხელშეკრულებაში შესაბამისად, ინტერესს იწვევს ტურისტული ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, მათი სამართლებრივი ანალიზი. პასუხისმგებლობის საკითხის დადგომის წინაპირობას წარმოადგენს შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულებები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 657-667 მუხლები¹

არეგულირებს ტურისტულ საქმიანობას, რომელიც ასევე, განსაზღვრავს მხარეთა ისეთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს როგორცაა: მოგზაურობის მომწყობის მიერ შეთანხმებული მომსახურების განწესის ვალდებულება, მოგზაურობასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ტურისტის საჩივარზე სწრაფი რეაგირების მოხდენის ვალდებულება, გაკოტრების შემთხვევაში ტურისტისათვის გარანტიების წარდგენის ვალდებულება. ზემოაღნიშნული ვალდებულებები გაერთიანებულია მოგზაურობის მომწყობის მხრიდან უზარვეზო მოგზაურობის უზრუნველყოფის ვალდებულებაში. ამავდროულად, ხარვეზიანი მოგზაურობისას, ამავე კოდექსის 659-ე მუხლი მოგზაურობის მომწყობს უფლებას აძლევს უარი თქვას მოგზაურობის ხარვეზის გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. სავარაუდოდ, მოგზაურობის მომწყობი თავად განსაზღვრავს თუ რა თანხა შეიძლება მიიჩნიოს შეუსაბამოდ დიდ ოდენობად. ამავე მუხლის თანახმად, მოგზაურობის მომწყობის მხრიდან ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ტურისტს ეძლევა შესაძლებლობა თვითონ აღმოუფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე განეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. კანონმდებლობა ფაქტობრივად აიძულებს ტურისტს თავად მიმართოს ზომებს არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად, მოგზაურობის მომწყობს კი, საუკეთესო შემთხვევაში, აკისრებს ხარვეზის გამოსწორებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხარჯები შეუსაბამოდ დიდი არ არის. კანონმდებლობის მხრიდან მოგზაურობის მომწყობისათვის მხოლოდ მოგზაურობის ორგანიზებასთან დაკავშირებული ვალდებულების დაკისრება ტურისტს ხშირ შემთხვევაში, დაუცველ მდგომარეობაში აყენებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოგზაურობის გაუფასურება. საქართველოში იშვიათი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მცირე დროში მოგზაურობის დასრულების შემთხვევები, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს კონკრეტული მიმართულებით ავიარების რამდენჯერმე გადადებით, სასტუმროს ჯავშანში არასწორი თარიღის მითითებით, ასევე, მოგზაურობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში აღმოჩენით, რაც მოგზაურს როგორც მატერიალურ ასევე, მორალურ ზიანს აყენებს.

სამართლებრივი დოქტრინა განასხვავებს ტურისტულ სააგენტოზე დაკისრებული ვალდებულების ორ სახეს: მოქმედებისა და შედეგის ვალდებულებას.

მოქმედების ვალდებულება არის მცდელობის ვალდებულება. „მოვალე კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ყველა ზომა და გამოიყენოს ყველა საშუალება მოგზაურობის სათანადოდ დანყებისა და დასრულებისათვის, მოგზაურთა უსაფრთხოებისათვის, მაგრამ გარანტიით უზრუნველყოფის გარეშე. კრედიტორს არ შეუძლია დღის წესრიგში დააყენოს მოვალის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა თუ არ დაამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელის მიერ არ იყო მიღებული ყველა ზომა და საშუალება მოგზაურობის სათანადოდ დასრულებისათვის. მან უნდა დაამტკიცოს მოვალის ბრალი“.²

შედეგის ვალდებულება არის გარანტიის ვალდებულება. კრედიტორი თავისუფლდება ვალდებულებისაგან ამტკიცოს მოვალის ბრალი. ეს უკანასკნელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დამდგარი შედეგის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი უცხო ძალის (ფორსმაჟორი, გარეშე ძალა ან დაზარალებულის ბრალი) ზემოქმედების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი დოქტრინა მოქმედების ვალდებულებას უსაფრთხოების ვალდებულებასაც უწოდებს. ამ უკანასკნელს ჰყოფს 5 სახის ქვევალდებულებად:

1. მომსახურების გამწვევის შერჩევის საქმეში სიფრთხილის გამოჩენის ვალდებულება. (მომსახურების გამწვევის გადახდისუნარიანობა, სამოქალაქო პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ.).

2. მომსახურების გამწვევზე ზედამხედველობის ვალდებულება (ხელმოწერილი ტურისტული პაკეტის ჯეროვნად შესრულება, რაც გულისხმობს სასტუმროსა და ნებისმიერი სახის თავშესაფარზე გამუდმებულ ზედამხედველობას, ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურების ნამდვილად შესრულებას სანდო და კვლიფიციური მომსახურების განვითარებით).

3. ადგილობრივი ექსკურსიების დროს სასტუმროს ადმინისტრაციის მიერ ყურადღების გამოჩენის ვალდებულება (ტურისტული პაკეტით გათვალისწინებული ექსკურსიების მოწყობისას, უსფრთხოების პირობების გათვალისწინების ვალდებულება. მხედველობაში მიიღება გადაადგილების მანძილი, გზის სახეობა, სეზონი, მგზავრთა რაოდენობა, ცხელ წერტილებში მოხვედრის შესაძლებლობის გამორიცხვა და ა. შ.).

4. ინფორმაციისა და რჩევის მიწოდების ვალდებულება. იგულისხმება ხელშეკრულების დადების პროცესში გამგზავრების ადგილის გეოგრაფიულ ზონაში საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და მსგავს ადგილებში მოგზაურობისაგან თავის შეკავების შესახებ რჩევის მიცემის ვალდებულება.

5. დახმარებისა და თანადგომის ვალდებულება (უბედური შემთხვევის დადგომისას, ტურისტული სააგენტოს ვალდებულება გამოიყენოს ყველა საშუალება დაზარალებულის ჰოსპიტალიზაციისა და მისი შემდგომი რეპატრიაციისათვის, უზრუნველყოს ამასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა).

ვინაიდან მოქმედების ვალდებულება მოიცავს ტურისტისათვის სასურველი უსაფრთხო შედეგის დადგომის ვალდებულებას, იგი ბუნებრივად ერწყმის შედეგის ვალდებულების არსს, რომელიც იკვრება გარანტიის ვალდებულებით. ამდენად მოქმედების ვალდებულება ბუნებრივად იძენს შედეგის ვალდებულების ხასიათს. პასუხისმგებლობის დადგენის პროცესში ევროპული მართლმსაჯულებისათვის სირთულეს წარმოადგენდა მოქმედების ვალდებულებასა და შედეგის ვალდებულებას შორის ზღვარის გავლება, მაშინ როცა მოსამართლისათვის გადაწყვეტილების მიღებისას განმსაზღვრელი იყო და არის ტურისტის უსაფრთხოება.

ტურისტულ სააგენტოზე დაკისრებული ვალდებულებების აღნიშნული დოქტრინალური ანალიზი გამოყენებული იქნა ფრანგული მართლმსაჯულების მიერ. არსებული ტენდენცია ნათლად აისახა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს 1989 წლის 10 მაისის № 87-15655 გადაწყვეტილებაში,³ რომელიც ეხება ტურისტული სააგენტოს მხრიდან შედეგის ვალდებულებაზე დამყარებულ პასუხისმგებლობასა და მასთან ხელშეკრულებით დაკავშირებული მესამე პირის ვალდებულებაზე დამყარებულ პასუხისმგებლობას და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ფრანგულმა მართლმსაჯულებამ შექმნა არნახული პრეცედენტი, დააკისრა რა, მოგზაურობის ორგანიზატორ ტურისტულ სააგენტოებს გარანტიისა და შედეგის ვალდებულება. შესაბამისად, გამოიყენა პასუხისმგებლობა მესამე პირის ბრალით, რითაც გასცდა რწმუნებულების ხელშეკრულების სამართლებრივ რეჟიმს და გადავიდა ნასყიდობის ხელშეკრულების რეჟიმში. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სამოგზაურო სააგენტოსა და კლიენტს შორის დადებული ყველა ხელშეკრულება, რომლის საგანიც ორგანიზებული გადაადგილებაა, ნასყიდობის აქტს წარმოადგენს“. ტურისტული სააგენტოსათვის ხელშეკრულებით მასთან დაკავშირებული მესამე პირის პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ფრანგული სასამართლოს

მოტივს წარმოადგენს ტურისტის უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ტურისტის შემთხვევაში, საქმე ეხება არა ტურისტის ქვეყანაში არსებულ, არამედ უცხოურ სატრანსპორტო კომპანიებს და სასტუმრო დანესებულებებს, რომელთან დავაც გულისხმობს უცხო ქვეყანაში გარკვეული დროით დარჩენას, უცხო გარემოში ადვოკატის მოძიებასა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

ტურისტის ინტერესების დაცვის გარანტია მისი მიზიდვის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევა. თუ მოგზაურობის მომწყობს ჩამოვაშორებთ შედეგის ვალდებულებას, ტურისტი რჩება დაზარალებული და მისი ინტერესები – დაუკმაყოფილებელი. აღნიშნული პრობლემა უნივერსალური ხასიათისაა და თანაბრად ეხება ნებისმიერი ქვეყნის ტურისტული პროდუქტის მომხმარებელს. მესამე სამყაროს ქვეყნებში მოგზაურობის დროს მომსახურების არაჯეროვნად განევის შემთხვევაში, ხშირად ტურისტი აწყდება პრობლემას მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი უზრუნველყოფის მხრივ, იმ მარტივი მოტივით, რომ ამ ქვეყნებში არ არსებობს მისი ინტერესების დამცავი შესაბამისი სამართლებრივი ნორმა. როდესაც საკითხი ეხება ტურისტისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, სასამართლოს მიერ მომსახურების გამწვანე დაკისრებული პასუხისმგებლობა ხშირად მოგზაურობის მომწყობისათვის ფორმალური ხასიათის აღმოჩნდება, იმ მიზეზით, რომ კონკრეტული ქვეყნის, მაგალითად, კამბოჯის სამართალი არ ცნობს მსგავს ვალდებულებას. ტურისტის შელახული ინტერესების დაკმაყოფილება მთლიანად ხდება მოგზაურობის მომწყობის ხარჯზე.

საქართველოში ტურისტული სააგენტოსათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალებას მისთვის შედეგის (გარანტიის) ვალდებულების არარსებობა განაპირობებს. სწორედ შედეგის (გარანტიის) ვალდებულების გარეშე, მხოლოდ მოქმედების ვალდებულების დაკისრებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ საქართველოს არაერთი მოქალაქე გამხდარა დასვენებისას გაუთვალისწინებელი სიტუაციის მძევალი, შექმნია დისკომფორტი მოგზაურობისას. სამწუხაროდ, არსებობს ჯავშანში გამომგზავრების არასწორი თარიღის მითითების გამო საქართველოს მოქალაქე-ტურისტის სასტუმროდან გამოძევების შემთხვევები. მოგზაურობის მომწყობის მიერ რეპატრიაციამდე ხარვეზის გამოსწორებასა და თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ღამისთევისათვის საკმარისი თანხის არქონისას, გაურკვეველი რჩება ტურისტის დაცვის საშუალებები. ხარვეზიანი მოგზაურობის გამო ტურისტისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის დადგომისას, როდესაც მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზს მოგზაურის მიერ დადგენილ ვადაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 661-ე მუხლი მოგზაურს უტოვებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას. მოგზაურობის მომწყობის ერთ-ერთი ვალდებულება კი, სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგზაურობის ყოველგვარი ხარვეზის გარეშე უზრუნველყოფაა. მსგავს შემთხვევაში, ტურისტული სააგენტო ვერ ასრულებს მოგზაურობის სათანადოდ დაწყებისა და დასრულების ვალდებულებას და მოქმედი კანონმდებლობა არც კი ადგენს მისი პასუხისმგებლობის საფუძვლებს. ქართული კანონმდებლობა მოგზაურობის მომწყობთა პროფესიული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ბუნდოვანია და დაუხვეწავი. გაუთვალისწინებელი შემთხვევების გარდა, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებებიც კი, უმეტეს შემთხვევაში, შეიცავენ ტურისტის ინტერესების საზიანო პირობებს, ისეთებს როგორცაა: მოგზაურობის მომწყობის უფლება 24 საათის განმავლობაში შეცვალოს ტარიფი, გაფრენის დრო, ავიაკომპანია და ა.შ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1211-7–1211-17 მუხლების თანახმად, დაუშვებელია კონტრაქტში გათვალისწინებული ფასების შეცვლა თუ მისი

ცვლილების შესაძლებლობა კონტრაქტით არ არის გათვალისწინებული. მოგზაურობის მომწყობის მხრიდან, ერთ-ერთი პირობის შეცვლის შემთხვევაში, მოგზაური ან აუქმებს ხელშეკრულებას ან აგრძელებს მას შეცვლილი პირობებით. თანხმობა ხელშეკრულების შეცვლილი პირობებით გაგრძელებაზე მოგზაურმა უნდა დაააფიქსიროს წერილობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს მთლიანი თანხის უკან დაბრუნება ან მოგზაურობის ორგანიზატორისათვის ჯარიმის დაკისრება. მოგზაურობის მომწყობის მხრიდან, ხელშეკრულების პირობების თვითნებური შეცვლის უფლების გამოყენება აუფასურებს მოგზაურობას და კიდევ უფრო ამძიმებს ტურისტის მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 667-ე მუხლი ადგენს „კოდექსით გათვალისწინებული წესები არ შეიძლება შეიცვალოს ტურისტის საზიანოდ“, მოგზაურობის ორგანიზატორები გამგზავრებამდე 24 საათის განმავლობაში შეცვლილ პირობებს არ თვლიან მოგზაურის საზიანოდ შეცვლილ პირობად, არაკეთილსინდისიერ შეთანხმებად. აღნიშნული განპირობებულია მეცნიერ იურისტთა მიერ ტურისტული ხელშეკრულების ირგვლივ შესაბამისი განმარტებების არარსებობით და სასამართლო პრაქტიკის სიმწირით, მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში მეცნიერ იურისტთა დოქტრინალური თვალსაზრისი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, წამყვან როლს ასრულებს როგორც საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, ასევე, პრაქტიკაში მათი დანერგვის მნიშვნელობითაც.

ფრანგული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1598-ე მუხლის პრინციპს – „ყველაფერი იყიდება, რისი გაყიდვაც შეიძლება“,⁴ ევროკავშირის 1990 წლის 13 ივნისის №90/314/ცეე დირექტივივამ „დასვენებისა და ორგანიზებული მოგზაურობის შესახებ“⁵ ორგანიზებულ მოგზაურობაზე დადებულ ხელშეკრულებას მინიჭა ნასყიდობის ხელშეკრულების კვალიფიკაცია და დააკისრა წევრ ქვეყნებს მისი ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება. მიიჩნია რა, რომ ბევრ წევრ ქვეყანაში მოგზაურის სამართლებრივი მდგომარეობა თანაბრად არ იყო დაცული. ევროპის 1990 წლის 13 ივნისის დირექტივამ ნათლად განმარტა, რომ სამოგზაურო სააგენტო არის მოგზაურობის ორგანიზაციის გარანტი და მოგზაურობის შესრულებაზე ერთადერთი პასუხისმგებელი.

ფრანგულმა კანონმდებლობამ და სასამართლომ პრობლემის გადაჭრის საშუალებად ტურისტული საქმიანობის სუბიექტთა პასუხისმგებლობის გამკაცრების ფორმა აირჩია. საკმარისია ტურისტმა დაამტკიცოს მოგზაურობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება, რომ პასუხისმგებლობის ტვირთი მოგზაურობის მომწყობ მხარეს დაეკისრება. მომსახურებისა და სერვისის გამწვევის ბრალი არ გამოიციხავს მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობას. სამოქალაქო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, ფრანგული კანონმდებლობა და სასამართლო უტოვებს სამოგზაურო სააგენტოს მომსახურების გამწვევის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლებას, იმ პირობით, თუ დაამტკიცებს ამ უკანასკნელის ბრალს მისთვის მინდობილი მისიის არაჯეროვნად შესრულებაში. ტურისტული სააგენტო იმოქმედებს სამოქალაქო დელიქტური პასუხისმგებლობის ველზე. სხვაგვარად, სააგენტო თვითონ კისრულობს პასუხისმგებლობას იმ მომსახურებაზე, რომლის შესრულებაც ხელშეკრულებით მესამე პირს მიანდო. ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა მოგზაურობის მომწყობს უტოვებს შესაძლებლობას თავიდან აიცილოს დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი გარეშე ძალების ზემოქმედების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მსგავს პირობას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 666-ე მუხლი, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელებდა, ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება“.⁶ შესაბამისად, მოგზაურობის მომწყობი თავისუფლდება პასახუსიმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს კოდექსის ამ მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობას. ქართული კანონმდებლობით, დაუძლეველი ძალა უნდა იყოს გაუთვალისწინებელი, მაგრამ სადავო საკითხი იმის შესახებ, რა სახის გარემოება შეიძლება იყოს გათვალისწინებადი და რა გაუთვალისწინებელი და რა მომენტში ხელშეკრულების დადების დროს თუ მისი შესრულების პროცესში. სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მაგალითის სახით, დაუძლეველ ძალად მიჩნეულია ბუნების დამანგრეველი ძალა, პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ხელშეკრულებით შეთავაზებულ ქვეყანაში.⁷ ამ შემთხვევაში, სადავო რჩება საკითხი იმის შესახებ, რამდენად გაუთვალისწინებელია პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება იმ ქვეყანაში, რომელშიც მიემგზავრება მოგზაური ან რამდენად გაუთვალისწინებელია ბუნების დამანგრეველი ძალა. ბოლო პერიოდის განმავლობაში გახშირებული სტიქიური უბედურებებისა თუ მრავალფეროვანი კატასტროფების ფონზე, გაუთვალისწინებელმა ძალამ და ფორსმაჟორმა თავისებური ევოლუცია განიცადა. განვითარებული ტექნოლოგიის წყალობით, ბუნებრივი კატასტროფები სულ უფრო ნაკლებად მიიჩნევა როგორც გაუთვალისწინებელი მოვლენა, განსაკუთრებით სეისმურ ზონებში. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკური მოვლენების გაუთვალისწინებლობაზე, პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნებთან მიმართებაში. ბუნდოვანია ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან მიმართებაში ქართველი კანონმდებლის დამოკიდებულება. როდესაც საუბარია ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების დაუძლეველ ძალად მიჩნევაზე, ამ შემთხვევაში, გაურკვეველია რა სახის ეკონომიკურ მდგომარეობაზეა საუბარი, ან რაში გამოიხატება იგი და როგორ აისახება ტურისტული სააგენტოს ან მოგზაურის მდგომარეობაზე. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში სავარაუდოდ, იგულისხმება ეკონომიკური კრიზისი ან ინფლაცია. კრიზისის ან ინფლაციის შემთხვევაში, ბუნდოვანია საკითხი იმის შესახებ თუ მოგზაურისათვის, რომელსაც ხელშეკრულების მოქმედების დროისათვის გადახდილი აქვს ტურისტული პაკეტისათვის ხელშეკრულებით დადგენილი ფასი და რომლითაც უზრუნველყოფილია მისი გამგზავრების ქვეყანაში კვებასთან და ღამისთევასთან დაკავშირებული პირობები, რატომ უნდა იქცეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება დაუძლეველ ძალად. თუ კანონმდებელი ამ შემთხვევაში გულისხმობს სასაქონლო მიმოქცევის შეზღუდვას, აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იქნას საომარი მდგომარეობით, აჯანყებით ან მანიფესტაციებით, რაც უფრო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე ეკონომიკურის. სამწუხაროდ, საქართველოში ტურიზმის სფეროში სასამართლო პრაქტიკის არარსებობა, რისი დიდი გამოცდილებაც არსებობს ევროპის ქვეყნებში, შეუძლებელს ხდის სამართლებრივი ნორმის პრაქტიკაში გამოყენების საკითხის განხილვას.

ევროპული, ამ შემთხვევაში, ფრანგული კანონმდებლობა დაუძლეველი ძალის გარდა ფორსმაჟორის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად განიხილავს გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობას. საფრანგეთის ტურიზმის კოდექსის მუხლი 211-16 თანახმად: „ყველა ფიზიკუ-

რი თუ იურიდიული პირი, ვინც ეწევა ტურისტულ საქმიანობას პასუხისმგებელია ტურისტის წინაშე. პასუხისმგებლობისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება შესაძლებელია, თუ დამტკიცდა, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამონვეული იყო ან მყიდველის ბრალით, ან გაუთვალისწინებელი გარემოებებით, ან ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი, მომსახურებისაგან დამოუკიდებელი უცხო მესამე ძალით, ან ფორსმაჟორით“.⁸

ფრანგული კანონმდებლობის შესაბამისად, ტურისტული სააგენტო მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამონვეულია ზემოაღნიშნული ოთხი გარემოებიდან ერთ-ერთის არსებობით. მყიდველის ბრალთან ან ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი, მომსახურებისაგან დამოუკიდებელი, უცხო მესამე პირის ბრალთან დაკავშირებული საკითხები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით გარკვეულია. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული გაუთვალისწინებელ გარემოებად და დაუძლეველ ძალად. მათი განსაზღვრა შესაძლებელია ხელშეკრულების დადების პროცესისა და ხელშეკრულების შესრულების პროცესის გამიჯვნის გათვალისწინებით. როგორც თეორეტიკოსი ხავიერ პეში აღნიშნავს: „მოვლენა უნდა იყოს გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადების პროცესში და დაუძლეველი ხელშეკრულების შესრულების პროცესში“.⁹

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების დადების პროცესში გაუთვალისწინებელ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად, აეროპორტის საკონტროლო სამსახურის გაფიცვა, ხოლო ხელშეკრულების შესრულების პროცესში დაუძლეველ ძალად შეიძლება მიჩნეული იქნას ომის დაწყება იმ ქვეყანაში, სადაც ტურისტი იმყოფება. დამდგარი მოვლენა შესრულებულ ფაქტს წარმოადგენს, რომლის არსებობის შემდეგაც შესაძლებელია მსჯელობა, იყო თუ არა კონკრეტული მოვლენა დაუძლეველი. რაც შეეხება გაუთვალისწინებლობას, მისი დადგენა გაცილებით რთულია, რადგან უნდა იყოს აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი, რომ ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ გარემოებად. ექსტრემალური კლიმატული პირობები, ყოველთვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გაუთვალისწინებელ გარემოებად. უმეტეს შემთხვევაში, მისი განსაზღვრება დამოკიდებულია მოსამართლის მოსაზრებაზე. მაგალითად, ფრანგულმა ტურისტულმა სააგენტომ სცადა თავიდან აეცლებინა პასუხისმგებლობა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ექსტრემალური კლიმატური პირობების არსებობა მიიჩნია გაუთვალისწინებელ გარემოებად. სასამართლომ ჩათვალა, რომ გერმანიაში მარტში თოვლის მოსვლა და ფრენის შეფერხება გასათვალისწინებელია და შესაძლებლად მიიჩნია დამდგარი ზარალის თავიდან აცილება მოგზაურის გაფრთხილებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მეტეოროლოგიური პირობები გათვალისწინებადი და ამ მოტივით უარი უთხრა სააგენტოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოთხოვნაზე.¹⁰

ყველაზე გახმაურებული შემთხვევა დაკავშირებული ფორსმაჟორის დადგომის შედეგად გამონვეული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან უკავშირდება 2010 წლის აპრილში ვულკანის ამოფრქვევას ისლანდიაში. შექმნილი მდგომარეობის შედეგად, საფრანგეთის მოქალაქე ტურისტი, დათანხმდა ტურისტული სააგენტოს შეთავაზებულ მომსახურებას დაბრუნებულიყო თვითმფრინავით მარსელამდე, მიუხედავად იმისა, რომ თავად ცხოვრობდა პარიზში. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, ტურისტული სააგენტოსაგან მოითხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც გამონვეული იყო ისლანდიაში ლამისთევით, მარსელიდან პარიზამდე მანქანის დაქირავებით.

მიუხედავად ფორსმაჟორის არსებობისა, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პირველმა პალატამ დააკმაყოფილა მოგზაურის მოთხოვნა.¹¹ ვულკანის ამოფრქვევა სასამართლოს მიერ არ იქნა მიჩნეული ფორსმაჟორად, მიხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში არსებობდა ფორსმაჟორის ორივე ელემენტი გაუთვალისწინებლობა და დაუძლეველობა. საფრანგეთში სასამართლოებმა ძალიან სწრაფად დაინყეს საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების განზოგადება და სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა. სავარაუდოდ, აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევროპელი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი იურისტები ყველა შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ ტურისტის ინტერესების დაცვას, როგორც ეს აღიარებულია ცივილიზებულ სამყაროში. საფრანგეთის 1992 წლის 13 ივლისის „მოგზაურობის, ღამისთვისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ყიდვა-გაყიდვის პირობების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, ყველა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, ვინც ტურისტულ საქმიანობას ახორციელებს, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მყიდველის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე“.¹²

მიუხედავად იმისა, რომ ფორსმაჟორი ათავისუფლებს ტურისტულ სააგენტოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი პასუხისმგებლობისაგან, სააგენტო არ თავისუფლდება სხვა მომსახურების შეთავაზების ვალდებულებისაგან. საფრანგეთის ტურიზმის კოდექსის 211-15 მუხლის მიხედვით, „როცა გამგზავრების შემდეგ ხელშეკრულების რომელიმე მნიშვნელოვანი ელემენტი ვერ სრულდება ან შეუძლებელია შესრულება, გამყიდველმა უნდა შესთავაზოს მყიდველს არშესრულებული მომსახურების შემცვლელი სხვა მომსახურება ან ჯეროვნად უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ შეეძლო შეეცვალა მომსახურება, რომელიც არ შესრულდა.“

მსგავს შემთხვევაში, გამყიდველი თავის თავზე იღებს იმ დამატებით ხარჯს და განსხვავებას ფასში, რაც არსებობს იმ მომსახურებას შორის, რაც არ შესრულდა და იმ მომსახურებას შორის, რომელიც შესთავაზა.

თუ მყიდველი არ ეთანხმება შეთავაზებას, გამყიდველმა უნდა მიანოდოს მას მგზავრობისათვის აუცილებელი სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მყიდველს დაბრუნდეს გამგზავრების დანჯების ადგილას“.¹³


შესაბამისად, ფრანგული ტურიზმის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი ტურისტულ სააგენტოს ავალდებულებს მიუხედავად ფორსმაჟორის არსებობისა საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ტურისტის უკან დაბრუნება. ამ შემთხვევაში, კანონმდებელი იცავს ტურისტს როგორც ფინანსური, ისე მორალური და ფიზიკური ზიანისაგან, მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 666-ე მუხლი თითოეულ მხარეს ავალდებულებს უკან მიყვანის დამატებითი ხარჯების ნახევრის ანაზღაურებას, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. როგორც უკვე შევნიშნეთ, ცივილიზებულ სამყაროში სტიქიური უბედურების რისკის მომხმარებელზე დაკისრება არც სასამართლო პრაქტიკით და არც კანონმდებლობით მიღებული არ არის. მომხმარებლის ინტერესების დაცვა მაღლა დგას მენარმის ინტერესებზე. მომხმარებელმა და მენარმემ თანაბარი რისკი არ უნდა განიონ.

ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის ორგანიზატორებისათვის სრული სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებამ გამოიწვია სადაზღვევო თანხის ოდენობის ზრდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა სრული სამართლებრივი პასუხისმგებლობის გადახედვის საკითხი. ნარმოქმნილ პრობლემასთან დაკავშირებით, საფრანგეთის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ლორანს ჟეგუზომ აღნიშნა: „პროფესიონალი არ შეიძლება სისტემატურად

იყოს პასუხისმგებელი, მომხმარებლის დაცვის ეგიდით, რადგან იგი დაზღვეულია. არის საშიშროება ტურისტულმა სააგენტომ ველარ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება. ამიტომ მთლიანად უნდა გადავხედოთ სრული სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეჟიმს და უფრო მეტად დავიცვათ მენარმეთა ინტერესები. ეკონომიკური კრიტერიუმში დაედო საფუძვლად 1957 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნას, ეკონომიკური კრიტერიუმის ფუნდამენტური პრინციპები უნდა გავიხსენოთ ტურიზმთან დაკავშირებითაც. გარდა ამისა, მომხმარებლის დაცვა გულისხმობს ეკონომიკურად ძლიერი მენარმის არსებობას¹. საქართველოს პირობებში საეჭვოა მოგზაურობის მომწყობისათვის სრული სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ის წარმოდგენილია საფრანგეთის მაგალითზე. ამ ეტაპზე საქართველოს კანონმდებლობაში აუცილებელია წარმოდგენილი იყოს ტურისტული საქმიანობის სუბიექტთა ფინანსური გარანტიების, სამოქალაქო პროფესიული პასუხისმგებლობის, დაზღვევის, ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირთა პასუხისმგებლობისა და ასევე, ტურისტთა უსაფრთხოების შესახებ გარანტიები. მათი დახვეწის საქმეში დიდ როლს ასრულებს არამხოლოდ საერთაშორისო დირექტივები ან რეკომენდაციები, არამედ ევროპული სასამართლო პრაქტიკაც.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ვერსია.
- ² Pierre Py, Droit du Tourisme. page 337;éd. Dalloz. 2005.
- ³ Cour de cassation. chambre civile 1. Audience publique du mercredi 10 mai 1989. N° de pourvoi: 87-15655. Publié au bulletin.
- ⁴ Code Civil. 104e édition 2005. Dalloz.
- ⁵ Directive 90/314/CEE du Conseil, du 13 juin 1990, concernant les voyages, vacances et circuits à forfait. Journal officiel n° L 158 du 23/06/1990 p. 0059 – 0064. édition spéciale finnoise: chapitre 6 tome 3 p. 0053 , édition spéciale suédoise: chapitre 6. tome 3. p. 0053.
- ⁶ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ვერსია.
- ⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, გვ. 309.
- ⁸ Code du Tourisme. Sixieme edition. Dalllos. 2012.
- ⁹ Xavier peshi. Juris tourisme. 2012. #139. p. 21.
- ¹⁰ Cour de cassation. chambre civile 1. Audience publique du mercredi 5 novembre 2009. Publié au bulletin.
- ¹¹ Cour de cassation. chambre civile 1. Audience publique du 8 mars 2012. N° de pourvoi: 11-10226. Publié au bulletin.
- ¹² Loi n°92-645 du 13 juillet 1992 fixant les conditions d'exercice des activités relatives à l'organisation et à la vente de voyages ou de séjours NOR: 9100006L Version consolidée au 07 octobre 2006.
- ¹³ Code du Tourisme. Sixieme edition. Dalllos. 2012.



THE OBLIGATION FOR THE OUTCOME IMPOSED ON TRAVEL AGENCY AND CIRCUMSTANCES EXCLUDING THE LIABILITY (AS PER GEORGIAN AND FRENCH LAWS)

MAKATKEBUCHAVA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of law, PhD student

The article reviews the grounds for imposition and release from civil liability for travel agencies as service providers, and their regulating norms. It analyses the issue of liability of the travel agency based on individual actions and on the responsibility for the outcome, as well as the issue of third party liability. The article uses the method of comparative analysis with French legislation and court practice, in consideration of international directives.

Among the circumstances that exclude liability, the elements of Force Majeure are examined and compared to the concept of Force majeure – insurmountable force in Georgian Legislation.

The article analyses the legal problems, which highlight the necessity of entering amendments into the Civil Code and Tourism regulations.

სასჯელის მიზნების საკანონმდებლო ბანსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

(სისხლის სამართლის სფეროში ლიბერალური
პოლიტიკის გამოვლენის ერთი ასპექტი)

გურამ ნაჭყებია

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ემერიტუსი, ამავე
უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის
პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი*

სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოვლენის პრობლემა იმთავითვე ფილოსოფიურ სიბრტყეზე გადადის, რადგან „პოლიტიკა“ და „სამართალი“ საზოგადოებრივი ცხოვრების ორი, მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ მაინც განსხვავებული სფეროა. ამიტომ პოლიტოლოგიას, როგორც პოლიტიკის შესახებ კერძო მეცნიერებას, საკუთარ ფარგლებში დარჩენით არ შეუძლია წარმოაჩინოს სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოვლენის მთელი თავისებურება და პირიქით, იურიდიულ მეცნიერებას, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას, თავის მხრივ, არ შეუძლია პილიტიკისა და პოლიტიკურის მთელი სიმდიდრე წარმოაჩინოს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის სფეროში ლიბერალზმის, როგორც პოლიტიკური დოქტრინის გამოვლენის პრობლემა პოლიტიკური ფილოსოფიის ნიადაგზე დგომას მოითხოვს, თუმცა, ამ მხრივ, მხედველობიდან არც სამართლის ფილოსოფიური პრობლემატიკა უნდა გამოგვრჩეს.

მაგალითად, ა. ბურჯალიანი სამართლის ფილოსოფიის საგნად სამართლის ქმნადობას ასახელებს, მაგრამ არამხოლოდ კანონშემოქმედებით, არამედ ნორმაშეფარდებით პროცესშიც.¹ გასაგებია, რომ კანონშემოქმედება, ანუ კანონის ფორმაში სამართლის ნორმების გამოხატვის ურთულესი პრობლემა, არამხოლოდ „შემოქმედების“ ცნების სათანადო გაგებას მოითხოვს, არამედ კანონშემოქმედების პროცესში სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის გამოვლენის მიხედვით პოლიტიკური სტრატეგიის, ტაქტიკისა და მიზანშეწონილობის ცნებათა დადგენასაც. ეს ბუნებრივია, რადგან პოლიტიკა, როგორც მართვის ხელოვნება, სამართლებრივი ცხოვრების მართვასაც მოიცავს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, პოლიტიკურისა და სამართლებრივის მიმართების პრობლემა ბუნებრივად გადადის ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემტიკაში, ხოლო ეს პრობლემა, თავის მხრივ, ადამიანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობას ემყარება. დღეს კიდევ უფრო აქტუალურად ჟღერს არისტოტელეს ცნობილი დებულება, რომ „ადამიანი პოლიტიკური ცხოველია“. ცხადია, სადაც პოლიტიკაა, როგორც მართვის ხელოვნება, იქ სამართალიცაა, ოღონდ სახელმწიფოზე გავლით. პოლიტიკა და სამართალი კი, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. ეს ურთიერთობა, თავის მხრივ, მათი ურთიერთპასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმაა.² სწორედ „პასუხისმგებლობის“ ფილოსოფიური კატეგორიის მართებული გაგების საფუძველზეა შესაძლებელი სასჯელის იმ მიზნების მართებული გაგება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლშია გამოხატული. სასჯელის მიზნების მართებული გაგების გარეშე პასუხი კითხვაზე: შეესაბამება თუ არა სასჯელის ამ მიზნებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით გათვალსწინებული სასჯელის სახეები, – უბრალოდ შეუძლებელია.

შემთხვევითი არც ისაა, რომ „ლიბერალიზმის“ წმინდა პოლიტიკური დოქტრინა პიროვნების თავისუფლების ფილოსოფიურ კონცეფციას ემყარება. თავისუფლება კი, პასუხისმგებლობის გარეშე თვითნებობა იქნებოდა. ლიბერალიზმი სახელმწიფოსაგან პიროვნების თავისუფლებას ემყარება, მაგრამ ამ მხრივ, ანარქისტულ იდეებს ემიჯნება. ანარქიზმი კი, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგ არის მიმართული. ასეთ ვითარებაში სისხლის სამართლის სფეროში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სწორი პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება შეუძლებელია. უფრო მეტიც, ამ მიმართებით „სახელმწიფოს“ ზოგადი, აბსტრაქტული გაგება საკმარისი არაა, რადგან „სამართლებრივი სახელმწიფოს“ იდეის გარეშე დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლებათა დანაშაულების თეორია და პრაქტიკა ჩიხში ექცევა. ამაზე მეტყველებს ის სამწუხარო გარემოება, რომელიც არსებობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და სუფევს პოსტსაბჭოურ სივრცეშიც. მაგალითად, ე. წ. „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციულ თეორიაში სახელმწიფო, როგორც ადამიანთა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის უპირველესი სუბიექტი, უგულვებელყოფილია და „დანაშაულის კვალიფიკაციის“ სუბიექტებად დასახელებულია საგამოძიებო სასამართლო ორგანოები.³ სინამდვილეში კი, საქმე, უპირველეს ყოვლისა, ეხება სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობას, როცა კანონმდებელი ადამიანთა განსაზღვრულ ქმედებას სისხლის სამართლის კანონის ფორმაში დანაშაულად აკვალიფიცირებს. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველივე დებულება, რომლის თანახმად, ეს კოდექსი „განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლსამართლებრივ ღონისძიებას“. გასაგებია, რომ აქ საუბარია საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაზე, რომელიც ტერმინი „კრიმინალიზაციით“ აღინიშნება.

ცხადია, ცნობილია ტერმინიც „დეკრიმინალზაცია“, როცა კანონმდებელი წინათ დანაშაულად მიჩნეულ ქმედებას დანაშაულად უკვე აღარ აცხადებს.

ამრიგად, აშკარაა, რომ ადამიანთა განსაზღვრული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სუბიექტი არის საქართველოს პარლამენტი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებათა დანაშაულად საბოლოო კვალიფიკაციას (ამ კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით) სასამართლო ახორციელებს. ცხადია, გამოძიებას ამ საქმეში თავისი შეუცვლელი როლი აქვს, რადგან, „ბრალდების“ ცნებას მტკიცების საგნის საპროცესო ცნების სტრუქტურაში თავისი ადგილი უჭირავს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „**ბრალდებული**“, **გამოძიების ეტაპზე, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ, არაბრალეულია, ვიდრე სასამართლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუბიექტის ბრალს არ დაადგენს, – ბრალდებულის არაბრალეულობის პრეზუმფციას არ გააბათილებს და ბრალდებულს „ბრალეულის“ სამართლებრივ (პროცესუალურ) მდგომარეობაში არ ჩააყენებს.**

ამრიგად, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს თავისი ადგილი უჭირავს, რის გამოც ამ ბრძოლის პოლიტიკური გეზი, სტრატეგია და ტაქტიკა ხელისუფლების ამ შტოების შესაბამისად ნაწილდება. რასაკვირველია, ამ მხრივ, წამყვანი მაინც საკანონმდებლო ხელისუფლებაა, რადგან ჯერ ერთი, კანონმდებლის გადასაწყვეტია თუ რომელი ქმედება ჩაითვალოს დანაშაულად, თუმცა, ამ მხრივ, კანონმემოქმედების პრობლემა, სამწუხაროდ, არსებითად შეუსწავლელია. მეორეც, კანონმდებლის გადასაწყვეტია ისიც, თუ რა სასჯელი ან ზემოქმედების რა ზომა უნდა იქნეს გამოყენებული დანაშაულთან ბრძოლაში. მესამე, კანონმდებლის გადასაწყვეტია, თუ როგორ უნდა მოენყოს სასჯელალსრულების დაწესებულებათა საქმიანობა იმგვარად, რომ სასჯელმოხდილი პირი ახალი დანაშაულის ჩადენაზე უკვე აღარ ფიქრობდეს. უფრო მეტიც, რომელი პოლიტიკური სტრატეგია აჯობებს – დანაშაულთა თავიდან აცილების, თუ პირიქით, რეპრესიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება? ცხადია, რეპრესიულ პოლიტიკას როგორც წესი, დანაშაულთა თავიდან აცილების პოლიტიკა აჯობებს. მით უმეტეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულის ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ, არაა სათანადოდ დაძლეული ყოფილ საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთში თითქოს გაბატონებული დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის გამო ყალიბდება. ეს სრულიად ყალბი დებულებაა, რომელიც ამახინჯებს როგორც სახელმწიფოს, ისე პიროვნების დანიშნულებას, არსებითად უგულებელყოფს დანაშაულთა თავიდან აცილების დიდ მნიშვნელობას და უნებურად ხელს უწყობს რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერებას. უფრო მეტიც, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყალბი იდეა ლოგიკურად გამორიცხავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემატიკაში სახელმწიფოს აქტიურ, წამყვან როლს და მთელ ამ პროცესს, როგორც უკვე ითქვა, საგამოძიებო სასამართლო ორგანოების საქმიანობით შემოსაზღვრავს. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ნეგატიური ასპექტით წარმოაჩენს და მისთვის პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა უცხოა. ამ მხრივ, სრულიად ალოგიკურია დანაშაულის ჩადენის გამო ნეგატიურ პასუხისმგებლობას დანაშაულთა თავიდან აცილების ფუნქცია დააკისრო, რადგან თუ დანაშაული უკვე ჩადენილია, მაშინ ეს პასუხისმგებლობა მხოლოდ ახალ დანაშაულს თუ აიცილებს თავიდან. ჯერ ერთი, დანაშაულის ჩადენა სისხლის სამართლის

კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების გარეშე შეუძლებელია. მეორეც, დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში კი არ შეჰყავს, არამედ პირიქით, ამ ურთიერთობიდან გამოჰყავს და სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში გადაჰყავს, ვიდრე ამ პირის პროცესუალური „ნათლობა“ არ შედეგება („ბრალდებული“, „გამართლებული“, „მსჯავრდებული“), მისი სამართლებრივი მდგომარეობა გაურკვეველია. გასაგებია, ამ მხრივ, თუ რა აქტუალურია პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, როცა სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება პასუხისმგებლობით ე. ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. აქ უკვე დგას სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხი: პრევენცია უმჯობესი უნდა იყოს რეპრესიაზე.⁴ სამწუხაროდ, „პრევენცია“ ხშირად გაგებულია, როგორც დასჯის მუქარა, როცა ეს მუქარა საზოგადოების მერყევ ელემენტებს აიძულებს, თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან და მხედველობაში არაა მიღებული დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სისხლის სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის, და მართლწესრიგის, როგორც არსის, კავშირის ფორმა. სამწუხაროდ, იგივე შედეგებით მთავრდება სისხლის სამართალში სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც განსაკუთრებული მეთოდოლოგიური პრობლემატიკის უგულებელყოფა, როგორც ეს ხდება გერმანულ ტრადიციაში. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის უგულებელყოფა ლოგიკურად უგულებელყოფს სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიურ პასუხისმგებლობას მართლზომიერი ქმედების ჩადენისა და მართლწესრიგის შექმნისათვის. პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეის უგულებელყოფა, საბოლოოდ, უგულებელყოფს ადამიანს, როგორც თავისი ქმედებისათვის პასუხისმგებელ არსებას, ხოლო ამ პოზიციიდან სისხლის სამართლის სფეროში ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის დასმაც კი, გამორიცხულია. ეს თავის მხრივ, იურისპრუდენციის დოგმატიკაში გადაჩეხვის საფრთხეს შეიცავს. ლეო შტრაუსი შემთხვევით არ გმობს პოზიტივისტური ტიპის პოლიტოლოგიას, რომელიც არაკომპეტენტურია იმისათვის, რომ ღირებულებითი ხასიათის მსჯელობები აწარმოოს.⁵ ავტორის აზრით, პოლიტიკური მოვლენები გამართლებასა და დაგმობას, არჩევასა და უარყოფას, განდიდებასა და გაკიცხვას ექვემდებარება.⁶ ავტორი ასკვნის, რომ პოზიტივისტური პოლიტოლოგიის გაბატონების შემთხვევაში, პოლიტიკური ფილოსოფია ავანსცენიდან ქრება, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამარხში ჩასასვენებლად გამზადებულ მიცვალებულს ჰგავს“.⁷ ირკვევა, რომ ანალიზის სახით, სწორედ სახელმწიფოს ცნებაშია მოცემული პოლიტიკურის ცნება.⁸ ავტორი იხილავს კარლ შმიდტის მოსაზრებას ლიბერალიზმის შესახებ. ლიბერალიზმის ამ გაგების თანახმად, ადამიანი ბუნებით კეთილია, ამიტომ სახელმწიფო ადამიანთა პირად ცხოვრებაში არ უნდა ერეოდეს. თუმცა, ლიბერალებს სახელმწიფო საზოგადოების მსახურად წარმოუდგენიათ. საინტერესოა, კარლ შმიდტის ნააზრევში არა მხოლოდ ლიბერალიზმის სათანადოდ გაგება, არამედ პოლიტიკურის კატეგორიებად დახასიათებაც. კერძოდ, პოლიტიკურის განმსაზღვრელი თეზა არის „მეგობარი“ და „მტერი“, როგორც მაგალითად, ზნეობაში – „კეთილი“ და „ბოროტი“, „მშვენიერი“ და „მახინჯი“ – ესთეტიკაში და ა. შ.⁹ საინტერესო ისიცაა, რომ კარლ შმიდტს ლიბერალი არ მოსწონს, რადგან თუ ლიბერალს დაუსვამენ კითხვას – ქრისტე თუ ბარაბა? – იგი ან პასუხს აყოვნებს, ან მოითხოვს კომისიას საკითხის გადასაწყვეტად. გამოდის, რომ ლიბერალი პასუხისმგებლობას თავის თავზე არ იღებს.

არსებობს „ლიბერალიზმის“ ისეთი გაგებაც, როცა საქმე ეხება ადამიანის პიროვნების თავისუფლებას, მაგრამ არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად. კერძოდ, ადამიანის პიროვნების

თავისუფლებას სახელმწიფოს მიერ დადგენილი სისხლისსამართლებრივი შეზღუდვებისაგან. კარლ შმიდტის აზრით, ლიბერალური პოლიტიკა არსებობს, როგორც მხოლოდ პოლემიკური დაპირისპირება სახელმწიფო, საეკლესიო და ინდივიდუალური შეზღუდვის სხვა ფორმების მიმართ.¹⁰ საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვებისაგან ადამიანის პიროვნების თავისუფლება აბსოლუტური არაა და ამიტომ სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ, ადამიანის პიროვნება სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობისაგანაც არის თავისუფალი. აქ უკვე დგას ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა. ამ მხრივ, ქართული ფილოსოფიური ტრადიცია მეტად მდიდარია.¹¹ როგორც მართებულად აღნიშნავს მ. ამირგულაშვილი, „ადამიანის პრობლემა ამოსავალი წერტილია ყოველგვარი ფილოსოფოსობისა და ამდენად, იგი ის გასაღებია, ურომლისოდაც ფილოსოფიის ტაძრის კარიბჭის შეხსნა უბრალოდ შეუძლებელია“.¹² ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემატიკაში კი, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობას დიდი ადგილი უკავია. კერძოდ, თავისუფლება არაა მხოლოდ ნეგატიური მხარე ე. ი. გარეგანი იძულებისა, თუ შეზღუდვებისაგან გათავისუფლება (თავისუფლება რისგან?), არამედ არსებობს თავისუფლების პოზიტიური მხარეც (ე. ი. თავისუფლება რისთვის?). მაშასადამე, თავისუფლება თვითნებობა კი არაა, არამედ ზღვარდებულია პასუხისმგებლობით. პასუხისმგებლობას კი, თავისი დანიშნულება აქვს. როგორც სწორად აღნიშნავს დ. ჯალაღონია, „პასუხისმგებლობა თავისუფლების სტრუქტურის შემადგენელი ელემენტია, იგი მას ემყარება. პასუხისმგებლობა არსებობს იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც არსებობს თავისუფლება“.¹³

ისმის საკითხი: როგორ უნდა შეუთავსდეს ლიბერალიზმის ძირითადი თეზისი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ადამიანის თავისუფლების შესახებ (განსაკუთრებით, სახელმწიფოსაგან თავისუფლების მოთხოვნით) დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მოთხოვნებს, როცა ეს უკანასკნელნი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად აღარ არსებობენ? მართლაც, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარეშე არანაირი დემოკრატია აღარ არსებობს, ხოლო სახელმწიფოში მოქმედი კანონებისაგან თავისუფალი ნორმალური ფსიქიკის ადამიანის არსებობა შეუძლებელია. ეს ეხება სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასაც. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი, მათ შორის, იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმეც, ერთი მხრივ, ვალდებული ხდება, მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს, ხოლო მეორე მხრივ, მონოდებულია, ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლობით ე. ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. როგორც ჩანს, საქმე ეხება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რომლის შინაარსს მართლზომიერი ქმედებისათვის სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან მყარდება სახელმწიფოსა და პიროვნების ნორმატიული, ობიექტური კავშირი, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირის ნიშანია.

აქედან ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ **მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევა ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სუბიექტის ბრალის ნიშანია.** მეორენაირად რომ ვთქვათ, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სუბიექტი არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და მაშასადამე, მოქმედებს მართლწინააღმდეგოდ, ხოლო

მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სუბიექტის ბრალის სინონიმია. იგულისხმება, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა ადამიანის პიროვნებას მისი დანიშნულებისამებრ წარმოაჩენს. ამიტომ დანაშაულთა თავიდან აცილება მხოლოდ დადებითი პოლიტიკური იდეა კი არაა, რომელიც რეპრესიულ პოლიტიკურ იდეას უპირისპირდება, არამედ რეალურად წარმოაჩენს დანაშაულთა თავიდან აცილების შესაძლებლობას, ხოლო დანაშაულთა თავიდან აცილება, როგორც უკვე ვნახეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია.

ცხადია, დანაშაულთა თავიდან აცილება ყოველთვის ვერ ხერხდება, ამიტომ თავს იჩენს ნეგატიური პასუხისმგებლობის გარდუვალობა ე. ი. რეპრესიული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ცხადია, გონივრულ ფარგლებში, დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის დადებითი ეფექტის მომტანია. მართალია ისიც, რომ რეპრესიული პოლიტიკის გამკაცრება ზოგჯერ შეიძლება იყოს კიდევ გამართლებული, მაგალითად, ორგანიზებული დანაშაულის ტრადიციული ფორმების („კანონიერი ქურდობის“, „ტრეფიკინგის“, „ფულის გათეთრების“) წინააღმდეგ ბრძოლაში მკაცრი რეპრესიული პოლიტიკის წარმოება ეფექტიანი გამოდგა. მაგრამ, სამწუხაროდ, რეპრესიული პოლიტიკით გატაცება ხშირად გადადის საპირისპიროში, როცა საზოგადოებაში იწყება უწყესრიგობა და ქაოსი. აქ უკვე თავი იჩინეს სასჯელალსრულებით დაწესებულებათა საქმიანობის სფეროში წინა ხელისუფლების შემაშფოთებელმა შეცდომებმა. ამ მხრივ, ახალმა ხელისუფლებამ არაერთი ეფექტიანი ნაბიჯი გადადგა, გარდა იმისა, რომ ამნისტიისა და მსგავსი დროული ღონისძიებების განხორციელებით მკვეთრად შემცირდა საქართველოში საპატიმრო სასჯელმოსახდელ პირთა რაოდენობა, რაც თავის მხრივ, მთელი რიგი დადებითი ტენდენციის საწყისია. სხვას რომ თავი დავანებოთ, უფრო გამარტივდა სასჯელალსრულებით დაწესებულებათა მართვა-გამგეობა, ხოლო ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასჯელალსრულებით დაწესებულებებში ტრადიციული ნეგატიური მოვლენების დაძლევას. საყურადღებოა, არასაპატიმრო სასჯელების კანონიერი წესით მოხდის ორგანიზებაც იმგვარად, რომ სასჯელმოსხილმა პირმა დანაშაულის ჩადენაზე საბოლოოდ თქვას უარი. უფრო მეტიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით“. გასაგებია, რომ სასჯელის მიზნებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების ამგვარი წარმოჩენა, როცა ყოფილი მსჯავრდებული უკვე პასუხისმგებლობით მოეკიდება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, უეჭველად მრავლისმთქმელია. მაგრამ სამწუხაროდ, აქ კანონმდებელი სასჯელის მიზნების განხორციელების შედეგებსა და სისხლის სამართლის კანონის ზოგადპრევენციული ზემოქმედების შედეგებს ერთმანეთთან ათანაბრებს, რაც ჩვენი აზრით, დაუშვებელია. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონის ზოგადპრევენციული ფუნქცია დავას არ ინვეს და მას დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კანონის ზოგადპრევენციული მოქმედებით საზოგადოების მერყევე ელემენტებში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძებაც კი, შეიძლება მოხდეს. მაგრამ, მას სასჯელის გამოყენების შედეგებს ვერ გავუთანაბრებთ, რადგან ჯერ ერთი, დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელი ინიშნება, მისი ჩამდენი პირის უპასუხისმგებლო აქტია. აქედან გამომდინარე, სასჯელმა დანაშაულის ჩამდენი პირის

ეს უპასუხისმგებლობა პოზიტიურ პასუხისმგებლობად უნდა შემოაბრუნოს, როცა ყოფილი მსჯავრდებული მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას უკვე პასუხისმგებლობით ეკიდება ე. ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.

ამკარაა, რომ დანაშაული სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის უპასუხისმგებლობის აქტია, ხოლო ეს უპასუხისმგებლობა ბრალის სინონიმია. ბრალი სხვა არაფერია თუ არა პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა.¹⁴ მეორენაირად რომ ვთქვათ, სისხლის სამართალში ბრალი არის მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალსწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება.¹⁵ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, ნიშნავს სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებულ უარყოფას, ხოლო გაუფრთხილებლობა არის სუბიექტზე დაკისრებული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა, როცა წინდახედულობის ნორმის მოთხოვნას სუბიექტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება. ამაზე მეტყველებს სასჯელის მიზნები და მათი პრაქტიკული განხორციელების შედეგები. კერძოდ, თუ სასჯელის მიზნების პრაქტიკული განხორციელების შესაბამისად, მსჯავრდებული განიმსჭვალება მართლწესრიგის დაცვითა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ დანაშაული სუბიექტის უპასუხისმგებლობის აქტი ყოფილა. **მაშასადამე, სასჯელის მიზნებიდან უკუდასკვნა ბრალის ცნებაზე შეიძლება გაკეთდეს და პირიქით, დანაშაულის, როგორც მისი ჩამდენი პირის უპასუხისმგებლობის აქტიდან, სასჯელის მიზნებზე გადასვლა სავსებით ლოგიკურია: ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ადამიანის პიროვნებას, როცა მისი დანაშაულებრივი ქმედება მისივე უპასუხისმგებლობის აქტია და მაშასადამე, ამიტომ სასჯელმა მსჯავრდებული ისე უნდა გამოასწოროს, რომ ის მართლზომიერი ქმედების მოვალეობას ეკიდებოდეს პასუხისმგებლობით ე. ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობის საფუძველი არის ადამიანის პიროვნება, როგორც თავისი ქმედებისათვის პასუხისმგებელი არსება. მეორენაირად რომ ვთქვათ, დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობას ანთროპოლოგიური საფუძველი აქვს.**

ამრიგად ამკარაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზნები მიღწეულია, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდეგ, მართლზომიერი ქმედების მოვალეობას მოეკიდება პასუხისმგებლობით. ჩვენი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი მსჯავრდებულის გამოსწორებას მართებულად უკავშირებს პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძებას, ხოლო ეს თავის მხრივ, ამკარად ემყარება ადამიანის, როგორც თავისი ქმედებისათვის პასუხისმგებელი არსების ფილოსოფიურ კონცეფციას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: დანაშაული სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის უპასუხისმგებლობის აქტია, ხოლო სასჯელმა მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა უნდა გამოაღვიძოს.

ისმის კითხვა: შეესაბამება თუ არა სასჯელის ამ მიზნებს და მათი განხორციელების შედეგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სახეები? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი შეუძლებელია. კერძოდ, არა გვგონია, რომ ყოფილ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძებას თავისუფლების უვადო აღკვეთა შეესაბამებოდეს. ცხადია, რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო ღრმაა სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის უპასუხისმგებლობის ხარისხი, მაშასადამე, მით უფრო მეტი დრო სჭირდება ამგვარი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის პიროვნებაში პასუხისმგებლობის

გრძნობის გამოლვიძებას. მაგრამ, ვფიქრობთ, თავისუფლების აღკვეთა უვადოდ მაინც იმდენად მეტისმეტია, რომ აქ სამაგიეროს მიზლვა უფრო ჩანს, ვიდრე მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოლვიძების მიზანი, მართალია, საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, შესაძლებელია ამ სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხი დაისვას, თუ პირმა ფაქტობრივად მოიხადა უვადო თავისუფლების აღკვეთის 25 წელი, მაგრამ ამ გათავისუფლებისას მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის რაიმენაირ გრძნობაზე სისხლის სამართლის ამ ნორმაში ლაპარაკი არ არის. აშკარაა, რომ სასჯელის მიზნების პრაქტიკული განხორციელების შედეგებსა (საქ. სსკ 39 ე მუხლი) და სასჯელის იმ ზომას შორის, რომელსაც თავისუფლების უვადო აღკვეთა ჰქვია (საქ. სსკ-ის 51-ე მუხლი), არანაირი შესაბამისობა არ არის. აქ, როგორც ჩანს მიზან-საშუალებათა შეუსაბამობაა, რის გამოც თავს იჩენენ ფრიად სერიოზული პრობლემები. მით უფრო, რომ „პოლიტიკის მნიშვნელოვანი კანონია მიზნის სწორად შერჩევა და მის მისაღწევად ყველაზე ეფექტიანი გზების გამოძებნა“. ¹⁶ გარდა ამისა, ცნობილია, რომ ფილოსოფოსები ადამიანის პიროვნების ძირეულ თვისებად მის თავისუფლებას ასახელებენ. მაგრამ მაშინ პრობლემურია პიროვნებად ყოფნა იმ პირისა, რომელმაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რის გამოც მას თავისუფლების უვადო აღკვეთა დაენიშნა. ვფიქრობთ, მსჯავრდებულის პიროვნებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის გამოლვიძებისათვის ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა საჭირო არ არის, რადგან ასეთ პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობის არა გამოლვიძებას, არამედ პირიქით, მის დაჩლუნგებას. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ადამიანი, როგორც თ. დოსტოევსკი იტყოდა, ყველაფერს ეჩვევა, ცხადია – სასჯელსაც, რის გამოც, განსაკუთრებით გრძელვადიანი სასჯელი თავის დაპირისპირებულში გადადის. სამწუხაროდ, საქართველოში თავისუფლების უვადოდ აღკვეთა, როგორც სასჯელის ღონისძიება, სათანადოდ არაა შესწავლილი. ამ მხრივ, გამონაკლისია ზ. ხასიას პრაქტიკული ხასიათის ნარკვევი, რომელშიც მოკლედია მოთხრობილი სასჯელ-აღსრულებით სისტემაში თავისუფლების უვადო აღკვეთის მოხდის დადგენილი წესების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ამ ნარკვევში მინიშნებულია, რომ ძირითადად, ეს სასჯელი დაინიშნა მხოლოდ დანაშაულზე მონაცემების გათვალისწინებით, ესე იგი, მოხდა ჩადენილ დანაშაულზე მისი ჩამდენი პირის რედუქცია, რაც დაუშვებელია. კიდევ უფრო საყურადღებოა, ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა ყოფა-ცხოვრება. როგორც ირკვევა, იგი საკმაოდ მძიმეა. სუფთა ჰაერზე მათი ყოფნაც შეზღუდულია. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ მხარს ვუჭერთ ზ. ხასიას წინადადებას, რომ შეიცვალოს კანონი უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ.

არც ის უნდა დაგვაინწყდეს, რომ თავისუფლების უვადო აღკვეთა საქართველოში სიკვდილით დასჯის ალტერნატივად იქნა დაწესებული. ეს ერთგვარი კომპენსაცია იყო სიკვდილით დასჯის ოფიციალური გაუქმების შედეგად შექმნილი დასჯითი პოლიტიკის სფეროში შექმნილი ვაკუუმისა და მოსახლეობის წინაშე თავის მართლების მცდელობაც. მით უფრო, რომ სიკვდილით დასჯის მონინააღმდეგენი თვითგასწორებისა და სხვა აპოკალიფსით გვაშინებდნენ, მაგრამ სიკვდილით დასჯის გაუქმებას, საბედნიეროდ, არანაირი თვითგასწორება არ მოჰყოლია. ჩვენი ხალხი ღირსეულად შეხვდა ამ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვართ, რომ იგი ამ გადაწყვეტილებას – თავისუფლების უვადო აღკვეთას, როგორც სასჯელის სახის ოფიციალურ გაუქმებასაც – ღირსეულად შეხვდება. მით უფრო, რომ საქართველოს სახელმწიფოსათვის მისი სრული დამოუკიდებლობის დროს სრულიად უცხო იყო სასტიკი და წამებითი სასჯელები. ხოლო ცნობილია, რომ თამარის ეპოქაში სიკვდილით დასჯა არც გამოუყენებიათ.


ჩვენ გვესმის, რომ ქართული სახელმწიფო მრავალი მძიმე გამოწვევის წინაშეა, მით უფრო, როცა მისი ორი ორგანული რეგიონი ოკუპირებულია, რის გამოც ამ მიმართებით პოლიტიკური თუ სხვაგვარი პრობლემების წარმოქმნა გამორიცხული არაა. მაგრამ იმედია, რომ დასჯითი პოლიტიკის გამკაცრება აღარ მოხდება. პირიქით, ლიბერალიზმის პოლიტიკური გეზი კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. მეტი ყურადღება დანაშაულთა თავიდან აცილების უფრო ეფექტიანი ხერხების, მეთოდების შემუშავებას და დანერგვას უნდა მიექცეს.

ის საკითხი, თუ თავისუფლების უვადო აღკვეთის, როგორც სასჯელის გაუქმების შეთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის რა მაქსიმალური ვადა იქნეს დაწესებული, – შემდგომ მსჯელობას მოითხოვს (სავარაუდოდ, ამ მხრივ 25 წელი სრულიად საკმარისი იქნებოდა).

ცხადია, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ამ მხრივ, პანაცეა მოკლევადიანი სასჯელების გამოყენებაა. ცნობილია, რომ პირიქით, ამ მიმართებით კიდევ უფრო უცნაური პრობლემები იჩენენ თავს, მაგრამ ამ საკითხებს შემდგომი საფუძვლიანი მსჯელობა სჭირდება.

შენიშვნები:

- ¹ ა. ბურჯალიანი, სამართლის ფილოსოფია, თბილისი, 2012, გვ. 8.
- ² უფრო დაწვრილებით იხ.: გ. ნაჭყებია, სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ფილოსოფიის კატეგორია, „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. XVII, თბილისი, 2013, გვ. 38-52.
- ³ იხ.: მაგალითად, В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М., 1999, стр. 5.
- ⁴ ჟან-მარ დენკენი, პოლიტიკური მეცნიერება, თბილისი, 2007, გვ. 49.
- ⁵ ლეო შტრაუსი, რა არის პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2011, გვ. 25.
- ⁶ იქვე, გვ. 10.
- ⁷ იქვე, გვ. 83.
- ⁸ მ. ბიჭაშვილი, ნარკვევები პოლიტიკურ თეორიაში, თბილისი, 2012, გვ. 568.
- ⁹ იქვე, გვ. 575.
- ¹⁰ მ. ბიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 579.
- ¹¹ იხ.: მაგალითად, ანზორ ბრეგაძე, ფილოსოფიური ანტროპოლოგია და ქართველთა „მეცნიერული ქველობანი“, ჟურნალი „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. XVII, 2013, რომელშიც მოთხრობილია, თუ რა გაბედეულება გამოიჩინეს ქართველმა ფილოსოფოსებმა, როცა 1967 წელს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის თაოსნობით დაფუძნდა მთელ საბჭოთა სივრცეში პირველი და ერთადერთი განყოფილება ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა. აქვე მოთხრობილია, თუ როგორ გაოცდნენ „ზემოთ“ (მოსკოვში) და „გაბრაზებული“ კომისია გამოგზავნეს, მაგრამ ქართველმა ფილოსოფოსებმა, პროფ. ნ. ჭავჭავაძის მეთაურობით, დაარწმუნეს რუსი ფილოსოფოსები, რომ საქმე ფრიად სერიოზულია და ამ მხრივ, „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის“ დაფუძნებას წინ ვერაფერი დაუდგება. მართლაც, აკად. ანგია ბოჭორიშვილის, პროფ. ზ. კაკაბაძის, თ. შუაჩიძის, ო. ტაბიძის და სხვათა ფილოსოფიურ ნააზრევში ადამიანის პრობლემა მრავალმხრივ იქნა წარმოჩენილი (გვ. 62-63). სამწუხარო კი ისაა, რომ ქართულ სისხლისსამართლებრივ აზროვნებაში ეს მეტად მდიდარი ფილოსოფიური მემკვიდრეობა სათანადოდ არ არის გამოყენებული.
- ¹² მ. ამირგულაშვილი, პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2010, გვ. 6.
- ¹³ დ. ჯალაღონია, პოლიტიკური ფილოსოფია, თბილისი, 2012, გვ. 135.
- ¹⁴ გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001.
- ¹⁵ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 389.
- ¹⁶ ვ. შუბითიძე, ნ. წერეთელი, პოლიტოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 7.



PROBLEM OF REFERENCE OF LEGISLATIVE DEFINITION OF THE AIMS OF PUNISHMENT WITH THE DEPRIVATION OF LIBERTY FOR AN INDEFINITE TERM IN ACCORDANCE WITH THE CRIMINAL CODE OF GEORGIA

(ONE ASPECT OF EXPRESSING THE LIBERAL POLICY IN
THE FIELD OF CRIMINAL LAW)

GURAM NACHKHEBIA

PhD in law, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Criminal law and criminal procedures law scientific-research institute,

Director, Academician of the Georgian Academy of Philosophic Science

This article discusses a problem of liberalism as a political doctrine, and correspondingly, the philosophical problem of reference with policy and law, among them a problem of philosophy of law, as far as the expression of legal norms in the law or in sublegislative normative acts requires usage of philosophical concept of “creativity”. However, from its side all these are carried out within the framework of a political strategy, tactics and reasonability.

In this regard, the discussion is about a philosophical problem of an individual, as far as the crime is an act of irresponsibility of a perpetrator to the state, and the punishment, in accordance with the Article 39 of the Criminal Code of Georgia, should turn the convict’s such irresponsibility

into a positive responsibility, so that to make a former convict treat the obligation of rightful act responsibly from now on, i.e. with an internal readiness for fulfilling such obligation. Consequently, the article discusses and substantiates that the deprivation of liberty for life, as a measure of punishment, does not meet this very aim of punishment. Not only the deprivation of liberty for life, but also the deprivation of liberty for any other long term is compatible with arousing a sense of responsibility in an individual's personality, because a person, according to F. Dostoyevsky, can get used to everything, including the crime. And thus, it is more grounded to think that the long-term deprivation of liberty does not arouse a sense of responsibility, but on the contrary, benumbs it. Consequently, deprivation of liberty for life, as a measure of punishment, should be annulled, and instead, the term for the deprivation of life can be set for no more than 25 years.

The article points out that not even a short-term punishment is a panacea in this respect, because many other brainteaser issues start to emerge in this respect, but this issue needs further discussion.

დანაშაულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში

იან ჩხეიძე

სამართლის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანია, თუ რა ფორმითა და მეთოდებით ხორციელდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ცალკეულ საკითხთა სამართლებრივი რეგულირების განსაზღვრისას უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში თითოეული ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფის მყარი გარანტიების არსებობა, სასიცოცხლოდ აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა სისხლის საპროცესო სამართალი. სისხლის საპროცესო კანონმდებლობის ამოცანაა დაადგინოს ისეთი სამართლებრივი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დამნაშავის გამოვლენა და დასჯა. თუმცა, ამ ამოცანების განხორციელებასთან ერთად, აუცილებელია, მაქსიმალურად დაცული იქნეს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში საინტერესო პერიოდია. უკვე ორ წელზე მეტია, რაც საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა, რომელმაც ბევრი ნოვაციის დამკვიდრებასთან ერთად, რადიკალური ცვლილებები მოახდინა. აღნიშნულის შესახებ

ბევრი ითქვა, თუმცა, არასოდეს დაკარგავს აქტუალობას ისეთი საკითხები, რომლებიც პირის სამართლებრივ და უფლებრივ მდგომარეობას ეხება სისხლის სამართლის პროცესში. ხშირ შემთხვევაში, ეს საკითხები შეიძლება საკმაოდ მტკივნეულიც აღმოჩნდეს საზოგადოების რიგითი წევრებისათვის, მით უფრო, თუ საქმე დანაშაულის მსხვერპლს, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას ეხება.

დაზარალებული არის პირი, რომელსაც უშუალოდ ადგება ზიანი დანაშაულის შედეგად. მართალია, დანაშაული ხელყოფს საჯარო ინტერესს და სახელმწიფო ზრუნავს დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესის დაცვაზე. მაგრამ, ფაქტია, რომ ვერსად გავექცევით პირად ინტერესს, როდესაც დაზარალებული სულმოუთქმელად ელოდება სწორედ სისხლის სამართალწარმოების შედეგს, რათა ამ შედეგით მისი უფლებების კომპენსირებაც მოხდეს.

დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს სისხლის საპროცესო მეცნიერებაში. საერთაშორისო სამართლებრივი მიდგომა ც კი, განსხვავებულად ფორმირდებოდა ამ მიმართულებით.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მატარებლები არიან. სამართლებრივი სტატუსი კი, პროცესის მონაწილეთა როლის განმსაზღვრელია სისხლისსამართალწარმოების განხორციელებისას.¹ ათწლეულების მანძილზე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული უფლებრივად საკმაოდ ძლიერ სუბიექტად გვევლინებოდა. დაზარალებულის უფლებები იმდენად ფართო სპექტრის იყო, რომ ის ბრალდების მხარეს წარმოადგენდა და შეეძლო სუბსიდიური ბრალმდებელიც კი ყოფილიყო. რაც ნიშნავდა შემდეგს: თუ სისხლისსამართალწარმოების განხორციელებისას პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე, რასაც დაზარალებული არ ეთანხმებოდა, საქმე არ წყდებოდა, ამ შემთხვევაში, ბრალმდებლად დაზარალებული გამოდიოდა სისხლის სამართლის საქმეზე. გარდა აღნიშნულისა, კერძო ბრალდების საქმეებზე, ისეთი როგორიც გახლდათ: სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) და 125-ე (ცემა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და წყდებოდა ბრალდებულთან მისი შერიგების გამო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე, ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში.

არსებული ვითარება სწრაფად შეიცვალა – 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და დაზარალებულმა ერთბაშად დაკარგა თავისი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში. ის არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, მაგრამ აღარ წარმოადგენს მხარეს სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნულმა გამოიწვია მისთვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევა და იქვე გაჩნდა უამრავი კითხვა.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შემოთავაზებული რეგულირება ამერიკული სამართლებრივი რეგულირების მსგავსია. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში ფაქტობრივად უუფლებოა. რეალურად, ის მხოლოდ მოწმის ფუნქციებს ასრულებს. როგორც ამერიკელები ამბობენ, დაზარალებული ბრალმდებლის „მოსიარულე სამხილია“. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხილია ბრალმდებლისათვის და დაზარალებულთან თანამშრომლობაზე დიდწილადაა დამოკიდებული თუ რამდენად ეფექტიანად წარიმართება გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. მიუხედავად ამისა, ამერიკის სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს სპეციალური სტატუსი არ გააჩნია.²

მართალია, აშშ-ის კანონმდებლობა დაზარალებულს არ აღიარებს სისხლის სამართლის პროცესის მხარედ და ამას აკეთებს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რათა პროცესში არ იყოს ერთი დაცვისა და ბრალდების ორი მხარე, მაგრამ დაზარალებულის საპროცესო სტატუსის შეზღუდვასთან ერთად, მაღალი ხარისხით იცავს დაზარალებულის უფლებებს. ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა მიმართ ამერიკის სამართალწარმოება სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელსაც კი უშვებს. აშშ-ის სისხლის საპროცესო სამართალი „სამოქალაქო სანქციის“ (Civil penalty) სახელწოდებით იცნობს სამოქალაქო მოსარჩელის ცნებას სისხლის სამართლის პროცესში. პირს, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად, უფლება აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის მეშვეობით მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. თუმცა, დაზარალებულის აღნიშნული უფლება შეზღუდული ფარგლებით მოქმედებს და გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საქმე ეხება გენოციდს, ტერორიზმს ან კორუფციულ დანაშაულს. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების შეზღუდული სახით არსებობა განპირობებულია ამერიკის სამართლებრივი ტრადიციებით. როგორც წესი, კლასიკური საერთო სამართლის სისტემისათვის დაუშვებელია ერთ პროცესში სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოებაში შერეული ფორმით არსებობა.³ თუმცა, ამერიკის სამართლისათვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს რა, ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენაზე ზრუნვა, კანონმდებლობამ ეს გამონაკლისი სრულიად შეგნებულად, კონკრეტული მიზნის მისაღწევად დაუშვა.

სამოქალაქო სარჩელის გარდა, ამერიკის სასამართლო დაზარალებულისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების კიდევ ერთ ფორმას იცნობს. ეს გახლავთ რესტიტუციის ინსტიტუტი სისხლის სამართალწარმოებაში. ამერიკის სამართალში რესტიტუცია სასამართლოს მოთხოვნაა, რომლის საფუძველზეც ბრალდებული ან მსჯავრდებული იხდის ფულად თანხას ან ასრულებს რაიმე მოქმედებას დაზარალებულის სასარგებლოდ. რესტიტუციის ინსტიტუტის უზრუნველსაყოფად მოსამართლეს უფლება აქვს გამოსცეს რესტიტუციის ბრძანება (order of restitution). რესტიტუციის ინსტიტუტი ყოველგვარი გამონაკლისებისა და შეზღუდვების გარეშე მოქმედებს. ამ კუთხით, არა ერთი სპეციალური სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული. მაგალითად, 1982 წლის კანონი „დანაშაულის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის შესახებ (Victim and Witness Protection Act of 1982)“, რომელმაც პირდაპირ გაითვალისწინა დაზარალებულის დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან, რაც უპირველეს ყოვლისა, მისთვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებით გამოიხატება.

ამ კუთხით საინტერესოა, ევროპული გამოცდილების გაცნობაც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა დაზარალებულს აღიარებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ. რიგი დანაშაულების შემთხვევაში, ბრალდებული კერძო ბრალმდებელს წარმოადგენს. მაგალითად, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევისას, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის შემთხვევაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს, წარმოადგენს რა, იგი პროცესის მხარეს და ამავდროულად ბრალმდებელს, უფლება აქვს მოიწვიოს ექსპერტი, გამოიძახოს მოწმეები. თუმცა, გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო სარჩელის ცნებებს. ეს ცნებები სამოქალაქო პროცესსა და სამოქალაქო სამართალშია გათვალისწინებული.⁴

რაც შეეხება საფრანგეთს – საკითხის ცოტა უცნაურ და გერმანიისაგან სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპ-

როცესო კოდექსში დაზარალებულის ცნება არ არსებობს, მაგრამ მის სინონიმად გამოიყენება სამოქალაქო მოსარჩელის ცნება. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად: ნებისმიერ პირს, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღვა ზიანი, საჩივრის წარდგენის საშუალებით შეუძლია საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოს წინაშე გამოვიდეს სამოქალაქო მოსარჩელის სახით.

ასევე საინტერესო და აუცილებელია, გავეცნოთ საერთაშორისო სამართლებრივ მიდგომას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაზარალებულის უფლებებს ეხება ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია „დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“. დეკლარაციაში მოცემულია დანაშაულის მსხვერპლის განსაზღვრება და აღნიშნულია, რომ დანაშაული ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ინვესტს როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ისე მისი ახლობლების სხეულის დაზიანებასა და ფსიქოლოგიურ ტრავმას. დანაშაულისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ დაზარალებულისათვისა და მისი ოჯახისათვის მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით, დეკლარაციაში შემუშავებულია რიგი ზომებისა, რათა: დაზარალებულები უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი; ხელი შეუწყონ და დაეხმარონ მათ, მიიღონ ზარალის ანაზღაურება დამნაშავისაგან, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სახელმწიფოსაგანაც; ესწრებოდნენ და ყოველთვის იყვნენ მოსმენილნი, როდესაც საქმე ეხება მათი ინტერესების დაცვას; მათ მოეპყრონ სამართლიანად როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აღსრულებისას; დაცულ იქნენ ყოველგვარი რეპრესიებისა და დაშინებისაგან. აღნიშნული დეკლარაციის თანახმად, შიდაეროვნული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება და შუამდგომლობების განხილვის შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება დაზარალებულის პირად ინტერესებს. გარდა ამისა, დეკლარაციაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ დაზარალებულს უნდა განემარტოს მისი ადგილი სისხლისსამართალწარმოებაში და უნდა შეატყობინონ ინფორმაცია სამართალწარმოების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.⁵

დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის 2001 წლის 15 მარტის რეკომენდაცია (2001/220/JHA) დაზარალებულის ადგილის შესახებ სისხლის სამართალწარმოებაში. აღნიშნული რეკომენდაცია მიუთითებს სახელმწიფოებს, რომ მათ ეროვნულ სისხლის სამართლის სისტემაში უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის მყარი უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, დაზარალებული დაცული უნდა იქნეს შესაძლო საფრთხისაგან, მას აუცილებლად უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზარალი, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება დაიკითხოს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. თუმცა, რეზოლუცია არაფერს ამბობს ამ უფლებათა უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებებზე. ამ ღონისძიებათა განსაზღვრა სახელმწიფოთა უფლებაა, მთავარია მათი ეფექტიანობა.

არსებობს კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას ეხება. ეს არის ევროსაბჭოს 1985 წლის 28 ივლისის R(85) რეკომენდაცია „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“. რეზოლუციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხები: 1. დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნეს მიღებული,

რაც განხილული იქნება დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურების ან მის სასარგებლოდ რაიმე ქმედების განხორციელების საკითხი; 2. დაზარალებულს აუცილებლად უნდა მიენოდოს ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ; 3. დაზარალებულს უფლება უნდა ჰქონდეს გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება პირდაპირ სასამართლოში; 4. საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ.⁶

აუცილებლად უნდა განვიხილოთ აღნიშნული საკითხები ქართული კანონმდებლობის მიხედვითაც. მივყვით თანმიმდევრობით:

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული პროცესის მხარეს აღარ წარმოადგენს, ბუნებრივია, კანონმდებელი მისი ინტერესების სრულ იგნორირებას ვერ მოახდენდა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს: ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; ბ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა; გ) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემთხვევითი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; დ) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება; ე) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება; ვ) პროკურორს მოსთხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მას, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; ზ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ; თ) ისარგებლოს კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. გარდა ზემო აღნიშნულისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, პროკურორმა დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო: ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მოსამართლესთან; ბ) წინასასამართლო სხდომა; გ) სასამართლოს მთავარი სხდომა; დ) სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ; ე) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა; ვ) პროკურორი ასევე, ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადება.

აღნიშნული კუთხით, ყველაფერი რიგზეა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოცემული ნორმები სრულად შეესაბამებიან საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს და მაქსიმალურად იცავენ დაზარალებულის ინტერესებს – იყოს ინფორმირებული იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მას პირადად ეხება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის დისკრეციული და ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის რეკომენდაცია R(87) 18 „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ“. დოკუმენტი რეკომენდაციას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ ამ უფლებამოსილების განხორციელებისას, კომპეტენტური ორგანო, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ხელმძღვანელობდეს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინდივიუალიზაციის პრინციპით. განსაკუთრებული

ყურადღება ასევე, უნდა დაეთმოს დაზარალებულის მდგომარეობას.⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად არაფერს ამბობს. ის მიუთითებს, მხოლოდ საჯარო ინტერესზე, რომელიც მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აი, ამ დოკუმენტში უკვე დეტალურადაა საუბარი იმ პირობებზე, რომელთა ანალიზის საფუძველზეც პროკურორმა უნდა დაიწყოს ან უარი თქვას სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. მიუხედავად პროკურორის ვალდებულებისა, დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესი და არა რომელიმე ინდივიდი, მან დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები.⁹

დაზარალებულის ინტერესები გათვალისწინებული უნდა იქნეს განრიდებისა და მედიაციის შემთხვევაშიც. არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების საკითხის გადაწყვეტისას, პროკურორმა კვლავ საჯარო ინტერესით უნდა იხელმძღვანელოს. ანუ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, დაზარალებულის მდგომარეობის მხედველობაში მიღება. მედიაციის პროცესის წარმოებისას საქმეში მედიატორი ერთვება, ის ახორციელებს მოლაპარაკებას დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის. პროკურორი უბრალოდ, თვალყურს ადევნებს ამ პროცესს და ბრალდებულისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულების შეფასების შემდეგ, იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება სრულწლოვანი ბრალდებულის განრიდებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლი ადგენს პირობებს, რომელთა შესრულების შემთხვევაში პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. ერთ-ერთი ასეთი პირობაა, ბრალდებულის ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება. გარდა ამისა, საპროცესო კოდექსის 168²-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ცხადყო, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა სტატუსი ექნება დაზარალებულს სამართალწარმოების განხორციელებისას, მისი ინტერესები მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში და ამას ვერსად გავექცევით, რადგან მართლმსაჯულების მიზანი არა მხოლოდ დამნაშავეს დასჯაა, არამედ აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების შედეგებს საზოგადოება აღიარებდეს და ამ შედეგებით დარღვეული უფლებების რეაბილიტაცია ხდებოდეს. დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინების გარეშე კი, ამის მიღწევა ნამდვილად შეუძლებელია.

ახლა ყურადღება არსებულ პრობლემებზეც გავამახვილოთ. ევროსაბჭოს 1985 წლის 28 ივლისის R(85) რეკომენდაციაში „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“ მითითებულია: დაზარალებულს უფლება უნდა ჰქონდეს პირდაპირ სასამართლოში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება. დაზარალებულის ეს უფლება ნამდვილად ეფექტიან სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს პიროვნებისათვის საკუთარი უფლებების დასაცავად. მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლში ნათქვამია: „დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან“. ე.ი. დაზარალებულს ვართმევთ შესაძლებლობას

საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოში იბრძოლოს. ამით ხომ არ ხელვეყოფთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მე-6 მუხლით აღიარებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების სფერო ვრცელდება თუ არა დაზარალებულზე. დიდი ხნის მანძილზე, მსხვერპლთა მიერ წარდგენილი განცხადებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაუშვებლად იყო ცნობილი.¹⁰ მაგრამ, აღნიშნულმა დამოკიდებულებამ დანაშაულის მსხვერპლის მიმართ, მხოლოდ გარკვეული პერიოდი იარსება. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ადამიანის უფლებათა დამცველის საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ.¹¹ სრულიად გაუმართლებლად იქნა მიჩნეული, რომ თავად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დანაშაულის მსხვერპლს ყოველგვარი უფლებების გარეშე ტოვებდა. აღნიშნული არადაამაკმაყოფილებელ სტანდარტად იქნა მიჩნეული. საქმეზე „მორიერა დე აზევედო“ სასამართლომ განაცხადა: „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას იმდენად ნამყვანი ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ გაუმართლებელია კონვენციის მე-6(1) მუხლის გარანტიების შეზღუდული ინტერპრეტირება“.¹²

ამდენად, თუ დაზარალებული თვლის, რომ ილახება მისი ინტერესები სისხლისსამართალწარმოებაში, მას საკუთარი ინტერესების დაცვის ეფექტიანი საშუალება ნამდვილად უნდა ჰქონდეს. არამართებულია დაზარალებულს წავართვათ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება თუ ის თვლის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ გადანყვეტილება მიღებულ იქნა მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

დაზარალებულზე საუბრისას, აუცილებელია შევხვთ საპროცესო შეთანხმების წესსა და პირობებს. საპროცესო შეთანხმება ეს არის შეთანხმება ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის. დაზარალებული კი, მხარეს არ წარმოადგენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების არსებობა. ამდენად, არსებობს ვალდებულება, რომ დაზარალებული საქმის კურსში იყოს და პროკურორმა შეთანხმების დადებამდე კონსულტაციაც კი გაიაროს დაზარალებულთან. თუმცა, 217-ე მუხლის მე-2 ნაწილში კატეგორიულადაა ნათქვამი: „დაზარალებულს უფლება არა აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება“. ფაქტობრივად, დაზარალებულის უფლება საპროცესო გარანტიის გარეშეა დარჩენილი.

მთავარი არ არის, თუ რა როლი ექნება დაზარალებულს პროცესის მიმდინარეობისას, მთავარია, არ მოხდეს მისი ინტერესების ხელყოფა და მისი უფლებები იქნას რეალიზებული. დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ:

1. დაზარალებულის ინტერესების სრული მოცულობით გათვალისწინების მიზნით, უმჯობესი იქნება თუ დაზარალებულს სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ პროკურორის გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება ექნება სასამართლოში;

2. საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლების არარსებობის პირობებში, პროკურორის ვალდებულება – კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და დაზარალებულის უფლება, წინასწარ იცოდეს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ ინფორმაცია – იურიდიულ ფიქციად რჩება. ამიტომ, აუცილებელია საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების პირობებს კიდევ ერთი პირობა დავმატოს.

3. ამასთან. დაზარალებულს უფლება უნდა ჰქონდეს გაასაჩივროს პროკურორის ნებისმიერი უკანონო ქმედება. გარდა დაზარალებულის უფლებების უზრუნველყოფისა, ეს იქნება დამატებითი პრევენციული ბერკეტი პროკურორის უკანონო ქმედებების თავიდან ასაცილებლად;

4. სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების არავითარი ბერკეტი არ არსებობს. ამ კუთხითაც, საჭიროა ცვლილებები. თუ მოვერიდებით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის აღრევას, შეგვიძლია გამოვიყენოთ ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის საპროცესო სამართალში კარგად აპრობირებული რესტიტუციის მეთოდი. ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის განსაზღვრისათვის ყოველთვის ხდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა, ამიტომ განსაკუთრებით რთულ საქმეებზე მაინც, უმჯობესი იქნება თუ მოსამართლეს სასჯელის განსაზღვრასთან ერთად დაზარალებულის სასარგებლოდ, ზარალის ანაზღაურების დაკისრების უფლებამოსილებასაც მივანიჭებთ.

გფიქრობთ, ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინება უფრო მეტად სრულყოფს დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართლის პროცესში.

შენიშვნები:

- ¹ Уголовный процесс, Под редакцией проф. Алексеева, Из-во “Юрист,” 1995 г., <http://www.kulichki.com/moshkow/PRAWO/BESTJUR/uprocess.txt>
- ² Дубривин В.В., Волеводз А. Г., Правовое регулирование возмещения вреда, причиненного преступлением, по законодательству США, “Юридический мир,” 4(2010), стр. 35.
- ³ Дубривин В.В., Волеводз А. Г., Правовое регулирования возмещения вреда, причиненного преступлением, по законодательству США, “Юридический мир,” 4(2010), стр. 36-37.
- ⁴ П. Н. Кобец, Зарубежный опыт возмещения вреда потерпевшим в уголовном процессе, <http://justicemaker.ru/view-article.php?id=22&art=2171>
- ⁵ Декларация основных принципов правосудия для жертв преступления и злоупотребления властью от 29 ноября 1985 г., [//www.un.org/ru/documents/decl_conv/declaration/power.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declaration/power.shtml)
- ⁶ Рекомендация R(85) 11 КМСЕ «Относительно положения потерпевшего в рамках уголовного права и уголовного процесса» от 28 июня 1985 г.
- ⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წელი, 9 ოქტომბერი, მუხლი 16.
- ⁸ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(87)18 „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ“, 1987 წლის 17 სექტემბერი, სამართლიანი სამართლის უფლება, 2001.
- ⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181 „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ“. 2010 წელი, 8 ოქტომბერი, თბილისი.
- ¹⁰ შტეფან ტრეველი, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 59.
- ¹¹ Василенко Н.Н., Нормы международного права о положении потерпевшего в уголовном процессе, <http://www.samoupravlenie.ru/18-09.htm>
- ¹² შტეფან ტრეველი, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 59.



RIGHTS OF A VICTIM IN CRIMINAL PROCEEDINGS

IA CHKHEIDZE

PhD of Law, Akaki Tsereteli University, Kutaisi Associated professor

The article is about one of the key figures of criminal proceedings – a victim. According to the current Criminal Procedures Code, the victim is granted the rights and responsibilities of a witness. Meanwhile, in conformance with the Criminal Procedures Code, in force until 2010, a victim was not a mere witness but a prosecution party. Such dramatic change put a focus on the issue of legal status of a victim in criminal proceedings. This work discusses the respective amendments enacted into Georgian legislation; it also covers legal regulations of foreign countries in respect to the status of a victim and international legal acts that aim at establishing high standards for protection of victim's rights.

ბინის (სხვა მფლობელების), პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში

თეა შაყულაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის
მიმართულების ასისტენტ-პროფესორი*

1763 წელს, ბრიტანეთის თემთა პალატის წინაშე გამოსვლისას, გამოჩენილმა ინგლისელმა პარლამენტარმა უილიამ პიტმა განაცხადა: „ღარიბთა შორის უღარიბესიც, საკუთარ ქონში უფლებამოსილია წინ აღუდგეს გვირგვინოსანთა ძალას და მთელ სამეფო არმიას, სახლი შეიძლება დაინგრეს, სახურავი მოერყეს, შეიძლება მასში ორპირი ქარი დათარეშობდეს, წვიმა კი, ჩამონგრეული ჭერიდან ასხამდეს, მას შეიძლება დაატყდეს შტორმიც, მაგრამ არც ინგლისის მეფეს და არც სხვა რომელიმე ძალას უფლება არა აქვთ გადააბიჯონ ასეთი დანგრეული სახლის ზღურბლსაც კი.“¹

კერძო საკუთრების, მათ შორის კი, ყველაზე მეტად უძრავი ქონების საკუთრების სამართლებრივი საფუძვლები და მასთან დაკავშირებული გარიგებები, უძველეს დროში წარმოიშვა. მრავალი საუკუნით ადრე, ვიდრე მეცნიერები ამის მტკიცებას დაიწყებდნენ, ადამიანებმა იცოდნენ, რომ „საკუთარი ჭერი“ და „დაკეტილი კარები“, მათ არამარტო ცუდი ამინდისგან ან არასასურველი სტუმრისაგან იცავდა, არამედ ასევე, იცავდა მათი განმარტოების უფლებას, პირად და ოჯახური ცხოვრების საიდუმლოებებს, სულიერ სიმშვიდეს, ოჯახურ მყუდროებას და შესაბამისად, მათ იმიჯს, ღირსებასა და ავტორიტეტს ამ საკუთ-

რების მიღმა. ბრიტანული გამოთქმა „ჩემი სახლი – ჩემი ციხესიმაგრეა“, იქცა დოგმად, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარება. ამიტომაც, როგორც უილიამ ბლექსტონი აღნიშნავს: „კანონებს აქვს განსაკუთრებული და სენსიტიური დამოკიდებულება პიროვნების საცხოვრებელთან, იცავენ რა, მას არამარტო დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, არამედ ყველა სახის უსიამოვნებისგან.“²

მრავალი საუკუნის განმავლობაში, ადამიანის საცხოვრებელი ინარჩუნებს ერთი და იგივე სოციალურ ფუნქციას, იგი ძველებურად რჩება ოჯახურ კერად, სადაც იზრდება შთამომავლობა,³ სადაც ადამიანი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ქცევის რეჟიმი, ინდივიდუალურად ან ოჯახის წევრებთან ერთად გადანყვიტოს ვინ მიიღოს სტუმრად, რაზე ისაუბროს, რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს. „მოქალაქის უფლება ბინის ხელშეუხებლობაზე თავისი არსით იგივეა, რაც ბინის საიდუმლო“⁴ – ადგილი, სადაც ადამიანისათვის ნებადართულია აკეთოს ყველაფერი ის, რასაც არასოდეს გააკეთებს საზოგადოების თვალწინ; ის უფლებამოსილია, სულაც საიდუმლოდ შეინახოს ასეთი ბინის არსებობა და ამასთან, ჰქონდეს გონივრული მოლოდინი, რომ მის საქციელს არავინ აკვირდება და არსაიდან კონტროლდება. სწორედ ამ კომფორტს გულისხმობს „საკუთარ თავთან მარტო დარჩენის უფლება“ ან როგორც ის სიტყვასიტყვით ითარგმნება – უფლება „ყველამ თავი დაგანებოს“ (the right to be left alone).

საცხოვრებელის, ბინის, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა „პირადი ცხოვრების“ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც ამ უფლების სხვა შემადგენელი ელემენტების მსგავსად, არ გააჩნია ნორმატიული განმარტება და როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო მიიჩნევს, არც არსებობს მისი საზღვრების ზუსტად დადგენის საჭიროება. რაც არ უნდა ირონიულად ჟღერდეს, დაკავების საკანონო უდავოდ „საცხოვრებელია“⁵ სადაც ადამიანი არ კარგავს საკუთარ თავთან მარტო დარჩენის უფლებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1993 წლის 22 დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში საცხოვრებელი ბინა განმარტებულია, როგორც „მოქალაქეთა მუდმივი ან დროებითი (სასტუმრო ოთახი, სააგარაკო სახლი) საცხოვრებელი დანიშნულებისათვის განკუთვნილი ბინის განუყოფელი ნაწილი“⁶, რომელიც სხვა მფლობელობასთან ერთად (მინის ნაკვეთი, სარდაფი, ავტოსადგომი და სხვა) ქმნის „თავისებურ ერთიან კომპლექს“.⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული ბინის და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა ერთიანობაში მოიცავს კერძო, დაქირავებული, დაგირავებული, მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ბინის, სახლის, აგარაკის, სასტუმროს ნომრის, პირადი საქმიანობის ადგილის (ოფისი, სამუშაო ოთახი, სამუშაო მაგიდა და ა.შ.), ავტომობილის და სხვა გადასაადგილებელი საშუალებების ხელშეუხებლობას.

როგორც ვხედავთ, ფართო გაგებით, მოქალაქის უფლება ბინის/სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობაზე ნიშნავს, რომ დაუსაბუთებელი და უკანონო ხელყოფისაგან დაცულია როგორც კერძო საკუთრება და ყოველივე ის, რაც ამ კერძო საკუთრებაში ინახება და რაიმე სახით დროის მოცემულ მონაკვეთში კონკრეტული პირის მფლობელობაში იმყოფება, ასევე, ნებისმიერი სივრცე, რომელსაც პირი საქმიანობისათვის, გადაადგილებისათვის იყენებს და აქვს რწმენა, რომ უკითხავად მას ვერავინ შეეხება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური და სისხლის სამართალწარმოების პროცესში იგი შეიძლება სავსებით კანონიერად შეიზღუდოს. ამა თუ იმ დოზით, ნებისმიერი საგამოძიებო, საპროცესო თუ ოპერატიულ-სამძებრო

მოქმედება ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოების „ხელით“, სახელმწიფოს შეჭრის ალბათობას დაზარალებულის, ბრალდებულის, მონმის და პროცესის სხვა მონაწილეთა პირად ცხოვრებაში.⁸ სისხლის სამართალწარმოების (სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების) ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ შეზღუდვებს ვერც ერთი სახელმწიფო, რაგინდ მაღალი დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი არ უნდა იყოს, თავს ვერ აარიდებს. ქრესტომათიულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე „ოლმსტრედი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, მოსამართლემ აღნიშნა: გენერალური მინდობილობა, ე.წ. დახმარების ფურცელი, რომელიც საზღვრის დამცავი ორგანოების თანამდებობის პირებს ანიჭებდა შეუზღუდავ ძალაუფლებას, ყველგან მოეძებნათ საქონელი, რომელიც ბრიტანული საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით იყო შემოტანილი, მათ მიერ მეტწილად ბოროტად იყო გამოყენებული. ამერიკელებს სძულდათ ეს ფურცელი, რამაც განსაკუთრებული დასაბუთების გარეშე ჩხრეკის წარმოებისა და დაპატიმრების კონსტიტუციური აკრძალვის დანესებამდე მიგვიყვანა.⁹ დემოკრატიული ქვეყნებისათვის, დღესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტანდარტები, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო თავს უფლებას აძლევს გადააბიჯოს კერძო საკუთრების ზღურბლს, დაარღვიოს იქ მცხოვრებთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ჩაატაროს ისეთი „მძიმე“ საგამოძიებო მოქმედებები, როგორც არის ჩხრეკა და ამოღება.

კერძო საკუთრებაში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველი უნდა იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და პროპორციული,¹⁰ რაც გულისხმობს, რომ მათი განხორციელება დასაშვებია კანონით სკრუპულოზურად განერილი პროცედურით, ემსახურება კანონის დაცვას, მართლმსაჯულების განხორციელებასა და დანაშაულის თავიდან აცილებას და პროპორციულია იმ საფრთხისა, რომლის თავიდან აცილებასაც მათი გამოყენება ემსახურება.

სისხლის სამართლის პროცესში, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) შეიძლება განხორციელდეს მთელი რიგი ისეთი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები, როგორც არის ჩხრეკა და ამოღება, პირადი ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ქონებაზე ყადაღის დადება; აგრეთვე დაკითხვა, გამოკითხვა, ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის, ამოცნობა (იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო მოქმედების მონაწილე პირს, ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია დატოვოს ბინა, ხოლო საგამოძიებო მოქმედების გადადება დაუშვებელია სისხლის სამართლის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე).

ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედებებიდან ჩხრეკა, ამოღება და დათვალიერება (ადგილმდებარეობის, საგნების, დოკუმენტების), როგორც მოქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად ხელყოფს ბინის (სხვა მფლობელობის) საიდუმლოს, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსამართლის განჩინებით. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც არსებობს საგამოძიებლისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურების რეალური საშიშროება, ან დაყოვნებამ შესაძლოა თავისთავად გახადოს შეუძლებელი მათი მოპოვება, ან როცა პირს წაასწრეს დანაშაულის ფაქტზე, ან როცა სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აღმოჩენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საჭირო საგნები ან დოკუმენტები, ან არსებობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, ან მოსამართლის განჩინების მიღება შეუძლებელია მისი ადგილზე არყოფნის გამო. ეს საგამოძიებო მოქმედებები, მფლობელი პირის ნების სანინააღმდეგოდ, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლის განჩინების გარეშეც, მხოლოდ საგამოძიებლის დადგენილების საფუძველზე, რის შესახებაც პროკურორმა მომდევნო 24 საათის

განმავლობაში უნდა აცნობოს მოსამართლეს და გადასცეს საქმის ის მასალები, რომლითაც დასტურდება საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა, რის შემდეგაც მოსამართლეს გამოაქვს განჩინება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ან უკანონოდ და მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ. მოსამართლე უფლებამოსილია ყველა შუამდგომლობა, რომელიც ამ საგამოძიებო მოქმედებებს ეხება, მხარის მონაწილეობისა და ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქართული კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს, თუმცა, როგორც ამბობენ „ემმაკი დეტალებში იმალება“. უპირველესად, უნდა შევეხოთ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერებას. კლასიკური გაგებით, კანონიერია ყველა მოქმედება, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს (ან თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) კანონის (ნორმატიული აქტის) საფუძველზე სრულდება. ერთი შეხედვით, ეს მოთხოვნა საკმაოდ მარტივია, მთავარია რის საშუალებას იძლევა კანონი, რომელიც თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს.

მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც თითქოს მოსამართლის კონტროლს აწესებს ამ მეტად დელიკატური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, სინამდვილეში მათი განხორციელების უფლებას აძლევს ნებისმიერ სამართალდამცავ სტრუქტურაში მომუშავე პირს; გამოძიებელს (სსსკ მუხ. 290), რიგით პოლიციელს (საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ მუხ. 9), რომლებსაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით (კოდექსში ასეთი ჩამონათვალი ძალიან ვრცელია), უფლება აქვთ დაუბრკოლებლად დაარღვიონ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

რა თქმა უნდა, გადაუდებელი აუცილებლობა პირად ცხოვრებაში ჩარევის ლეგიტიმური საფუძველია, ექსტრემალურ პირობებში ძნელია მოსამართლის განჩინების მიღება, რასაც ვერ ვიტყვით იმ პროკურორის დადგენილებაზე, რომელიც ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას. ვფიქრობთ, გადაუდებელი აუცილებლობის დროს, გამოძიებლისათვის პროკურორის მიცემული თანხმობა (რაც გათვალისწინებული იყო ძველი სსს კოდექსით) უნდა წარმოადგენდეს აუცილებელ პირობას ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოების გამოძიებელთა მხრიდან (რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ ეტაპზე ძალიან დაბალია და იურიდიულ განათლებასაც არ მოითხოვს) თვითნებობისა და თვითშემოქმედების თავიდან აცილებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი ვარიანტიდან დაუსაბუთებლად გაქრა მოთხოვნაც, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების დაწყების შემთხვევაში, მოქმედების განმახორციელებელ პირს ავალდებულებდა აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა პროკურორისათვის. ამ დათქმის უგულებელყოფას მხოლოდ ერთი ახსნა მოეძებნება – ააცილოს პროკურორს და მხოლოდ გამოძიებელს ან ოპერატიულ თანამშრომელს დააკისროს პასუხისმგებლობა ამ მოქმედებებზე.

კანონმდებლობის სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია ისიც, რომ მოსამართლე გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის საკითხს განიხილავს მხარეთა მონაწილეობისა და ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, პირს უჩნდება მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფის დასაშვებობის გონივრული მოლოდინი და შეგუებულია მის მიმართ ნების-

მიერი საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკა და ამოღება, (რომლის განხორციელება ღამის საათებშიც დასაშვებია) შეიძლება განხორციელდეს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე. ამავე დროს, თუ დაგეგმილ და პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილ მოსამართლის განჩინებაში, წინასწარ არის დადგენილი მოქმედების არეალი, ჩამოთვლილია სავარაუდო საძიებელი ობიექტები და განსაზღვრულია პირები, რომლებსაც ეს მოქმედებები შეეხებათ, გადაუდებელი აუცილებლობის დროს ხშირად, განმახორციელებელს წარმოდგენაც კი, არა აქვს რას ეძებს და რა არეალით შემოფარგლება; ამიტომ მიგვაჩნია, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომის ჩატარება, მხოლოდ მოსამართლის შეხედულებით არ უნდა წყდებოდეს. სურვილის შემთხვევაში, პირი რომლის საცხოვრებლის და შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაირღვა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებით, უფლებამოსილი უნდა იყოს მოითხოვოს და დაესწროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების თაობაზე დაყენებული შუამდგომლობის განხილვას, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და მისცეს განმარტებები სადავო საკითხებთან დაკავშირებით, რაც გაუადვილებს მოსამართლეს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკა და ამოღება „არქაული საგამოძიებო მოქმედებებია“,¹¹ მათი განხორციელების დროს მიყენებული სულიერი ტრავმა და განცდილი უხერხულობის გრძნობა იმდენად მძიმეა, რომ ადამიანები ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ მათ მიმართ (მათ ოჯახში), განხორციელებული საგამოძიებო მოქმედების ფაქტიც კი. ცნობილ ტრაქტატში „კონსტიტუციური სამართალი 1868 წელს“, ტომას ქული აღნიშნავს, „რომ ზოგჯერ უმჯობესია დანაშაული დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე დამნაშავემ პასუხი აგოს უმეცარი და საეჭვო პირების არაკოსტრუქციულობით, საცხოვრებელში მათი შეჭრით, დახსნილი და დამტვრეული ჩემოდნებით ცნობისმოყვარეთა მიერ, პირადი წიგნების, დოკუმენტებისა და წერილების წაკითხვით“;¹² ვინაიდან, „ადამიანში პიროვნება ითრგუნება და თავდაჯერებულობა ქრება იქ, სადაც შესაძლებელია სახელი და ქონება ნებისმიერ დროს დაუგეგმავ ჩხრეკასა და ამოღებას დაექვემდებაროს“. ამ მოსაზრებას იზიარებს ყველა დემოკრატიული ქვეყანა, სადაც პროკურორის შუამდგომლობებსა და ბრალდების მხარის სასარგებლოდ მოსამართლის მიერ გამოტანილ განჩინებებს შორის ტოლობის ნიშანი არ დგას.

- 2001 წელს, საქართველოს რაიონულ სასამართლოებში შევიდა 7363 შუამდგომლობა ჩხრეკაზე, 4576 – ამოღებაზე, 763 – ბინის დათვალიერებაზე, საიდანაც შესაბამისად, დაკმაყოფილდა 99,7%, 99,6% და 100%.
- 2002 წელს, 7807 – ჩხრეკაზე, 6228 – ამოღებაზე და 663 – ბინის დათვალიერებაზე. დაკმაყოფილდა – 99,5%, 98,8% და 95,8%.
- 2003 წელს, 8381 – ჩხრეკაზე, 8425 – ამოღებაზე, 317 – ბინის დათვალიერებაზე. დაკმაყოფილდა – 99,2%, 99% და 99,4%.¹³

2003 წლიდან უზენაესი სასამართლო ამგვარ სტატისტიკას აღარ აწარმოებს, თუმცა, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა. მოცემულ ციფრებზე დაყრდნობით, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, კანონი საშუალებას იძლევა ასეთი საგანგაშო სტატისტიკისათვის. ამასთან, ეჭვქვეშ დგება მოსამართლეთა

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხიც. ვინაიდან, ეს მეტად დელიკატური საგამოძიებო მოქმედებები „უპირველესი და ეფექტიანი იარაღია ყველა თვითნება ხელისუფლების არსენალში“.¹⁴ საერთაშორისო საზოგადოება მათი განხორციელების დასაშვებობას ძალიან მაღალ კრიტერიუმებს უყენებს და წარმოუდგენელია პროკურორთა შუამდგომლობებისა და მოსამართლეთა განჩინებების მოცემული რაოდენობა აკმაყოფილებდეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე შემუშავებული სტანდარტების მიხედვით, დემოკრატიულ ქვეყნებში საცხოვრებლის ხელშეუხებლობა (და არამართო), შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ განსაკუთრებულ და გამონაკლის შემთხვევაში და ის უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და პროპორციული.

განჩინების (ბრძანების, ორდერის) გაცემამდე, მოსამართლე უნდა დაფიქრდეს, ხომ არ არსებობს ალტერნატიული წყაროები ან მეთოდები, რომლითაც იგივე ინფორმაციის მიღება შეიძლება და იყო თუ არა აქამდე ეს საშუალებები გამოყენებული.

იმის გასარკვევად, არის თუ არა ჩარევა გონივრული და საკმარისად დასაბუთებული დემოკრატიული საზოგადოებისათვის, მოსამართლემ პასუხი უნდა გასცეს ორდონიან ტესტს.

- პრობლემა, რომლის გადაჭრის მიზანსაც საცხოვრებლის ხელშეუხებლობის შეზღუდვა ემსახურება, არის თუ არა საკმარისად აქტუალური და არსებითი დემოკრატიული საზოგადოებისათვის.
- მას შემდეგ, რაც მიზნის საკმარისობა გადაწყდება, მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ შერჩეული საშუალება გონივრული და დასაბუთებულია.

თავის მხრივ, აღნიშნული დგინდება პროპორციულობის გამოცდის ფორმით. ვინაიდან პროპორციულობა ყოველთვის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარეობს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია მოძებნოს გონივრული ბალანსი ერთი მხრივ, სახელმწიფოს, საზოგადოების და მეორე მხრივ, ცალკეული ადამიანისა ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესებს შორის. პროპორციულობის ტესტი შედგება 3 კომპონენტისგან:

- მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი საშუალებები ხომ არ არის უკანონო, უსაფუძვლო და ირაციონალურ მოსაზრებებზე დაფუძნებული;
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ საშუალება რაციონალურად არის დაკავშირებული მიზანთან, აუარესებს თუ არა ის, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებულ რაც შეიძლება ცოტა სიკეთებს;
- უფლებების შემზღუდველი ღონისძიების ეფექტი არის თუ არა პროპორციული იმ მიზნისა, რომელიც ჩაითვალა როგორც „საკმარისად მნიშვნელოვანი“ მაშინაც კი, თუ მიზანი საკმარისად მნიშვნელოვანია და პროპორციულობის პირველი ორი ელემენტიც დაკმაყოფილებულია, კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისთვის მისაყენებელი ზიანის სერიოზულობიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, კონსტიტუციური უფლებების ხელმყოფი ღონისძიებების გამოყენება შეიძლება მაინც არ იყოს გამართლებული მიზნით, რომლის განხორციელებასაც ეს საშუალებები ემსახურებიან.¹⁵

ჩხრეკა და ამოღება პირის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ისეთი საგამომძიებო მოქმედებებია, რომლებმაც ერთდროულად შეიძლება ხელყონ ბინის (სხვა კერძო მფლობელობის) პირადი ჩანაწერების, დღიურების, მიმოწერის, დოკუმენტების, პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო- და ვიდეომასალის და სხვა სახის პირადი საიდუმლოებანი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გამომძიებლის მოქმედება არ არის მკაცრად რეგლამენტირებული, კანონი იმპერატიულად არ ავალდებულებს მას შემოიფარგლოს მხოლოდ მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნული კონკრეტული პირის ოთახის, ნივთების და დოკუმენტების დათვალიერებითა და ამოღებით. ამდენად, იგი ვერ განსაზღვრავს ვერც მოქალაქის პირადი ცხოვრების საიდუმლოში ჩარევის დასაშვებ საზღვარს.

„ჩხრეკისა და ამოღების განხორციელების დროს, მაშინაც კი, როდესაც ნებით ხდება ამა თუ იმ ობიექტის გადაცემა, როგორც წესი, ჩხრეკა ამით არ მთავრდება. გამომძიებელმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს კიდევ რა ობიექტები შეიძლება იყოს შენობაში ისეთი, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან. ხშირად კი, თვით ოჯახის წევრებმაც, რომელთა თანდასწრებითაც ჩხრეკა წარმოებს, არაფერი იციან იმ ნივთებსა და დოკუმენტებზე, რომლებიც მათ ბინაში ინახება და მნიშვნელოვან მტკიცებულებებს წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე“.¹⁶

სიტყვა „დოკუმენტი“ (documentum) ლათინურიდან წარმოდგება და ნიშნავს რისიმე დამამტკიცებელ საქმიან ქალაქს, რაიმე უფლების დამადასტურებელ წერილობით საბუთს ან ვისიმე ვინაობის დამადასტურებელ მოწმობას. დოკუმენტური, ანუ დოკუმენტებზე დამყარებული შეიძლება იყოს კინო- და ვიდეომასალა.¹⁷ დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმეზე წარმოადგენს მტკიცებულებას, თუ იგი შეიცავს ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის საჭირო ცნობებს... რადგან დოკუმენტებზე, როგორც ინფორმაციის მატერიალურ მატარებელზე, შეიძლება ფიქსირებული იყოს დანაშაულის მატერიალური კვალიც. ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ადგენს კრიტერიუმს, რომელიც „დოკუმენტს, როგორც დამოუკიდებელი მტკიცებულების სახეს, განასხვავებს დოკუმენტის, როგორც ნივთიერი მტკიცებულებისაგან, თუ დოკუმენტს შეუნაცლებლობის თვისებები აქვს“.¹⁸

პირად დოკუმენტებში აისახება ადამიანის პირადი ცხოვრება, მისი აზრები, იმედები, ამბები განვლილი ცხოვრებიდან, მისი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, ანუ ფაქტები, რომლებიც მოცემული პირის პირადი ცხოვრების საიდუმლოს შეადგენს.

თუ პირის საცხოვრებელ ბინაში არსებობს ასეთი დოკუმენტები, მაშინ სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას, თანაბრად ვრცელდება ამ დოკუმენტებზეც. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საცხოვრებელი ბინის საიდუმლო მოიცავს საიდუმლოს პირად დოკუმენტებზე, რადგან მათი ამოღება და დათვალიერება შეუძლებელია ბინაში შესვლის გარეშე.

ამდენად, თუმცა, კანონი პირდაპირ არ მიუთითებს პირადი დოკუმენტების საიდუმლოს დაცვის აუცილებლობაზე, ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკიდან.

ბინაში (სხვა მფლობელობაში, სამუშაო ადგილას) მოსამართლის ბრძანებით მისულ გამომძიებელს უფლება აქვს ამოიღოს ყველა ის დოკუმენტი, წერილი, ჩანაწერი, დღიური, ფოტო- ან ვიდეომასალა, რომელიც არ არის მითითებული მოსამართლის განჩინებაში, მაგრამ აღმოჩენის

შემდეგ აჩენს საფუძველს ვარაუდისას, რომ იგი რამენაირ კავშირშია ამ ან სხვა სისხლის სამართლის დანაშაულთან.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი უმართებულოდ მიიჩნევს პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულ მეთოდს, როდესაც მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების (დანაშაულის საგნის) ამოსაღებად, მოსამართლის ბრძანებით ჩატარებული ჩხრეკის დროს, გამოძიებელი ხელს „გააყოლებს“ ბრალდებულის პირად დოკუმენტებსა და სხვა ნივთებს, რომლებიც აღნიშნული არ არის მოსამართლის ბრძანებაში და რომლებსაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ ამ კონკრეტულ დანაშაულთან.¹⁹

ბ. ბეზლექინი თვლის, რომ მიუღებელია იმ ჩანაწერთა ნიგნების, დღიურების, წერილების, ფოტოების, მაგნიტოფონის ან ვიდეოკასეტების ამოღება, რომლებსაც ერთი შეხედვით, თითქოს კავშირი არა აქვთ აღნიშნულ დანაშაულთან, მაგრამ „კარგ მასალას“ წარმოადგენენ ბრალდებულის პიროვნების შესასწავლად.²⁰

ი. პეტრუხინის აზრით, მხოლოდ ჩხრეკის შესახებ მოსამართლის ბრძანებაში ამოსაღებ საგნებად დღიურების, ჩანაწერების, პირადი დოკუმენტებისა და სხვა მასალების აღნიშვნა – არის კანონიერი საფუძველი მათი ამოღებისა და დათვალიერებისათვის, სხვა შემთხვევაში კი, მათი ამოღება და შესწავლა კანონსაწინააღმდეგო და დაუშვებელია, რადგან სანქცია გაიცემა კონკრეტული ნივთებისა და დოკუმენტების მოძიებასა და ამოღებაზე და არა გასაჩხრეკი პირის საცხოვრებლისა და მთელი მისი პირადი ცხოვრების ტოტალურ გამოკვლევაზე.²¹

ვფიქრობთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი სავსებით კანონიერად უშვებს მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნულ ჩამონათვალთან ერთად, იმ საგნებისა და დოკუმენტების ამოღებას, რომლებიც თუმცა, მითითებული არ არის ბრძანებაში, მაგრამ სავარაუდოდ, შეიცავენ ამ ან სხვა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონით, ამოღებას ექვემდებარება ყველა ის საგანი, ნივთი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმეში შეიძლება ჰქონდეს მტკიცებულების დანიშნულება, ამოღებას ექვემდებარება აგრეთვე, ის ნივთები, რომელთა შენახვაც კანონით საერთოდ აკრძალულია... აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოებაზე მითითებული საგანი ან დოკუმენტი.


ჩხრეკის დროს ამოღებულ დოკუმენტებსა და საგნებს შეიძლება ჰქონდეს თავდაპირველი, ასევე, წარმოებულის, – როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულების მნიშვნელობა.

ჩანაწერებში, დღიურებში, აღნიშვნებიან პირად კალენდარზე შესაძლოა ორაზროვნად, მინიშნებით მითითებული იყოს ის ფაქტები, რომლებსაც ერთი შეხედვით, შეიძლება კავშირი არც ჰქონდეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან. მაგალითად, მიღებული შემოსავლების ციფრობრივი აღნიშვნები, სარეალიზაციოდ გადაცემული ნაქურდალი ნივთის აღწერილობა, ფასი, რეალიზატორთა მეტსახელები და სხვა ისეთი ფაქტები, რომლებიც შესწავლისა და შესაბამისად დამუშავების შემდეგ, ადასტურებენ აღნიშნულ ან სხვა დანაშაულში სწორედ ამ პირთა მონაწილეობას და ხელს უწყობს დანაშაულის სხვა მონაწილეთა დადგენასაც. ამასთან, პირადი დოკუმენტები ბევრს მეტყველებენ დამნაშავის პიროვნებაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პირის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს გარემოებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე.

ამიტომ ასეთი ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც „გამომძიებლის უმიზნო, უკანონო ცნობისმოყვარეობა, თვითნებობის ზღვარზე“.²² ვფიქრობთ, კანონმა „ხელშეუხებლობით“ უნდა აღჭურვოს არა მოსამართლის ბრძანებაში მოუხსენიებელი ნივთები და დოკუმენტები, არამედ შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს მათში აღწერილი, მოთხრობილი პირად (ოჯახურ) საიდუმლოთა შემდეგი გაუხმაურებლობა მაშინაც, როდესაც ისინი პირდაპირ კავშირში არიან საქმესთან, რომლის გამოც სამართალწარმოება მიმდინარეობს და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი კავშირი, ერთი შეხედვით, არ იკვეთება.

შენიშვნები:

- ¹ Ахкубеков А.Х., Правовое регулирование оперативно-розыскной деятельности зарубежом и использования её результатов в уголовном процессе, М., 2004. стр. 28.
- ² Daniel J. Solove, A Taxonomy of Privacy. p., University of Pennsylvania Law Review 2006, N5, P. 549.
- ³ Мепаришвили Г.Д., неприкосновенность жилища, на материалах Грузии, Государство и право, 1995, № 5. стр. 100.
- ⁴ Малейн Н.С., Охрана прав личности в советском законодательстве, М., Наука, 1985, стр. 65.
- ⁵ შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 578.
- ⁶ მართლმსაჯულების მაცნე, თბილისი, 1993, N4, გვ. 8.
- ⁷ Мепаришвили Г.Д., Указ. Соч., стр. 104.
- ⁸ Шейфер С.А., Следственные действия, Система и процессуальная форма, М., 2001, стр. 152.
- ⁹ <http://www.ark-of-salvation.org/olmstead.htm>
- ¹⁰ შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 578.
- ¹¹ შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 582.
- ¹² Daniel J. Solove, p. 558.
- ¹³ მართლმსაჯულება საქართველოში, სტატისტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი, თბილისი, 2001, 2002, 2003.
- ¹⁴ Brinegar v US 338 US 160 (1949) 223.
- ¹⁵ Vinesh Basdeo//: A constitutional perspective of police powers of search and seizure in the criminal justice system, p.12-13, http://uir.unisa.ac.za/bitstream/handle/10500/3449/dissertation_basdeo_.pdf?sequence=1
- ¹⁶ Мепаришвили Г.Д., Охрана тайн личной жизни граждан в уголовном процессе, Дис.канд. юрид. Наук. М., 1998, стр. 101.
- ¹⁷ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჭაბაშვილი, 1964, გვ. 120.
- ¹⁸ Мепаришвили Г.Д., Охрана тайн личной жизни граждан в уголовном процессе, Дис.канд. юрид. Наук. М., 1998.
- ¹⁹ Мепаришвили Г.Д. О неприкосновенности личной документации граждан в уголовном процессе, Государство и право, 1996, № 1, стр. 78.
- ²⁰ Безлепкин Б.Т., Судебно-правовая защита прав и свобод граждан в отношениях с государственными органами и должностными лицами, 1997, стр. 71.
- ²¹ Петрухин И. Л., Личная жизнь: пределы вмешательства, М., 1989, стр. 17.
- ²² Кони А.Ф., речь по делу Ольги Палем обвиняемой в убийстве студента Довнара, Избранные произведения в двух томах, М., 1958, Т.1, стр. 607.



LIMITATION OF THE RIGHT OF SECURITY OF RESIDENCE (OTHER OWNERSHIP), PERSONAL DOCUMENTS IN CRIMINAL PROCEEDINGS

THEA SHAKHULASHVILI

Technical University of Georgia, PhD Candidate, Criminal law and criminal procedures law, Assistant-professor

Security (inviolability) of private property is one of the significant components of the right of privacy. In our everyday life, this right protects person's desire for privacy and his/her attempts to achieve independence from curios and intrusive public. Residence (any other private property) and everything that is kept inside are recognized as inviolable by the Constitution, international legal acts and legislation. But this condition is not absolute and it may be legitimately limited on the basis of law, and for the purposes of criminal proceedings.

Moral traumas and experienced inconveniences, caused as a result of search, seizure, inspection and any other investigative measure carried out into the private property are so painful that people try to even keep the fact of investigative measure in secret.

On the other hand, this very delicate investigative measure is the primary and most effective tool in the armament of the authorities. That is why international community establishes extremely high criteria for their admissibility. The article reviews the miscarriages existing in the Criminal Procedures Code of Georgia, which require urgent amendments.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

ვაჟა ბელთაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის არსის დადგენისათვის, წინასწარ შევეხებით სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ცნებას და მის არსს საზოგადოდ მიღებული სამართლებრივი ნორმების ფარგლებში. ამისათვის კი, საჭიროა შესწავლილი იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების ფუნქციები როგორც ცალ-ცალკე, ისე ურთიერთთანაფარდობაში, ამ ფუნქციების წარმოშობისა და განსაზღვრების მოკლე ისტორია.

ბრალდების ფუნქცია მრავალი პროცესუალისტიკის მიერ განისაზღვრება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის მიმართულება დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებითა თვის გამოძიების პროცესში და აგრეთვე, სასამართლოში მის მიმართ ბრალდების მხარდაჭერისათვის. ძირითადად, ამ ფუნქციას ახორციელებს პროკურორი. „ბრალდების ფუნქცია წარმოიშობა, აღმოცენდება, როცა პროცესში ჩნდება მითითება პირზე, რომელსაც ბრალდება დანაშაულის ჩადენა, აგრეთვე გარემოებები, რომლებშიც ეს დანაშაული იქნა ჩადენილი და სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ამ მოქმედებას,

როგორც დანაშაულს; ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან პროცესი წარმოებს კონკრეტული პირის – ბრალდებულის მიმართ ე.ი. რეალიზაციას იწყებს ბრალდების საპროცესო ფორმულა¹. სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია კი, წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების სუბიექტების – გამოძიების ორგანოებისა და პროკურორის სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის მიმართულებას სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, რომელსაც ზოგჯერ მოკლედ „სისხლისსამართლებრივ დევნას“ ვუწოდებთ, ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის. იგი დამკვიდრებულია, როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში და მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში. კერძოდ, ეს გამოთქმა გვხვდება: 1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1985 წლის მინიმალურ სტანდარტულ წესებში, რომლებიც შეეხება არასრულწლოვანებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების შესრულებას; 2) ევროპულ კონვენციებში – სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთსამართლებრივ დახმარებაზე (1959 წ.), სისხლის სამართლის საქმეების წარმოების გადაცემაზე (1972 წ.), ტერორიზმის აღკვეთაზე (1977 წ.), დეკლარაციაში პოლიციაზე (1979 წ.); 3) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის რეკომენდაციებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივებასთან დაკავშირებით; 4) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის 1993 წლის კონვენციაში „სამართლებრივ დახმარებაზე და სამართლებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში“ და სხვა საერთაშორისო აქტებში.²

სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება განუყრელადაა დაკავშირებული ბრალდების ცნებასთან. სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდების ფუნქციის რეალიზაციას წარმოადგენს. სწორედ ბრალდების მხარე ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთან კავშირში აუცილებელია, „ბრალდების“ ცნება გავმიჯნოთ სისხლისსამართლებრივი დევნისაგან და სხვა რთული სამართლებრივი მოვლენებისაგან. ეს კი, საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ სისხლისსამართლებრივი დევნის არსი.

სისხლის სამართალწარმოებას აქვს ნათლად გამოსახული საჯარო ხასიათი, რაც თავის მხრივ, არ გამორიცხავს ამ სფეროში ნორმის იმ ნაწილის საჭიროებას, რომელშიც აღწერილი იქნება მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის ზოგადი წესი (დისპოზიცია). წინა პერიოდში ბრალდების (ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის) საკითხებში საჯაროობისა და დისპოზიციურობის ერთმანეთთან შეხამებას ემსახურებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფორმების დიფერენცირება, რომელიც მდგომარეობდა სისხლის სამართლის საქმეების დაყოფაში – კერძო, კერძო-საჯარო და საჯარო ბრალდების (სისხლისსამართლებრივი დევნის) საქმეებად, ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე და სიმძიმეზე დამოკიდებულებით. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა თავის მხრივ, იყოფოდა კერძო, კერძო-საჯარო და საჯარო სახეებად. კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის განცხადების საფუძველზე (ანუ კერძო ბრალმდებლის მიერ) და შეიძლება შეწყდეს მისი და ბრალდებულის შერიგებით. კერძო-საჯარო ბრალდების საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის განცხადებით, მაგრამ მისი შეწყვეტა დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგებით ვერ განხორციელდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარდა მათი შერიგებისა, ბრალდებული მთლიანად აუნაზღაურებს მას მიყენებულ ზარალს. საჯარო ბრალდების საქმე აღიძვრება პროკურორის მიერ სახელმწიფოს სახელით (ან პროკურორის თანხმობით გამოძიების ორგანოს მიერ) და მისი შეწყვეტა მხარეების

შერიგებითა და მორიგებით ვერ მოხდება (სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა ასეთია). სახელმწიფოს სახელით „ბრალდება“ გულისხმობს სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებას დამოუკიდებლად დანარჩენი პირების სურვილებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უარი თქვა სისხლისსამართლებრივი დევნის ამ სახეებად დაყოფაზე და გამოკვეთა სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა.^{3,4}

2. ბრალდების ფუნქცია

ამჟამად მეცნიერებაში გაბატონებული აზრის თანახმად, ბრალდება იძლევა პირველსაწყის იმპულსს სისხლის სამართლის ყველა სხვა საპროცესო ფუნქციის წარმოშობისა და განვითარებისათვის, რომ სწორედ ბრალდება წარმოადგენს საწყის მექანიზმს სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის განვითარებისათვის. „ბრალდებას უწოდებენ სისხლის სამართლის პროცესის მამოძრავებელ ძალას და მოტორს“.⁵

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მრავალი რუსი მეცნიერი ბრალდების ფუნქციაში გულისხმობდა კატეგორიას, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის განვითარების გზას. მათ მიერ ბრალდების ფუნქცია განიხილება პირველხარისხოვნად და თვლიან, რომ მხოლოდ ბრალდების ფუნქციის განხორციელება განსაზღვრავს დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციების წარმოშობას. 'სისხლის სამართლის საქმეში ბრალდება მართლმსაჯულების აუცილებელი მომენტი, მის გარეშე აქ არ წარმოიშობა არა მარტო დაცვის ფუნქცია, არამედ მართლმსაჯულებაც“.⁶

განვიხილოთ წინასასამართლო სტადიაზე ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციების ურთიერთკავშირი და მათი განხორციელების შესახებ მეცნიერთა ადრინდელი შეხედულებები.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ გამომძიებელი და პროკურორი წინასასამართლო სტადიაზე ახორციელებენ მხოლოდ ბრალდების ფუნქციას.⁷ ამასთან, ამ სუბიექტების მიერ მხოლოდ ბრალდების ფუნქციის განხორციელება ეწინააღმდეგებოდა საქმის ყველა გარემოებათა შესახებ სრული, ყოველმხრივი და ობიექტური მოკვლევის აუცილებლობაზე კანონის მითითებას. ეს წინააღმდეგობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ კანონის ასეთი მითითება აკისრებდა მათ, როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი ხასიათის მტკიცებულებათა მოგროვების აუცილებლობას.

ზოგიერთი მეცნიერი ამ საკითხთან დაკავშირებით ამტკიცებდა, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მომკვლევნი, პროკურორი და გამომძიებელი ახორციელებს, როგორც ბრალდების ფუნქციას, ისე დაცვის ფუნქციას.⁸ იყო განსხვავებული აზრიც, რომლითაც ამ პირებს შეუძლიათ განახორციელონ სამი საპროცესო ფუნქცია (სისხლისსამართლებრივი დევნის, ბრალდების და დაცვის).⁹ ამასთან, ცხადი იყო, რომ ერთი პირის ხელით რამდენიმე საპროცესო ფუნქციის განხორციელების უფლებამოსილება ეწინააღმდეგება შეჯიბრობითობის პრინციპს.

მეცნიერების მიერ აღნიშნული წინააღმდეგობებიდან გამოსავალი მოიძებნა დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქციის – წინასწარი გამოძიების ფუნქციის გამოყოფით.¹⁰ ამ ფუნქციამ გამომძიებელს და პროკურორს დააკისრა ვალდებულება სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიძიონ საქმის გარემოებები ისე, რომ ამავე დროს მათ არ გამოეყოფათ

უფლებამოსილებები განახორციელონ ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრალდებისა და დაცვის ფუნქციები.

3. ბრალდების მხარე

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიღებით ზემოაღნიშნულმა შეხედულებებმა და ფუნქციებმა დაკარგა თავისი ძალა, აგრეთვე შეიცვალა საპროცესო მოქმედებათა შესრულების წესები და მოქმედი სუბიექტების როლები. ამ კოდექსით პროკურორი და გამომძიებელი ბრალდების მხარეს (მე-3 მუხლი, მეექვსე ნაწილი) წარმოადგენენ და ისინი წარმართავენ წინასასამართლო პროცესს. ამ პროცესში მნიშვნელოვნადაა შეცვლილი გამომძიებლის უფლებამოსილება. „მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, მაგრამ ვინაიდან გამომძიებელი ბრალდების მხარეა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, აღარ ავალდებულებს მას დაადგინოს ბრალდების გამამართლებელი მტკიცებულებები ან შემამსუბუქებელი გარემოებები“.¹¹ ამასთან, კანონმდებელმა ამ მხარეს მიუთითა, რომ მათი საპროცესო საქმიანობა უნდა იყოს შემოსაზღვრული ჩარჩოებით, რომლებიც დადგენილია ბრალდების ფუნქციით. უდავოა, რომ ასეთი გადანყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან იგი მიუთითებს მხარეებს დავაში მიზანმიმართულებას. დავაში მხარეებისა და მათი პოზიციების გარეშე კი, არანაირ შეჯიბრობითობაზე არ შეიძლება საუბარი.

ამასთან, ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა შემდეგი პრობლემა: როგორ მოვიქცეთ პროკურორის იმ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით (რომელსაც საპროცესო ხელმძღვანელობა ეწოდება), რომლებიც განისაზღვრება სსს კოდექსის 33-ე მუხლის მეექვსე ნაწილით და 111-ე მუხლის პირველი ნაწილით. იმიტომ, რომ პროკურორს, გამოდის რა მხარედ, მას არ უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, რომელიც არ იქნება ბრალდების მხარისათვის დამახასიათებელი.

საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორი, რომელიც ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მასთან ერთად გამომძიებელი (ასევე, მოსამართლე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები) **„ვალდებული არიან ამავე და სისხლის სამართლის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“** (მე-4 მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მათი მიზანი უნდა იყოს არ დაირღვეს ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები.

პროკურორისა და გამომძიებლის ასეთ საქმიანობას მ. სტროგოვიჩმა უწოდა დაცვა ფართო აზრით, რაშიც გულისხმობდა არა დაცვის ფუნქციის, არამედ ადამიანის უფლების დაცვას საზოგადოდ.¹² ამასთან, სისხლის სამართლის პროცესის ერთი მოდელის ჩარჩოში დაცვის ფუნქციის და სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის მიზნის დაცვის ერთმანეთში არევა, შეიძლება მიგვიყვანოს გაურკვეველობამდე. ამიტომ, სახელმწიფო ორგანოს ასეთი საქმიანობა უმჯობესია მოვისწინოთ, არა როგორც დაცვა, არამედ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა“.

პროკურორისა და გამომძიებლისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვის მინიჭების ვალდებულება ვერ

დააშორებს მას თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპს (საქართველოს სსს კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე“). მაშასადამე, ნებისმიერ სამართალურთიერთობაში, რომელშიც თანამდებობის პირი წარმოადგენს სახელმწიფოს, მასზე კანონით ვრცელდება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის რეალიზების ვალდებულება.

გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, რომლებიც ახორციელებენ საქმის წარმოებას წინასასამართლო სტადიებზე, თავიანთ მიზნად უნდა ისახავდნენ იმაზე მეტს, ვიდრე დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და ბრალდება. ასეთი მიზანი მიმართული უნდა იყოს სოციალური სამართლიანობის აღდგენისაკენ. ამისათვის თანამდებობის პირს უნდა ჰქონდეს უფლება გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა სამართლიანია, თუ ასეთი ქმედება გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ არასამართლიან შედეგებს სოციალური თვალსაზრისით. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება დისკრეციის პრინციპი¹³ და სამართლიანობის პრინციპები.¹⁴

4. „სისხლისსამართლებრივი დევნისა“ და „ბრალდების“ შრთიერთთანაფარდობის პრობლემა

კანონმდებლის პრინციპულ გადაწყვეტილებას მიეკუთვნება ისეთი ცნებების განსაზღვრება და განცალკევება, როგორებიცაა „ბრალდება“, „სისხლისსამართლებრივი დევნა“ და შესაბამისი ფუნქციები. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საზოგადოდ, სისხლის საპროცესო სამართალში ამ ტერმინების მიმართ არსებობს განსხვავებული შეხედულებები და ამავე დროს, საქართველოს სსს კოდექსში ისინი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

საქართველოს ახალ სსს კოდექსში, წინა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, არა გვაქვს არც „ბრალდების“ და არც „სისხლისსამართლებრივი დევნის“ განმარტებები. მხოლოდ მე-3 მუხლის მეცხრამეტე ნაწილში განმარტებულია „ბრალდებული“ – „პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული“. ახალი კანონმდებლობა ასევე, არ შეიცავს ამ ცნებათა გამიჯვნის მწყობრ სისტემას. ეს გარემოება მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონმდებლის ამოცანას არ წარმოადგენს მწყობრი თეორიული კონცეფციების ფორმულირება, ასეთი ამოცანა შეიძლება დაისვას მხოლოდ მეცნიერების წინაშე. ამიტომ აუცილებელია იმ მეცნიერთა აზრის გათვალისწინება, რომლებიც იკვლევდნენ აღნიშნულ ცნებებს. სამწუხაროდ, არც მეცნიერებს აქვთ ერთიანი აზრი და შეხედულება აღნიშნული ცნებებისა და მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების მიმართ.

ზოგიერთი ავტორი ბრალდებას განიხილავს, როგორც საპროცესო საქმიანობას. მაგალითად, მ. სტროგოვიჩი ბრალდებას განსაზღვრავს, როგორც „საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ მხილებული იქნეს დანაშაულის ჩამდენი სამართალში მისაცემი პირი და უზრუნველყოფილი იქნეს მის მიმართ დამსახურებული დასჯის გამოყენება“.¹⁵ ბრალდებაში აგრეთვე იგულისხმება საპროცესო საქმიანობა, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისაკენ მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების საფუძველზე.¹⁶

ეს განსაზღვრებები გამოსახავენ ბრალდების ერთ, კერძოდ, საპროცესო მხარეს. ასეთი აზრის ბრალდების გარდა, აგრეთვე არსებობს ბრალდება მატერიალურ სამართლებრივი აზრით. ასეთია მაგალითად, ბრალდება მ. სტროგოვიჩის შეხედულებით: „ბრალდების საგანი, ბრალდების შინაარსი, სხვანაირად – გამამტყუნებელი თეზისი, მტკიცებულება დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობისათვის“. იგივე ავტორი ამბობს, რომ „ბრალდება, როგორც საპროცესო ფუნქცია, წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებას, როგორც გამამტყუნებელ საქმიანობას“.¹⁷ ამ აზრით გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში გამოთქმები „ბრალდებულისათვის ბრალის წაყენება“, „ბრალდების მტკიცებულება“, „ბრალდებაზე მხარდაჭერა“, „ბრალდებაზე უარის თქმა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავადგინოთ შემდეგი ურთიერთთანაფარდობა „ბრალდებასა“ და „სისხლისსამართლებრივ დევნას“ შორის: **„ბრალდება არის მტკიცება პირის ბრალეულობაზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არის საპროცესო საქმიანობა, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისაკენ“**. თუმცა, ამ საკითხის შესახებაც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული თვალსაზრისიც.

მ. სტროგოვიჩი ამ ორ მოვლენას ტოლმნიშვნელოვნად თვლის.¹⁸ ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ბრალდება. მაგალითად, ა. ლარინი ამ ფაქტს განამტკიცებს იმით, რომ გარდა ბრალდებისა, აგრეთვე არსებობს სხვა საქმიანობაც, რომელთაგან აუცილებელია და შესაძლებელიც თავის დაცვა. თავის დაცვისათვის ეჭვმიტანილის საქმიანობა მიმართულია არა ბრალდების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ჯერ კიდევ, არ არსებობს. თავის დაცვის ასეთ ცნებას ა. ლარინის აზრით, უნდა შეესაბამებოდეს რაიმე უფრო ფართო ცნება, ვიდრე ბრალდება. ასეთ ფართო ცნებას, რომელიც თანაზომიერი იქნება დაცვასთან, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა.¹⁹ ამრიგად, ასეთი გაგებით, პირის მიმართ ბრალის წაყენებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა თავის თავში შეიცავს ბრალდებას და სახელმწიფო ორგანოთა საპროცესო საქმიანობას. რაც შეეხება ბრალდებას, „იგი სისხლისსამართლებრივი დევნის ძირითად ფორმას წარმოადგენს“.²⁰

სხვა ავტორები სისხლისსამართლებრივ დევნაში გულისხმობენ „საპროცესო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ბრალდების მხარის მიერ ეჭვმიტანილის მხილებისათვის, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში“. ასევე, „სისხლისსამართლებრივ დევნაში იგულისხმება თანამდებობის პირებისა და ორგანოების სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობა, რომელიც ეფუძნება შესაბამის საპროცესო ნორმებს და მიმართულია ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დადგენისა და მხილებისაკენ, მას გააჩნია ოფიციალური ხასიათი“.²¹

ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით მოვიტანთ ციტატას პროფ. ი. გაბისონიას ნიგნიდან – **„მათ შორის იგივე დამოკიდებულებაა, რაც მთელსა და მის ნაწილს შორის: ბრალდების ფუნქცია პირველადია, ძირითადია და უფრო მასშტაბურია – იგი ხორციელდება როგორც პროცესის სასამართლომდელ სტადიებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების (მოკვლევითურთ) სახით, ისე სასამართლოში – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფორმით. ბრალდების ფუნქციის უფრო ვიწროდ გაგება, ვინემ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციისა, არ შეესაბამება ბრალდების ისტორიულად ჩამოყალიბებულ შინაარსს“**.²² აღნიშნულ მოსაზრებას ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით.

ახლა გასარკვევი ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის დასრულების მომენტი. ზოგიერთი ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან

და ადგილი აქვს მოცემული საქმის წარმოების განმავლობაში, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, ანუ იქამდე, ვიდრე არ ჩავთვლით, რომ არსებობს საფუძველი, რომლითაც დანაშაულის ჩამდენი პირი არის დამნაშავე და იმსახურებს ამა თუ იმ ზომის სისხლის სამართლებრივ სასჯელს.²³ ამ საკითხთან დაკავშირებით იგივე პოზიცია აქვს ზ. ენიკეევს.²⁴ განსახილველ ცნებაში ამ ავტორებმა ჩართეს სასამართლოს მიერ დანიშნული დამსჯელი ან სხვა იძულებითი ღონისძიებების ფაქტობრივი შესრულება, რითაც მოახდინეს სისხლისსამართლებრივი დევნის საზღვრების გაუმართლებელი გაფართოება. ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ეს ორი სრულიად სხვადასხვა ცნებაა, რომლებიც ერთიმეორისაგან რადიკალურად განსხვავდება და მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება.²⁵

საქართველოს წინამორბედი სსს კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით, სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის როლზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბ. მეურმიშვილის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პირობითად დაყოფა ორ ნაწილად: „სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება წინასწარი გამოძიების სტადიაზე, კერძოდ, მაშინ, როცა კონკრეტული პირი ბრალდებულის სახით მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გრძელდება სასამართლოში მონაწილე პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის, საბრალდებო სიტყვის დამთავრებამდე. ამიტომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის მიერ პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარის დაჭერის დროს“.²⁶

შევნიშნავთ, რომ ბრალდებისათვის საჭიროა პირის ინდივიდუალიზაცია, ანუ ბრალდება გულისხმობს სხვა პირის მიერ ბრალდების პირის მიმართ გარკვეული მოქმედების გამოყენებას, მისი ბრალის დამტკიცებას საზოგადოებრივი ნორმების დარღვევაში, მის მხილებას მოცემული დანაშაულის ჩადენაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, წინასასამართლო ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა არის ბრალმდებელი მხარის საპროცესო საქმიანობა, მიმართული, მატერიალურსამართლებრივი განაცხადის დასაბუთებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში გადაიქცევა ბრალმდებლის მიერ ბრალდების მხარდაჭერის საჯარო ფორმად.

ახლა შევეხოთ იმის გარკვევას, თუ რა უნდა გავიგოთ „ბრალდების ფუნქციაში“ და „საბრალდებო საქმიანობაში“, რომლებიც მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივ დევნას. ბრალდების ფუნქცია წარმოადგენს პროცესის ზოგიერთი მონაწილის, უპირველესად, პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას და არა მთელ მის საქმიანობას. ამდენად, ტერმინს „ბრალდების ფუნქციას“ აქვს თავისი აზრი, განსხვავებული „სისხლისსამართლებრივი დევნის“ ცნებისაგან. სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს ბრალდების ფუნქციის რეალიზების ფორმას, ანუ სისხლისსამართლებრივ დევნას გვაძლევს პროკურორის ბრალდების ფუნქციის არსებობა. მაშასადამე, პროკურორს აქვს ბრალდების ფუნქცია, რომელსაც ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის საშუალებით იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში.

ტერმინში „საბრალდებო საქმიანობა“ ჩვენ ვგულისხმობთ წინასასამართლო საქმიანობას – სისხლის სამართლის საქმის მასალების წინასასამართლო მომზადებას; საქმიანობას სისხლის სამართლის საქმის მასალების სასამართლოში წარდგენისა და ბრალდების მხარდაჭერისათვის.

საზოგადოდ, საბრალდებო საქმიანობა ემთხვევა სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საქმის მომზადება და წარდგენა სასამართლოში არის იმის გაგრძელება, რაც იყო დაწყებული წინასასამართლო სტადიაზე. სასამართლომდე როგორც საპროცესო, ისე არასაპროცესო ფორმით (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა) საბრალდებო საქმიანობის აღსანიშნავად შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი „წინასასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნა“. ამრიგად, წინასასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნა – ესაა პროკურორის და სხვა ორგანოთა წინასასამართლო საქმიანობა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის მომზადებისათვის. საქართველოს პირობებში, მოქმედი სსს კოდექსით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება (მუხლი 166) და პროკურორი სასამართლოში არის სახელმწიფო ბრალმდებელი (მუხლი 33), ამიტომ პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია არის არსებითად ერთიანი. ასევე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „ბრალდების ფუნქცია“ და „სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია“ ერთმანეთს არ ემთხვევა.

5. „სისხლისსამართლებრივი დევნისა“ და „გამოძიების“ ურთიერთთანაფარდობის პრობლემა

აგრეთვე საინტერესოა, „სისხლისსამართლებრივი დევნის“ და „გამოძიების“ ურთიერთთანაფარდობის პრობლემა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გ. მეფარიშვილი ასე სვამს კითხვას: მოიცავს თუ არა „გამოძიებას“ ტერმინი „სისხლისსამართლებრივი დევნა“, თუ მათ შორის არის რაიმე განსხვავება? ამ კითხვაზე ავტორის პასუხი ასეთია: „ემთხვევა და არც ემთხვევა“ და ახსნილი აქვს ასეთი პასუხის მიზეზები.²⁷

დასმული პრობლემის შესახებ ლიტერატურაში აზრი არაერთგვაროვანია და განისაზღვრება იმით, თუ რა მიმართულებას უჭერს მხარს ავტორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტის განსაზღვრებაში. მაგალითად, ერთი მიმართულების წარმომადგენელი ეთანხმება იმ აზრს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება გამოძიების დაწყების მომენტიდან და ადგილი აქვს მას საქმის წარმოების განმავლობაში, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, ვიდრე გარკვეული პირი შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულად დანაშაულის ჩადენაში და იმსახურებს სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების შესაბამის სასჯელს.

მეორე მიმართულების წარმომადგენლების აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება იმ მომენტიდან, როგორც კი, საქმეში გამოიკვეთება ბრალდებული. მათი შეხედულებებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არაცალსახაა. მაგალითად, ა. ხალიულინი არ უარყოფს, რომ გარკვეული აზრით „გამოძიების“ ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „სისხლისსამართლებრივი დევნის“ ცნება, რასაც იმით ხსნის, რომ: ჯერ ერთი, გამოძიებას აქვს ადგილი იმ მომენტამდე, როგორც კი, პირი გახდება ბრალდებული; მეორე მხრივ, გამოძიება რომელიმე პირის მიმართ შეიძლება დამთავრდეს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის გარეშე. მაგალითად, როცა დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და შემდეგ იგი

შეწყდა დანაშაულებრივი მოვლენის არარსებობის გამო. იგივე ავტორი არ გამორიცხავს აგრეთვე იმ შემთხვევასაც, როცა ფაქტობრივად სისხლისსამართლებრივი დევნა ემთხვევა გამოძიებას, როცა იგი ხორციელდება კონკრეტული პირის მიმართ. ამავე დროს, აღნიშნავს, რომ „სისხლისსამართლებრივი დევნა არ ემთხვევა გამოძიებას, შეიძლება მხოლოდ გადაიკვეთებოდეს მასთან ამა თუ იმ ხარისხით და იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიებას ადგილი აქვს სასამართლო სტადიაზეც. ამიტომ, ასევე არასწორია სისხლისსამართლებრივი დევნა ჩაითვალოს გამოძიების ნაწილად“.²⁸

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქციებთან ერთად განიხილავენ გამოძიებას, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქციას, რომელსაც ახორციელებს პროკურორი და გამომძიებელი.

მეცნიერული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა მომენტში წარმოიშობა სისხლისსამართლებრივი დევნა და როგორია მისი განხორციელების შესაძლებლობა, როცა არ არსებობს პირი, რომელსაც დაედებოდა ბრალი დანაშაულის ჩადენაში. ეს საკითხი შესწავლილი აქვს ზ. გატაულინს.²⁹

ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნა – გამოძიების ორგანოს ერთადერთი ფუნქციაა, ამიტომ ამ ორგანოს ყველა სახის საქმიანობა მიზანშეწონილია განხილულ იქნეს როგორც ამ ფუნქციის რეალიზების ხერხები. გამომძიებლის საქმიანობას გამოძიების საწყის ეტაპზე არა აქვს სხვა მიზანი, გარდა იმისა, რომ დაადგინოს ვის მიერ იყო ჩადენილი ის დანაშაული, რომლის ნიშნებითაც არის დაწყებული საქმის გამოძიება. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ბრალდების ფუნქციის და სისხლისსამართლებრივი დევნის განსხვავებული აზრიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრალდების საპროცესო ფუნქციით არამხოლოდ წარმოიშობა სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც საპროცესო საქმიანობის სახე, არამედ მოიცავს მას. ამასთან დაკავშირებით, თუ გამოძიებას განვიხილავთ როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ფორმას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას წარმოადგენს.

6. სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურატურის ძირითადი ფუნქცია

საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ტერმინს „სისხლისსამართლებრივი დევნა“, ითვალისწინებდა რსფსრ-ის 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში კაპიტალისტური სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დამკვიდრებულ ტერმინში „სისხლისსამართლებრივი დევნა“ ცხადად თუ შეფარვით გამოსჭვიოდა თითქოსდა რეაქციული, ანტიჰუმანური, ცალსახად რეპრესიული ხასიათის თეზა. ალბათ ამ განწყობითაც იყო განპირობებული ის გარემოება, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, საქართველოსაგან განსხვავებით, ეს ცნება კარგა ხანს ვერ დამკვიდრდა ან ვერ მოხდა მისი ინსტიტუციონირება. ამ ქვეყნებიდან პირველად, მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკამ დააწესა 1990 წელს „სისხლისსამართლებრივი დევნის“ საპროკურორო ფუნქცია კანონით „ლიტვის რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი აწესებდა, რომ დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანოს – პროკურატურის მოვალეობებში შედის „დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის-

სამართლებრივი დევნის განხორციელება“. ანალოგიურ დებულებას შეიცავდა რუსეთის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 1993 წელს კიდევ იქნა მონონებული კონსტიტუციური სათათბიროს მიერ, მაგრამ ბოლო ვარიანტში იგი ამოღებული იქნა და რუსეთის 1993 წლის კონსტიტუცია პროკურატურის ფუნქციათა ჩამონათვალს არ შეიცავს.

თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სისხლისსამართლებრივი დევნა“, როგორც პროკურატურის ძირითადი ფუნქცია. ერთი რიგი ქვეყნებისა, ამ ტერმინს კონსტიტუციებსა და ორგანულ კანონებში იყენებენ (იტალია, ავსტრია და სხვა), მეორენი – მხოლოდ ორგანულ კანონში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და სხვა).³⁰ საქართველო ამ მეორე ჯგუფის ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ. ქვემოთ შევეხებით ჩამოთვლილი ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობებში სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებებს.

სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონების შესწავლით პროცესუალისტებს მიეცათ საშუალება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და მისი ფუნქცია გაიგივებულიყო ბრალდების ფუნქციასთან. ამიტომ ითვლება, რომ რიგი ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობით ორივე ეს ცნება ტოლმნიშვნელოვანია. მაშასადამე, „**სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საპროცესო საქმიანობა, რომელიც წარმოებს ბრალმძებელი მხარის მიერ ბრალდებულის მხილებასთან დაკავშირებით, რომელმაც ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული**“.

7. სისხლისსამართლებრივი დევნის რაციონალური და სამართლებრივი განხორციელების პრინციპი

ახლა შევეხებით იმ მიზეზებს, რომლებიც არ იძლევა საშუალებას ფართოდ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამისათვის წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ამჟამად არსებული სისხლის სამართალწარმოების დახასიათებისას შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს მისი ინსტიტუტების შინაარსისა და ფორმის დაახლოებისა და მათი ჰარმონიზაციის მყარი ტენდენცია. ეს უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტორთა აქტიური ზეგავლენის ქვეშ მიმდინარეობს, რომლებიც წარსულშიც და ახლაც გარედან მოქმედებდნენ სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკაზე, მათ შორის, სამართლის განვითარებაზე, მის ყველა დარგზე სისხლის საპროცესო სამართლის ჩათვლით.³¹ ყოველივე ეს გამომწვეულია სისხლის სამართლის კანონების საერთაშორისო განვითარებით. ასეთი განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოში, გამართლებულია იმით, რომ ამ სახელმწიფოებს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, დღეისათვის გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობები. ეს კი, საშუალებას არ იძლევა სრული მოცულობით განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი ყველა პირის მიმართ, როდესაც უნდა გაითვალისწინონ ასეთი პირების მიმართ საზოგადოებისა და კანონმდებლობის განსხვავებული დამოკიდებულებები სხვადასხვა ხასიათისა და ხარისხის ჩადენილი დანაშაულის გამო. ამიტომ პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებლობის მოთხოვნა აღიარებულია და ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციის პრინციპით, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „**საპროცესო ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება უარი თქვან დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე, თუ**

ასეთი დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს მოხდება ასეთი პირის მიმართ უპირობოდ ან თუ იგი დაიცავს განსაზღვრულ პირობებს, რომლებიც ასახულია სისხლის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში“.

ამ პრინციპის რეალიზაცია მოითხოვს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების მეცნიერულ შეფასებას სისხლისსამართლებრივი დევნის სფეროში. ეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობის ბუნებიდან და სამართლებრივი კონცეფციიდან გამომდინარე. უცხოეთის დემოკრატიული ქვეყნების სამართლებრივი კონცეფციები მოითხოვს კანონიერ და საფუძვლიან, მიზანშეწონილ და სამართლიან სისხლისსამართლებრივ დევნას. ამიტომ განსაკუთრებით აქტუალური ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული პრინციპის საკანონმდებლო დამკვიდრება იმისათვის, რომ იგი განხორციელდეს რაციონალური და სამართლებრივი ფორმით.

დასკვნა

დღევანდელი მდგომარეობით სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონების შესწავლით პროცესუალისტებს მიეცათ საშუალება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და მისი ფუნქცია გაიგივებულიყო ბრალდების ფუნქციასთან. ამიტომ ითვლება, რომ ორივე ეს ცნება ტოლმნიშვნელოვანია. მაშასადამე, „სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საპროცესო საქმიანობა, რომელიც წარმოებს ბრალმდებელი მხარის მიერ ბრალდებულის მხილებასთან დაკავშირებით, რომელმაც ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული“.

პრაქტიკულად, უცხოეთის ყველა სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციის პრინციპით, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: „საპროცესო ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება უარი თქვან დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნის გაგრძელებაზე, თუ ასეთი დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს მოხდება ასეთი პირის მიმართ უპირობოდ ან თუ იგი დაიცავს განსაზღვრულ პირობებს, რომლებიც ასახულია სისხლის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში“.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია განსაზღვრავს საქმიანობათა მიმართულების შემდეგ სქემას: კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, ამ პირის დაკავებას და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გატარებას, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემას და სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერას.


შენიშვნები:

- ¹ პ. კობალაძე, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქცია, მისი არსი და მნიშვნელობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, N3(5), 2009, გვ. 6.
- ² Еникеев З.Д., Уголовное преследование, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2000, стр. 2-3.
- ³ გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2010, გვ. 158-166.
- ⁴ ვ. ბელთაძე, დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, N16, 2011, გვ. 99-108.
- ⁵ Строгович М. С., Уголовное преследование в советском уголовном процессе, М., Изд-во АН СССР, М., 1951, стр. 56.
- ⁶ Советский уголовный процесс, Под ред. Л. М. Карнеевой, П. А. Лупинской, И. В. Тыричева, М., 1980, стр. 17.
- ⁷ Горский Г.Ф., Кокорев Л.Д., Котов Д.П., Судебная этика, Изд-во Воронежского ун-та, 1973, стр. 148.
- ⁸ Строгович М. С., Уголовное преследование в советском уголовном процессе, Изд-во АН СССР, М., 1951, стр. 99.
- ⁹ Савицкий В.М., Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, Наука, М., 1975, стр. 42.
- ¹¹ Элькин П.С., Сущность советского уголовно-процессуального права, Л., 1963, стр. 59-60.
- ¹¹ მ. მამნიაშვილი, გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, სტუ, თბილისი, 2012, გვ. 127-128.
- ¹² Строгович М. С., Уголовное преследование в советском уголовном процессе, Изд-во АН СССР, М., 1951, стр. 99-100.
- ¹³ ვ. ბელთაძე, დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, N16, 2011, გვ. 99-108.
- ¹⁴ ვ. ბელთაძე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპების შესახებ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N1(39), 2011, გვ. 181-184.
- ¹⁵ Строгович М.С., Курс советского уголовного процесса, Т. 1, Наука, М., 1968, стр. 189.
- ¹⁶ Зинатуллин З.З., Зинатуллин Т.З., Общие проблемы обвинения и защиты по уголовным делам, Удмурт. гос. ун-т. Ижевск, 1997, стр. 16.
- ¹⁷ Строгович М.С., Курс советского уголовного процесса, Т. 1, Наука, М., 1968, стр. 190.
- ¹⁸ Строгович М.С., Курс советского уголовного процесса, Т. 1, Наука, М., 1968, стр. 190.
- ¹⁹ Ларин А.М., Расследование по уголовному делу: процессуальные функции, Юридическая литература, М., 1986, стр. 25.
- ²⁰ Ларин А.М., Расследование по уголовному делу: процессуальные функции, Юридическая литература, М., 1986, стр. 38.
- ²¹ Зинатуллин З.З., Зинатуллин Т.З., Общие проблемы обвинения и защиты по уголовным делам, Удмурт. гос. ун-т. Ижевск, 1997, стр.7.
- ²² ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბილისი, 1999, გვ. 271-272.
- ²³ Зинатуллин З.З., Зинатуллин Т.З., Общие проблемы обвинения и защиты по уголовным делам, Удмурт. гос. ун-т. Ижевск, 1997, стр. 7.
- ²⁴ Еникеев З.Д., Механизм Уголовного преследования, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2002, стр. 10.
- ²⁵ შ. ფაფიაშვილი, ა. თევზაძე, მასალების შემონახვა და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, „მერიდიანი“, თბილისი, 2002, გვ. 97.
- ²⁶ ბ. მეურმიშვილი, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, „სამართალი“, N8, 2001, გვ. 59.
- ²⁷ გ. მეფარიშვილი სისხლისსამართლებრივი დევნის და გამომძიების თანაფარდობისათვის, „მართლმსაჯულების მაცნე“, N1, 1996, გვ. 23-24.

- ²⁸ Халиулин А.Г., Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России, Кемерово: Кузбасвузиздат, 1997, стр. 48-49.
- ²⁹ Гатаулин З.Ш., Уголовное преследование как функция прокурора. Законность, ежемесячный правовой научно-практический журнал, М., 2010, № 2, стр. 9-13.
- ³⁰ გ. მეფარიშვილი სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, „მართლმსაჯულების მაცნე“, N1, 1996, გვ. 22-23.
- ³¹ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 49.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბელთაძე, დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, N16, 2011;
2. ვ. ბელთაძე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპების შესახებ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N1(39), 2011;
3. ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბილისი, 1999.
4. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007;
5. პ. კობლაძე, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქცია, მისი არსი და მნიშვნელობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, N3(5), 2009;
6. მ. მამიაშვილი გამოძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, სტუ, თბილისი, 2012;
7. ბ. მეურმიშვილი, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, „სამართალი“, N8, 200;
8. გ. მეფარიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, „მართლმსაჯულების მაცნე“, N1, 1996;
9. გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2010;
10. შ. ფაფიაშვილი, ა. თევზაძე, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, „მერიდიანი“, 2002;
11. Гатаулин З.Ш., Уголовное преследование как функция прокурора, Законность, ежемесячный правовой научно-практический журнал, М., 2010, № 2;
12. Горский Г.Ф., Кокорев Л.Д., Котов Д.П., Судебная этика, Изд-во Воронежского ун-та, 1973;
13. Еникеев З.Д., Уголовное преследование, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2000;
14. Еникеев З.Д., Механизм Уголовного преследования, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2002;
15. Зинатуллин З.З., Зинатуллин Т.З., Общие проблемы обвинения и защиты по уголовным делам, Удмурт. гос. ун-т. Ижевск, 1997;
16. Ларин А.М., Расследование по уголовному делу: процессуальные функции. Юридическая литература, М., 1986;
17. Савицкий В.М., Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, Наука, М., 1975;
18. Советский уголовный процесс, Под ред. Л. М. Карнеевой, П. А. Лупинской, И. В. Тыричева, М., 1980;
19. Строгович М. С., Уголовное преследование в советском уголовном процессе, Изд-во АН СССР, М., 1951;
20. Строгович М.С., Курс советского уголовного процесса, Т. 1, М., Наука, 1968;
21. Халиулин А.Г., Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России, Кемерово: Кузбасвузиздат, 1997;
22. Элькинд П.С., Сущность советского уголовно-процессуального права, Л., 1963.



THE CONCEPT OF THE FUNCTION OF CRIMINAL PROSECUTION ACCORDING TO THE CRIMINAL PROCEDURES CODE OF GEORGIA

VAZHA BELTADZE

Georgian Technical University, PhD Student of the Faculty of Law

The concepts of criminal prosecution and accusation and their intercommunication are discussed in the article related to a new Criminal Procedures Code of Georgia. At the pretrial stage the functions of prosecution and accusation are studied separately and also in correlation; academicians' past and present views about execution of the above are also examined. The article includes their opinions about commencement and termination of criminal prosecution. It is demonstrated that criminal prosecution and accusation can be discussed as concepts of equal as well as different importance. In accordance with the norms of the Criminal Procedures Code, we believe that criminal prosecution begins from the moment the charges are brought against the defendant. As soon as the defendant is identified, criminal prosecution commences. Hence, criminal prosecution involves collection of evidence on the defendant, and accusation - finding the defendant guilty. As of today, the functions of criminal prosecution and accusation are the concepts of equal importance. The scheme of activities determined by the function of criminal prosecution is provided.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002